



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

# აკაკი წერეთელი

თხზულებათა სრული კრებული  
ოც ტომად



თბილისი 2011

# აკაკი წერეთელი

ტომი II

ლექსები

1881 – 1900



თბილისი 2011

**აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის  
სარედაქციო კოლეგია**

**ირმა რატიანი**

მთავარი რედაქტორი

იუზა ევგენიძე

მაკა ელბაქიძე

ნანა ფრუიძე

როსტომ ჩხეიძე

ზურაბ ჭუმბურიძე

თამაზ ჯოლოგუა

**ჯულიეტა გაბოძე**

პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი

**როსტომ ჩხეიძე**

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები,  
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს:

**ჯულიეტა გაბოძე**

**რუსუდან კუსრაშვილი**

**ჭ ცისანა ყიფშიძე**

ტომი გამოსაცემად მომზადდა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)

ISBN 978-9941-0-3812-9 (მეორე ტომის)

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლექსები



## გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა,  
ჭიკჭიკითა გადმომძახა:  
„გაზაფხული! გაზაფხული!“  
გულს იმედი დამესახა.

მივდექე სარკმელს, გადვიხედე,  
არემარე მესხვაფერა!  
სასოებამ ფრთა გაშალა,  
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,  
უცნაური ვიგრძენ ძალი...  
ვსთქვი თუ: „გულსა რაღად ვიტენ?  
ახლოს არის მომავალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდა  
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:  
ენახავ ქორწილს ბუნებისას,  
გავიგონებ მის მაცრულსა.

„დავენოს ვარდსა გადაშლილსა,  
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას  
და ბულბულიც გამაგონებს  
მისებურად: „ტია-ტიას!“

[1881 წ., 1 მარტი.]

## მწერლების ფერხული

ვახტანგ ჰგოდებს, კენესის ნიკოლოზ,  
კანანახობს მათ ილია,  
გრიგოლ ოხრავს, ალექსანდრე  
იმლერის და ხმა ტკბილია!

ანტონ უსტვენს, საიმედოდ  
ჯერ ქყლოპინობს ბარტყ-ცახელი,  
ქედანივით ყელს იღერებს  
მოლულუნე რაფაელი.

ტკბილ-ქართულობს გრძნობით კატო,  
გულს იპარავს ლომაური;  
სანდრო ჰღელავს და სოფრომი  
მოსთქვამს ბედის უმაღური.

სხვები მხოლოდ ბანს აძლევენ  
ჭიკჭიკობენ ტკბილად, ყველა!  
ჩუ! მალული, – ფრთხილად იყავ  
გეპარებათ კუდა-მელა.

მაისი, 1881 წ.



## უკანასკნელი ნატვრა

სანამ მესხა წვერ-ულვაში,  
გულიც მქონდა საგულესა,  
ბედმა ხორცი ეკლით მჩხვლიტა,  
სულს ნალველი გაუღესა!

დღეს, როდესაც გული გატყდა  
და თმა იმკო ჭალარითა,  
ნულარ მოვა ბედი ტყვილათ  
სიცილით და ნალარითა!..

მის გულს ველარ გაამთელებს  
ია-ვარდის კონებითა,  
ვინც სრულიათ ურწმუნოა  
გრძნობითა და გონებითა!

ის დანაშთენ სიცოცხლეში  
არ ნატრობს მეტს აღარასა,  
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა  
იღებავდეს ჭალარასა!..

[1881]

## დედაბრის მოგონება

(ვუძღვნი იაკობ პოლონსკის)

ამღვრეული წყალი არის  
მეთევზების ბედისწერა:  
მაშინ გაუადვილდებათ  
ნადირობა... თევზის ქერა.

შუაგულში სასროლს სცემენ,  
ნაპირ უსმენ სახოპავსა,  
და თევზი კი ულოდნელად  
იმ ბადეში ჩაჰყოფს თავსა.

ზოგიერთ კაცს ცხოვრებაში  
მეთევზე ჰყავს იდეალად  
და ცხოვრების წმინდა წყაროს  
ამტუტებს და ამღვრევს ძალად.

ბრალსადებელ ბადეებს ჰქსოვს,  
უბრალოებს მით იჭირავს  
და მის პირად წარმატებას  
მთელი ერის ბედსა ჰსწირავს.

ჩვენშიც მეტად მრავლდებიან  
დღეს ამგვარი მეთევზები,  
სულ იმათგან იხლართება  
ახალი, თუ ძველი გზები.

ასამღვრევლად უკუღმართად  
დატრიალობს მათი ჩარხი  
და ბანს აძლევს მოსკოვიდან  
მათი დიდი პატრიარხი.

ჩვენი დრო სულ სხვა დრო იყო:  
 კურთხეული ვორონცოვი  
 ყველას კალთას გვაფარებდა,  
 ნყალობისა იყო მთოვი.

მაშინ ვერვინ მოიხმარდა  
 მეზვერულად თვალს და ყურსა,  
 გაიძვერულ-მეთევზობა  
 ვერ აჭმევდა ვერვის პურსა.

მხოლოდ სწორ გზას მოითხოვდა  
 კანონი და სამართალი!  
 სტუმარს და მასპინძელს ღმობით  
 დაჰყურებდა ღვთისა თვალი.

ანბობენ, რომ ვითომც ის დრო  
 უნდა დაგვიბრუნდეს ძველი...  
 ღმერთმა ქნას, რომ გამართლდეს და  
 ჩვენს თხებს დაეჭიროს მგელი.

და ჯერეთ კი სიკვდილი სჯობს  
 სიცოცხლეს და აქ ყოფნასა!  
 ამაზედ მე დავიმონმებ  
 ჩემს საყვარელ აკოფასა.

მაგრამ იცით, თუ ვინ იყო  
 ის სანატრი იაკობი,  
 სულმნათი და მომღერალი,  
 ცა და ქვეყნის შემამკობი?

მას პოლონსკის ეძახოდენ,  
 რუსი იყო მშვენიერი;  
 ჩვენ ხალხს თავი შეაყვარა  
 და უყვარდა ჩვენი ერი.

ჩვენი სახლის მდგმური იყო,  
 ვორონცოვის მოყვარული,  
 ქართველივით გულმართალი,  
 მხიარული, გულგახსნილი,

თმახუჭუჭა-აბრეშუმა,  
 მხარბეჭა და ტანმალალი...  
 იმან სძლია ჩემი გული:  
 მომივიდა ტრფობის ალი.

გულმა გულსა უპასუხა:  
 შემეყვარდა, შევუყვარდი;  
 ის მისტვენდა ბულბულივით,  
 ვიშლებოდი, როგორც ვარდი.

მაგრამ ჩვენი სიყვარული,  
 გეფიცებით, იყო წმინდა,  
 ვარდი დასჭკნა ადგილობრივ  
 და ბულბული კი გაფრინდა.

მახსოვს მხოლოდ, წასვლის წინეთ  
 გულს მიმიკრა და მაკოცა!  
 ოცდაათმა წელიწადმა  
 ის კოცნა ვერ ამოხოცა.

მაშინ მხოლოდ მე პირველად  
 დავინვი და დავიდაგე...  
 იმ ბეჭედით ამა დღემდე  
 წინდად დავსდევ მისთვის ბაგე.

იქ მივუტან საიქიოს  
იმა წინდსა ჩემს იაკობს  
და უხრწნელად მის ბეჭედსა,  
როცა ნახავს, კი შეატყობს...

და იტყვის, რომ „ქართველის ქალი  
არ ჩამოჰგავს სხვა ქვეყნის ქალს;  
თან წაიღებს საიქიოს  
მის ნატვრას და მის იდეას“.

რადგან ჩემი იაკობი  
რუსი იყო ქრისტიანი,  
გულში სულ სხვა გრძნობა ედვა  
და თავშიაც სხვა საგანი.

ვორონცოვის რუსი იყო  
და არა თუ ახლანდელი!  
მისთვის ცხვრები არ ვიყავით,  
ის არ იყო ჩვენთვის მგელი.

აი, რისთვის დამებეჭდა  
მისი სახე გულის ფიცარს  
და კურთხევით მოვიგონებ  
საუკუნოდ დაუვინყარს.

[1881]

## საგარცხელი

რად მიგხდია ფერი, შვილო,  
და გაურბი რუსის ვაჟსა?  
შეგაშინა? განყენია?  
ფუი, მაგის წვერ-ულვაშსა!

ძველი დრო სულ სხვა დრო იყო,  
არ გვახსოვს რა მაგისტანა!  
ის დრო იყო კურთხეული,  
ვარანცოვის დრო და ხანა!

შეგვიტკბეს და ჩვენც შევიტკბეთ,  
შეგვიყვარეს – შეგვიყვარდა.  
დღეს სიტკბო და სიყვარული  
ის, გულიდან გადავარდა.

გეტყვი, შვილო, იმ დროიდან  
რაც დააჩნდა ტკბილად ჩემს გულს,  
რომ არ ვსტყუვი, გეფიცები  
ვარანცოვის სახელს და სულს!

მტკვრის ნაპირად სახლი იდგა,  
ჩვენი, მამაპაპეული,  
ფათალოებ ყვავილებში  
ჩანმახნული, ჩახვეული.

იქ ვცხოვრობდი ბებიასთან,  
მარტოდმარტო, მომწიფული,  
გაფურჩქვნილი, როგორც ვარდი,  
მოჭიკჭიკე, ვით ბულბული.

ერთხელ, მახსოვს, დილა იყო,  
გადავანეე მოაჯირსა,  
და სიამით ჩავჰყურებდი  
მოკამკამე მტკვრისა პირსა.

წყლის ანგელოსს წმინდა ჭევლში  
დავსცქეროდი გამოსახულს:  
ოქროს ხუჭუჭს ივარცხნიდა,  
ვაყოლებდი მეც თვალს და გულს.

ილიმვოდა, ირხეოდა  
მოციმციმე მზისა შუქი!  
თურმე თვითონ მევე ვიყავ  
წყლის ანარეკლ-ანაშუქი!

უეცრად და ულოდნელად  
ტანში მომხვდა რალაც ძალა!  
ჟრუანტელმა დამიარა...  
გულში ლახვრად გამემსჭვალა.

მოვიხედე, მეზობლისას  
ჰაივანზე იდგა მდგმური,  
მონინებით მიყურებდა  
შემომედო მეც ალმური.

შევჰკრთი უცბად და ვიკივლე,  
გამივარდა სავარცხელი,  
წავბარბაცდი, წავიქეცი,  
ვერ მოვაველე სვეტსა ხელი.

გავხდი ავად! დავსნეულდი  
და ფერ-ხორცმაც მიწყო კლება,  
მეხვეოდნენ ექიმები...  
ვერ გაიგეს სნეულება!

ბებია კი ამტკიცებდა:  
გამილაღეს, თვალი ჰკრესო!  
დავიბარებ მარჩიელებს,  
გამოვჰკითხავ, თუ მითხრესო.

უთხრეს, ერთი მკურნალია,  
სხვა ექიმებს არა ჰგავსო!...  
რუსი არის, მაგრამ სნეულს  
სულ ქართულად ულოცავსო.

დაიბარეს, შემომგვარეს,  
 ღმერთო ჩემო! ის კი იყო,  
 იმ დილას რომ მე თვალი მკრა,  
 გული ორად რომ გამიყო.

შემომხედა, გამილიმა  
 და უბეში ჩაჰყო ხელი,  
 ამოიღო და მაჩვენა  
 ჩემი... ჩემი სავარცხელი.

შეულოცა, დასჩურჩულა,  
 ხან უკბინა, ხან აკოცა,  
 გადამსახა პირფვარი და  
 სავარცხელიც მე გადმომცა.

„ამ საგანთან შეკრულია, –  
 მითხრა, – შენი ბედისწერა  
 და დღეიდან ვერას გავნებს  
 სულის ხუთვა, გულის ძგერა.

მხოლოდ ცხადად ნუ ჩაიდენ,  
 რაც ბეზიას სანყენია“!  
 და მართლაც, რომ მე მას შემდეგ  
 ფრჩხილიც აღარ ამტკენია.

მხოლოდ მაშინ მომდიოდა  
 თვარიანში გულის ძგერა,  
 როცა შორით მომესმოდა  
 საგულისხმო ეს სიმღერა:

„დღისით მზეა, ღამით მთვარე,  
 ორთავ შუა შენ ბრწყინვალე!...  
 შემოგწირავ სულსა და გულს,  
 სიცოცხლესაც განაცვალე.“



მენდე, სატრფოვ, არ გატყუებ!...  
 გეფიცები ძალთა ძალსა  
 დაგიტკობ და აგიყვავებ  
 სანუგეშოდ მომავალსა.

დავმოყვრდეთ და დავძმობილდეთ!  
 ჭირში... ლხინში ვიყოთ ერთი  
 და ეს აღთქმა ვინც გასტეხოს,  
 გამკითხველი იყოს ღმერთი!“

ეჰ, ბებიავ, რაებს ამბობ? –  
 შვილიშვილმა მიაძახა, –  
 ჩვენ წინაპრებს რაც უნახავთ,  
 სადღა არის? ვინღა ნახა?!...

სიზმარივით გადასული  
 ტკბილი სიტყვა ვიღას სჯერა?  
 და ხალხშიაც სხვა კილოზე  
 სულ სხვაგვარი ისმის მღერა:

რომ მეტრფოდი, თუ კი მართლა  
 წრფელის გულით შეგიყვარდი,  
 დღეს რაღათ გსურს ჩემ საფლავზე  
 რომ მოჰკრიფო ია-ვარდი.

მაგრამ, არა, მატყუარა,  
 არგამტანო, უმადურო,  
 შენ გინდა, რომ პირუტყვივით  
 დამიმონო, მიმსახურო?

შემცთარი ხარ! ორთავ გვიჯობს  
 მოვიგონოთ ის ძველი დრო  
 და ერთმანეთს გადავეჭდოთ,  
 როგორც მუხას წმინდა სურო!

## ქართველი ქალი

მწუხარე და სევდიანი  
სერზედ იდგა ერთი ქალი,  
ფერმიხდილსა მლელვარებით  
შორს ეჭირა გზისკენ თვალი.

მას უნდოდა, რომ შეეტყო  
მისი ქვეყნის ბედისწერა;  
შიკრიკს მოჰკრა შორით თვალი  
და დაინყო გულმა ძგერა.

მიაძახა ახლოს მოსულს:  
„ნუ დაჰფარავ ნურაფერსო,  
თორემ ბოლოს გაზღვევინებ,  
გეფიცები ზეციერსო!“

წინ წამოდგა მონამ ბიჯი,  
ტირილითა მოახსენა:  
„ვაი, ჩემს თავს!.. სჯობს, დამებას  
ცოდვილი და მწარე ენა!“

ვხედავ, შენზედ უჩხაველია  
შავბედიტსა ყორანს შავსო!  
რალა გითხრა მე საბრალომ  
შენ, შვილების დამკარგავსო?“

ქალმა უთხრა: „სუ!.. არ გკითხავ!  
ჯერ მითხარი შენ ესაო:  
თათრებს დარჩა გამარჯვება,  
თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო?“

„ეგ რა ბრძანეთ?! ქართველ ჯარსა  
განა სძლევდა თათარიო?  
თვით არ მივა, და მოსულ მტერს  
რომ დაუხვდეს, მზად არიო!“

„ზარი დასცეს სერაქსირსა,  
 არ მოსულა ჯერაც გონსა!  
 ქართველები ღმერთს მადლობენ,  
 ადიდებენ სოლომონსა!“

ქართველის ქალი პირჯვარს იწერს:  
 „მადლი ზენა ქართველებსო!  
 აბა, ახლა მომიყევი,  
 რაც გადახდა ჩემს შვილებსო“.

„შენი პირმშო აღარა გყავს:  
 ალექსანდრე მოგიკლესო,  
 უმცროსი ძმა მიეშველა,  
 იმასაც დღე უმოკლესო.“

„თათრის ტყვიამ გაუხვრიტათ  
 ორთავ გულის ფიცარიო;  
 მოკვდენ, მაგრამ სახელი კი  
 ნახეს დაუვინყარიო!..“

დედას ცრემლი უნებურად  
 წამწამებზედ შეუჩერდა,  
 ნაცრისფერი გადაედვა,  
 გული ხშირად აუძგერდა.

მაგრამ ეს სთქვა: „გამიზრდია  
 ქართველ ქალსა ქართლის შვილი!  
 ეს ნალველი დედისათვის  
 მწარე არის და თან ტკბილი!“

„მამულისთვის მიშობია  
 მისი ჭირის სანაცვლოთო;  
 ქართველ დედებს ვალად გვაძევს,  
 ამ ჭირს უნდა გაუძლოთო“.

ესა სთქვა და ისევ ჰკითხა:  
 „საშუალმა რაღა ქნაო?  
 ამოიგო ძმების სისხლი?  
 თათრის მძორის დასდგა ძნაო?“

„არა, ჩემო ქალბატონო,  
 ვერ გავბედავ ტყუილსაო;  
 ეგ სახელი არ უნახავს  
 ქალაჩუნა თქვენს შვილსაო!“

„უფროსი და უმცროსი ძმა  
 მტრის რაზმში რომ გაჰკიოდა,  
 საშუალო ტყეში იწვა:  
 გულ-მუცელი ასტკიოდა“.

ეს რომ ესმა, ქართლის ქალი  
 უცნაურად დაიღრიჯა,  
 ამოჰყარა ძუძუები,  
 მოთქმით თავი მოიგლიჯა;

„ვაი, ლეჩაქს შერცხვენილსა,  
 ვაჰ, ძუძუებს გაკიცხულსო,  
 ვაი, დედას, თითქმის პირშავს,  
 რა მახვილი მეცა გულსო!“

„არა ვსტირი იმ ორ შვილსა,  
 ომში მოკლულს გმირულადო,  
 ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა  
 უსახელოდ... ვირულადო!“

[1881]

\* \* \*

(სცენიდან ნათქვამი)

იქ, სადაც, ძმებო, უმეტესობას  
 უკულმა ესმის პატიოსნება,  
 ყურს ვინ დაუგდებს სიმართლის მღერას  
 და ვის რათ უნდა ტკბილი მგოსნება?

იქ, სადაც მხოლოთ პირადობისკენ  
 აქვთ მიქცეული თვალი და ყური,  
 რათ იამებათ, აბა მითხარით,  
 ლექსი ტკბილი და ტკბილი ჩანგური!

იქ, სადაც მოძმე თავისვე ძმასა  
 მტერთან აბეზღებს მართ და მართ,  
 ვინ ეყოლება საბრალო მღერალს  
 გაჭირვების დროს შემწეთ და ფარად!

იქ, სადაც თურმე ქვეყნისთვის შრომა  
 მაიმუნობა ბევრსა გონია,  
 მართალი სიტყვა, სცენიდან თქმული,  
 რა სასიამო გასაგონია!

[1881]

## ადვოკატებს

ეხლანდელ ადვოკატებს,  
იმ მჩხავან და წუნკ კატებს,  
ვერ ანამებს ვერავინ  
ვერც ჯვარსა და ვერც ხატებს.

მათი უძღვები გული  
და შებლალული სული  
მუდამ იმას თხოულობს:  
ფული, ფული და ფული.

სხვისი უბედურება  
არც ერთს არ ეყურება,  
სიტყვით სხვებს და საქმით კი  
ჯიბეს ემსახურება.

ძველი აღთქმა ქებული  
აქვთ დღეს დავინწყებული  
და სჯულად გაუხდიათ  
მხოლოდ ფული და ფული!

ეხლანდელ ადვოკატებს,  
იმ მჩხავან და წუნკ კატებს,  
ხერხიან სიცუდეში  
ვერვინ გადაამატებს!

[1881]

## სიმღერა

დასტრფის ვარდსა, გულის დარდსა,  
სტვენს ბულბული საამო ხმას,  
ძილგატეხით გულს აძგერებს,  
მაგრამ ვინ ჰგრძნობს მისსა მოთქმას!

ხან ზედ დაჰყევს მამაცურად,  
ხან ქალივით უნაზდება,  
არად იმჩნევს მისგან ტანჯვას,  
ჰგრძნობს სიყვარულს, ჰგრძნობს და დნება.

მიხდილ ფერით, გულის ძგერით  
ტყვილა უმღერს გაშლილ ვარდსა,  
გაჰფრინდება უცხო მხარეს,  
თან წაიღებს მისგან დარდსა!

[1881]

## სიმღერა

ბულბულმა სთქვა: „პოეტები  
ვარდის ჩიტათ მიწოდებენ,  
სიყვარულის ტყვე ვგონივართ,  
მიბრალევენ!.. მიცოდებენ!

გონიათ თუ, აგზნებულად  
სხვადასხვა ხმით მისთვის ვმღერი,  
რომ მიყვარდეს ვარდის სუნი  
და მომწონდეს მისი ფერი!

ვერ უგრძენია იმათ გულსა,  
ვერც მიმხვდარა მათი ჭკუა,  
რომ ვარდისკენ მიმიზიდავს  
ცის ნამი და ჭია-ჭუა!“

[1881]



## გამოსალმება

დავაგდე მხარე ფარისევლების,  
 ის მზაკვარების უნივერსტეტი,  
 სადაც სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს  
 ჰგზავნის, რომ ხერხი ისწავლონ მეტი;

მხარე, შემკული ბუნებისაგან,  
 ხალხი, ავსილი ნიჭიერებით;  
 იქ, სადაც ერთი უბედურია  
 მხოლოდ მეორის ბედნიერებით.

იქ ყველა შრომობს მოუსვენარად!  
 განა მიტომ, რომ თვით შეიძინოს?  
 არა! მისთვის, რომ სხვას რამ დააკლოს,  
 ის აატიროს და თვით იცინოს!

იქ სისხლხორცობა, ძმობა, მოყვრობა,  
 სიყვარული და ამხანაგობა  
 იციან მარტო სხვის საჩვენებლად, –  
 ნამდვილ კი მხოლოდ არს ვერაგობა!

ვინც იმ ცუდებში უფრო ცუდია,  
 ის არის უფრო ძლიერხმიანი  
 და ხუთს ვერ ნახავ ასს კაცში, რომ სთქვა:  
 „აქაც ყოფილა ადამიანი!“

დავაგდე, დავჰგმე მისი მყობადი,  
 მაგრამ ცრემლით კი ამევსო თვალი,  
 რადგანც მე იმ დროს მაგონდებოდა  
 მისი წარსული და მომავალი!

[1881]

## სასონარკვეთილება

ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,  
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო!  
ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა  
და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო

ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში,  
მაგრამ მსურს, გითხრა მე საყვედური  
მხოლოდ მისთვის, რომ უნდა გათავდეს  
ჩემი შენდამი ან სამსახური!

დღეს პირველად და უკანასკნელათ  
დაუფარავათ ვიტკენ შენზედ გულს  
და აღარ ვმალავ იმ მძიმე ტვირთსა,  
დღემდის კი მხოლოთ ჩემთან დამარხულს!

სული და გული, ბუნების ნიჭი,  
სიჭაბუკე და წამი ყოველი  
შენ შემოგწირე და რა მივიღე  
სამაგიერო მე სასყიდელი?

უსამართლობა, მტრობა და დევნა!  
ცილისწამება გულის საკლავი!  
და საუკუნოთ განსასვენებლათ  
მოსწრაფებული შავი საფლავი!

შავი საფლავი, სადამდის მტრობა  
ველარ ჩაყვება ძალმიხდილს მკვდარსა  
და მცილებელთა შავნი საქმენი  
ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა!

უკანასკნელ ჟამს მე ეს მამხნევებს,  
 ეს მრწამს და სიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ,  
 და სინიდისის სინმინდისათვის  
 მტერ-მოყვარესა ჩემს ბედსა ვმადლობ!

დეე, მან დაგმოს ჩემი საფლავი  
 და მან დამქოლოს წყევლისა ხმითა,  
 ვისაც ეშრომოს აქ ჩემზედ მეტათ  
 სიტყვით, ან საქმით, ან გულისთქმითა!

და მან გამკიცხოს და შემარცხვინოს  
 უსამართლოდ და უდროვით მკვდარი,  
 ვისაც ჩემსავით აქვს სიყვარულით  
 სული წმინდა და გული მდიდარი!

მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო,  
 ჩემთან პირშავო ჩემო სამშობლო!  
 შენდობილ იყო ჩემგან ამიერ  
 და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო!

[1881]

## არაკი

ლურჯამ სთქვა: „ჩემი პატრონი  
 მე მეპყრობოდა ავადო:  
 ორივე ფეხში ბორკილი  
 მეყარა სატანჯავადო!  
 მხედნიდა..... თავისუფლება  
 არ მექონდა ჩემდა თავადო,  
 და ჩემი ბედის ვარსკვლავი  
 ცაზედ ეჭედა შავადო.

„ცით ჩამოვარდა წერილი,  
 დამფარველი და მხსნელიო.  
 ეწერა: „თავისუფლება!..  
 მოისპოს წესი ძველიო!”  
 მაშინვე შემეტყდა ბორკილი,  
 მომეხსნა ყელსაბელიო:  
 შევხტი და შევინავარდე,  
 თვალი შემაშრა სველიო,  
 ვამბობდი: „ჯერ ეს რა არი?  
 უფრო კარგ ბედსაც ველიო:  
 მევე ვარ ჩემი პატრონი  
 და ზეცა ჩემი მცველიო!”  
 მაგრამ მიმუხთლა შავბედმა:  
 ფუ! შერცხვეს ეს სოფელიო!  
 საითაც ფეხი გავადგი,  
 ყოველგან მტაცეს ხელიო;  
 მითხრეს: „აქ შენი რა არი?  
 სად მოხვალ ჭკუათხელიო?  
 შენთვის არც მთაა, არც ბარი,  
 არც მინდორი და ველიო!  
 მაშ, ამგვარს თავისუფლებას  
 მიჯობს, შემჭამდეს მგელიო!..

გლებკაცმა უთხრა ლურჯასა:  
„ნეტავ, რას ამბობ მაგასო?  
ეგ ჩემი გულის ისარი  
შენ მაინც ვინლა დაგასო?  
ერთ ჯამში ჩვენი ნაღველი  
რით ვინ გალესა და გვასო?  
და სანამ უნდა ვითმენდეთ  
ამდენ წვასა და დაგვასო?“  
აქ ლურჯამ დაიხვიხვინა,  
მალლა წიხლები აყარა;  
გლებმაც რაღაცა იფიქრა,  
თავი მიწისკენ დახარა,  
იარალს ხელი მოჰკიდა,  
შრომისა ოფლი დაჰღვარა,  
და მაშინ ბედის ვარსკვლავმაც  
მალლიდამ ძლევა ახარა.

[1881]

## გამოფხიზლება

გავკაჟებივარ შავ-ბედსა,  
დავდივარ შეუპოვარი!  
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,  
ჭირზედა ჭირის მთოვარი!

არ ვულალატებ სინიდისს,  
თავს შევინახავ წმინდადა  
და ჩემ სიცოცხლეს ვიგულეებ  
ჩემის სამშობლოს წინდადა!

ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,  
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,  
რომ შევეყარო პირნათლათ  
იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა.

და აქ კი შესანდობარსა  
ჩავარაკრაკებ კულითა  
და შემოვძახებ თამამათ  
გრძნობით აღვსილის გულითა:

„ჩონგურო, ჩემო დიდებავ,  
და ძლიერებავ, კალამო,  
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,  
ზოგჯერ წყლულისა მალამო!

„ნუ გამომიღევთ ძალ-ლონეს  
საბრალოს მუშას – მთესველსა,  
მებრძოლსა გულგაუტეხელს,  
ბნელში იმედით მკვესელსა!“

[1881]

## აღდგომა

მაღლა ცაზე მზე თამაშობს  
და ქვეყანა ძირს იხარებს:  
„ქრისტე აღდგა!“ – „ჭეშმარიტად!“ –  
ყველა ასე აღიარებს.

იღვიძებს და იმოსება  
ათასფერად დღეს ბუნება,  
თითქო იგი „ქრისტე აღდგას“  
თვით შემოქმედს ეუბნება.

ყველა ხარობს, ლიტანიობს,  
უსულო და სულიერი!  
„ქრისტე აღდგა!“ – „ჭეშმარიტად!“ –  
აღიარებს ქრისტეს ერი.

იცის, რომ ეს ნიშანია  
მკვდრეთით კაცთა აღდგინების  
და მით თვისი აღდგომაცა  
მომავალი ელხინების.

„ქრისტე აღდგა!“ გიხაროდეს,  
ვისაც კი ეს გეყურება!  
ჭეშმარიტად აღდგა და მით  
მოგვანიჭა ჩვენც ცხოვრება.

[1881]

## ნინო, ქეთევან და თამარი

დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულმა,  
ლამით ვიხილე უცხო სიზმარი:  
ვნახე, რომ ქვეყნათ ჩამოსულიყვენ  
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი  
და ქეთევანსა – წმიდა მონამის,  
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,  
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.

ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალი,  
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა  
ამ დროს მოესმათ, ანგელოსთ გუნდი  
ჰგალობდა ტკბილსა საგალობელსა:

„დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია  
ეს საქართველო დიდ-ჭირნახული,  
შეუნდევე ცოდვა, ნუ აალებ ხელს,  
ლმობიერებით იბრუნე გული!

„მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,  
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,  
რომ აღადგინო ქართველთა ერი,  
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!

„მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას  
გაუმტკიცებდე აღმაფრენასა  
და შენ საქებრად, სადიდებლად  
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა.



„რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა  
ქეთევან მარად შენ გადიდებდა  
და ნინო ძისა შენისა მცნებას  
შენგან რჩეულს ერს უქადაგებდა!“

რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,  
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა  
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე  
გამოესახათ მათ ცისარტყელა.

[1881]

## გამოსათხოვარი

აჰა, ჩვენი სიქადული,  
 მოწინავე ქართველთ რაზმი,  
 უთავბოლოდ აღჭურვილი,  
 უცხო ფერად მონაკაზმი.

საიმედო, სანუგეშო,  
 საჩინო და ჩინთა დასი!..  
 ვინ აწონოს მათი ღვანლი,  
 რომ შრომასა დასდოს ფასი?

ქვეყანა და ქვეყნის საქმე  
 კაჭკაჭივით გაუგიათ!..  
 ქვეყნის მტერი და ორგული  
 ენის წვერზედ აუგიათ!

ნეტავი თუ ვინმე გაძღეს  
 მათის ნახვით და ყურებით!  
 ვინ არის, რომ მათ არ იცნობს,  
 ან თვალებით, ან ყურებით?

მე რაც ვიცნობ, აგერ გახდა  
 ოცდახუთი წელიწადი  
 და არ მახსოვს, რომ დაენვასთ  
 ან შამფური და ან მწვადი!

მამულისთვის მათი შრომა  
 არ ყოფილა, ვფიცავ, ფუჭი!  
 ამას მათვე დაუმტკიცებს  
 ნებიერი მათი კუჭი!..

უნებურად იმათ რაზმში  
 ვითვლებოდი მე სხვა რადა,  
 თუ არ ვინმე „ცეტი-ბასილა“  
 ხუმარა და მასხარადა?

მართლაც, მათის შრომის დროსა  
ბევრჯერ განზე მიძინია!..  
და ქვეყნისთვის რომ სტიროდენ,  
აკაკურად მიცინია!..

და ამგვარად, გამოვსტყდები,  
მათ ნაშრომში არ მაქვს წილი!  
აბა, როგორ მივყოლოდი  
დიდ მამლებსა მე – წინილი?

მხოლოდ ჩემთვის ვწაიქობდი!..  
ახლაც მარტოდ ვწაიქებ!.....  
საგმობს შეუპოვრად დავგმობ  
და საქებსა ყველგან ვაქებ.

მისთანასი მე არ მინდა  
არც ბანი, არც მოძახილი,  
ვინც ჰგონებს, რომ სტაფილოა  
და ბოლოკი კარგი ხილი!

მართალია, ძნელი არის  
მარტოობა ამა სოფლად,  
მაგრამ უღირს ამხანაგსა,  
მირჩევნია დავრჩე ობლად.

გზად და ხიდად დამიგია  
ცხოვრებისა ჩემის კვალი  
და ოცნებით დამისახავს  
ტკბილ მეგობრად მომავალი!

ეგებ თავსაც ვატყუებდე,  
მაგრამ ვლოცავ იმ ტყუილსა,  
რომელიც კაცს და ქვეყანას  
ზოგჯერ ნაყოფს აძლევს ტკბილსა...

[1881]

\* \* \*

„ჰე, დრონი, დრონი  
ნაგებნი მტკბარად,  
გაჰქრენ, წარვიდენ  
სიზმრებრივ ჩქარად“,  
ამგვარი ღვანლი  
არ ღირს არც ფარად,  
შრომა გავმართოთ  
უფრო სხვაგვარად:  
სჯობს მთებში ვსძებნოთ  
ის ქკუა მარად,  
რომელიც დღეს ჩვენ  
დავჰკარგეთ ბარად.

[1881]

\* \* \*

ჰე, ორგულო, შენი სული  
 ეშმაკების ბარგია!  
 და ეგ შენი თავის კანიც  
 დაირისთვის კარგია!..

დიფ-ტი-პიტო! დიფ-ტი-პიტო!  
 დაუკარი დაირა!..  
 ჩვენმა ცოდვამ ქვეყნის ორგულს  
 კისერზედ დააჭირა!..

მოლალატევე, რაც ცუდია,  
 ყველა შენი ნარგია!  
 სისხლჭარბი ხარ და ნეშტარი  
 ხანდახან შენც გარგია.

დიფ-ტი-პიტო! დიფ-ტი-პიტო!  
 გამიხურდა დაირა!..  
 ორგული და მოლალატე  
 ეშმაკმა დაიპირა!..

[1881]

## სალამი არხეოლოგებს

შავი ბედი საქართველოს  
 ძველადგანვე უღლად აწვა,  
 ბევრი ნახა აოხრება,  
 დაქცევა და ცეცხლით დაწვა.

მაგრამ მაინც, უცნაურად,  
 არ ჰქრებოდა... არ კვდებოდა:  
 იმ ფერფლიდამ ისევ წმინდად  
 ის ორბივით ახლდებოდა.

ნაშთი ჩვენის ძველ დიდების  
 დღეს ღრმად არის დამარხული!  
 ზეზეურად დაგვრჩა მხოლოდ  
 ქართველური წმინდა გული.

და იმ გულით გეგებებით  
 დღეს ჩვენს სტუმრებს, მეცნიერებს!..  
 თქვენი შრომა, თქვენი ღვაწლი  
 მას მადლობით აგვიძგერებს.

მოგვებივით მოგზაურობთ,  
 გინდათ ძველის გამოკვლევა?  
 ღმერთმა მოგცესთ გამარჯვება!..  
 დაგვირგვინდეს თქვენი ძლევა!..

ღმერთმა ჰქმნას, რომ სხვებიც გაჩნდნენ  
 ან აქ თქვენი მიმბაძავი,  
 რომ შეიტყონ ჩვენი აწმყო,  
 ჩვენი კარგი, ჩვენი ავი!

გვიყურონ და შეგვისწავლონ  
მეცნიერის მოყვრის თვალთ,  
რომ ჩვენც გავყვეთ ერთად, ძმურად  
სწორის გზით და მართლის კვალით!

მაშინ ჩვენ თქვენ არ გაკმარებთ  
დღევანდელეზრ მარტო თბილ გულს,  
რასაც ეძებთ დღეს, მის კარებს  
ჩვენგან ნახავთ მზად გაღებულს...

[1881 წ. სექტემბერი]

## ოცნება თარზე

მიყვარს თარი გულსაკლავად მკვნესარი:  
 მწუხარების უკუმყრელი ეს არი!..  
 სიმები რომ დაინყებენ ჟღერასა,  
 სული შფოთავს, გული შეიქმს ძგერასა.  
 ყურსა ვუგდებ უცნაურსა ციურ ხმას,  
 ვიორკეცებ აღტაცებით გულისთქმას,  
 მით ვივინყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,  
 შორს მივყევარ მომხიბლავსა ოცნებას;  
 ქვეყნიურად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,  
 ათასფერად შეხამებულს მის კუთხეს;  
 ყვავილებსა, სუნნელების მფშვინავსა,  
 და ბულბულსა, ზედ საამოდ მსტვინავსა.  
 ცით მოწმობენ ვარსკვლავები და მთვარი!..  
 არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე;  
 რადგანც ელის განთიადის ცისკარსა,  
 ის სამწუხროდ არ გააღებს მის კარსა!  
 რა ხალხია! რა ხალხია აქ მდგმური! –  
 ერთობა და სიყვარული აქვთ ძმური!  
 აქ ქალები ვარდივით იშლებიან,  
 წმინდის საქმით და გრძნობით იგრძნებიან  
 სამშობლოსთვის შეუწირავთ მათ გული  
 და უსტვენენ ისე, როგორც ბულბული!..  
 ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?  
 მაგრამ არა!.. ვიცით, რომ სიზმარია!..  
 სიმნი შესწყდა!.. თარმა ხმა შეიცვალა!..  
 ოცნებაამაც დაჰკარგა მისი ძალა.  
 თვალწინ ჰქრება საამური ჩვენება...  
 ბალის ნაცვლად სხვა რამე მეჩვენება!  
 აღარც ვარდი, არც ბულბული, არც მთვარი!..  
 სხვის მოედნად გადაიქცა ეს მხარე,  
 ვარდის ნაცვლად ეკალს ათესინებენ...  
 ბულბულის წილ ბაყაყნი ყიყინებენ!  
 ეს კი მგონი აღარ იყოს სიზმარი!  
 მაშ, რაღად მღერს? სჯობს დადუმდეს ან თარი!



## გამოცანები

I. „ყველა ჭურში ასხამს ღვინოს  
და ის ასხავს ჭურის ქვეშა,  
საქმეს შვება სასაცინოს,  
ტუჩებზე აქვს აზარფემა“.

II. „უფასოსა, დიდსა ბოყვსა  
რვა მანეთის ბოყვი ხურავს,  
ზედას გარეთ, ქვედას შიგნით  
პეტერბურლის ნისლი ბურავს“.

(ისარლოვი)

III. „კანდიდატმა ფუტურომა, სთქვა, რომ, ეჰა, პოლიტიკა.  
ჩემს ლექსებს ხელი მოკიდა და ჩემთან უყო კრიტიკა.  
ჩემი გალახვა უნდოდა და თავის ყბაში იტიკა,  
სადაც ის ახალ აზრებს კრებს, ჩვენ მონელებულს ვყრით იქა“.

IV. „სწავლულს კაცთან ხმას არ იღებს,  
უსწავლელთან არს თამამი,  
სად რა უნდა თქვას და სად რა, იცის მან დროცა და ჟამი.  
ხან სიბრძნე ყელში არ მისტევს, მდუმარებს, როგორც ხახამი.  
ხანდახან აკაკანდება, როგორც ვარია – ქათამი“.

(ბეს. ლოლობერიძე)

[1881-1888]

## ორი ლიტერატორის განსხვავება

I. „მე და შენ რომ ორნივე ერთს მუზას ვემსახურებით,  
მე მიცნობენ წერიტა და შენ კი ისეც ყურებით“.

(ივ. კერესელიძე)

II. „ჩვენმა პოეტმა სიზმრათ იხილა,  
თავს ეხვეოდა თურმე მუზები,  
მაგრამ როს თვალი გამოახილა,  
დაურჩა ხელში მხოლოდ ბუზები“.

(ივ. კერესელიძე),

[1881-1888]

## თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ

შენს წმინდა საფლავს  
 გულის მოსაკლავს,  
 დავყურებ, გმირო, სულგანაბული;  
 შენგან ქებული,  
 დავინყებული,  
 დღეს მაგონდება ჩვენი წარსული!

თვალცრემლიანსა,  
 გულსევდიანსა,  
 ენა მებმება, ვერრის ვარ მთქმელი,  
 და ან კი რა ვსთქვა?  
 გულზედ მადევს ქვა  
 მეცა შენსავით, გულის დამწველი.

ეს არსანატრო  
 უკულმართი დრო  
 სიცოცხლითვე გვკლავს, გვედება ბნელი,  
 არცა გვაქვს ძალი  
 და არც წამალი...  
 სად არის მხსნელი, რომ მოგვცეს ხელი?!

ტკბილო პოეტო,  
 ნათლისა სვეტო!  
 შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,  
 რომ ჩვენი ერი,  
 დღეს სხვის ფეხთ მტვერი,  
 შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!

თორემ სხვაგვარად  
 მწარედ და მარად  
 ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...  
 და შენც ჩვენსავით  
 სიტყვებით ავით  
 გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას.

და მაშინ შენს გულს,  
ჩვენთვის აღზნებულს,  
სხვა ფასს დასდებდა უმეტესობა.  
და ის ისარი,  
სასტიკად მწარი,  
შენც მოგხვდებოდა, ჩვენ რომ გვესობა...

და მადლობა ღმერთს,  
რომ გერგო შენ ერთს  
სიცოცხლითავე საფასო სრული:  
ძალი, დიდება,  
პატივი, ქება  
და ქართველთაგან მზა სიყვარული!..

მღერალო ტკბილო,  
მამულისშვილო,  
ამაღლებულო სულით ზეცამდე!  
იყავ კურთხეულ,  
არდავინყებულ  
ამიერიდან უკუნისამდე!..

1882 წ., აგვისტოს 14, ქ. თელავს

## არაბი ფაშა

გაბრიყვდა არაბი-ფაშა,  
უბედური და მზებნელი!..  
ნეტავ, ვის ეურჩებოდა  
თავისუფლების მიძებნელი?

განა სიმართლე რომ ჰქონდა,  
მისთვის ჰყვიროდა „აღლასა“?  
გინდა ცამდინაც სტყუოდეს,  
ვინ გაამტყუნებს ძალასა?

კაცობრიობის სინიდის  
აბა, რა მოუმატია?  
ადრინდელ ბარბაროსობას  
დღეს ჰქვია დიპლომატია!..

თუ ვაჟკაცურად კაცსა ჰკლავ,  
მაშინ ხარ ჩინგის-ყაენი,  
და ქვეყნის გმირი, თუ მოძმეს  
ჰლალატობ, როგორც კაენი.

უსამართლობა წინ მიდის  
კანონიერის გზებითა:  
სრული უფლება ეძლევა  
სხვადასხვა კონგრესებითა.

სჯულის ფიცარი გაფხიკეს,  
ზედ მცნება აღარ სწერია  
და ისტორია ჩვენ დროში  
მეჭორე დედაბერია!

ძალა ქვეყნის დიდება!  
ჭეშმარიტება არს ძალა!  
წესები ისევ ძველია,  
მხოლოდ გზა გამოიცვალა!

ეს არ სცოდნია არაბსა,  
იმ საბრალოს და მზებნელსა!..  
სხვისი იმედი რას არგებს  
თავისუფლების მძებნელსა?

[1882]

## ყმანვილ ქალს

ყოველ სნეულებაზედ  
სიყვარული ძნელია,  
შეყვარებულისათვის  
ნათელიც კი ბნელია;

თვალით ვეღარას ხედავს,  
ყურში არ ეყურება  
და ყურმოჭრილ ყმასავით  
მის კერპს ემსახურება.

რაც უნახავს საყვარლის,  
ან რაც გაუგონია,  
გინდ საძაგლობაც იყოს,  
მანც კარგი ჰგონია!

ეს ბუნების კანონი  
ყველასათვის ვალია:  
გაურჩევლად იმონებს,  
კაცია თუ ქალია.

და შენც უნდა ელოდე,  
რაც ვალი და წესია!..  
თუმცა ტრფობას შენს გულზედ  
ჯერ არ დაუკვესია,

მაგრამ ერთხელ უეცრად  
დაგკრავს, მოგიდებს აღსა,  
გაგრძნობინებს უცნაურს,  
რალაც ციურსა ძალსა.

ის ბიჯი მიითვალე  
 სიკვდილ-სიცოცხლის სწორად:  
 ან ავად და ან კარგად  
 გადაგქმნის ერთი-ორად.

მაშინ შენს სათაყვანოს  
 თუ შეხვდი ღირსეულსა,  
 გაგიმტკიცებს გონებას,  
 აგიმალლებს მით სულსა.

რაც ბუნებითად კარგი  
 შენში კი იპოება,  
 აწყვავდება, იხარებს,  
 ვითა უმანკოება.

მაგრამ თუ შეხვდი უღირსს,  
 ზნეობითად დაცემულს,  
 ვაი, შენს სიცოცხლესა,  
 საფლავამდე დაშხამულს!

დრო რომ გამოგაფხიზლებს,  
 ნახავ თავს მოტყუებულს,  
 მაშინ სულდაჩაგრული  
 ნალვლით აივსებ მაგ გულს.

და გაბოროტებული  
 აქეთ-იქით ეცემი;  
 მაგრამ საითაც წახვალ,  
 იქითვე დაეცემი.

აი, ამას უფრთხილდი,  
 ცუდად არ წაჰკრა ფეხი,  
 რომ თავზედ არ დაგატყდეს  
 ის სასიკვდილო მენი!



ბევრი დაუჭერიათ,  
 ვით ჩიტები, მახითა.  
 არ მოსტყუვდე შენ მაინც  
 გარეგანის სახითა!

ნუ გაიჩენ ცუდს წრეში  
 შენ ტოლ-ამხანაგებსა,  
 და თავიდან აიცილენ  
 მახეს, შენთვის ნაგებსა.

ერიდე გარეგნობით,  
 შემთხვევით ამაღლებულს!  
 სხვა კანონი და გზა აქვს  
 მის სულს, ჭკუასა და გულს.

შავს ენას და შავსა გულს  
 აფარებენ თეთრს კბილებს.  
 არა! გიჯობს, რომ მიჰყვე  
 შენ იმ მამულიშვილებს,

ქვეყნისთვის რომ ყოველდღე  
 ოფლში იწურებიან  
 და, ვით ბნელში ვარსკვლავი,  
 ისე ჩუმად ჰქრებიან!..

[1882]

## ხანჯალს

შენი ჭირიმე, ხანჯალო,  
 რკინაო ხვარასნისაო,  
 შენ ერთადერთო იმედო  
 მტრისაგან გამოხსნისაო!..

ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ,  
 ორივე გვერდით მჭრელიო;  
 გპატრონობს გული ფოლადი  
 და გიპყრობს რკინის ხელიო.

გლესავ და გლესავ, ხანჯალო,  
 ამოგიფერავ გულსაო!  
 შენ უნდა ეძმო და ეყმო  
 უმართლოდ დაჩაგრულსაო!

მისი გამჩენის ჭირიმე,  
 ვინც რომ შენ გამოგჭედაო!  
 ჭირიმე, შენი ჭირიმე,  
 მტერს აუტირე დედაო!

ბევრი ნალველი შეასვა  
 სკვითებმა ამ ჩემს გულსაო,  
 შენ მიმკურნალე, მახვილო,  
 უმართლოდ დაჩაგრულსაო!

მიმოციქულე მტრის გულთან,  
 მიუძღვენ ჩემი სალამი:  
 ის ვითომ სანერელია,  
 ჩაერჭვე, როგორც კალამი!

მისი წითელი მელნითა  
შემალებინე ჭალარა,  
იმისი კუნესა იქნება  
ჩემთვის დაფი და ნალარა!

გლესავ და გლესავ, მახვილო,  
ფოლადო, ჩემო რკინაო!  
დროა, ამოდი, ქარქაშში  
ალარ გაქვს ან შენ ბინაო.

[1882]

\* \* \*

ღმერთო, წვიმა მოიყვანე  
 წითელი და შხაპუნაო,  
 რომ გავიდეთ სამუშაოდ  
 და დავსძახოთ „ჰოპუნაო!“

რომ ქალებიც გვერდში გვედგენ  
 ნამგლითა და ცელითაო,  
 ჩვენგან მოჭრილ თავთავს ჰკრებდენ  
 მაღლიანის ხელითაო!

შვილებიც თავს დაჰხაროდენ  
 მობრუნებულს ალოსაო;  
 „ოროველას“ დასძახოდენ  
 მამაპაპურ კალოსაო!

ღმერთო, წვიმა მოიყვანე,  
 მინის გამალბობელიო,  
 რომ გასწყვიტოს ჭია-ჭუა,  
 ქვეყნის დამამხობელიო!

[1882]

## დარიგება

ვარსკვლავსა უცბად მონწყვეტილს  
და ცის წყვდიადში დაღუპულს,  
ნულა უყურებ, ჭაბუკო,  
ნუ აცდენ ნურც თვალს და ნურც ყურს.

მის მაგიერად სხვა ვარსკვლავს  
იქვე მიაპყარ გონება,  
მაგრამ მუდამად მნათობად  
ისიცა ნუ გეგონება.

როცა პირველად ბრწყინავდა  
და ან ჰქრებოდა ბოლოსა,  
სხვებსაც ბევრს აჭვრეტინებდა  
და არ შენ მარტო მხოლოსა.

სხივმომფენ ვარსკვლავს ვადარებ  
ლამაზ ქალს შეყვარებულსა  
და მონწყვეტილსა ვარსკვლავსა –  
ბოლოს ჟამს გაგრილებულსა.

[1882]

## თ. ვახტანგ ორბელიანს

მისი თხზულების გამოცემის გამო

ენვის გული, ანაძგერი  
ნარსულისა მოგონებით,  
ფიქრს აღელვებს შავად, ავად,  
მოშხამულა მნარ-გონებით.

ოხრავს, ჰკენესის, მოსთქვამს, ჰგოდებს  
და იძახის მსგავსად ყვავის,  
რომ ივერი მისი ძველი  
მისებურად ველარ ჰყვავის!

ზოგჯერ ნაშთთა ძველ დიდების  
ჯოჯოხეთად გულს ისახავს,  
ხან იმედი ლამპარივით  
უნათებს და ცამდი აჰყავს.

ორგვარ გრძნობას ორი აზრი  
ეჭიდება არეულად,  
ხან სძლევს „ჰო“ და ხან სძლევს „არა“,  
ვერ იმონებს თუმცა სრულად.

ეჰ, მგოსანო, აღმოსავლეთს  
შეხედე და ნუ იტყვ გულს:  
იქ შენიშნავ ჩვენის ბედის  
ვარსკვლავს, ოდნად გამოხატულს.

მსგავსად მოგვთა, ეც თაყვანი  
იმ ნიშანსა წინამორბედს  
და შენც ოქრო-გუნდრუკ-მურად  
თავი უძღვენ იმ ჩვენს „იმედს“.

შენ, თუ გინდა, მის აღდგომას  
ვერც მოესწრო ან ვეროდეს,  
ეს იცოდე, რომ ხელიდან  
გაუსხლტება ის ეროდეს.

ნუ, პოეტო! ნუ... ნუ სტირი,  
ბედის ვარსკვლავს ვხედავთ რაკი!  
კმარა ცრემლი!.. საქმის დროა!  
მსხვერპლი გვინდა და ზვარაკი!

[1882]

## კურთხევა

კურთხეულ იყოს თავადი  
ერთგული, ხალხის მოყვარე,  
გასანათებლად ბნელისა  
სხივთა მფენელი, ვით მთვარე!

იყოს ძლიერი მარჯვენა  
მისი, კეთილის მთესველი,  
კარგისთვის კარგის მომნიჭე,  
ბოროტზედ ცეცხლის მკვესელი!

ამმაღლებელი ხალხისა  
თვით ამაღლდება ცათამდე.  
გაითქმის მისი სახელი  
ამიერ უკუნისამდე!..

კურთხეულ იყოს!.. მაგრამ, ეჰ!..  
სადა ხარ ჩვენში ჯერ, გმირო,  
რომ ჰკურნო ნყლული ხალხისა  
და მტერს ძლიერად უგმირო?

[1882]



\* \* \*

გამდიდრებულხარ, ბატონო,  
და ბრწყინავ გარეგნობითა...  
თუმცა მოქმედობ გარყვნილის  
გონებითა და გრძნობითა...

მაგრამ ვინ გკითხავს? რას დასდევ?  
ვინ ჩაგიდგება კვალშია?  
დღიური ჭკუა-გონება  
მხოლოდ ყურსა და თვალშია!

ქვეყანა განწირული გაქვს  
გასაცემ-გასაყიდათა,  
და მოძმე შენი რად გინდა,  
თუ არ კიბეთ და ხიდათა?

ფეხითა მათი მსრესელი  
ასულხარ მალლა სერზედა  
და იმ მალლიდან აფურთხებ  
შენ წინ ქედმოხრილ ერზედა.

რა გაეწყობა?! ძლიერო,  
იცო, შეგრჩება ყოველი!..  
მაგრამა „ხვალე“ რას გეტყვის,  
იმას შენ დღეს არ მოელი:

ჭეშმარიტება ჩაგრულ ერს  
გამოუგზავნის მოციქულს...  
ის თვალს აუხელს მძინარსა  
და დაანახვებს მაგ შენ გულს.

მაშინ იქუხებს, იელვებს  
ხალხთ ძალი მიძინებული  
და მებს დაგატებს კერპ თავზედ,  
ნარსულზედ შენანებული;

გაგარონინებს ქვესკნელსა,  
გინდ მალლა იყო ცათამდე  
და შეაჩვენებს შენს სახელს  
უკუნით უკუნისამდე!

[1882]

## №-ს

კაცის თავგადასავალი  
გულის ფიცარზე სწერია:  
ლიმილი მატყუარია,  
სიტყვა არდასაჯერია.

მხოლოდ თვალები არიან  
გამცემი დაფარულისა:  
იქ იხატება ყოველი  
მიმოძრაობა სულისა.

მეც კატასავით თვალეში  
გიყურებ მიხდილ ფერიტა  
და პასუხს ვაძლევ შენს გრძნობას  
იდუმალ გულისძგერითა.

[1882]

## საახალწლო ნატვრა

ქართული ანდაზაა:  
„როგორც მოხვალ სვინაო,  
– ნურას უკაცრავათა, –  
ისე წახვალ შინაო“.

წყევით და შეჩვენებით  
გავისტუმრებთ ძველს წელსა;  
საკურთხადაც დაუდგამთ  
ძირმწარეს და ნაღველსა.

თუმც ყოველ წელს ვსტყუვდებით,  
ყოველთვის გვიკვნესია,  
მაგრამ მაინც ახალ წელს  
დავუხვდეთ, ვით წესია!

კაცი ჭირში თუ ლხინში  
თავს იტყუებს იმედით...  
მაშ, ამ ახალ წელსაცა  
ველოდეთ კარგის ბედით.

თუ მოიტანს, ხომ კარგი,  
თვარა რა გაენწყობა:  
ასი წლის არეული  
ერთ დღეს არ დაენწყობა!

ვინატროთ მაინც რამე...  
გულგატეხა ძნელია!  
ვისურვოთ ყველაფერი,  
რაც კი სასურველია:

ღმერთმა ქნას, სხვა წესები  
ჩვენში შემოსულიყოს  
და, რაც აქამდის გვაკლდა,  
მომავალში სრულ იყოს!

რომ მხოლოდ სამართლისკენ  
ეჭიროს ყველას თვალი;  
არც უფროსს და არც უმცროსს  
არ ებნეოდეს კვალი!

მწყემსი იყოს კეთილი,  
ცხოვარი ტკბილად სძოვდეს,  
და ბოროტი კეთილსა  
უნყალოდ სისხლს არ სწოვდეს.

მართალს ამბობდეს ენა,  
სწორედ ისმენდეს ყური,  
რომ არ დასჩაგროს ტყვილად  
გარეშემ შინაური!

ვინატროთ ქართველთათვის  
სწავლა და განათლება,  
რომ ღირსად მოეხმაროსთ  
საერთო მათ უფლება:

რომ ქვეყნის მომავალ ბედს  
არ სწყვეტდენ უმეცრები  
და მოედანზედ იდგენ  
ნამდვილ ბედაურები.

კაცები კაცებს ჰგვანდენ  
 მამულისა შვილობით  
 და ქალები ძველ ქალებს  
 გვაგონებდენ ზრდილობით.

ერი ერისკაცობდეს,  
 სჯულს არა სტეხდეს მღვდელი,  
 ხალხი ცხვრად არ მიაჩნდეს  
 და არც თვით იყოს მგელი!

ჩვენი მასწავლებლები  
 ყოველდღე არ თვრებოდნენ  
 და ყმანვილებს უმიზნოდ  
 აღარ უჯავრდებოდენ!

ექიმები ამდენ ხალხს  
 არა ჰკლავდენ ძალდაძალ,  
 რომ მათ უვარგისობას  
 არ ვხედავდეთ თვალდათვალ!

ჩვენი სამსჯავროები  
 გვაძლევდენ სამართალსა  
 და ადმინისტრაცია  
 არა ხუჭავდეს თვალსა!

პოლიციისაგანაც  
 ყველგან რიგი იცვოდეს  
 და, თუ რამ მოხდა სადმე,  
 წინდანინ არ იცოდეს!

სინიდისში ჩავარდენ  
 ყველა ადვოკატები  
 და ურცხვად არ ქყაოდენ,  
 როგორც მარტში კატები!

დღითიდღე ვარჯიშობდენ  
ჩვენი აქტიორები  
და ლუკმას აღარ სდევდენ,  
ვით მშვიერი ქორები!

მეტი გამბედაობა  
ექმნესთ ლიტერატორებს,  
რომ სულ სიმართლე სწერონ  
და არ გადაჰყვენ ჭორებს!

ამ ლექსის დამწერისთვისაც  
ვინატროთ დღეგრძელობა,  
რადგან პირდაპირი თქმა  
არის მისი ხელობა.

[1882]

## ნადული

დამქროლა გრიგალმა ქარმა...  
ვაიმე, თავო ბედშავო!  
დღიურ ლუკმისა მდევარმა  
სხვისათვის რა ვიმუშავო?

ღარიბსა სხვისი მონება  
ჭირად დამერთო ჭირზედა  
და თქმისაც არ მაქვს მე ნება:  
ხელს მაფარებენ პირზედა!

სურვილი, უხმოდ ჩამკვდარი,  
გულსა მიდაღავს იდუმალ!..  
გაჭიანურდა ზამთარი,  
გაზაფხულს ვნატრობ თუმც მალ-მალ!

მაგრამ სად არის მკურნალი,  
ბუნების სულის ჩამდგმელი?  
რად არ მოგვხედავს ღვთის თვალი,  
ჭირთაგან ხსნისა აღმთქმელი?

ეს უნდა ვკითხო მოძმეთა...  
უნდა სთქვან, უნდა ამიხსნან!..  
თან ჩამყვენ წმინდა მოწმეთა,  
თავხსნილთა მეცა დამიხსნან!

მაგრამ, ეჰ, ვინ გაიგონა  
ფეხებშეკრული მდევარი!..  
ფუ! შერცხვეს კაცი სხვის მონა  
და დღიურ ლუკმის მდევარი!

[1882]



## ბებიას სიტყვები

ბებიამ მითხრა: სოფელი  
 გაუტანელი არიო:  
 უფრო უკუღმა იღება  
 მისი თვალთმაქცი კარიო!

თავალებულად პირდაპირ  
 ვინც მიაღგება წინაო,  
 ის ხშირად რჩება კარ გარეთ  
 და ეკარგება ბინაო.

საყვარლად იმას გაიხდის,  
 ვინც არის გაიძვერაო!  
 ვინც სიმართლეზე თავსა სდებს,  
 ენამვლის ბედისწერაო...

არ დავუჯერე ბებერსა...  
 ლაყბობას ვენამებოდი!..  
 ის მიმტკიცებდა ტირილით  
 და მე სიცილით ვკვდებოდი!

ეხლა რომ ვხედავთ ორივე,  
 ჩვენ თავზედ რა ამბებია,  
 მე ცრემლები მდის და ის კი  
 სიცილით კვდება, ბებია.

[1882]

\* \* \*

დამდეგ მაისს დაიწყება  
 შინაური ომი:  
 დას-დასებად გამოდიან  
 მარშლობისა მდომი!  
 ზოგს შაშხები აიმედებს,  
 ზოგს ზუთხი და ლომი...  
 თუმცა არც ერთს არ მიუძღვის  
 ქვეყნისთვის ნაშრომი,  
 მაგრამ კერძოდ ბრძანდებიან  
 მარჯვედ ქვეშ-ქვეშ მძრომი.

გონებით და განათლებით  
 ყველა არის ჩინი...  
 სხვისასაც ვერ გაიგებენ,  
 არ უნდა ჩიჩინი,  
 მეკენჭეებს მით უდგებათ  
 მუდამ თვალისჩინი,  
 რომ საჭმელზედ ბლომად ჰყრია  
 მიხაკ-დარიჩინი!..  
 ხალხს ხბოს თავი, და მარშლებს კი  
 წყალობა და ჩინი!

მითქმა-მოთქმა და გინება  
 კრებას აამყრალებს;  
 ერთი მეორეს ამტყუნებს,  
 მუხთლობას აბრალებს;  
 და სუყველა კი უკულმა  
 ენას ატრიალებს!  
 ქრთამიც ბევრი გაიცემა,  
 აიღებენ ვალებს...  
 სადაც ფული ველარ გასჭრის,  
 იქ იმხრობენ ქალებს,  
 და წინ ვინლა დაუდგება  
 მათ უცნაურ ძალებს?!

ეს მაისიც არ იქნება  
სხვებზედ უკეთესი!  
ესეც ისე გათავდება,  
როგორც არის წესი:  
ღვარძლ-გორვალა გამრავლდება,  
ხალხში დანათესი,  
ვარდს დააჭკნობს და ეკალს კი  
უმაგრდება ფესვი!

[1882]

## ზოგიერთს ქალებს

მშვენიერება ციური  
ქვეყნად ვის მოუტანია?  
ბროლ-მკერდა, სახე-ნათელი,  
ალვის ხე მისი ტანია.

გრძნობა – იალბუზ-მაღალი,  
გონება – უფსკრო, უძირო,  
ზნეობა – თვალთმაქც-მხიბლავი,  
ორპიროვანი უპირო!

ვითა ფუტკარი ბზუილით  
სავსე სკას ტკბილთაფლიანსა –  
ჭაბუკნი ენაწყლიანნი  
ეტრფიან ენაწყლიანსა!

[1882]

## ყმანვილები

ბავშვები სალამოს შესახებ

ანგელოზთა წმინდა გუნდსა,  
ვხედავთ ყმანვილების კრებას,  
გული მიცემს სიამითა  
და სული გრძნობს ნეტარებას!

მხოლოდ ჭკუა, გამოცდილი,  
ეშმაკივით მეუბნება:  
„ფრთა შეჰკეცე!.. შეაჩრე  
მატყუარი ეგ ოცნება!

„რაც გინახავს დღემდის სხვებზედ,  
მაგათზედაც ის იქნება:  
რომ შესტოპონ ცხოვრებაში,  
გაიტაცებთ სოფლის ვნება!

„მაშინ მხოლოდ თავისთავზედ  
დაინყებენ დღიურ ზრუნვას  
და ხელმარჯვედ მიჰყვებიან  
უკულმართსა სოფლის ბრუნვას“.

სცდები, ჭკუავ! ტყუილია  
ეგ სიტყვები მოშხამული!..  
წინათმგრძნობი მოციქული,  
სულ სხვას ამბობს ჩემი გული!

ზოგი, მართლაც, რომ გაფუჭდეს,  
ეს არ არის ანგარიში!..  
სამში ერთმა თუ ივარგა,  
აღარ უნდა მაშინ შიში!

ცხოვრებაში ბიჯს წინ წადგმენ,  
დაამჩნევენ კეთილ კვალსა  
და გმირულად გადააბმენ  
წარსულსა და მომავალსა.

ანგელოზთა წმინდა გუნდსა,  
თავს დავხარი ყმაწვილთ კრებას  
და ოცნებით წინდანიწვე  
ვგრძნობ მომავალ ნეტარებას.

[1882]

## ბებუას ნაამბობი

ოცნებით გატაცებული  
ჩრდილში დამჯდარა ბებია,  
ჰფიქრობს, რაც ადრე უნახავს,  
ან ახლა რა ამბებია.

ხან იცინის და ხან ტირის,  
თითქო ჭკუაზედ იშლება  
და მისი სახე დამჭკნარი  
მარტის დღესავით იცვლება.

ხშირ ყვავილებში მახლობლად  
ყმანვილი დასდევს პეპელას;  
ის არის მისი სურვილი,  
მას ანაცვალებს სუყველას...

– „ბებია, ბები, მიშველე,  
პეპელა გამოფრინდაო!“  
– „მე ჩემი დარდი მეყოფა,  
შვილო, ეგ რალად მინდაო?“

– „ბებილო, დიდი ხანია  
მინდა რამ გკითხო შენაო,  
მე ნუ მოგიკვდე, მითხარი,  
დასძარი ჩემთვის ენაო!“

– „შენ გენაცვალოს ბებია,  
რად მინდა თხოვნა, ფიცო!  
შენზედ უკეთესს ვის ვეტყვი,  
თუკი მე რამე ვიცო!“

– „არ გაჯავრდები? მამ კარგი!  
ყური დამიგდე, დიდედა:  
როცა ბაზრიდამ მოვდივართ  
მე და შენ ხოლმე ხიდზედა.

„ყოველთვის ფერი გეცვლება,  
გული დაგინწყებს ძგერასა,  
და შენ რაღაცა ბუტბუტით  
ახშირებ პირჯვრის წერასა.

„და ხიდის ყურთან რომა დგას  
ვიღაცა აყუდებული,  
თვალცრემლიანი შეჰყურებ  
მას, სახეგაბრწყინებული, –

„ხიდის ჩატეხას თუ ჰფიქრობ,  
გაშინებს დიდი მტკვარიო,  
ან ერიდები იმ ბოჩოს,  
ხიდთან რომ შავად არიო?“

ბებიამ უთხრა: – „გატყობ, ხარ  
რაღაცა უცნაურიო!  
გეტყვი ჩემ გულის პასუხებს  
და შენ დამიგდე ყურიო:

„შენ რომ ბოჩოლას ეძახი,  
ის არის ძეგლი გმირისა:  
ხომ ხედავ, ქუდმოხდილია,  
თითქო რაღაცას სტირისა!

„ხედავ, დამდგარა მტკვრის პირად,  
ყურს უგდებს მწარე ნანასა,  
ესმის, რაც ტანჯვა უნახავს  
საბრალო ჩვენ ქვეყანასა!



„იმას უამბობს მღელვარე  
მტკვარი, დუდუნით მთხრობელი,  
რაც ქართველთ ცრემლი უღვრიათ,  
თვალთაგან შეუშრობელი.

„ერობის, ენის, სჯულისთვის  
ვით შეუნახავთ პირობა  
და მარად, საშვილიშვილოდ  
გადაუხდიათ გმირობა.

„ან რა მიუძღვით მათ ღვანლი  
ქრისტიანობის წინაშე,  
რომ შეუწირავთ ქვეყნისთვის  
მათ სისხლი, როგორც ზედაშე.

„ძველი ამბისა მოთხრობას  
ყურს უგდებს გაოცებული,  
ნიშნად პატივისცემისა  
ქუდს იხდის მოხუცებული

„და ასე ამბობს: – ამაღლდეს  
ქვეყანა უძლეველიო!  
და წყეულ იყოს, ვინც მტრულად  
იმას შეახოს ხელიო!

„ის შემცდარია სრულიად  
ჭკუით და გონებითაო,  
ვინც ჰფიქრობს იმის დაჩაგვრას  
შიშით და მონებითაო!

„მე ვიცი კარგად, რაც არის  
მისი კავშირი სრულიო:  
სიმართლით გულის მოგება,  
ძმობა და სიყვარულიო!

„აი, რას ფიქრობს ის გმირი,  
შენ რომ ბოჩოლა გგონია,  
ვისიც სახელი სუყველა  
ქართველ კაცს გაუგონია!

„მას ეძახოდენ ვარანცოვს!  
ის იყო გმირთა-გმირიო...  
მის დროს ვიგონებ მოხუცი  
და, შვილო, მიტომ ვტირიო!“

[1882]

## პოეტს

ამაყი გული,  
 გაქსუებული,  
 ვერც ერთხელ მგრძნობი სიყვარულისა;  
 ხშირმოუბარე,  
 ნაგესლი, მნარე  
 ენა, გამცემი დაფარულისა.

სახემცინარი,  
 სხვაგვარ მჩინარი,  
 გაუტანლობის ბეჭედ-დებული;  
 თმაში ჭალარა,  
 ხელში ნალარა,  
 სიტყვით საქმისგან განსხვავებული!..

დახვალ ამ სოფლად  
 მარტოკა, ობლად,  
 ვით გარეგანი, მიუნდობელი;  
 შენთვის არ არის  
 არც მეგობარი,  
 არცა შობილი და არც მშობელი!

შენსა ტრფიალსა  
 არიდებ თვალსა,  
 თითქოს არ გესმის მის გულის ძგერა!  
 სჩანს, ტყუილია –  
 თუმც კი ტკბილია –  
 შენი ჩანგი და შენი სიმღერა!

პასუხი

რად მაყვედრი სიყვარულსა,  
 თითქოს რაღაც წყალობასა?  
 რისთვის მირცხვენ ჭალარასა,  
 იგმობ ყმანვილქალობასა?

სიყვარული არის სჯული,  
 ტრფიალება – ნმინდა ლოცვა!..  
 ხამს გულსა და გონებაში  
 საიდუმლოდ მათი დაცვა.

თუ გინამე ჩემდა ხატად,  
 საუკუნოდ სადიდებლად,  
 ვერ გაგიტან, მაშ, საეროდ  
 ურწმუნოთა სათითებლად!

ტაძრად გულს და საკურთხევლად  
 მისთვის გიდგამ გონებასა,  
 რომ არ სთვლიდე ქვეყნიურად  
 ამ ზეციურ მონებასა!

გარეგანი უნიშნობა  
 რად გგონია გულგრილობა?  
 არ იცი, რომ სჯულმა დაჰგმო  
 ფარისეველთ საძაგლობა?

მოტრფიალთა საუბარი  
 არის დიდი აღსარება,  
 მათი ხვევნა, მათი კოცნა –  
 საიდუმლო ნეტარება!

ეს თუ გესმის, ნულა მყვედრი!  
 თუ არა და... არ მაქვს ბრალი!..  
 სჩანს, რომ თურმე სხვაგვარად სწავას  
 პოეტებსა ტრფობის ალი!

[1882]

## ზარი

(ალა—მაჰმად ხანისგან ტფილისის აოხრების დროს)  
სახალხო ლექსი

ქვეშ დედამინა გვისკდება,  
მალლიდან გვატყდება მეხი,  
ერთის მხრით სპარსი მოგვადგა  
და მეორედან სომეხი...

მამების სისხლით მორწყული  
აღვის ხე, ქვეყნის შვენება,  
უნდათ, რომ წამოაქციონ  
და მოსპონ მისი ხსენება.

ცული და ხერხი უჭირავსთ  
მათ ხელში შეერთებული;  
ქართველი განზედ გამდგარა,  
შესცქერის პირდაღებული.

აი, რა უთხრა მისთანა  
პატრონსა ჭირისუფალსა,  
რომელსაც რისხვით სტუქსავენ...  
წყალობით უხვევენ თვალსა!

რაც ძალადობით წაიღეს,  
ვინ დააბრუნებს ნებითა?  
ვინ ნახა თავისუფლება  
ტანჯვით და მოთმინებითა?!

არ სჯობს, რომ კაცმა გმირულად  
ბრძოლაში სული დალიოს,  
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით  
მან სანამლავი დალიოს?

აი, რას ამბობს რუსთველი,  
სულმნათი, ყვავილოვანი:  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი!“

[1882]

## შეხტი, ბიჭო!

მარტოხელი ბიჭი იყავ, შენ ხელთ იყო არემარე,  
 ბევრჯელ სისხლი დაათხიე, მწუხარების ოფლი ღვარე;  
 ძნელი იყო!.. ბნელი იყო, არსაით სჩნდა შენთვის მთვარე;  
 დღეს ხომ ხედავ ცისკრის ვარსკვლავს? შეხტი, ბიჭო... გაიხარე!

ხან მშიერი, ხან მწყურვალი, ზოგჯერ სულ არაფრის მქონე,  
 ალებული საკიჟინოდ, შენით იყავ თავმომწონე;  
 ხორცად ეკლით დაჩხვლეტილი, თავი არვის დაუმონე!..  
 ზნეობითად ლომკაცი ხარ, საიმედოთ გერჩის ღონე;  
 დღეს თუმცა თმა გაგიჭრელდა და წელშიაც გაიხარე,  
 მაგრამ მაინც ერთი კიდევ შეხტი, ბიჭო!.. გაიხარე!..

ვიციტ, ცისკარს რომ მოჰყვება თანვე სრული გათენება!  
 ეს ბუნების კანონია, უტყუარი მისი მცნება!..  
 გრწამდეს, გრწამდეს, ხორცს შეისხამს, რომ გხიბლავდა, ის  
 ოცნება,  
 და მორწყული შენის ცრემლით მრავალფერად ალეგზნება  
 შენი გულის სანადელი... შენ რომ გიყვარს, ის... ის მხარე!  
 მაშ, კი გამართებს სიხარული, შეხტი და ჩვენც გაგვახარე!..

[1882]

## იუდა

ჩამოდექით! შორს... შორს ჩვენგან!..  
 აგვიღია თქვენზედ ხელი:  
 შევიტყუეთ, რომ იუდა ხართ,  
 ნამდვილ ისკარიოტელი.

თქვენი მიეთ-მოეთობა  
 ველარ გასჭრის, თქმა არ უნდა,  
 ნალმა ნახვალთ თუ უკუღმა,  
 მაინც ვიცით, ხართ იუდა!

ის, ვინც გთვლიდათ მოციქულად,  
 ან აქამდე რად მოსტყუვდა?  
 თორემ ჩვენ სულ ვამტკიცებდით,  
 რომ იყავით თქვენ იუდა.

პირში ტკბილი, თავკატუნა,  
 გაიძვერა, მელა-კუდა...  
 ან კი ყველამ დაინახა,  
 რომ ყოფილხართ თქვენ იუდა!

ხა! ხა! ხა! ხა! მომხრეებმა  
 მოგაყარესთ ქვა და გუნდა?!  
 ყოველის მხრით გეძახიან:  
 „ჩამოდექით! შორს, იუდა!

ჩამოდექით, ან შევიტყუეთ,  
 რომ ხართ ისკარიოტელი!“  
 იძახიან და ბანს აძლევენ  
 მათ აკაკი წერეთელი!

[1882]

## სატროს

ქალი

მზის სხივები აკოკრებენ  
მაისის ვარდს სასურველად  
და ცის ნამი გულში ხვდება  
გასაფურჩქვნელ-გასაშლელად.

ყმანვილ ქალს ზრდის ტრფიალება,  
სიყვარული გულს გაუშლის!  
ეს ბუნების წესი არის...  
ვინ შეშლის, ან ვინ დაუშლის?

ეშხი შენი სხივად მომხვდა,  
სიყვარული – გულის ნამად!  
და შენი ვარ!.. შენთვის დავსჭკნე,  
ნუ გამკიცხავ, ნუ მგმოზ ამადა!

ვაჟი

ავგაროზად გულს დავიდე  
წიგნი, შენგან მონანერი;  
სული მივე საკურთხეველად,  
საყდრად – გული ანაძგერი;

ფიქრად – გრძნობა, გრძნობა – ლოცვად,  
ორივე ერთად – საარაკოდ!..  
თავი ჩემი ზედ დავადე  
დასანველად, საზვარაკოდ!

თვით ფერფლიც კი ქარს მივანდე,  
რომ მოჰფინოს კიდის-კიდე  
და ყველამ სცნოს, რომ სხვა ღმერთი  
არ მყოლია შენგან კიდე!..



სამი თვის შემდეგ

ქალი

ვარდს ეკალი თან ხლებია,  
იჩხვლიტება მწარედ ხშირად, –  
ტრფიალების ტკბილსა ბადაგს  
ნაღველი აქვს თურმე ძირად!

სხივთა შენტა უკუმყრელო,  
ეშხის სხვებზედ გადამტანო,  
ფიცის მტეხო, მწვალებელო,  
მოლალატევე, არგამტანო!

ან რა ვიყავ? ან რა იყავ?  
მოიგონე, აბა, ერთი!  
არ გახსოვს, რომ თავდებად გვყავს  
ძირს ეშმაკი, მალლა ღმერთი?

ვაჟი

რაც ვიყავით, ისევ ის ვართ!  
იგივე გვაქვს ორთავ ძალა,  
მაგრამ დრომან ხარბი გული  
გააძლო და მით შესცვალა!

ტყუილია! არ გვიმართებს  
ერთმანეთის საყვედური!  
„ბალი წვერში გამწარდება“,  
ბოლოშია უგემური!..

შენ სხვა ხილი! მეც სხვა ხილი!..  
გვიჯობს, მიყვებით გულის ნებას!  
ჩვენ ვერ შევშლით, რაც კანონად  
დაუდგია თვით ბუნებას!

[1882]

## რუსთაველის სურათზე

სულმნათო! მაღლი შენს გამჩენს!  
დიდება ერსა შენს მშობელს!  
და ძეგლად სამარადისოდ  
ნეტარხსენება ამ სოფელს!..

შენ ნიშნად უკვდავებისა  
ერს მოვლენიხარ განგებით,  
ვით ცისარტყელა წარღვნისა –  
უცნაურისა ჰანგებით.

სულმნათო! ჩვენცა გვასწავე  
ეგ საიდუმლო ჟღერისა,  
რომ აგვისრულდეს წადილი,  
მგოსანი ვიქმნე ერისა;

რომ ჩემის მღერით აგ ზნილი  
რაციფი ტარიელობდეს,  
ქაჯთა ებრძოდეს ლომკაცი,  
ნესტანისათვის ხელობდეს!..

მაშინ, ვით ჩვენსა მნათობელს,  
სახელი აღგემატება,  
და შენი სახე ივერთა  
გულს ძეგლად დაეხატება!..

[1882]

## ქებათა-ქება

სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც  
 მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით  
 და ნეტარებას მიმრავალკეცებს  
 მიდამო მისის მშვენიერებით.

ვიშ, ამ სალამოს,  
 მშვიდსა, საამოს,  
 ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა!..  
 რა უცნაურად,  
 მაღლით ციურად  
 სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,

რომ საიდუმლო,  
 სასიქადულო,  
 კაცსაც ბუნების შეატყობინოს  
 და, სადაც ჭკუა  
 სცდება და სტყუა,  
 იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს!

აჰა, ვგრძნობ მეცა,  
 რომ არის ზეცა,  
 აღვსილი რალაც ძალით საგზნობით.  
 და ეს ქვეყანა,  
 ყოვლგნით ყველგანა,  
 თავს უხრის შემქმნელს მაღლით საგრძნობით!

დახეთ ამ მთვარეს,  
 სხივმომფინარეს,  
 თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა!..  
 მოკაშკაშენი,  
 მოთამაშენი,  
 ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.

ძალთა დიდება,  
 შექმნათა ქება,  
 არს საიდუმლო მათი ვედრება.  
 ქვეყნით ბუნება  
 ბანს ეუბნება  
 და ეს ბანია „ქებათა-ქება“.

ყვავილთა ენა –  
 არს სურნელთ ფშვენა,  
 საგალობელად აღმა კმეული,  
 წყალთა ჩქრიალი,  
 ფოთოლთ შრიალი,  
 ბალახთ ბიბინი რალაც გრძნეული,

ბუნების მაყრულს,  
 საქორწილოდ სრულს,  
 ეკავშირება, ზე ემატება, –  
 და ახლა მეც ვგრძნობ,  
 საიდუმლოდ ვცნობ,  
 რომ არის კაცში ღვთისა ხატება!..

რამ ამამალლა? ვინ მაგრძნობინა  
 ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..  
 ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება  
 ძღვევამოსილად გარდამიცვალა?! –

შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის  
 კავშირო და თან შუამავალო!  
 შენ, რომლის ერთს წამს, იმ სანეტაროს,  
 მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!..

შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა  
 ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს,  
 და შენ მაგიერ შენის სახელით  
 ის აღიარებს პირუტყვეულ წამებს!

შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,  
გამოუთქმელო კაცთა ენითა...  
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ  
და მონავარდე აღმაფრენითა,

რომ მეც, გედივით, სიკვდილის წინეთ  
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო...  
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ  
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო.

მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ  
მშვენიერება უსხივცისკარა!..  
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე  
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!..

ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი  
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება...  
სიყვარული რომ ტახტად უდგია,  
ეგვირგვინება პატიოსნება!..

როცა ჭაბუკი გამოუცდელი  
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,  
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,  
იმაში შენათხზ-შეერთებულად;

და, საამქვეყნოდ გულგრილ მოხუცი,  
დღესაც თაყვანს ვცემ, როგორც პირველად,  
თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა  
და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!..

სხვებმა სვან ღვინო!.. მე უღვინოდაც  
მთვრალი ვარ მეტის სიხარულითა!..  
ემატა სოფელს მშვენიერება  
ჩემს თვალში მისის სიყვარულითა!..

[1882-1900]

\* \* \*

ჯვარით, ცულით და მათრახით,  
 ლოცვით და დედის გინებით,  
 გახურებულის მუცლებით  
 და გაყინულის ტვინებით  
 ყველაზე გვიან შევიდნენ  
 რუსები გაბერილები!  
 თან შეაქვთ დათვის ტორები,  
 ცხვრის ტყავი და მგლის კბილები.  
 დროშაზე ასე სწერია:  
 „რომ არ გვეყოლოს მტერიო,  
 ვისაც კი შევხვდეთ, მოვხვიოთ  
 ამოსაგდებად ტორიო!“  
 სალოცავები ააგეს,  
 დუქნები – ათასჯერ მეტი,  
 და ქვეყნის საბედნიეროდ  
 აქვსთ მხოლოდ მათრახ, ხელ-კეტი.  
 საყდრებში ანუ დუქნებში  
 ერთგვარად კოტრიალობენ,  
 და რომ შეეტყოსთ ძნელია  
 ლოცულობენ თუ მთვრალობენ!  
 ამბობენ, თაყვანს ვინც არ სცემს  
 ამ ჩვენს მათრახს და ცულსაო,  
 საპყრობილეში დავალპობთ,  
 იქ ამოვახდენთ სულსაო!  
 და ამ განძრახვით აგებენ  
 დიდ-დიდ შენობას რკინიანს!  
 და შიგ ამწყვდევენ ვისაც კი,  
 ხალხში შენიშენენ ტვინიანს.

[1882]

## გამოთხოვება

შენთან არს გული, გინდა სად ვიყო,  
ცხრა მთას იქით, თუ ზღვის განაკიდე,  
ტკბილად გიგონებ, დაუფინყარო,  
რაგინდ შენ გამო სისხლის ცრემლს ვღვრიდე.

შენგან ნასმევი სავსე ფიალით  
ცხოვრების წყარო იყო სამსალა,  
მაგრამ მე მხოლოდ ის მანუხებდა,  
რომ მაკლდებოდა დღიური ძალა.

ძალა, რომელიც მისთვის მინდოდა,  
რომ ვყოფილიყავ შენი მსახური,  
თორემ პირადად ჩემი გულისთვის  
არც არას გყვედრი და არც გემდური.

ან რად დაგყვედრო, როცა ერთის მხრივ,  
შენ შენდა თავად არც კი გაქვს ბრალი!  
მე ისე გძულდი, როგორც სნეულსა,  
საზოგადოდ, სძულს მისი მკურნალი,

რომელიც წყლულზედ გამომეტებით  
გასაცხარებელს ადებს წამალსა,  
ნაღველს ჩაურთავს სამკურნალოში  
და მით ასრულებს ის თავის ვალსა.

და ჩემთვის ხომ არ შეიცვლებოდა  
ეს საზოგადო ყველასთვის წესი?  
მაგრამ მე, როგორც სუსტსა ქმნილებას,  
მენატრებოდა შენგან ალერსი...

რა ველარ გნახე, გონების ურჩად,  
თითქოს მოკლული დამირჩა გული  
და განვიზრახე, ამიერიდან  
შევიქმნე შენგან მოშორებული.

რომ იქ, შორს სადმე, ჩემდა ნებისად  
წარმოგიდგინო სრულ იდეალად,  
და შენი ხსოვნა კუბოს კარამდე  
თან ჩავიტანო სჯულად და ვალად

1883 წ., 1 იანვარი, იმერეთი



## მეჩანგურე

ჰხედავთ, რა მაქვს? სულ თან დამაქვს,  
ენატრება ყველასაო;  
საკრავია სხვანაირი,  
დელა-დელა-დელასაო.

კედელსა და კედელს შუა  
მიკრულია ბნელასაო;  
მას უჩემოდ ვერვინ ნახავს!  
დელა-დელა-დელასაო.

თუმც კი ყველას ენატრება,  
როგორც ხვრელი მელასაო,  
მაგრამ ყველა ვერ მიაგნებს!  
დელა-დელა-დელასაო!

ვაპოვნინებ მხოლოდ მას, ვინც  
მომცემს საპოვნელასაო!  
იმან უნდა დაამღეროს:  
დელა-დელა-დელასაო.

ვინც რომ მალლა ვერ აუწევს  
ხმას, აუტეხს ხველასაო;  
ის როგორღაც დაამღერებს  
დელა-დელა-დელასაო.

ვისაც უნდა ნახვა და კვრა,  
უნდა მთხოვდეს შველასაო;  
დამინყოს და მივაყოლებ:  
დელა-დელა-დელასაო.

## გლეხისა და თავადის ბაასი

თავადმა სთქვა: „სულ ჩემია  
 მინდორი, ტყე, მთა და ველი:  
 ჩემი მამა-პაპის სისხლით  
 შეღებილია და სველი!..  
 მტერს თურმე ის იგერებდა,  
 ის ყოფილა მისი მცველი;  
 ძვალ-რბილით ზედ დაკეპილი,  
 მანდ მარხია ჩემი ძველი,  
 და ამ წმინდა სამარეზედ  
 სხვას ვის უნდა ჰქონდეს ხელი?“

გლეხმა უთხრა: „რასაც ბრძანებთ,  
 მართალია!.. შეგვიტყვია.  
 თქვენი ძველი მანდ მომკვდარა,  
 მათი ძვლებიც მანდ აწყვია;  
 ზოგი ხმლითა დაკუნულა,  
 ზოგს სცემია გულში ტყვია,  
 მაგრამ მაინც თქვენსა აზრსა  
 მართლის კვალიც არ ატყვია!..

„თქვენ გყავთ მკვდრები, მაგრამ ჩვენიც  
 ურევია მანდ მკვდარიო!  
 თქვენ რომ გარე მტერს ებრძოდით,  
 ჩვენ შინ გვექონდა საქნარიო:  
 ვმუშაობდით, ოფლს ვაქცევდით,  
 ზაფხული თუ ზამთარიო,  
 ჩვენ ჭირნახულს თქვენ გაძღვედით,  
 არ იყავით გამხდარიო,  
 თორემ ყველა დაგჩაგრავდათ,  
 სპარსელი თუ თათარიო!

„სულ სიმართლეს მოგახსენებ,  
 არას გეტყვი ჭორადო:  
 მაშინ თურმე ქართლის ხალხი  
 იყოფოდა ორათაო,  
 ქვეყნის საქმეც გაყოფილი  
 ჰქონდათ თანასწორადო.  
 თვისდებოდენ ერთმანეთში  
 უფროს-უმცროს ძმურათაო.  
 დღეს ეს ყველა მოგვეშალა  
 ბედის დასამდურადო;  
 ჩვენ ისევე მუშები ვართ –  
 თქვენ ხართ უსაქმურათაო!..

„წინაპრებთან ვერ მიდიხართ  
 ვერც გულით, ვერც გონებითო;  
 შიგნივ საქმის ამრევი ხართ  
 გარე მტრების მონებითო!  
 უცხო ხალხის გამონაცვლით  
 დახვალთ თავმონონებითო:  
 გიყვართ თავის გამოჩენა  
 სხვისი შრომა-ქონებითო,  
 მაგრამ, ნურას უკაცრავათ,  
 ველარ დაგემონებითო“.

[1883]

## ს. მესხის გარდაცვალებაზედ

თვალს ვაძლევე მილად მწუხარებას, მაგრამ ცრემლები  
შიგნივ, უჩინრად, გულს სამსალად მენვეთებიან;  
ახალი ქმუნვით ატანილი ძველი წყლულები  
სამრავალკეცოდ იშლებიან!.. მიახლდებიან.

აღარ მეგონა, თუ გულს, ჩვეულს მწუხარებასა,  
კიდევლა რამე უგმირებდა ასე საგრძნობლად!..  
მაგრამ დაკარგვა ამხანაგის და მეგობრისა  
ძნელი ყოფილა!.. ველარ იტანს ხორცი ამ სოფლად!

ჩვენს პატარა წრეს, უმისოდაც ამ მცირე რაზმსა,  
დააკლდა მუშა!.. შეეწირა სამშობლოს მსხვერპლად!  
აქ ვალმოხდილი წრფელის გულით და სინიდისით,  
იქ საკადრისად წინაპრებთან წარსდგა პირნათლად!..

მოგვმორდა, მაგრამ, სანამდის ჩვენ ჩვენს წმინდა მიზანს  
არ ვუღალატებთ, არ გასწყდება კავშირი ძმური:  
ჩვენთან იქნება უხილავად!.. მაგრამ ოცნება  
ვერ დაგვაგინწყებს მაინც ნამდვილს... და ბედს ვემდური!

[1883]

## სახსოვრად

სერგი მესხს

სამაგალითო მოღვაწევ!  
ერთგულო შვილო ქართლისა!  
რწმუნება გქონდა მომავლის,  
გიყვარდა ძებნა მართლისა!

მაგრამ უდროოდ გაგვიქრი,  
ერთი ძმა პირველთაგანი!  
საფლავში ჩაგყვა ნატვრის თვლად  
ხსნის იმედისა საგანი.

აქ კი დაგვიგდე ანდერძად,  
კვალში რომ მივყვეთ იმ თქმულსა!  
ამინ! მსხვერპლი ვართ იმ აღთქმის,  
კიდობნად მივცემთ ჩვენს გულსა!

[1883]

## პატარძალი

(სოლომანის ნაამბობი)

ბევრი ვუშაღე ბატონსა,  
არ იქნა, არ დამიჯერა;  
კერპივით თვითონ გადასჭრა  
იმ ქალის ბედი და წერა.

მიბრძანა: „ჩემო სოლომონ,  
უნდა მოეგო გონსაო!  
ძვალ-რბილი მაინც შერჩება,  
თუ დაუდნობენ ქონსაო.

„ჩემივე სჯულის კაცია,  
ამით მაინც სჯობს სხვასაო;  
ხმელეთი საბურთაოდ აქვს,  
ნავებით ქედავს ზღვასაო.

„ფიცითა აღთქმაც დამიდვა,  
პირობას მაძლევს დიდსაო:  
ჩვენ შუა თვითონ ააგებს  
შემაერთებელ ხიდსაო.

„გადარჯულ-გადმორჯულებას  
არც მე ვსთხოვ, ვერც ის მკადრებსო,  
იცის სიმამრის პატივი,  
მე სხვებს არ გამიყადრებსო“.

შევჰყვირე: „ცხრამთა-გადაღმელს  
ნუ მიენდობი სიძეს-თქო,  
მისს ბუნებაში და შენში  
დიდი სამძღვარი რამ ძევს-თქო.“

არ გამიგონა ბატონმა,  
გადაიხადა ქორწილი,  
და იმ ღამესვე შესრულდა  
ჩემი ნათქვამის ორ-წილი:

შეურცხვა იმას მზეობა!..  
თურმე პირბადე ეფარა:  
ქალი მოახლედ უნდოდათ  
და სიძედ შემოგვეპარა.

ხელში ჩაიგდო თუ არა,  
ლეჩაქი გადაახია!..  
ყოველი კერპი მამისთვის  
ამგვარი ბედი ახია!

მაშინ კი ბრძანა ბატონმა:  
„სოლომონ, მოგვალორესო,  
მაგრამ დღეს ნულა ვედებით  
ჩვენ ტყვილა ლობე-ყორესო!

„ფიცის ფურცელი ხელში მაქვს,  
ზეცას წავიღებ ამასო,  
სამაგიეროს იქ მოვთხოვ  
იმ დიდ ზეციერ მამასო!“

ეს რომ სთქვა, დაბლა დაეცა,  
სიჩქარით სული დალია,  
და ნათლის სვეტი იმის გვამს  
დაადგა, თითქოს ალია!

ჩვენც მომაკვდავის სიტყვები  
გულს დაგვენწერა ყველასა;  
ზეცას ვუჭვრეტდით და იქაც  
ვხედავდით ცისარტყელასა!

## ვაჭარს

ვაჭარო, მაგ შენს აბაზში  
 სისხლი და ოფლი ჩვენია!  
 როგორ არა გაქვს ღვთის შიში,  
 ან კაცის რად არ გრცხვენია,

რომ ჩვენვე მოსანამლავად  
 ხელში გიჭირავს ეგ ფული  
 და უცდი მარჯვე შემთხვევას,  
 რომ ამოგვადრო მით სული?!

რა დაგიშავეთ? რას გვერჩი?  
 რა მოგვიცია მიზეზი?  
 ის, რომ არ მოუქნევია  
 ჩვენს სულგრძელობას ჯერ დეზი?...

ეგრე აფასებ და გვიხდი  
 ჩვენ გულუხვ მასპინძლობასა,  
 რომ დღემდე ტურა-მელობდი  
 და დღეს კი იჩენ მგლობასა?

სოფლებს ატყავებ უშიშრად  
 და თამამად ჰხრავ ქალაქსა...  
 სისხლმეტი ხომ არ გაშფოთებს,  
 ხომ არ თხოულობ დალაქსა?...

[1883]



## გაზაფხული

საპატარძლოთ მორთულია  
მოკეკლუცე გაზაფხული  
და ჰფეთქს ძალი ბუნებისა,  
ზამთრით გამოღვიძებული!

რაც კი ქვეყნად გაჩენილა,  
უენოა თუ აქვს ენა,  
სულიერს თუ უსულოსა  
საზოგადო აქვსთ დღეს ღებენა!

ყველა ერთგვარ მოუხიბლავს  
გაზაფხულს თვალმშვენიერსა  
და იმღერენ საიდუმლოთ  
ერთხმად „მრავალჟამიერსა“.

მხოლოდ ჩემი გაზაფხული  
არ მოსულა ჯერეც კიდე,  
გინდ ხმელეთიც აბიბინდეს  
და აჰყვავდეს კიდით კიდე.

სანამ ძველი პრომეთეოს,  
ქართველების ამირანი  
მიჯაჭვული მეგულეზა,  
ვერ გამსჭვალავს სხვა საგანი.

და როდესაც თავს აიშვებს,  
ჭირნახული გმირთა-გმირი,  
ჩემთვის მაშინ ვარდისფერად  
აჰყვავდება ქვეყნის პირი.

მაშინ მხოლოდ!.. მხოლოდ მაშინ  
დამიდგება გაზაფხული,  
და მოგიკვდეთ, თუ სიმღერით  
ვერ დავსჩაგრო მე ბულბული!

[1883]

## გამოთხოვება

სიტყვით, საქმით, შურით, მტრობით  
 მე ნადევნი ყველასაგან,  
 ჩემის ნებით და სურვილით  
 ან კი ნავალ, დროა, სხვაგან.

ვეთხოვები იმა მხარეს,  
 სადაც ვიყავ ნანამები,  
 სადაც ტკბილი არ მქონია  
 არა თუ დღე, არც ნამები.

სადაც მხოლოდ პირადობას  
 არც ზომა აქვს, არც საზღვარი  
 და „საერთო“, „საზოგადო“,  
 არ იციან, თუ რა არი!

სად მოქმედობს სუსტი სმენა,  
 ავი ენა, ხარბი თვალი!..  
 სადაც არ სწამთ და არ სჯერათ  
 საიმედო მომავალი.

ვერ შევსძლებ, რომ შევურიგდე  
 სკვითურ რიგს და იმათ წესსა!..  
 და უბრალოდ რად ვიტანჯო?  
 ისიც კმარა, რაც მაკვნესა!

ნავალ სხვაგან და იქიდან  
 ვადევნებ მას ყურს და თვალსა  
 და უფრო ხელშეუშლელად  
 ვმსახურებ მის მომავალსა.

[1883]

## ამირანი

კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭვული,  
ყვავ-ყორანი ეხვევოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა,  
და რალაცა მანქანებით  
ნყლული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება:  
არც ჰკენესოდა, არც ოხვრიდა,  
უსამართლო ძლიერებას  
მონურად ქედს არ უხრიდა!

ბოლოს მაინც გამარჯვება  
დარჩა!.. ყველა გააოცა!.. –  
და ის ღვანლი მაგალითად  
მინის შვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გამირთა-გმირი!..  
სიხარულად შეეცვლება  
ამდენი ხნის გასაჭირი!..

[1883]

## დათვი და მელა

მონადირის ნამბობი

დიდსა დათვსა დათუნასა,  
პირმყრალსა და ტორიანსა,  
უკუდოსა, ბანჯგვლიანსა,  
უზარმაზარ მძორიანსა.

სადათვეში გალაღებულს  
ნადირობა განეზრახა, --  
შემდგარიყო მაღლა სერზე  
და დაელო ცუდად ხახა.

იქაურმა ნადირებმა  
ეს მხეცი რომ დაინახეს:  
– „გაუმარჯოს ბატონ დათვსო!“  
უნებურად დაიძახეს.

მიაშურეს სათაყვანოდ,  
მონინებით ფეხს ჰკოცნიდენ,  
ერთმანეთის დაბეზლებით  
და განწირვით თავს იხსნიდენ.

ეს იმათი მორჩილება  
დათუნამ რომ დაინახა,  
შეიფერა, გაიბერა,  
უფრო დიდად ალო ხახა.

ერთი კიდეც დაიბლავლა,  
ბანს აძლევდა მთა და ბარი,  
და პირუტყვებს მითი წელში  
გაუყენა შიშის ქარი.

სასიკვდილოდ დაემზადენ  
 პირუტყვები მაშინ ყველა!  
 მარტო მხოლოდ გულს არ იტეხს  
 გატყაული კუდა-მელა.

გაიპარა, გაცუნცულდა,  
 გადავიდა სერს გადაღმა,  
 იქ უეცრად ყური მოჰკრა,  
 რომ დაჰყეფა სადღაც ძაღლმა.

მიიხედა, დაინახა  
 მონადირე მომავალი,  
 მეძებრები მოჰყეფავდნენ,  
 ამოელოთ კურდღლის კვალი.

ეს რომ ნახა, გაიხარა,  
 თითქოს ჰქონდა რამ განზრახვა,  
 უცბად მალლა ქვაზედ შეხტა,  
 ძაღლებს თავი დაანახვა.

მონადირემც თვალი მოჰკრა,  
 სიხარულით მიაშურა,  
 მაგრამ ჩვენი მელაკუდა  
 თვალსა და ხელს შუა გაძვრა.

მონადირეს გული დასწყდა,  
 სახეზედ დაეტყო ნყენა,  
 ძაღლებს თავი მოუყარა,  
 მელას კვალში ჩაუყენა.

მაგრამ მელამ ხერხიანად  
დათვისაკენ მიაშურა,  
მონადირეც კვალში სდევდა,  
ბევრი ოფლი მოიწურა.

მექებრებიც დაიქანცენ,  
გამოაგდეს მათ გრძლად ენა,  
და ბოლოს კი მონადირე  
მელამ დათვზე მიაყენა.

დათვი დაფრთხა, წამოვარდა,  
გულმოსულმა დაიყვირა,  
მაგრამ მონადირემ თოფი  
მიმართა და მიაშვირა.

გაისროლა ამონიშვნით,  
შუბლში ტყვია მიაჭედა,  
ძირს დაეცა დათუნია,  
აუტირდა მაშინ დედა.

დააგორეს თავდაღმართში,  
კოტრიალა, კოტრიალა...  
თურმე ტყუილი ყოფილა  
უხერხულად დიდი ძალა.

1883 წ.

## ცრუ მგოსანს

არ მინდა შენი „ნანიანა“  
და შენი სძლისაპირები!  
მე დამაძინო, ის გინდა,  
და შენ კი ლხინს ეპირები?

შენ დალამებას მექადი...  
მე ველი გათენებასა;  
გსურს, შენ კილოზე ვიმღერო,  
გადავჰყვე შენსა ნებასა.

არ მოხერხდება!.. ვერ დავსთმობ  
მე ჩემებურსა მღერასა,  
სანამ ყურს ვუგდე სიამით  
სამშობლოს გულის ძგერასა.

შენი „ნანიანა“ შენ გქონდეს...  
ეგ შენი მოსაწონია...  
ნადი, სიდანაც მოსულხარ!..  
მშვიდობის გზაცა გქონია!!

[1884 წ. 8 ოქტომბერი]

## სიმართლე

ფუ, იმ მოედანს, სადაცა  
ვირები ბედაურობენ!  
შაბაშ იმ ერსა, რომელსაც  
უღირსნი მეთაურობენ!..

და, ვაი, იმ დროს, როდესაც  
ველარ სჭრის ქკუა-გონება,  
და ყოველგვარი ღირსება  
ვერცხლითა აინონება!

როდესაც მონას უფალი  
ზიზლითა თავზე აფურთხებს!..  
მონა კი სამაგიეროდ  
ფეხებს ულოკავს!.. აკურთხებს,

მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე,  
სიკვდილი სანატრელია...  
მაგრამ უძებრად შურისა,  
ვაი, რომ ისიც ძნელია!..

[1884 წ. 3 ოქტომბერი]



## მომავალ ქართველ ქალს

შეგნიშნე ნათელ სახეზე,  
ქალო, ორგვარი ღიმილი,  
ძლიერად გამომეტყველი,  
ხან ნალვლიანი, ხან ტკბილი!..

მიგიხვდი საიდუმლოსაც  
სულთმოძრაობის და ვნების!  
ვერ მოატყუებ სულმნათსა,  
მესაიდუმლეს ბუნების...

ნალვლიანობა – ხარკია  
დღევანდელ ჩვენის ბედისა,  
და სიტკბოება – ოცნება  
შორეულ სხვა იმედისა!

სამოთხის სარკმელს მაგონებ  
თვალების ელვარებითა  
და წმინდა ტაძარს მიხატავ  
გულმკერდის მღელვარებითა.

ვაფასებ შენს სრულ არსებას,  
ვადიდებ სულანთებულად,  
თაყვანს ვცემ შენში თამარსა  
და ნინოს შეერთებულად!..

მალე გიხილვენ ამ ქვეყნად  
ძმებიცა აღტაცებული,  
და იქაც წმინდა ნიაღში  
ჩაგრიცხავს დედათ კრებული.

[1884]

## მესტვირული

გორო, ქართლის შუაგულო,  
მეთაურო ქართლისაო,  
ადრე ღირსად წამებულო,  
დღესაც მთქმელო მართლისაო!

ძირს გორის-ჯვარი დაგყურებს,  
მალლით თვალი უფლისაო,  
ერთგულო და საიმედო  
წილმხვედრის ღეთისმშობლისაო!

ძველად მისთვის სისხლის მღვრელო,  
დღეს ცრემლის და ოფლისაო,  
ტყვის დამხსნელად მონამზადო,  
საიმედოვ ობლისაო!

გამხნევი, გაგვილომგულდი,  
მუხლი მოიბი მგლისაო,  
გაჰკაფე, გადაიარე  
გრძელი გზა მომავლისაო.

დასთესე თესლი კეთილი,  
შესარგო მამულისაო,  
და ნახავ ნამგლის ტრიალსა  
„ჰოპუნით“ მომკელისაო.

[1884]

\* \* \*

დილას თხები გამორეკეს,  
 ნინ უძლოდა მათ ბელადი,  
 სხვებზე უფრო ღონიერი,  
 გამოცდილი და გულადი.

რქები ზურგზე გადაეწყო,  
 იჯგიმვოდა შეფერებით!  
 ჯოგიც იმას დაჰყვებოდა  
 ცოტა უკან, მოშორებით.

ვსთქვი: „ჰყოლიათ პირუტყვებსაც  
 წინამძღოლი, მეთაური!  
 ჩვენ რომ ვფიქრობთ, არ ყოფილან  
 ისე ბრიყვი და უგნური“.

მეორედ რომ ვნახე ჯოგი,  
 სხვა თხა ჰყავდათ მათ წინმსვლელი,  
 და ვიკითხე: „თუ რა იქნა  
 მეთაური მათი ძველი?“

მწყემსმა მითხრა: „გამოსცვალეს!..  
 აღარ გახლავთ მეთაურად!..  
 არ ვარგოდა... დაიწუნეს  
 და დასწავრეს უცნაურად.

„ყველა ერთად დაეჯახა,  
 არ ზოგავდენ სასიკვდილოდ,  
 აგერ, უკან მოიკოჭლებს,  
 აფხორვილი სასაცილოდ“.

ეს რომ მითხრა, გამიკვირდა,  
არ მცოდნია მათი წესი!..  
თურმე მათაც კი სცოდნიათ,  
რომელია უკეთესი!..

მამინ კი ვსთქვი: „ჩვენ რაღა ვართ,  
თუ არ ბრიყვი... უგნურ-ცეტი?!  
პირუტყვებსაც კი ჰქონიათ  
მოსაზრება ჩვენზედ მეტი!..“

[1884]

## სალამო

ვარდი ჰფშვენს და ბულბული ჰსტვენს,  
დაკაშკაშებს მონმედ მთვარე,  
ვარსკვლავები ზე დაჰფეთქენ,  
უთვალყურებს არემარე!

ქვეყნიერად გადმოსულა  
სასუფევლით სიყვარული!..  
ინვეს ყოველ სულიერსა,  
რომ მიჰმადლოს სიხარული.

ცა და მინას შეამყარებს  
ბუნებისა ეს ქორნილი,  
მაგრამ მე კი... მხოლოდ მე ერთს  
იმ ფერხულში არ მაქვს წილი.

სანამ ჩემი საყვარელი  
ქაჯებსა ჰყავთ ცხრაკლიტულში,  
ვინ მაღირსებს სასუფეველს?  
ჯოჯოხეთი მიძევს გულში!

[1884]

## ქვეყნის ხმა

ერთმა ცხვარმა დაიბლავლა,  
სხვებიც აჰყვენ, მისცეს ბანი,  
ბლავიან და არ იციან  
არც მიზეზი, არც საგანი.

არა შფოთვენ ანგარიშით,  
არც შიშით, არც თავხედობით.  
მხოლოდ ისე პირს აღებენ  
ერთმანეთის წამხედრობით.

სწორედ ამგვარივე არის  
მითქმა-მოთქმა სოფლიური  
და ის ცხვარი უნდა იყოს,  
ვინც ათხოვოს იმას ყური.

[1884]

## არაკი

იყო ერთი მაიმუნი,  
 ეძახოდენ ლუკა-მელას;  
 ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი,  
 ულოკავდა ფეხებს ყველას.

კუდიანი, პანანინა,  
 სასაცილო რამე იყო;  
 ერთხელ საზრდო მოისუნა  
 და ქურდობას ხელი მიჰყო.

შეუტყვეს და დაიჭირეს,  
 სულ კუდით ქვა ასაროლიეს;  
 გაშოლტეს და აატირეს,  
 სული ხორცად დაულიეს.

დაუკეტეს ყველგან კარი,  
 აღარავინ მიიკარა,  
 შიმშილისგან კუჭგამხმარი  
 ტრიალებდა, როგორც ჯარა.

აქეთ ეცა, იქით ეცა,  
 ვერას გახდა მაიმუნი,  
 მწუხარებამ გააბეცა,  
 დაემართა თურმე მუნი.

ერთს ყიზილბაშს შეეცოდა,  
 საპატრონოდ ხელი მიჰყო, –  
 მოსტყუვდა და არ იცოდა,  
 თუ რა საძაგელი იყო.

და რომ გაძღა მაიმუნი,  
გამობრუნდა, მოისვენა,  
შინაურებს დასდო წუნი,  
ჩუმად იწყო მათი კბენა.

იკბინება ის პირმყრალი,  
ის წუნკი და საძაგელი!  
თურმე იმისი წამალი  
სილაა და ზურგიელი.

[1884]



## პასუხად კ...ა...ს

მეუბნებიან: ვითომც მე  
 არ მექონდეს თავმოყვარება!  
 რა ვქნა, რომ ჟინი და მტრობა  
 ამ ჩემს გულს არ ეკარება!..

უხასიათო ვგონივართ,  
 ზოგჯერ რომ შევსცვლი ჩემს სიტყვას  
 და მითი საუმჯობესოდ  
 ვიცვლი წამიერ გულისთქმას.

რა ვქმნა, რო სხვაგვარადა სჭრის  
 ჩემი ტანჯული გონება,  
 და გრძნობა ახირებული  
 სხვის კანონს არ ემონება!

როდესაც ჭია გვანუხებს,  
 გვკბენს და მით გვაძლევს ვნებასა,  
 მაშინ ჩვენც ვშფოთავთ, ვმრისხანებთ  
 და ვკარგავთ მოთმინებასა.

მაგრამ რალაი გვეშორდება  
 და ვერ გვანუხებს კბენითა,  
 აღარ ვიგონებთ მას გულით  
 და არც ვახსენებთ ენითა!

ადამიანიც ასეა,  
 ისიც ჭია და მატლია,  
 და უსუსტარი მის მტრობა  
 მაშ რა ჭკუა და მადლია?!

[1884]

## ლიმილი

შური, მტრობა, ბოროტება  
სულ ერთად რომ მომანვეება  
და, სისუსტით გულგატეხილს,  
ალარა მრწამს არსით შვება,

ერთი-გვარი რამ ლიმილი  
სამსონისას მაძლევს ღონეს,  
და მაშინ, გინდ ჯოჯოხეთიც  
შემეჭიდოს თავმომწონეს,

არ გავდრკები... გულით გმირსა  
და მებრძოლსა მრავალგვარად,  
ხელთ მიპყრია ის ლიმილი  
მტრისთვის ხმლად და მოყვრის ფარად.

ის ლიმილი ნიშანია  
ახალგაზრდათ თანაგრძნობის  
და მიზეზი საორკეცო  
ჩემის მღერის, ჩემის გზნობის.

შური, მტრობა, ბოროტება  
და მდევნელთა დიდი კრება,  
იმ ლიმილის დანახვის დროს  
აჩრდილივით თვალწინ ჰქრება.

ის ლიმილი არის მხოლოდ  
ამ ჩემს თვალში წმინდათ წმინდა,  
და სხვანაირ ლიმილებსა  
არც დავეძებ და არც მინდა.

[1884]

## ვინც მიყვარს

ვითა სხივი ცით მნათობის  
განათებს ქვეყნად ბნელსა,  
ისე შენი სიყვარული  
განმიქარვებს ჭირსა ძნელსა.

გინდ ქვეყანაც ამიმტერდეს,  
მზად იყოს, რომ მაცვას ჯვარზე;  
ჯოჯოხეთიც, მისი რაზმით,  
სამაცდუროდ მადგეს კარზე, –

არ შევდრკები... მაშინ შენის  
მეგობრობით აღჭურვილი!..  
მებრძოლს შენის სახელითა  
მთლად გადამქნის მე სურვილი:

სოლომონის სიბრძნეს მომცემს,  
სამსონისა ძლიერებას,  
და გინდ შავი დღეც დამადგეს,  
არ მომაკლებს ნეტარებას.

ვითა სხივი ცით მნათობის  
განათლებს ქვეყნად ბნელსა,  
ისე შენი სიყვარული  
მეც მინათებს ამ სოფელსა.

[1884]

## ჰეო, მეო!

გოჩაიანიდამ ამონერილი

ჰეო, მეო! კაცო სამინეო!  
 შენ თუ შენი დედა გიყვარს,  
 რად მაძულეზ მეო:  
 ვინც მე მშობა და გამზარდა,  
 რისთვის დამიგმეო?  
 მისთვის, რომ ვერ გიბატონე,  
 გულით ვერ გეყმეო,  
 საცბიეროდ სხვა მითხარ და  
 სხვა იგულისხმეო?  
 ნერგი რაზე გამიოხრე,  
 ნედლი გამიხმეო?..  
 ქრისტიანად თავს იჩენდი,  
 სჯული კი დაგმეო!..  
 სასიკვდილოდ არა მზოგავ,  
 თავს სუდარს მაცმეო.  
 ჰეი, ჰეი, ან გეყოფა,  
 რაც რომ დაგიტმეო,  
 თორემ მეც შენ საკადრისად  
 სხვა რასმე გაჭმეო!

[1884]

## კურდღელი

კურდღელმა სთქვა: „ღმერთს შევსცოდე,  
 უქმე გავსტეხე კვირესო:  
 სანყალ გლეხისა ყანაში  
 სამკალად დამიპირესო.  
 იქ თურმე სუნი სცემოდა  
 ვილაც წუნკ მონადირესო;  
 მომძებნეს, დამიცაცხანეს,  
 მიკივლეს, მომაყვირესო,  
 მეძებრებს გამოვექეცი,  
 მწვერებმა დამიჭირესო.  
 ტყავი გამაძვრეს, გამწელეს,  
 უწყალოდ დამამცირესო;  
 ფეხით დამკიდეს თავდაღმა,  
 კერაზე მიმაშვირესო;  
 შემწვეს და ჩამახრამუნეს  
 და დედა ამიტირესო“.

გამოცანა

მინდვრად რწყილივით დახტოდა  
 ერთი უკუდო კატაო,  
 რაც საკუდეზე დააკლდა,  
 ყურებზე მოემატაო.  
 ცხვირსახოცს თავი გამოვსკვენ,  
 კედელზე დაიხატაო,  
 და ვინცა ვერ გამოიცნობს  
 სჩანს ჭკუამ უღალატაო.

(კურდღელი)

ზ მ ა

ჯამბაკურ დღე ლილას იღებს  
 ლამღამობით ჰღებავს შალსო,  
 მოყვრისთვის საჩოხედ უნდა,  
 დაუყენებს მის მტერს თვალსო!

(კურდღელი)

[1884]

## ნაცარქექია

ლექსი

ადექი, ნაცარქექია,  
 რას მიჯდომიხარ კერასა.  
 ტოლებში გამოერიე,  
 ნუ ჰკარგავ ბედისწერასა!  
 ნუ მოშლი მტერზე მტრობასა,  
 მოყვრისთვის გულის ძგერასა.  
 ძირს ნადირს დაუქაქანე,  
 მალლა ქორსა და ძერასა!  
 მტერი კუდს ამოიძუებს  
 და ვერ დაგაკლებს ვერასა.

ამოცანა

გინდ გასცერი, გინდ გამტკიცე,  
 კერადანაც დასძარიო:  
 გინდ შეწვი და გინდ მოხარშე,  
 ის დარჩება, რაც არიო.

(ნაცარი).

ზ მ ა

ის ყანა ცარიელია,  
 გინდა ეთესოს პურიო,  
 თუ რომ პატრონი არა ჰყავს,  
 რომ კარგად უგდოს ყურიო.

2.

ვისთანაც არის სიმართლე,  
 არ დააკლდება პურიო,  
 არ დაეკარგვის ღმერთთან კაცს  
 ერთგული სამსახურიო.

(ნაცარი).

[1884წ.]

## ბრიყვი და ჭკვიანი

ლექსი

საჭადრაკოა ქვეყანა,  
დიდი და მრავალფერია;  
ავი და კარგი იმისი  
ერთ კაბადონზე სწერია,  
მაგრამ არ შედრეკე ვაჟუკაცო,  
ყველა ცით მონაბერია! . . .

გამოცანა

ზურგით ვატარე გარეგან  
შიგნითი სატარებელი,  
კუჭის საჭირო სტუმარი  
და გულის გამხარებელი.  
(საგზალი).

ზ მ ა

კობრი ყვირილის სჯობია,  
კალმახი შაორისაო,  
თერგის ორაგულს აქებენ  
ბიჭები გაღმა მხრისაო.  
(ბრიყვი).

[1884]

## მოსწავლე და მასწავლებელი

ლექსი

სიბრძნე, ჭკუა და გონება  
 ქვეყნად ედემის ბაღია,  
 სწავლა და გამოცდილება  
 სულ სანყო-იარაღია.  
 უგნური დადის ბორკილით,  
 სახეზე აზის დაღია,  
 სწავლულს წინ უდევს გზა ხსნილი,  
 კარები სრული და ღია.  
 უსწავლელობა ბნელია,  
 სწავლა ნათელი და დღეა.

გამოცანა

არც ისმება, არც იჭმება,,  
 არც ხელით დასაჭერია,  
 თითონვე ასმევს და აჭმევს,  
 კაცისთვის ყველაფერია.

(გონება).

[1884]



## ფრაკი

ექსპრომტი სცენიდან, რომ ჰკითხეს აკაკის,  
რატომ ფრაკი არ გაცვიავ

ბატონო, ჩემი ფრაკი  
ბარამოვს აქვს გირაოდ  
მინდოდა გამომეხსნა  
როგორმე საკვირაოდ,

მაგრამ ვერ მოვახერხე,  
ჯიბესთან ვარ მწყრაღადა!..  
ბანკი არაფერს მაძლევს...  
ვერც ვიშოვნე ვაღადა.

დამეკარგა ის ფრაკი...  
იქ სომეხთან დარჩება,  
და აქ ეს სერთუკიცა  
ნელა-ნელა მიგჯება.

მაგრამ არ გავიტეხ გულს!..  
ლარიბთ შემწე ღმერთია!!  
კუდიან თუ უკუდო  
ტანსაცმო სულ ერთია!

[1884]

\* \* \*

მსურს, საქვეყნოდ განვაცხადო  
 ზოგი რამ დაფარული  
 და ბევრს პირბადე ავხადო,  
 რომ ნახოთ მათი გული.

მაშინ არ დაიფარება  
 აღარც ერთი ცბიერება,

გეტყვით, რაც მართალია,  
 და ჩემი რა ბრალია,  
 თუ ქვეყანა მწყრალია...

ავრცელებენ ხალხში ჭორებს,  
 ისე, ტყვილა-უბრალოთ,  
 ვითომც ჩვენს დირექტორებს...  
 მაგრამ არ დაიჯეროთ,

და სანამ თვალით არ ნახოთ,  
 ისე არავინ დასძრახოთ!

და თუ რომ მართალია,  
 ეს რა მათი ბრალია,  
 ჩანს, ბედი გამწყრალია.

ქალაქის გამგეობა  
 დიდს საქმეებს ხელს ჰკიდებს,  
 ათის თავს ქალაქს ახარჯებს  
 დანარჩენს კი აქ იღებს.

მაგრამ, როგორ დავიჯეროთ,  
 სანამდის არ დავიჭიროთ.

და თუ რომ მართალია,  
 იმათი რა ბრალია,  
 ქალაქზე რომ ვაღია?

ჩვენი ლიტერატორები  
 მეტად ილანძღებიან,  
 მოსაკითხებს უგზავნიან.  
 ერთმანეთს... ვერ ძღებიან...

და როცა ერთად არიან,  
 მარგალიტს პირიდან ჰყრიან.

ამბობენ მის ბრალია,  
 რომ მესტამბე მთვრალია...

უმანკოსა და მშვენიერს  
 ცილსა სწამებენ ერთ ქალს,  
 ვითომც ვილაცა კავალერს  
 ასე უშვრებოდეს თვალს.

მაგრამ ბევრს კი არ სჯერა  
 იმ ქალის გულის ძგერა.

და თუ რომ მართალია,  
 ეს რა მისი ბრალია,  
 რა ვქნათ... ისიც ქალია.

[1884]

## სოფლური

– „ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ჰფრენ  
ამ ეზოში დილ-დილასო!  
ვერ მომპარავ... არ გაგატან  
ჩემ პატარა წინილასო!

პატარძალი შემოგდახებს,  
ძალლი ინყებს ყეფასაო;  
ჩემი თოფი ტყვიას გიძღვნის,  
დაგიკოცნის კეფასაო!..“

– „პატარძალმა დაიძინა,  
ძალლი მისდევს კურდღელსაო,  
თოფი ინვაგს ფალიაზე,  
ვინ შემიშლის მე ხელსაო“..“

– „პატარძალი გაიღვიძებს,  
ძალლი კურდღელს დაიჭერსო,  
ფალიაზე წამალს დავყრი,  
დაგიხვდები მარჯვედ მტერსო!..“

– პატარძალი გიორგულებს,  
არც გაგიტანს მურიაო,  
შენი თავი შენ გიმტყუნებს,  
სისხლი ტყვილა გწყურიაო!..“

– „ვაი, შენს ტყავს, ძერა-კუდა,  
შემირჩიე განა დროვო?..  
მაგრამ მოვა იმისთანაც,  
შენი ბუდე განატროვო!

მეც მანამდის ცდას არ მოვშლი,  
შვილს გადავსცემ სესხს და ვალსო,  
ნათქვამია: სუყოველთვის  
ვერ მოიტანს კოკა წყალსო!..“

[1884]

## სახალხო შაირი

მამა უცხოონდა სკვითორელს,  
 თავი კი მივსცე ხელადა!  
 თავის ოჯახში ბრიყვია,  
 სხვისაში შედის ხელადა;  
 ხან იღრინება ძაღლივით,  
 ხან იპარება მელადა;  
 სხვებს „მაცა, მაცას“ უძახის,  
 დიდად ყროყინებს ველადა;  
 აღარც კაცია, არც მხეცი,  
 გამხდარა საეჭველადა;  
 ქვეყნის ცოდვა და ვარამი  
 გარს შემორტყმია მცველადა;  
 არ იხსენება ახლებში,  
 არც ვარგებულა ძველადა;  
 ღმერთო, შენ გაასამართლე,  
 შენ გიხმობთ დამფარველადა.

[1884]

## ხარაბუზა და ფუტკარი

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,  
 მიაძახა: „გზა მომეო!  
 ვერ მიცანი, განა, ვინც ვარ?  
 როგორ გამეთამამეო?

„თუ ვერ ატყობ თავს, ვინცა ხარ,  
 გამიგონე, რომ გითხრაო:  
 შენ რომ ფრთები გამოგბმია,  
 ღმერთი მაშინ გაგინყრაო!

„ბზუილასა, ტყუილასა,  
 შხამიანსა, მკბენარსაო,  
 ვინ არ გიცნობს უსაქმურსა,  
 მფრინავს მოუსვენარსაო?!

„მე კი დარბაისლად მცნობენ,  
 შრომისა ვარ მოყვარეო...  
 ჩემთვისა ვარ, არვისა ვკბენ,  
 არ ვარ შენი მოგვარეო!

„ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ,  
 შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?  
 ჩამოდექი, გზა მომეცი!..  
 ურჩობას ნუ მიბედავო!

„ფუტკარმა ეს უპასუხა  
 „ნუ მაცინებ, ხა-ხა-ხაო!  
 ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა,  
 ნებსვის ჭიად დაგასახაო!

„ბევრს რომ შრომობ, ნუთუ ჰფიქრობ,  
 რომ მთა და ბარს ასწორებო?..  
 მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ,  
 იქვე ახლო აგორებო.

„ის ხომ შენი საზრდო არის?  
შენს მეტს არვის არგიაო!  
შენ აკეთებ... შენვე ზიდავ.  
საკუთარი ბარგიაო!

„დარბაისლად იმუშავებ,  
რალად ირბენ, აბა, შორსო?  
ყოველ ფეხის გადადგმაზე  
ნახავ, გინდა მთელ გოდორსო!

„მე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა  
და სხვაგვარად მოღვაწეო:  
ზეცის მუშას მეძახიან,  
არ ვარ მარტო სამიწეო!

„მისთვის დავფრენ მოუსვენრად,  
რომ მოვსძებნო ყვავილიო,  
გულის წვენი ამოვწუნო,  
სამკურნალო რამ ტკბილიო.

„შევუმზადო მით ქვეყანას  
თაფლი, ზეცას – სანთელიო,  
რომ იქ წმინდად შეინიროს  
და ანათლოს აქ ბნელიო.

„ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის  
ქვეყნის მტერიც ის არიო,  
და მისთვის მაქვს მომართული  
გესლიანი ისარიო!“

ეს უთხრა და ფრთა გაშალა,  
მიაშურა ყვავილებსა...  
და ჩვენც ამგვარ პასუხს ვკადრებთ  
ზოგიერთ ჩვენს ყმანვილებსა.

[1884]

## გამოცანები

1

უენოა, მაგრამ უხმოდ  
ბევრი რამ კარგის მთქმელია,  
სულელის დაწუნებული –  
ჭკვიანის სანატრელია.

(წიგნი)

2

ფეხში რომ ხელი მომკიდეს,  
ზღვაში ჩამკიდეს თავითა,  
რომ ამომიღეს, თეთრი გზა,  
მოვრწყე ცრემლითა შავითა.

(კალამი)

3

ყმანვილისთვის სასარგებლო  
ვარ მისგანვე განირული:  
თავსა მჭრის რომ გამომიჩნდეს  
დაფარული შავი გული.

(ფანქარი)

4

თეთრი რამ შავზე დახტოდა,  
სტოვებდა თეთრსა კვალსაო,  
კვალშივე უდგა ყმანვილი,  
არ აშორებდა თვალსაო.

(დაფა და ცარცი).



## 5

არა სჭამს, მხოლოდ წყალსა სვამს,  
გულ-ხარბი ყოვლის მხრითაო,  
თუ ხელი ვინმემ მოჰკიდა,  
იტირებს ცრემლის ღვრითაო.

(ღრუბელი).

## 6.

ოცდათორმეტი ძმები ვართ,  
როდესაცა ვართ სრულადო,  
გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს,  
მხარს ვაძლევთ მეგობრულადო;  
და ვაი, იმის სიმრთელეს,  
ვისაც შევხვდებით მტრულადო.

(კბილები).

[1884, 1905, 1908]

## უჩინო ჩინიანებს

მოგვილოცავს ჭკვის დაცემა,  
თვალთ სიბრმავე, ყურთ დაკლება,  
სისუღელის გაგრძელება  
და კაცურ აზრის დაცემა.

შენ გსურს, დიდი ვინმე გახდე,  
იშოვო პატივი, ჩინი,  
მაშ ნულარავის დაზოგავ,  
ყველაზედ იყარე ჯინი.

ზოგი კარგათ შეაბეზლე,  
ზოგი მოჰკალ, ზოგი ჩეხე,  
რაც რომ ჯაშუშობით გვავნო,  
შენს წინაპრებს დააკვეხე!

დაბერძალლდი უნიჭობით,  
გსურდა, ვერ პოვე ჩინია,  
ყველას ფეხქვეშ უგორდები,  
როგორც რომ ნუნკი ფინია.

ბეზლება კარგი გცოდნია;  
ეხლა მიეშურე ჩინსა,  
მხოლოდ ეგლა ეჭირვება  
მაგ შენ გალაყებულ ტვინსა.

მაშ, რაღას ჩმახავ, მიჰქარავ,  
იძახი: „შაბაშ, შაბაშო!“  
შენ ტუტუცებთა ხელმწიფევე,  
მაიმუნთა უსტაბაშო!

ღვთის მადლით შენც დაგხვევია  
თავს უმეცრების ბურუსი;  
ნეტავ რას აუტყვია  
ეს მაჯლაჯუნა, ბუ რუსი!

შენც ფეხის ხმას გამოუდეგ,  
შენ კუსპარა, თავვის კუდო,  
შენ ტიკჭორა, მაიმახო,  
ენაბილწო, გულით ცუდო?!

ჯამუშობა სხვა რიგია,  
რას როშავ, რას ენვალეები,  
შენს გარეთ რომ არვის ხედავ,  
მიტომ გამოგძვრა თვალეები?

28 მაისს [1885]

## დედოფალას ღამისთევა

საყმაწვილო არაკი

ღონიერი, გონიერი,  
ფრთებიანი, მრავალთვალა,  
გაზაფხულზე დაიბადა  
პანანინა დედოფალა.

მშვენიერი, მრავალფერი,  
მზის ნაშუქი, თინათინა,  
ცა და მიწის შემყარებამ  
ამ სოფლისთვის გააჩინა!

აკენად მისცა მიწა და ცა,  
გამდელ-ძიად – მთლად ბუნება;  
ზღვა და ხმელი, ტყე და ველი  
მას „ნანინას“ ეუბნება;

ციდან მთვარე, მომცინარე  
დაჰხარის და დაქათქათებს;  
ვარსკვლავები ფერხულს აბმენ,  
სწრაფი ელვა გზას უნათებს;

ნიაგ-წყნარი, უჩინარი  
ნელა-ნელა აკვანს ურწევს;  
ქვეშ უგია ყვავილები,  
დედოფალა რბილად ზე წევს.

საგულისხმოს და საამოს  
ეუბნება სიბრძნე ზღაპარს;  
გრძნობა ტკბილი, წყნარი, ჩვილი,  
საკმელს უკმევს... უნთებს ღამპარს.

უცნაური ზეციური  
 გადმოისმის ხმა ძლიერი:  
 „დედოფალა! გქონდეს ძალაც  
 სამკურნალო, მრავალფერი.

„სხვა არ გგავდეს, არა გყავდეს  
 არც უფროსი, არც უმცროსი!  
 და დაგერქვას შენ სახელად  
 დიდი ნიჭი... გენიოსი!“

ტკბილად სძინავს პანანინას  
 და იმ ძილში ხედავს სიზმარს,  
 რომ პატარა ყმანვილებიც  
 ეხვევიან თამაშით გარს.

უნდა ყველას დედოფალას  
 ალერსი და სიყვარული,  
 მაგრამ მხოლოდ ის მას ჰკოცნის,  
 ვინც კი არის იქ რჩეული:

ესე იგი: იცის რიგი,  
 კარგად სწავლობს, კეთილია  
 და, რასაც კარგს ასწავლიან,  
 დამჯერე და მორჩილია!

[1885]

## დ. ყიფიანის სადღეგრძელოდ

ექსპრომტი

ვით დილის ნამი ააბიზინებს,  
 უდროვოდ დამჭკნარ, ფერ—მიხდილ მდელოს,  
 ისე გვიმთელებ ჩვენც მაშვრალ გულსა,  
 და მისთვისა ვსვამთ შენს სადღეგრძელოს!

უფროს მოძმეებში რჩეულთაგანო,  
 უნცროსებისთვის სამაგალითო,  
 დავრდომილთათვის გულდანყვეტილო,  
 სულდგმულო მხოლოდ სრულ კეთილითო!

იცოცხლე დიდხანს შენდა გუნებად!  
 ღმერთმა მოგასწროს იმ დღეს ბედნიერს.  
 რომ შეთანხმებით და სიყვარულით  
 გავიძახოდეთ „მრავალჟამიერს!“

[1885]

## კურთხევა

თეატრს

თუ საპირადოდ დაბადებულხარ,  
კერძობისა მხოლოდ მძებნელი,  
იყავ უსუსურ!.. იყავ ხანმოკლე!  
და ამავე თავით მარად დღებნელი!..

მაგრამ თუ ჩვენთვის ერთგულ მუშაკად  
ხარ, ნორჩო, წრფელად მოვლინებული,  
იყავ კურთხეულ! იყავ საყვარელ!  
და ყველასაგან ერთხმად ქებული.

წრფელად იზარდე! შრომით იღვანე,  
რომ მითი კაცად გამოფოლადდე  
და, სწორმხედველი, ჩვენსა სიცუდეს  
დანიშნულებად კაცთა არ ჰხადდე!

ნუ დაივიწყებ, რომ სიმართლისთვის  
ჯვარცმული იქმნა თვით მაცხოვარი,  
და უგნურებამ ბოროტგაკიცხვით  
ლერწმით შეასვა მას ნაღველ-ძმარი.

ჭემმარიტება ხშირად სხვერპლსა გვთხოვს...  
სიმართლე ქვეყნად თუმცა ძნელია,  
მაგრამ მაინც კი ყველა გვირგვინზე  
ეკლის გვირგვინი სანატრელია.

[1885]

## გამოცანა

მამად მზე მყავს, დედად – მთვარე,  
 ვარსკვლავები წვრილ და-ძმადა!  
 „ცა ქუდად არ მიმაჩნია,  
 დედამინა ქალამნადა!“

არც დიდი ვარ, არც პატარა,  
 არც ბატონი და არც მონა;  
 გულს მესობა ხან ისარი,  
 ხან სუნნელი ვარდის კონა.

ქვეყნის შვილი, ქვეყნის მოძმე,  
 ქვეყანაში ყარიბი ვარ,  
 მაშინ უფრო მდიდარი ვარ,  
 როცა უფრო ღარიბი ვარ!..

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს;  
 ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს!  
 მწარე ენას ვამსახურებ  
 განმენდილს და მარად ტკბილ გულს.

მხედავთ, ვინც ვარ? ვინ გგონივართ?  
 ერთი ვინმე გიჟი – ცეტი?..  
 უკაცრავად!.. შემცდარი ხართ:  
 მე გახლავარ ეს – პ ო ე ტ ი!

[1885]



## ჩემი ბაიათი

ჭალარაგამნარებულსა  
 სიცოცხლე მომბეზრებია:  
 რაც რომ მიგრძენია, გულსა მწყვეტს,  
 მშხამავს, რაც მიაზრებია!

ეს შურიანი ქვეყანა  
 ხარბი და უმადურია:  
 პირველად იმას გასწირავს,  
 ვინც გულით ნამსახურია!

მოჰკლავს და შემდეგ სიკვდილის  
 იგლოვს მას თვალთმაქცურადა;  
 დევნულს დამარხავს პატივით  
 და ღარიბს – დიდკაცურადა.

მაგრამ მკვდარს რაო? ეს წესი  
 მაიმუნობა მგონია:  
 ცოცხლების თვალის სეირი,  
 მათივე მოსაწონია!

სამარის კარზედ შემდგარსა  
 გულში ეს მრჩება წუნადა:  
 ვაითუ, სიკვდილის შემდეგ  
 მეც გავხდე მაიმუნადა.

[1885]

### კითხვა-მიგება

ბულბულო! რატომ აღარ სტვენ?  
ვარდი შენს მღერას ელისო!  
– რაღა და როგორ ვიმღერო:  
შხამი მაშინებს გველისო.

პოეტო! რატომ აღარ სწერ?  
რაზედ აიღე ხელიო?  
–რა ვქნა, რომ ყველა მე მიღრენს,  
მიბღვერენ, ვითა მგელიო.

[1885]

## ნაძალადევ საქმროს

დამეხსენი, ოსმალელო,  
 რა გაქვს ჩემთან საზიარო?  
 თვით ოხერო, მოუვლელო,  
 როგორ უნდა მომიარო?  
 ბუნებისგან დაჩაგრული  
 განა შესძლებ მეგობრობას?  
 მოშხამული, ცივი გული  
 სხვას რას გასწევს თუ არ მტრობას?  
 წლიდან-წლამდე უცნაურად  
 გეყინება ტვინი თავში!  
 უნდა ძალა უნებურად  
 ეხვეოდე დათვის ტყავში!  
 არაფრად ჰგავს შენს ხმელ სოროს  
 მხარე ჩემი ეს მდიდარი!..  
 არა!.. ღმერთმა მომაშოროს  
 შენისთანა ბრანდი ქმარი.  
 ვერ მომხიბლავ, ცრუ მოყვარევ,  
 ვერც ენით, ვერც თვალადობით  
 შეგიპყრივარ, როგორც მთვარე  
 გველ-ვეშაპას ძალადობით.  
 შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს  
 ანუგეშებს ის იმედი,  
 რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს  
 მთლად დალენავს ჩემი ბედი.  
 დამხსნის შენსა მონებასა,  
 ცბიერებას გაგინზილებს!  
 გაგიტკბილებს გონებასა...  
 თავისუფლად მაქორწინებს.  
 დამეხსენი, ოსმალელო,  
 რა გაქვს ჩემთან საზიარო?..  
 ნუ, ნუ ჰფიქრობ, ჩემო მწველო,  
 რომ მფლობელად აგლიარო!

[1885]

## სვანური სიმღერა

მთვარე ერთია, ერთი მზე, მურზაყანც ერთადერთიო,  
დალოცოს წმინდა გიორგიმ, მალლით სწყალობდეს ღმერთიო!  
დეეკაცსა ტანზე აუბამს ფოლადის გული-მკერდიო,  
აუსხამს რკინის გვერდები, რკინისვე ფიცარ-ფერდიო!

არწივს წაართვა თვალები, მუხლი მოუბამს მგლისაო.  
მხარ-მკლავი ამირანისა, ამირან მძლეთა-მძლისაო,  
შევარდენია მთა-კლდისა, ხოხობი ძვირ-სოფლისაო,  
დიდი მოსარჩლე პატრონი საბრალო ქვრივ-ობლისაო.

მურზაყანს წიგნი მოუდის: „მოყვრებმა დაგიბარესო!“  
მურზაყან, ფრთხილად იყავი, ნუ წახვალ, უცხო მხარესო,  
ნუ დასცდი ფეხს, ნუ გადასდგამ სახლიდგან ახალ მთვარესო.  
არ გიღალატონ მარტოსა ფლიდებმა სხვისა კარესო.

არ დაიშალა, ასე სთქვა: „სად არის ჩემი მტერიო!  
გამიღიაცდენ მებრძოლნი, მნახონ, დაჰკარგონ ფერიო!..  
რომ მომეჯარონ, შევჰყვირო, გავფანტო როგორც მტვერიო,  
მათი მოყვრები ვატირო, იგლიჯოს თმა და წვერიო!..“

დაიგვიანა მურზაყან, ცნობა მოვიდა ოდისო:  
„მურზაყან ბარათ დავტოვეთ, მანდ მთებში აღარ მოდისო!  
სახლი აიგო მიწისა, სახურავი აქვს ლოდისო,  
აქ ბარი „ვაის“ იძახის... მთა „უის“ იძახოდისო!..“

[1886]

## ხალხური

საგველბაყაყო ჭაობი  
 აყროლებულა, შრებაო.  
 მოშხამულ ოშხივარითა  
 ქვეყანას ემუქრებაო.

ქვემძრომებიცა ფუსფუსით  
 კიდეზედ გამოსულანო;  
 ბრიყვულის მედიდურობით  
 უგნურათ გარს მოცულანო!

გველი მკურნალობს, ბაყაყი  
 იჩემებს ბულბულობასო,  
 რა ვუთხრა დროთა ცვლილებას,  
 ფუი, მის საძაგლობასო!

სადა ხარ, წვიმავ შხაპუნავ?  
 მოვარდი ნიავღვაროო,  
 რომ ქვემძრომები წალეკო,  
 უფსკრულში გადაჰყაროო!

[1886]

## გამოცანა

ზღვაში ფულები ჩაჰყარა,  
ქვები აჭამა მან ჭიას,  
სიცრუის სტვირი გაბერა,  
აძახებს აჭი-ბაჭიას.

რკინისგზას გადაელობა,  
ჰხრავს და არ ანძრევს ხელებსა,  
რაც უნდა გულზე დაადგეს –  
მაინც არ დაახველებსა.

ნიკრისი თავში შესვლია,  
შეჭედებია, ვით ნალი,  
მოშავ, რო ვირი გყოლია,  
ის არის მისი მკურნალი.

[1886]

## მუშური

ყანაო, მუშის სამოთხევ,  
 გლეხის დიდებაჲ, ყანაო!  
 ცისკრის სხივებმა შეგმოსეს  
 და ნამმა გადაგბანაო;

დილის ნიაჲმა დაგქროლა,  
 ალერსით გითხრა ნანაო;  
 ყუყუნა წვიმამ ზედ დაგკრა,  
 ზურმუხტად აგამწვანაო.

ყანაო, გულხელგამლილო,  
 ქვეყნის მოკეთეჲ, ყანაო!  
 მოყვრულად შემოგხვევივართ,  
 მტრულად გიმეტებთ განაო?

გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა,  
 გაგთოხნით ყოველგანაო!.  
 ყანაო, დაუზარებო,  
 უხვად მომცემო, ყანაო!..

ზედ უფლის თვალი დაგყურებს,  
 შენი ბარაქა ბრძანაო;  
 აგშორდეს გვალვა და სეტყვა,  
 მოსავლის გამოცანაო...

ყანაო, ოქრო-ზურმუხტო,  
 ყანაო, ჩვენო ყანაო!  
 მალალმა ღმერთმა აკურთხოს  
 სხვაც ბევრი შენისთანაო!

[1886]

## ძველ მეგობარს

გიყვარდი, აღარ გიყვარვარ...  
 მეფე ხარ შენის გულისა!..  
 ვერავინ დასდებს კანონსა  
 სხვის გრძნობა-სიყვარულისა!..

როგორც გაჩენა, გაქრობაც  
 იმ გრძნობის უცნაურია:  
 დღეს ერთი უნდა ბუნებას  
 და ხვალ მეორე სწყურია.

არ მიკვირს შენი გულის ცვლაც,  
 ქალი ხარ... ქრელი პეპელა:  
 ყვავილებიდან ყვავილზე  
 გადაფრინდები ნელ-ნელა.

მაგრამ ყოველგვარ ყვავილს კი  
 არა აქვს ერთი ბუნება:  
 ზოგ-ზოგი სამკურნალოა,  
 ზოგს მოაქვს სუნნელთან ვნება.

ღმერთმა გამოროს! მაგრამ თუ  
 შენც შეგხვდა მსგავსი ყვავილი,  
 მოსწამლავს შენსა არსებას  
 უზომო გულისტკივილი!..

მაშინ, გთხოვ, მომიგონებდე,  
 შენგან განაწირ მეგობარს...  
 ცრემლში გალესილ ჩემ ნაღველს  
 და ჩემს გულშივე ნაგუბარს.



ნამლად დავანთხევ, რომ წყლული  
ორივეს ერთად დაგვიქროს,  
და ძველზედ მიმატებულმა  
ახალმა ტრფობამ დაგვათროს!

გიყვარდი!.. აღარ გიყვარვარ?  
მე კიდევ ველი სიყვარულს;  
თაყვანს ვსცემ მისსა გაგრძობას,  
უარვეყოფ მისსა დასასრულს.

[1886]

## გოგოლის ხსოვნას

როდესაც უგნურებას,  
გაბერილსა დიდებას,  
ყოველგვარ საძაგლობას  
და ცრუ ჭეშმარიტებას –

უმაღლეს მტარვალობას  
კალთა ეფარებოდა,  
და ჩაგრულების ცრემლი  
დღითი დღე იღვრებოდა,

როდესაც ცრუ მგოსნები  
ადიდებდენ ცრუ ღმერთებს,  
და მით ფარისევლობა  
თამამად ისხამდა ფრთებს, –

მაშინ გაისმა ხალხში  
ხმა, რაღაც უჩვეულო,  
და იმ ხმამ კიდით კიდე  
ელვასავით შემოვლო...

შეჰკრთა მოულოდნელად  
მით მჩაგვრელების კრება,  
და გამოფხიზლდა უცბად  
მცონარე უმეცრება.

რა ხმა იყო, ნეტავი,  
ყოველ ხმაზე ძლიერი,  
რომელმაც ციურ ძალით  
სცვალა ცხოვრების ფერი?

ის ხმა იყო ამ კაცის  
 უცნაური ხარხარი!  
 ჩაგრულებთა „სალხინო“  
 და მჩაგვრელების „ზარი“.

თურმე ამან ნალველი  
 ცრემლებში გაილესა  
 და გულში ჩაიგუბა,  
 სთქვა: „ნამლად მსურსო ესა!“

სიცილით ამოჰქონდა –  
 ნვეთ-ნვეთად ის წამალი,  
 რომ დაბრმავებულების  
 აეხილა მით თვალი.

ეუცხოვათ სნეულებს  
 უჩვეულო ფიალი,  
 როს ძალაუნებურად  
 შესვეს მათ ის წამალი.

და მაშინ კი გაიგეს,  
 რომ ის, ვისაც სძრახავდენ,  
 ბოროტებას სწამებდენ  
 და უგულოდ ჰსახავდენ,

თურმე კარგი ყოფილა,  
 კეთილგანზრახვით სრული,  
 და მისი ნალველ-გესლი –  
 უზომო სიყვარული.

თაყვანი სცეს საეროდ  
მის ძლიერ მოვლინებას,  
და ჩვენც დღეს პატივსა ვსცემთ  
მის ნიჭს და ხელოვნებას.

ხელოვნებას არა აქვს  
საკუთრება... სამზღვარი!  
ის ყოველ ხალხს ეკუთვნის,  
ვით ყველას მაცხოვარი.

უცხო არც ჩვენთვის არის  
„რევიზორის“ შემთხვეული,  
და თავზე გვირგვინს ადგამს  
ქართლში ქართველთა ხელი.

[1886]

## პასუხი

„აკი გითხარ, დედამთილო  
 ნუ გამგზავნი წისქვილშია:  
 იქ ბიჭები დამხვდებიან,  
 ჩამაგდებენ სირცხვილშია“.

ხალხური

აკი გითხრეს, ბატონებო,  
 იმთავითვე: „ფრთხილადაო!..  
 საზოგადო საქმე ნუ გჩანსთ  
 ჩალად, ბზედ და თხილადაო...“

ვინც გირჩევდენ პირველადვე  
 საქმის კარგად გაგებასა,  
 თქვენ იმათ არ უპირებდით  
 ხანჯლის წვერზე აგებასა?

სიტყვაც თქვენ არ აუკრძალეთ,  
 დაადექით ველურ ძალსა;  
 სიცრუესა მხარს აძლევდით,  
 სიმართლეს კი სთხრიდით თვალსა?

მუშტი-კრივი, ლანძღვა-თრევა  
 და უაზრო ფრაკის ხევა  
 სხვას რა ბოლოს მოიტანდა?  
 გვიანლაა ბედის წყევა!

და ჩვენც ასე მოგახსენებთ:  
 „რაც მოგივა, დავითაო  
 – ნურავის ნუ დააბრალებ –  
 ყველა შენის თავითაო!!!“

[1886]

**პროზიდან „ჭორი“**

უთვალო და უფეხო რამ,  
ხელში ძნელი დასაჭერი,  
პატარა და ცისოდენა,  
სუსტი, მაგრამ ღონიერი;  
უძვლო, უფხო, გაუმშრალი,  
შავი, თუმცა ნითელფერი,  
რწყილს აქლემად გადააქცევს,  
ემმაკების პირსაფერი.  
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,  
თვალში ერთი გუდა მტვერი.

[1886]

## პოეტი

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,  
ხან არც ესა ვარ, არც ისა!  
გარემოების საყვირი,  
არც მიწისა ვარ, არც ცისა.

ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,  
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:  
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი  
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

ეს გული, სარკედ ქცეული,  
ბუნების ნათავხედია;  
მხოლოდ მისს სახეს გიჩვენებთ,  
რასაც შიგ ჩაუხედია;

ენაც მას ამბობს, რაც სმენას  
სხვისაგან გაუგონია,  
ან თვალს უნახავს და ჭკუას  
გაუზომ-აუნონია!

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,  
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!  
შუაკაცი ვარ, უბრალო,  
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

[1886]

\* \* \*

ხანდახან ცეცხლი გაჰქრება  
 და გაცივდება კერაცა,  
 მგონია, სახლი ილუპვის  
 და იმის ბედისწერაცა.  
 მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს  
 და გამოუქექ მას ძირსა,  
 იქ ნახავ ობოლ ნაკვერცხალს,  
 მიმალულ-მივიწყებულსა;  
 და იმ ნაკვერცხლით ანთებ,  
 ააგუგუნებ კერასა,  
 სახლიც გათბება და ბნელი  
 ნათელს ვერ ავნებს ვერასა.  
 ასეა ეროვნებაცა:  
 ხანდახან შებლალულია,  
 მაგრამ სიცოცხლის ნიშანი  
 სადღაცა მიმალულია.  
 მოძებნა უნდა იმ ნიშნებს  
 და ქვაკუთხედად დადება,  
 ის აკვანია მომავლის,  
 მყობადიც დაიბადება.

[1886]



## განათლების საგალობელი

ერთ დროს რომ მკვდარი მეგონა,  
თურმე საღათით სძინავდა:  
სული გვამშივე სდგომია,  
თუმც ბაგე აღარ ფშვინავდა.

ან გამოფხიზლდა უეცრად,  
ზე აღსდგა ასამაღლებლად,  
ნამსჭვალსა ხელი შეახე,  
თომავ, სარნმუნებელად.

აღდგომის ფერხულს ჩავებათ  
წყობისად მარგალიტადო,  
ხან „ქრისტე აღსდგა“ ვიძახოთ,  
ხანა ვსთქვათ: „ჭეშმარიტადო!“

აღსდგა და ან ამაღლდება,  
თან სდევს ციური ნიჭება,  
და საუკუნო ცხოვრება  
ამიერ მოგვენიჭება!..

[1886]

## გორგასლანის სიმღერა

ვახტანგმა ხელი ხმალს ვიკარ,  
მტერს როგორ შევეუშინდები!  
სიცოცხლეს მსხვერპლად გავსწირავ,  
სულითაც დავეწინდები!

გარს ოთხი გუნდიც მეხვიოს,  
მარტოსა მეჯარებოდეს,  
თუ რომ გავექცე, „ფუ“ მითხრან!  
დარჩენა მეჯავრებოდეს!

ჩემი ძველების ანდერძსა  
ვერ გავსტეხ დიაცურადა,  
ან მოვკლავ, ან შევაკვდები  
ქვეყნის მტერს ვაჟკაცურადა.

მეც ანდერძს გაუტეხელად  
გადავსცემ შვილისშვილებსა...  
ერთის დგმის ღვანლი მეორეს  
ცხოვრებას უადვილებსა.

გულს ვერ გავიტეხ, ბაყათარ,  
ვერ დავაჩლუნგებ ძველ ხმალსა,  
და ვერც დავაგდებ გულგრილად  
წინაპართ გზასა და კვალსა!

[1886]

## ახლანდელი პოლიტიკა

მოლამ, ყადმა და ახუნდმა  
შეჰკრეს კავშირი ძლიერი,  
რომ გადიყვანონ ყირაზე  
საბრალო ქართველი ერი.

წვერებზედ მოისვა ხელი  
მოლამ, სთქვა: „ბისმირ ჰალლაო!..  
ამ ხალხის გასათათრებლად  
უნდა ვიხმარო ძალაო...“

„ავკრძალავ წირვა-ლოცვის დროს  
მათ ენას მამა-პაპურსო  
და მივსცემ სამაგიეროდ  
ჩვენს მეტყველებას დათვურსო“.

ყადმა მიუგო ღიმილით:  
„ჰა, ქეშეშ, ბარაქალაო!  
სამართალს ჯანი გავარდეს,  
ხალხიც მას ენაცვალაო!“

„თვითონ მე გავასამართლებ  
ჩემგანვე გარყვნილ ერსაო!  
გინდა სტყუოდეს, გინდ არა,  
გავსწირავ, როგორც მტერსაო.“

„ნელ-ნელა გადავასახლებ...  
იმათ დაუდგეს თვალიო!  
და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება  
მათი მიწა და წყალიო!..“

ახუნდმა უთხრა: „იახში!  
მეც ვეთანხმები მაგათო!  
და სკოლებს გადავაკეთებ  
ხალხისთვის ვირის ბაგადო.

რომ სხვისი ვერა ისწავლონ,  
თავისიც დაავინყდესთო  
და მათი ტკბილი განზრახვა  
უდროვოდ დაუმინდესთო!“

ერთხმად დასძახეს: „ილ ალლაჰი!“,  
ჩაყლაპვას გვემუქრებიან,  
და ზოგნი, თურმე, ჩვენშიაც  
იმათ ბანს ეუბნებიან.

[1886]

## ჭალარა

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,  
ძნელი ყოფილა ჭალარა...  
ველარ გაჰკივის თამამად  
ჩემი დაფი და ნალარა.

გული არ იშლის გულობას,  
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ლონე!..  
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი  
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამევსო გული წვეთ-წვეთად  
ნალველითა და შხამითა,  
ისე, ვით საუკუნენი –  
სხვადასხვა მრავალ წამითა.

მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე  
მე, აწმყო-გამწარებულსა,  
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,  
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,  
რომ გამიელვებს გლახგულსა,  
თავი ტარიელ მგონია,  
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმოზ ფრიდონს და ავთანდილს,  
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი – ხელს,  
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,  
მოელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!  
 სისხლით შევღებავ ქალარას  
 და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ  
 ამ ჩემს დაფსა და ნალარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი  
 მოუგზავნია ჯოჯოხეთს:  
 მაცდურ სარკეში მახედებს,  
 ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ  
 ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!..  
 და შენც ტარიელს მოჰგავხარ  
 ისე, ვით კატა ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?  
 რისთვის დავჰკარგო იმედი?  
 გმირს წინა უძღვის ყოველთვის  
 უძღური წინამორბედი!..

არა! აყვავდეს იმედი!..  
 გულს ვერ გამიტეხს ქალარა!..  
 გმირებს უძახის... უყვიის  
 ჩემი დაფი და ნალარა!..

[1886]

## ძველი და ახალი წელიწადი

ხელთ მიპყრია სავსე ჭიქა,  
მსურს წარმოვსთქვა სადღეგრძელო,  
ორივ ღმერთმა შეგარცხვინოსთ,  
სტუმარო და მასპინძელო.

საახალწლო ჩვეულებით  
ნატვრითა ვსვამ წითელ ღვინოს:  
„ნასული და მომავალი  
ორივ ღმერთმა შეარცხვინოს!“

წაწყმედილმა ბებრუცანამ  
რა სიკეთე მოგვაყენა,  
რომ მომავალს მივეგებოთ  
და საქებრად აღვძრათ ენა?

არა, არა, მე ვერ მივსდევ  
უგნურს წესს და ჩვეულებას!..  
თაყვანს ვერ ვსცემ უმეცრებას,  
მის კანონს და მის უფლებას!

[1887]

## ქართველი უცხოეთში

ძველი ამბავი

„ბევრჯერ შიმშილს და სიცივეს  
ძალღივით აულრენივარ,  
მაგრამ იმავ დროს სხვა ძალას  
მე აღმა აუფრენივარ.

სიტყვები სასაყვედურო,  
სათქმელად მომზადებული,  
უკუქცეულა... გამქრალა,  
გადამწმენდია რა გული.

და მითქვამს: თუ რომ უმსხვერპლოდ  
ვერ გაიხარებს ქვეყანა,  
ღმერთო, მიმიღე ზვარაკად,  
ყელში გამერჭოს მე დანა...

და მით ასრულდეს ანდერძი,  
გადმონაცემი ძველთაგან:  
„იხსენ, უფალო, ჩემ გამო  
ქვეყანა განსაცდელთაგან!“

ასე ამბობდა ქართველი,  
ტყვედ გაგზავნილი სხვა მხარეს,  
და სპეტაკ წვერზედ წვეთ-წვეთად  
ცრემლსა აფრქვევდა მდულარეს.

ფიქრმა ნაილო... ოცნება  
ცეცხლად მოედვა და ალად,  
სანამდი ძილი მშვიდობის  
არ გადმოვიდა მკურნალად.



ამ დროს გაიღო კარები,  
მის წინა წარსდგა სკვითელი  
და მირონცხებულ მოხუცსა  
მტრულად შეახო მან ხელი:

ქვა დაჰკრა!.. თავი გაუპო,  
დაიმორჩილა მძინარი  
და, სულთამბრძოლი რომ ნახა,  
სიამით იწყო ხარხარი!

[1887]

## ჟორჟ-დე-პარი

ხან მცირეა და ხან მცხელა  
ყოველთვის კი – მშინო,  
ქუჩა-ქუჩა დავდივარ,  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

სხვებსავით ცუდკაცობას  
ჩემზე ვერ იტყვიანო,  
რომ მხედავთ, სულ ესა ვარ,  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

რა გამოვა, სხვებსავით  
ტყვილა რომ ვიჭკვიანო!  
სჯობს რაცა ვარ, ის ვიყო...  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

ისინი „პარუმობას“  
ბოროტად იმკიანო,  
მე სიმართლით ნაშოვნი  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

აფსუს, რომ ჩვენ ფრანტებსა,  
ტროტუარს რომ ჰგვიანო,  
ადიდებენ, და მე კი  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო!

ყველანი თვალთმაქცობენ,  
ქვეყანას სულს ჰხდიანო,  
მე არავის ვატყუებ,  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

ამ ჩვენ დიდ ვაჟბატონებს,  
კაცს რომ ეძახიანო,  
არ გავუცვლი ჩემს სახელს:  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო.

დეე, შემცხეს, შემცივდეს,  
რა ვუყოთ, რომ მშინო,  
ჩამოდექით, მოვდივარ,  
ჟორჟ-დე-პარი მქვიანო!

[1888]

## პატარა მურია

რას ნუნკუნებს ეს პატარა მურია?  
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?

ვისი არის და ან სადაურია?  
ქუცი, ქუცი! კუდქიცინა მურია!

რომ არ მოდის?!.. თითქოს უმადურია!  
რა ყოფილა, ხედავთ, ბრიყვი მურია?!

კიდევ რომ ჰყეფს?!.. რაღაც უცნაურია!  
თათი, თათი, სალახანავ მურია!

მისი ყეფა მხოლოდ მარტო შურია...  
ვის აშინებს სასაცილო მურია?!

მაგის ხერხი – ერთი ლუკმა პურია:  
გადაუგდებ, გაჩუმდება მურია.

ვინც გააძღებს, მისი შინაურია,  
იმას მონებს და კუდს უქნევს მურია.

ან კი რა ქნას? ბუნებით უძლურია!  
ქუცი, ქუცი! საცოდავო მურია!..

ლაქუცაა კუდქიცინა მურია,  
თუ არ შია და ან არცა სწყურია.

[1888]

## პროზიდან „ბოდვა“

ერთს ვისმეს ვიცნობ შორიდგან,  
 თქვენც გენახვებათ ყველასა,  
 ვარსკვლავებს ეპოტინება,  
 ჭიქა ჰკიდია ყელასა;  
 მგელს კრავის ტყავში დაჰმაღავს,  
 ქათამს მოჰპარავს მელასა,  
 სახალხოდ ოქროპირადა  
 გვიქადდა ჭირში შველასა!

თვითონ დარბაზში შებრძანდა,  
 ჩვენ დაგვსვა სანეხველასა!  
 ვინც გამოიცნობს ამ ბატონს,  
 მივართმევ საპოვნელასა!

||

დღეს ერთი ქალი გამაცნეს,  
 სახელოვანი, ქებული,  
 დედ-მამა ჰყავდა ქართველი,  
 ქართლშია დაბადებული;

მაგრამ ისეა ნასწავლი  
 და ისე განათლებული,  
 რომ დედაენაც არ იცის,  
 სძულს კიდეც, დავინწყებული!

თამარ, ქეთევან და ნინო  
 ყველა ჰყავს დანუნებული,  
 სხვას შესტრფის მისი გონება,  
 სხვა გრძნობით დამძიმებული!..  
 ღმერთმა ნუ მისცეს, რაცა ჰსურს  
 და შეურცხვინოს ერთგული!..

III

აქაც არის, იქაც არის,  
არც ჩვენია, არც სხვისაო,  
თავად ფრთხილი, თანამგრძობი  
მხოლოდ სხვისი მარცხისაო!  
ფარ-ხმალი აქვს სათვალთმაქცო,  
არც რკინის და არც ხისაო,  
აღმა ხნულში მხმარებელი  
სადაღმართო ფარცხისაო!  
მისი ღვანლი შეაჩვენოს  
მაცხოვარმა კაცხისაო!

[1889]

## არაკი

განთიადისას ბულბული  
 მოსთქვამდა: “ოშავ-დილაო!  
 ჩვენს ბალში ვარდი გამწყვარა,  
 შამბნარი წამოზდილაო;  
 დიდყურიანი, კუდმოკლე  
 შიგ მხეცი შემოჭრილაო,  
 ყვავილებს სტკეპნის, ზედ გორავს,  
 ყროყინებს: გრილა-გრილაო!”  
 პირდაღებული მებაღე  
 შეჰხარის: “რა ყოფილაო?  
 მალალ ბანით და კრინებით  
 ბულბული გაანბილაო!”

მივიდა, უთხრა ბულბულსა:  
 “ვეკრძალვი შენსა წყენასო,  
 მაგრამ მე რა ვქნა? დაბერდი,  
 აღარ გიქებენ სტვენასო.  
 ძირს გოგვას ველარ ახერხებ  
 და ზეით – აღმაფრენასო!  
 შენს ნაცვლად სხვა მგალობელი  
 მოუგზავნია ზენასო;  
 იბერება და პირს ალებს,  
 თითქოს აპირებს კბენასო,  
 კუდს მალლა იღებს, თავს დაბლა,  
 ტკაველზე აგდებს ენასო;  
 თითონვე არის მედოლეც,  
 მით გვიორკეცებს ლხენასო,  
 ხმამალალია: მთებს იქით  
 მგლებსაც უხიბლავს სმენასო,  
 და აწ გაფრინდი, ბულბულო,  
 არ გირჩევთ აქ დარჩენასო!”

ბულბულმა უთხრა: “ეგ სიტყვა  
გულს ისარივით მეცაო,  
ნალველი უფრო გასივდა,  
სიმწარემ იორკეცაო.  
ბალში რომ ბინა აღარ მაქვს,  
ამას კი ვხედავ მეცაო!..  
დავსტოვებ: წავალ, საითაც  
გზას დამინიშნავს ზეცაო.  
ვინც რომ შენსავით ყრუ არის,  
ჭკუა-კოჭლი და ბეცაო,  
მგალობლად ნუ მოუშალოს  
ღმერთმა ეგ ვირი-ქეცაო!”

ფრთები გაშალა, გაფრინდა  
და ცხრა მთა გადაიარა,  
თავისი გულისტკივილი  
მთა და ბარს გაუზიარა.

[1889]



## ახალი სიმღერა

პატარა ბიჭი ვიყავი,  
 პატარა ბიჭუკელაო,  
 „დაურჩი დედას, კარგი ხარ!“  
 შემომნატრიდა ყველაო.

პატარა გოგო მიყვარდა,  
 პატარა გოგუცნანო,  
 ცაზე ვარსკვლავიც არ ბრწყინავს  
 ლამაზი იმისთანაო.

თავი მოგვწონდა ორივეს,  
 გულს კარი მქონდა ღიაო,  
 შიგ ქიკჭიკობდა ბულბული,  
 ვარდი ჰყვავოდა, იაო.

გვეგონა, დაბლა ქვეყანა  
 მალლა ცით დათაფლულაო,  
 შიგ სიყვარული ნათესი  
 ჩვენს კარზე ამოსულაო...

თავზე დავიდგით გვირგვინი,  
 მივდექით საყდრის კარსაო,  
 მამასახლისმა დაგვჩხავლა:  
 – „მღვდელი, რად სწერდი ჯვარსაო!

„ნეფეს სალდათად ინვევენ,  
 უნდა მოხადონ ვალიო,  
 სამ წლამდის ქვრივად დარჩება  
 ხემწიფის პატარძალიო“.

ავტირდი პატარა ბიჭი,  
პატარა ბიჭუკელო,  
„ვაი, შენს დედას, საბრალოვ!“  
შემომტიროდა ყველო.

პატარა გოგოც ატირდა,  
პატარა გოგუცანო,  
მაგრამ ჩემ დაბრუნებამდე  
სხვა ნახა ჩემისთანო.

[1889]

## სალამური

გამიგონია, ვითომც ლერწამი  
 ობლის საფლაგზე ამოსულიყოს,  
 და თავის ქნევით, დამუქრებული,  
 მალლა ზეცისკენ ის წასულიყოს,  
 რომ მიეტანოს იქ ჩვენის ქვეყნის  
 მწარე ამბავი და საჩივარი,  
 მაგრამ იმავ დროს ეშმაკის სული  
 დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,  
 გადაელუნოს, გადმოელუნოს  
 და მოეთხაროს სულ ძირიანა;  
 მერე ენახოს მწყემსს ნაქცეული,  
 ხელში აელოს პატარა დანა  
 და გამოეჭრას მას სალამური,  
 რომ მონყენის დროს სული ჩაჰბეროს,  
 და მთა და ბარის დასატკობელად  
 ააკვნესოსო და აატიროს.  
 ეს უნდა იყოს ის მაცდური ხმა,  
 პირველ მწყემსისგან მოგონებული;  
 აქ ისმის ცის და ქვეყნის ამბავი  
 ერთად შეთხზული... შეზავებული!

[1889]

## პროზიდან „ბოდვა“

ღარიბი კაცი ვერ სწავლობს,  
პირუტყვი რჩება... მხეცია!  
მაგრამ რა მისი ბრალია?  
ხელს უშლის „უფულენცია!“

მდიდარიც აღარა სწავლობს,  
წიგნები შეუკეცია,  
ქეიფით დაქანცულია  
და ამბობს: „ინფლუენცია!“

იქაც რომ ქართველ სტუდენტებს  
გასძნელებიათ ლექცია,  
ნატრობენ სასმელს და საჭმელს,  
ანუხებთ „უფულენცია“.

აქ კი აქვთ ხელის საბანად  
ჩვენს ფრანტებს თვით ესენცია!  
ყელში ამოსდით ბლომანჟე...  
ჰგონია „ინფლუენცია“.

კნიაზი განზე ფულს ჰფანტავს,  
ხარჯები მრავალკეცია!..  
და შინ კი ცოლ-შვილს ატყუებს:  
„დუშიჩკა, უფულენცია!“

კნეინაც უხდის მაგიერს:  
სხვაგან აქვს რეზიდენცია,  
და იქ რომ სახადს შეიყრის,  
შინ ამბობს: „ინფლუენცია“.

ლიტერატორი ველარ სნერს,  
საგანს ვერ ჰპოვებს: ბეცია,  
სჩანს, რომ ორივე შეჰყრია:  
„ინფლუენც-უფულენცია!“

ეს ორი სენი ყველასთვის  
სწორედ მუნი და ქეცია:  
„უფულენცია“ არჩობს ზოგს,  
და ზოგსაც – „ინფლუენცია“.

მე კი გადავრჩი იმ ძველ სენს:  
დანიშნული მაქვს პენცია,  
მაგრამ სანამდე მომცემდენ,  
გამგუდავს „უფულენცია“.

[1889]

### ტ. ბაგრატიონის ალბომში

ნინოს, თამარს და ქეთევანს  
 არ სცოდნიათ სკვითის ენა,  
 მაგრამ მითი არ კლებიათ  
 ღირსება და ნიჭი ზენა.

ჩვენს დედებსაც, მათ მიმდევრებს,  
 წუნს ვერ სდებდა ვერა მტერი!..  
 მათით იყო საქართველო  
 ძლიერი და ბედნიერი.

დღეს მათგვარი აღარ სჩანან  
 სანუგეშოდ და იმედად:  
 ცოლს ცოლობას ვერვინ ატყობს  
 და ვერც ვინ სცნობს დედას დედად.

რად დამცირდენ? ვინ დასჩაგრა  
 დღევანდელი ქართველის ქალი?  
 მხოლოდ იმან, რომ სხვა არის  
 დღეს იმისი იდეალი.

სკვითის ენა, სკვითის ქცევა.  
 მეგობრადაც ვინმე სკვითი...  
 ვისურვებ, რომ აგცდენოდეს  
 შუნ ეგ სხვისი მაგალითი.

1889—ს წელსა 5—ს მაისს

## მღვდელი და ექიმი

მღვდელმა უბრძანა დიაკვანს:  
„ხომ ხედავ, ღმერთი სწყრებაო!..  
არც ქორწილია, არც ნათვლა  
და არც არავინ კვდებაო!

„ცოლები სხვის ქმრებს მისდევენ,  
ვინლა დაინერს ჯვარსაო?  
შვილებიც რომ აღარა ჰყავთ...  
ხმარობენ ჯადო ქარსაო!

„სიკვდილიც განზე გვიდგება,  
ის ჩვენი ცოდვით სავსეო!..  
აღარ გვაქვს შემოსავალი  
და გლახაკს დავემსგავსეო“.

დიაკონმა სთქვა: „მამაო!  
გულს ნუ გაიტყვხ ჯერაო!  
რომ ბედი გამოგვეცვლება  
ამ მოკლე ხანში, მჯერაო!

„ჩხუბი მოსვლიათ დოქტორებს,  
ერთმანეთს აკვდებიანო!..  
სნეულთან აღარ მიდიან,  
და თუ მიდიან, გვიანო.

„რალას არგებენ მომაკვდავს?  
მაგრამ არ სტკივათ გულიო:  
რეცეფტებს სწერენ სიჩქარით,  
რომ ჩაიფიბონ ფულიო.

„ფეხისას თავზე ადებენ  
და ფეხზე თავის წამალსო;  
დიპლომით უღეტენ ქვეყანას  
და ვინლა დასდებს მათ ბრალსო?“

მღვდელმა სთქვა: „ღმერთმა აკურთხოს  
იმათი მოხელობაო!  
ისინიც რომ არ გვშველოდენ,  
რალას გვარგებდა მღვდლობაო?“

[1890 წლამდე]



## წერილი ქალაქელ ქალისა სოფელელ მეგობარ ქალთან

მომივიდა შენი წიგნი  
მე, ქართულად მონაწერი,  
ვატრიალე აქეთ-იქით,  
ვერ გავიგე ვერაფერი.

მივაშურე ჩემს მეგობრებს  
და სიცილი დამაყარეს,  
რომ ქართული არ იციან,  
გულის წმინდით აღიარეს.

არ ვიცოდი რაღა მექნა,  
აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი,  
მაგრამ ბოლოს გამახსენდა  
და გადიას გარდავეცი.

ინერები, როგორა ვარ,  
ან დროებას ვით ვატარებ,  
მოკლედ გეტყვი, არ მცალიან,  
სრულ სიმართლეს აღვიარებ!..

რა გავიდა ქალაქიდან  
და მოგვმორდა დუშკა ლოდი,  
შენმა გაზრდამ, მე სიხარულს  
არ ვფიქრობდი, არ ველოდი.

სევდა გულზე შემომანვა,  
სისხლის მშრობი, ნაღვლის მწოვი,  
მაგრამ ბედმა ულოდნელად  
მოგვივლინა ტარტაკოვი.

არც ის შეგვრჩა დიდი ხნობით,  
გვეგონა, თუ დავრჩით მარტო,  
მაგრამ ღმერთმა შეგვიბრალა,  
გაგვიჩინა რუბირატო.

სადაც კიდევ სხვაც დაურთო,  
ჯერ არ ვიცი, რით შევამყო,  
რადგანც კარგად ვერც კი ვიცნობთ,  
ახალია პერკუოკო.

ყველა ასე გავიძახით:  
პერკუოკო, რუბირატო,  
და კაცებიც ბანს გვაძლევენ:  
პერ-კუ-ო-კო, რუ-ბი-რა-ტო!

1890 წ., 20 დეკემბერი

## მუშის ნატვრა

ვისაც რა უნდა უყვარდეს,  
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:  
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,  
მისი ყანაში ტრიალი!..

თავი მოუკვდეს ზოგიერთს,  
რომ იტაცებენ სხვისასა...  
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან,  
ურცხვად ივსებენ ქისასა.

ქორი ვარ, სხვას რომ მოვსტაცო?  
რად გავიშავო პირი მე?  
გარს შემოვევლე ჩემს გუთანს!  
ჩემი სახნისის ჭირიმე!

რათ დავიბნელო სიხარბით  
სამინე წუთის თვალები?  
ხერხსა, ხელეჩოს, სატეხსა,  
ნაჯახს, ცულს ვენაცვალები!..

რაც ჩემი ურმის არ არის,  
სახლში არ შემიტანია!  
ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემის  
ოფლით არ გამიბანია!

ბედს არ ვემდური, ღმერთს ვმადლობ!  
თავი არ მომაქვს საკვეხნად,  
თავდებად მაღლა ზეცა მყავს  
და დედამინა ამქვეყნად.

ვისაც ვინ უნდა უყვარდეს,  
მე სულ სხვისა ვარ ტრფიალი,  
სანამდი მადლით დამყურებს  
საშვილისშვილოდ ღვთის თვალი.

[1890]

## ბოდვა

ერთი რამე შემინიშნავს,  
მაგრამ ჩუმად გეტყვი ყურში:  
ჩვენში თურმე ბევრი არის  
კაჭკაჭი და თუთიყუში.

სხვისი აზრით მოაზრე და  
სხვისი სიტყვით მოუბარი,  
ვით ბრძენი და მჭევრმეტყველი,  
აბა, ჩვენში ვინ არ არი?

ერთი ნახვით ვერ შეატყობთ:  
იჩენს გრძნობა-გონებასა,  
რადგანც, ვითომ თავის ბარგად,  
ატარებს სხვის ქონებასა.

და თუ ნახეთ მეორედაც  
ის ნასწავლი საოცარი,  
თუთიყუში გამოდგება,  
წარამარად მოუბარი.

[1890]

## შობა

აღმოსავლეთით გამოჩნდა  
 ვარსკვლავი „სჯულის ცნობისა“,  
 ჯერ უნახველი კაცთაგან,  
 უცნაურ სხივოსნობისა!

გაჰკვირდენ ვარსკვლავთმრიცხველნი,  
 ვერ მისწვდა მათი გონება...  
 ინიშნეს მხოლოდ მოგვებმა  
 და იგრძნეს უფლის მონება.

ჰფიქრობდენ ქვეყნის მპყრობელის  
 ამქვეყნად დაბადებასა;  
 თან მიჰყვენ ვარსკვლავს მიმავალს,  
 ჰგალობდენ ქებათ-ქებასა.

გაჩერდა ბეთლემს მნათობი,  
 ქვაბზე სხივები დაჰფინა,  
 სთქვეს მოგზაურთა: „აქ არის  
 ახალშობილის, სჩანს, ბინა!“

შევიდენ, ნახეს მწოლარე  
 ბაგაში საკვირველი ყრმა,  
 ნაცვლად „მზე შინის“ ისმოდა  
 ანგელოსთ საამური ხმა!

ხედავენ ღარიბ სახვევში...  
 არსად სჩანს ხოჭიჭ-აკვანი!..  
 დაემხვენ მის წინ მორჩილად,  
 სასოებით სცეს თაყვანი.

ოქრო, გუნდრუკი და მური  
შესწირეს ახალშობილსა,  
და უგალობდენ სიმდაბლით  
საგალობელსა წყობილსა:

„დიდება ყოვლის შემოქმედს!  
დიდება მისსა მცნებასა!..  
დიდება ქვეყნად მაცხოვრის  
ხორციელ მოვლინებასა!..“

[1890]

## ნათლისღება

ვუძღვნი პატარა ილიკოს

კურთხეული კიდით კიდე  
მადლით ღელავს იორდანე,  
შიგ სდგას ერი და ნათელს სცემს  
ერთად წმინდა იოანე.

არემარეს, იქ მღელვარეს,  
მიმოავლო ლოცვით თვალი  
და იხილა შორით სერზე  
მგზავრი მშვიდად მომავალი.

ერს შეჰყვირა: „აჰა, მოვალს! –  
და უჩვენა მგზავრი თითით, –  
მე ნათელს ვსცემ მხოლოდ წყლითა,  
ის ნათელს სცემს სული-წმიდით!“

მუახლოვდა მგზავრი, მდაბლად  
მოიკითხა იოანე...  
უთხრა: „მოველ ნათლისღებად,  
მეც გამწმინდე და გამბანე“.

ჩადგა წყალში იოანე,  
ნათელს სცემდა წმინდა წყლითა  
და იმავ დროს მტრედის სახედ  
გადმოვიდა სულიწმიდა.

[1890]

## მუშები

ბიჭო, მამალმა იყივლა,  
 აპირებს გათენებასა!..  
 მუშა ხარ, მეტ ძილს ერიდე,  
 როგორც ჭირსა და სნებასა!

თორემ თუ თავი წაგართვა,  
 დაგაბეჩავებს ტიალი,  
 დაგავინწყდება გუთანი,  
 თოხის და ნამგლის ტრიალი!

ცისკრის ვარსკვლავიც კაშკაშობს –  
 ის ხომ თვით უფლის თვალია! –  
 დაჰხარის მუშას, როცა ის  
 საქმეზე მიმავალია.

ადეჟი, ღმერთი ახსენე,  
 დავხედოთ იმ ჩვენ ყანასა!  
 გულგასავსებათ დანამულს  
 ნიაფი უმღერს „ნანასა“!

[1890]



## არწივი

გალიაში ზის არწივი,  
ველარ ახერხებს ნავარდსა,  
ველარც სჭვრეტს ატეხილს ქალებს,  
ვერც ყნოსავს ია და ვარდსა.

ტანჯვით იგონებს იმ ძველ დროს,  
როცა თავს აჯდა იალბუზს,  
და ქვემოთ მავალ ცხოველებს  
ოდნად ჰხედავდა, ვითა ბუზს;

ცის სიახლოვით ამაყი,  
ძირს ეშვებოდა შურდულად,  
სხვებზედ პირდაპირ მიმსვლელი  
თვით დაიჭირეს ქურდულად.

გალიაშია მზებნელი  
მარტოდმარტოკა ის ობლად,  
და იქვე ჯირკზე მიბმული,  
ბაიყუში ჰყავს მეზობლად.

[1890]

## სადღეგრძელო

თქმული იმავე ვახშამზედ

ოცნებით ვკითხე შექსპირის აჩრდილს:  
 “შენ ხარ მთავარი, მგოსანთ უფროსი,  
 მაგრამ ვერ მივწვდით შენს მაღალ აზრებს  
 და ვინ აგვიხსნის?” – „ერნესტო როსი!“

ესევე ვკითხე ხელოვნებასაც:  
 „წარსულთა დროთა, ანუ ამ დროსი,  
 ვინ მიგაჩნია უკეთეს მოძღვრად?“  
 მანაც მომიგო: – „ერნესტო როსი!“

კაცებსაც ვკითხე, ვინც დღეს არიან  
 თაყვანისმცემი მხოლოდ ოქროსი,  
 და მათაც კი სთქვეს, რომ „ოქროზედაც  
 სათაყვანოა ერნესტო როსი!“

მაშინ ავიღე სასმო ქართულად  
 და უფროსის წინ წავდექე უმცროსი,  
 რომ ვადღეგრძელო მამაპაპურად  
 სახელგანთქმული ერნესტო როსი!

[1890]

## ლეგენდური

ღმერთმა ბრძანა: „მზე და მთვარე  
ახლდენ თამარ დედოფალსო!  
სხივს აფენდენ მის დიდ გვირგვინს,  
უნათებდენ გზა და კვალსო:  
ნარსულსა ჰხნავს, აწმყოს სთესავს,  
მკას უმზადებს მომავალსო, –  
არემარემ თაყვანი სცეს  
ზეცის რჩეულს ნატვრის თვალსო!“

ვინ ეურჩოს ღვთის ბრძანებას?!  
არ გასტყდება უფლის სიტყვა!..  
დამორჩილდა არემარე,  
გადგა მხოლოდ გურგანის ზღვა:  
არად უჩანს დიდი მეფის  
არც წყალობა, არცა რისხვა!  
რას გულდიდობს, რად არ იცის,  
მიადგება კარს განკითხვა?!

ნარბი შეჰკრა დედოფალმა,  
გაიშვირა მძლავრად ხელი,  
ბრძანა ჯარის გამონწვევა:  
ხელთ აიღონ ნამგალ-ცელი!  
გადამკონ და გადათიბონ  
მინდორი, ტყე, მთა და ველი!  
თივა ურჩ ზღვას დააყარონ,  
გაუკეთონ თავსარქველი.

„გაუხსენით ძარღვი ბაქოს,  
გამოუშვით კუპრის წყარო!  
მინდა, ზეთი ჯოჯოხეთის  
მოლალატეს დავაღვარო...  
ცეცხლი მივსცე, ამოვაშრო,  
ბარით ძირი გავუთხარო,  
თავმან ჩემმან, ჩემი ურჩი  
არ ვაცოცხლო, არ ვახარო!“

ღვთის რჩეულის ბრძანებასა  
მხოლოდ შმაგი ვერ მიხვდება!  
იწვის კასპი კიდით კიდე,  
ალი მალლა ცამდე სწვდება!..  
გულდიდობა ყბედ-ღრიალას  
სინანულში ავინყდება,  
შენდობას სთხოვს თამარ მეფეს  
და მოხარკედ გაუხდება.

[1890]

### ეპიტაფია

„სამშობლოს“ ავტორის დავით ერისთავისა

ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ,  
საიმქვეყნიოდ და საამსოფლოდ,  
ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა,  
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

[1890]

## სახსოვარი ბაქრადის

სამაგალითო ცოდნასთან შრომა  
და სიყვარულით ავსილი გული,  
აი, ვის ჰქონდა ჩვენში უტყუვრად  
შეთვისებულ და მინიჭებული.

დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი,  
გულზე დაეჭდო მშრომელი ხელი,  
ნათლით მოსილსა, ნათლის მძებნელსა  
ამიერიდან დაჰფარავს ბნელი.

მაგრამ დაჰფარავს მხოლოდ მარტო გვამს  
და სახელი კი, ერთად მის ღვანლთან  
ნათლის სხივებით შენაკავშირი,  
როდი ჩაჰყვება სამარეში თან.

ის აქ დარჩება საშვილიშვილოდ,  
ვითა თვით რჯული! ვით წმინდა მცნება!  
და ყველას გულზე დაგვეხატება  
სამარადისო მაგის ხსენება.

მშვიდობით, ძმაო, ვით სოფლის მუშას  
გადახდილი გაქვს ამ სოფლის ვალი  
და შენსა ანმყოს... შენსა წარსულსა  
დააგვირგვინებს თვით მომავალი.

ძეგლი იქნება გრძნობა-გონება  
და არა ხელით ზეამართული,  
ზედ ეწერება: „კიდევ დიმიტრი,  
ესეც ქვეყნისთვის თავდადებული“.

[1890]

## მერცხლისა და ჭიკჭავის ომი

ამონუმპული, მცივანა,  
ჩანჩალით მიდის ზამთარი,  
სუნი სდგას გაზაფხულისა –  
დრო საქორწინოდ მზად არი.

ან სადაც არის გაჩნდება  
მახარობლადაც მერცხალი,  
ჭიკჭიკს დაიწყებს საამოდ,  
ბუნების ეშხით დამთვრალი!

შორიდგან მოდის... წინ უძევს  
ბევრი ცხრა მთა და ცხრა ველი!  
„უზმოდ ნუ გახვალ სახლიდან  
და ხელ-პირ დაუბანელი,

„რომ არ დაგასწროს ჩიტუნამ  
და უთხრა: „მიჯობნიაო!  
მე გულისყური მემატოს, –  
შენ ღმერთმა დაგიბნიაო!“

ეს რომ სთქვა ჩემმა გადიამ,  
ვურფხილდებოდი მერცხალსა:  
შარშანდელს იმის ნაბუდარს  
არ ვაშორებდი მე თვალსა.

როცა მოფრინდა, მზად დავხვდი,  
ვაჯობე მახარობელსა!..  
გამდელმაც მაღლი შესწირა  
ცისა და ქვეყნის მპყრობელსა.

მერცხალმა ბუდეს მიჰმართა  
მოძებნა ძველი სახლ-კარი:  
მიგლესილს მყუდრო კუთხეში  
ვერც წვიმა სცემდა, ვერც ქარი!

იამა, ფრთა ფრთას შემოჰკრა,  
ჭიკჭიკით კარში გავარდა,  
ჰკრა... აუკიდა კამარა...  
ცხრაგვარად შეინავარდა.

ენყინა ჭივჭავს, რომ ნახა,  
სთქვა: „ეს ვინ მოიწვიაო?  
სალხინოდ მოდის და ჭირი  
მას გულზე არ ასვიაო!..“

„ჩვენი ზაფხული თუ მოსწონს,  
რალად იწუნებს ზამთარსო?  
ინდოა გაუტანელი,  
მიჰყავს და მოჰყავს სხვა ქარსო!

„მე აქ ვარ დაბადებული,  
აქვე ვიზრდები, აქ ვკვდები,  
ჩემს ფერად-ფერად სამშობლოს  
ერთ ნამსაც ვერა ვშორდები.

„სიცხესაც ვიტან, ყინვასაც,  
ჩემის სამშობლოს ლხინს და ჭირს,  
და მერცხალივით სხვა მხრისკენ  
არც გულს ვიბრუნებ და არც პირს!

„რა სიმართლე აქვს, რომ მოდის,  
მიხდება მოზიარედო?  
ან სულ ჩემსავით დასახლდეს,  
ან გამეცალოს გარედო!“

ჩაუჯდა მერცხალს ბუდეში,  
მიენდო მისვე საფარსა,  
ნისკარტით სცემდა, ჰკორტნიდა  
აბუჩად მოსულ სტუმარსა.



კუდმაკრატელა, გულთეთრა  
 გაფრინდა დაღონებული,  
 ბუდეში დარჩა კუდრაჭა,  
 ამაცი, გამარჯვებული.

ამ დროს მოფრინდენ მერცხლები  
 გუნდად და დასცეს კიჟინა,  
 მაგრამ გარედან მუქარამ  
 შიგ მჯდომი ვერ შეაშინა!..

ბუდიდან იმზირებოდა  
 თავ-კისერმოღერებული!..  
 რომ ვერას გახდენ მერცხლები,  
 გაფრინდენ დამარცხებული

გაფრინდენ, მაგრამ ისევე  
 მალე დაბრუნდენ სხვა სახით,  
 ყველას ბრჭყალები აევსო  
 და პირი სქელი ტალახით.

მისცვივდენ, ბუდეს დაუნყეს  
 გლესა და ამოშენება,  
 რადგანაც ნებით ბელურას  
 გაფრენა აღარ ენება.

თაღს უკეთებდენ, ბურთავდენ,  
 რომ გამოერჩოთ შიგ მტერი,  
 მაშინ კი შეკრთა მამაცი,  
 შიშით ეცვალა მას ფერი.

და გამოფრინდა ბუდიდან...  
 დააგდო სხვისი სახლ-კარი,  
 რომ მაგიერი მიეზლო,  
 დაეცა მათთვის თავზარი.

მაღე დაბრუნდა ჭივჭავი  
თავის მოძმეების გუნდითა, –  
ასე გახადეს მერცხლები,  
ქვა ასროლიეს კუდითა!.

აქა-იქ მიფანტ-მოფანტეს,  
დასძლიეს... ხელი დარიეს!..  
მათი ტალახის შენობა  
ზედ თავზე გადაანგრიეს.

[1890]

## ფელტმანის ალბომში

ვიცი, რომ არა ვიცი რა!  
მატყუებს გრძნობა-გონება,  
და ბნელით ბნელში მიმათრევს  
უგნურებისა მონება.

გიპნოზიც ვერას მიშველის,  
ჯერ თვითვონც უსუსურია  
და ვინ მომასწრებს, რომ ახსნას,  
რაც მთელ ქვეყანას სწყურია?

მაგრამ რომ ეჭვში შევდივარ,  
ნუგეშად ისიც კარგია!...  
იმ ბნელი საიქიოსთვის  
იმედიც კარგი ბარგია!

3 ივნისი, 1891 წ.

## ობოლი და დედამისი

ობოლი მშობელს ჰკითხავდა:  
 „მითხარი, ჩემო დედიო!  
 ჩვენ მარტო რომ დავრჩენილვართ,  
 რად გაგვწყნრომია ბედიო?“

„ტოლსა და ამხანაგებში  
 აქამდე ვინც მინახავსო,  
 ვხედავ, რომ გარდა დედისა  
 სუყველას მამაცა ჰყავსო?“

დედამ აკოცა, და უთხრა:  
 „შვილო, შენც გყავდა მამაო,  
 მაგრამ უწყალო სიკვდილმა,  
 უდროვოდ მოიჭამაო.“

„წყალდიდობაზე მდინარეს  
 მიადგა გასასვლელადო,  
 ფონმა უმტყუნა, ნაიქცა,  
 დააღრჩო იქვე ხელადო“.

„ხიდი არ ჰქონდა იმ წყალსო?“  
 „კი, შვილო, როგორ არაო!  
 მაგრამ შინ ეჩქარებოდა,  
 შორს აღარ მოიარაო!“

„აქამდი ხომ მოაღწევდა,  
 რომ ევლო ნელა-ნელაო?“  
 „მაგდენი ველარ იფიქრა,  
 დღეც იმან დაუბნელაო!“

[1891]

## ნინობას

იტირე, მინავ, სამშობლოვ!  
ზარი აუშვი, ზეცაო!  
ისტორიულმა ღვთის რისხვამ  
დღეს ჩვენთვის იორკეცაო!..

ენაც წაგვართვეს და რჯულიც,  
ნათელი რამლა გვფინოსო?  
„თამარ“ მონათლეს „ტამარად“,  
„ნინა“ დაარქვეს ნინოსო!

სად არის კუბო თამარის,  
ქვეყნისა ნაამბორისა?  
ვის ხელში არის საფლავი  
ნინო მოციქულთ სწორისა?..

სადლაა ჯვარი ვაზისა,  
შეკრული წმინდის თმებითა?  
დასდუმდა მისი ტროპარიც,  
ქართულის კილო-ხმებითა!

ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს  
წვალება შემოერია  
და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე  
„ქართველი“ აღარ სწერია!

ვიტიროთ?!. არა! ვაჟკაცსა  
არ შვენის ცრემლით გლოვანი!..  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი!“

## გედი

სიკვდილის წინედ, ამბობენ,  
 აჭიკჭიკდება გედიო  
 და ტკბილ ჰანგებში იმარხვის  
 მისი არსების ბედიო.

უცნაურია გალობა  
 პირველ და უკანასკნელი!..  
 აქ იხატება ცის სივრცე,  
 აქვე ისახვის ქვესკნელი.

ორაზროვანი, ორ-კილო,  
 ერთის ხმით გამომეტყველი,  
 შემოქმედების ქებაა,  
 ცისა და ქვეყნის შემკვრელი.

საამაქვეყნო ზარია,  
 საიმქვეყანო ზევსური,  
 გელო! შევნატრი შენს ჭიკჭიკს,  
 შენგვარ სიკვდილსაც მეც ვსური!..

[1891]

## დათვი

ყველა მხეცი ხომ მხეცია,  
მაგრამ დათვი სხვაგვარია:  
მთა და ბარი საჭმოთა აქვს,  
ტყე და ველი აბარია.

დღის სინათლე ეჯავრება,  
უხარია, როცა ბნელა,  
გამოდის და დანადირობს,  
ფრთხილად დადის... ნელა-ნელა.

უკუდო და თავხოკერა,  
ბანჯგვლიანი, პირმყრალია!..  
ბუნებითად ფრთხილი არი,  
მაგრამ როცა გამწყრალია,

მაშინ იჩენს გულადობას:  
სულ ბდღვირს ადენს არემარეს  
და თუ შეხვდა, არ გაუშვებს  
არც მტერსა და არც მოყვარეს.

არ იზოგავს ბრჭყალს და კბილებს,  
ნარამარა აქნევს ტორებს  
და ჰზელს, როგორც ხაბაზი პურს,  
მიტორავს და მიაგორებს!

მისი ყველას ეშინია,  
ერიდება ამ ბრიყვს ყველა!  
ბატონივით დაბრძანდება,  
დაბობლინობს დათუნელა.

არც ხსნილს ჰზოგავს და არც მარხვას,  
სულ არ იცის დაურწყება:  
თუ სახსნილო ვერ იშოვნა,  
სამარხოსაც მიაძლება.

ხილიც უყვარს... ყურძენს ხომ რა!..  
 სვლეპავს, სანამ არ დათვრება,  
 მაგრამ უფრო სუყველაზე  
 თაფლი უყვარს... ენატრება.

და თუ სადმე შეიგულა,  
 ფუტკრებს აღარ ერიდება:  
 ჩაჰყოფს ცხვირ-პირს ფულუროში,  
 სანამ კარგად არ გაძლება.

რომ გაძლება, მერე იგრძნობს  
 ტკივილსა და თავს იტორავს,  
 დაეცემა ძირს ჯირკვივით,  
 ღრიალით და კვნესით ჰგორავს.

ნაკბენს როცა მოიშუშებს,  
 ავინყდება მერე ყველა  
 და ისევე დასუნაგობს  
 უნმინდური, ღორმუცელა.

ყველაფერს სჭამს... რა თქმა უნდა,  
 რომ საზრდო არ დააკლდება!  
 სულ ლხინშია გაუნყვეტლად,  
 სანამდი არ დაზამთრდება.

და მაშინ კი სანოვაგე  
 ყველა ერთად მოაკლდება,  
 დაღონდება დავით-ბეგი  
 და სოროში შებძანდება.

ფეხს ილოკავს, გულს აყოლებს  
 ცოტას ფხიზლობს!.. უფრო სძინავს,  
 სიზმრებს ჰხედავს სხვადასხვაგვარს,  
 ხან ტკბილად ფშვენს და ხან ხვრინავს!..



სხვა მხეცები ეჯავრება,  
თავს ხომ არც ერთს არ უყადრებს!  
მხეცებსაც სძულთ, მაგრამ რა ქნან?  
პირადად კი ვინ რას ჰკადრებს!..

ყველა მხეცი – მხეცი არის,  
მაგრამ დათვი სხვაგვარია:  
მთა და ბარი საჭმოთა აქვს,  
ტყე და ველი აბარია.

[1892]

## ჩიტი გალიაში

პატარა ჩიტი ჩიოდა:  
 რათა ვარ დამწყვდეული?  
 გალიაში ვარ ტყვექმნილი,  
 მწყდება და მტკივა გულიო:

ჩემ ტოლ-ამხანაგ ჩიტუნებს  
 მოსვლიათ გაზაფხულიო!..  
 მათთვის გამლილა ბუნება,  
 ფერად-ფერადად მკულიო.

დაჰფრენენ, დაჭიკჭიკებენ,  
 შვება ეძლევათ სრულიო  
 და მე კი ყველას ამაებს  
 ვარ ობლად მოკლებულიო.

რათ მინდა ტუსალს ალერსი?  
 ეს მოყვრობაა მტრულიო  
 და ვინც ამ დღეში ჩამაგდო,  
 ღვთისაგან იყოს კრულიო.

[1892]

## ხალხური

ქვეყანამ ეთერს შვენებით  
 თამარი ამჯობინაო:  
 მიუვალ ადგილს, კლდის წვერზე,  
 მას დაუნიშნა ბინაო.

სანთლად დაუნთო ვარსკვლავი,  
 ცა საბნად დაახურაო,  
 შვიდასი წელი შორიდან  
 იმედით უთვალყურაო!

აღმოსავლეთით გამოჩნდა  
 ვარსკვლავი ბეთლემისაო,  
 ნიშანი ახალ აღთქმისა,  
 წინამორბედი ღვთისაო.

მზეს ედრებოდა სიცხოვლით,  
 სინაზით სავსე მთვარესო,  
 უცნაურ სხივებს აფენდა  
 ოთხკუთხივ ყოველ მხარესო.

მივიდა, ბოყვას<sup>1</sup> გაჩერდა,  
 სადაც ამბობენ თამარსო,  
 ძველ საყდარს დაქათქათებდა,  
 სხივებს აფენდა მას გარსო.

წამოდგა მზეთუნახავი,  
 სთქვა: „დიდხანს მძინებიაო!..  
 სანამდი ვიყავ მღვიძარი,  
 არავის მშინებიაო...“

1 სოფელია რაჭაში (ავტორის შენიშვნა).

„მაგრამ ლალატმა ბოლოს დროს  
პირბადე დაიფარაო:  
მტერი მომადგა მოყვრულად  
და ბანგი შემაპარაო.

„დღეიდან მმართვეს ფხიზლობა,  
მეყო ამდენი ძილიო!..  
სამოურავო ჩემია:  
ღვთისმშობლის ხვედრი... ნილიო!“

ქვეყანამ ეთერს თამარი  
ტყვილად არ ამჯობინაო:  
ცაში აქვს სამარადისო,  
აქ – საუკუნო ბინაო.

[1892]

## ხოლერა

მესტიურიული

I

ხოლერამ სთქვა: „ღვთის რისხვა ვარ,  
სიკვდილის მოციქულიო,  
მიქელ-გაბრიელს ვახლავარ  
ერთგული ბოქაულიო,  
როგორც მიმინო სამწყეროდ,  
სულებზე განაფულიო!..  
ვერც შემამინებს მუქარა,  
ვერც მომიყიდის ფულიო!..  
მივალ, ქორივით ვებდღვნები,  
თუ შემხვდა განირულიო,  
ხორცს ცოდვილ მინას მივუგდე  
და ცაში მიმაქვს სულიო!..“

II

დაბძანდა ღმერთი მალალი  
სამსჯავროდ, გულმოსულია!..  
ბრძანებს: „გაფუჭდა ქვეყანა,  
ლამის დაჰკარგოს რჯულია!..  
მხარე უქცია სწორე გზას,  
მრუდე გზით მოარულია,  
ველარ მოეგო გონებას,  
არ იცის სინანულია...  
მეყო ამდენი მოთმენა  
და მეტი სიბრაღულია!  
ახლა კი დროა, ვაჩვენო  
ძალი და სასნაულია:  
აღარ დავზოგო გლეხკაცი,  
დავსაჯო დიდებულია!  
ქვეყნის მატყუარ ვაჭრებსა  
ველარ უშველის ფულია!

ჩინოვნიკებიც დაჟულიტო, –  
 საქმე აქვსთ დახლართულია...  
 მაშინ ღვდლებს რთველი მოუათ,  
 დიაკვნებს გაზაფხულია!  
 მერე იმათაც მოვკითხავ,  
 მკვდრებზე მიუდისთ სულია.  
 ეს არის ზეცის სასწორი,  
 საქვეყნოდ დადებულია!..“

## III

შეიძრა ცა და ქვეყანა  
 ამ სიტყვით დიდებულითა,  
 ფეხზე აღარ დგას ეშმაკი  
 ჯოჯოხეთს სიხარულითა!..  
 ასტირდენ ანგელოზები  
 ამ ქვეყნის სიბრალულითა.  
 ის ჩვენი წმინდა გიორგი  
 საესეა სასწაულითა, –  
 წინ დაუჩოქებს შემოქმედს  
 და ევედრება გულითა:  
 „შენ გააჩინე ქვეყანა  
 ნებით და სიყვარულითა!..  
 დღეს რაღათ გამოიმეტე  
 რისხვით, წყევლით და კრულვითა,  
 და რათ უგზავნი ხოლერას  
 მიხეილ-გაბრიელითა?..“

## IV

ბრძანა უფალმა: „გიორგი,  
 მაგრე რათ შეგეშინდაო?  
 ქართლში გავგზავნე ხოლერა,  
 იქითკენ გადაფრინდაო,  
 შიგა და შიგან გამომკის,  
 თუ კარგად გამიწმინდაო!  
 ქართლი ღვთისმშობლის ხვედრია,  
 ძემ ღვთისამ დაინდაო,  
 ქეთევან მისთვის ენამა

და ნინო მოუვლინდაო,  
 თამარსა მისი გულისთვის  
 სულ სისხლის ცრემლი სდინდაო,  
 და საუკუნოთ განირვა  
 იმისი არც მე მინდაო!..“

## V

გიორგი ჰკადრებს: „დიდება  
 შენს სულგრძელებას, უფალო!  
 გინდა ბოროტი გააქრო,  
 კეთილი კეთილს უცალო!  
 მაგრამ ხოლერის შიში მაქვს, –  
 ყრუ არის ის და უთვალო,  
 ნარამარ დაეხეტება  
 უაზროთ, უგზო-უკვალო!..  
 ვაი, თუ ბრალიანებში  
 გამოურიოს უბრალო!..  
 თუ შენი ნებაც იქნება,  
 მე გამისტუმრე, უფალო,  
 ვინც სასიკვდილო არ არის,  
 ხელიდან გამოვაცალო!..“

## VI

„კარგიო, – ბძანა უფალმა, –  
 ადექი, დაეჩქარეო!  
 კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდი  
 სულ ფეხ-ფეხ მოიარეო;  
 სადაც კი შეგხვდეს ცოდვილი,  
 ხოლერას ჩააბარეო,  
 რომ ველარ ნახოს ნათელი,  
 დაბნელდეს მზე და მთვარეო!..  
 მაგრამ, თუ ნახო მართალი,  
 ზე კალთა დააფარეო,  
 გადაეც ჩემი კურთხევა,  
 ქვეყნადვე დაამყარეო!  
 ნუ გამოუღევ სიმდიდრეს,  
 ცოლ-შვილში გაახარეო!..“

## VII

მაღლი შესწირა უფალსა,  
 წამოდგა გახარებული,  
 სხივებს გადმოყვა მაღლიდან  
 ნათლით პირგაბრწყინებული.  
 დადის, დაეძებს მართალ კაცს,  
 გულდაგულ გაჩქარებული.  
 წინ შეეყრება დიდკაცი,  
 ყურთმაჯებ გადაგდებული, –  
 დღეს როგორღაცა ქვეითობს  
 მამაპაპობით ქებული!..  
 არც სახითა ჰგავს წინაპარს,  
 აღარც ხორცი აქვს, არც სული!..  
 დროს აყვა, მაიმუნობით  
 დაჰკარგა ყმა და მამული,  
 მტრის საგულისო გამხდარა,  
 მსახურებს გაჭირვებული,  
 ლუკმას მოელის დღიურსა,  
 შეჰყურებს პირდაღებული...  
 თუ სადმე, ერთხელ ათასში,  
 ხელში ჩაიგდო მან ფული,  
 მაშინვე მიფლანგ-მოფლანგავს,  
 რჩება მთლად ამოგდებული...

## VIII

შეხედა წმინდა გიორგიმ,  
 გადააქნია თავია...  
 – „ეს თავადაზნაურობა  
 რა ცუდი სანახავია:  
 თავისი კარგი დაჰკარგა,  
 მოიმკო სხვისი ავია,  
 აღარ სწამს თავის ქვეყანა  
 და თავის სალოცავია!..  
 თავის მკვდრებს აღარ იგონებს,  
 სხვებზე აცვია შავია!



რომ შევიბრალო, არა ღირს!..  
 აბა, რა საცოდავია?  
 ისევ ხოლერას დაფუთმობ,  
 იმან გააძროს ტყავია!..“

## IX

მოშორდა წმინდა გიორგი...  
 ცოტა რომ გადაიარა,  
 წინ, გალეშილი არაყით,  
 გლახკაცი შემოეყარა;  
 ზურგზე ეკიდა არძები,  
 უბეში მარკა ეყარა,  
 აღარ ახსოვდა ღვთის ძღვენი,  
 აღარც საქვეყნო ბეგარა!..  
 დავიწყებია ხვნა და მკა,  
 თესვას ახერხებს ველარა!..  
 ღვთის მუშათ აღარ ვარგია,  
 დადის ეშმაკის მკვეხარა!..

## X

ენყინა წმინდა გიორგის,  
 მუხლზე დაიკრა ხელია!..  
 სთქვა: „მაბეზღარი და ლოთი  
 გლახკაცათ რა სათქმელია?  
 არ აგონდება სახლ-კარი,  
 მინდორი, ტყე და ველია,  
 სუდებში დაეხეტება  
 და დუქან-დუქან მსვლელია!  
 გარეშე სტუმრათ არ ვარგა,  
 შინ ცუდი მასპინძელია,  
 შეძულებია გუთანი,  
 თოხი, ნამგალი, ცელია, –  
 ადრე რომ დედამიწისა  
 სულ ოფლით იყო მრწყველია,  
 დღეს ღვინისა და სისხლისა

ბოროტად დამთხვევლია!  
 ხატი და ჯვარი აღარ სწამს  
 და ფიცის გამტეხელია,  
 სხვებს რომ უყურებს უგნური,  
 იმათი მიმბაძველია!..  
 ეტყობა, ამის მარჯვენას  
 ღვთის მაღლი გამოელია, –  
 მინა მოსავალს უკავებს,  
 ვენახს უსეტყვავს ელია!  
 ამისი გამოზრუნება  
 ხელახლა მეტათ ძნელია...  
 აღარ ვარ ამის მოსარჩლე  
 და კალთის დამფარველია!  
 ამისი ბინაც აქ იყოს,  
 სადაც ხოლერის სთველია!..“

## XI

მერე სთქვა: „ახლა გავსინჯოთ  
 მღვდელი და დიაკონია!..  
 ღირსი არ შემხვდა სხვა წრეში,  
 იქ კი ვიპოვნე, მგონია“.  
 (– ეტყობა, მათი ანბავი  
 ცაში არ გაუგონია!).  
 გამოიცვალა წესები,  
 წახდენ ჟამნი და დრონია...  
 სადღაა მღვდელი ქართველი?  
 სხვაგვარათ თავმომწონია!..  
 წიგნების კითხვა ეშლება,  
 არც ესმის ტიბიკონია,  
 დათუურათ ბლავის და ჰფიქრობს,  
 რომ ტკბილი იადონია!  
 ხატს წმინდა სანთელს არ უნთებს,  
 შიგ გარეული ქონია,

საწყალ მრევლს გამოუღია  
 დრამით ძალი და ღონია,  
 სხვა გზა ადგია, მაგრამ ჯერ  
 კიდევ გასაავალს ფონია!..

## XII

დაღონდა წმინდა გიორგი,  
 ხმამალა იწყო გოდება:  
 „ვაი, მიმტყუნა იმედმა,  
 წამიხდა მიდებ-მოდება!..  
 ყველა წრე გაფუჭებულა,  
 წამხდარა ყველა წოდება!  
 ჩინოვნიკებს და ვაჭრებსა  
 რა ხელი მიეწოდება?  
 ყველაც რომ განყდეს ხოლერით,  
 ზეცას რად შეეცოდება!..“  
 და ღმერთს რა უთხრას გიორგიმ,  
 გული მით დაეკოდება.

## XIII

გზაჯვარედინზე გავიდა,  
 მტირალი, როგორც ქალია,  
 დაბლა მოიყრის მუხლებსა,  
 მალლა ააპყრო თვალია,  
 ზეციერ მამას შესჩივის,  
 მლოცველი გულმხურვალია:  
 „იდიდოს შენი კანონი  
 და შენი სამართალი!..  
 დავიწყებია ქართველებს  
 შენი სესხი და ვალია,  
 გადაცდენია ძველ გზასა  
 და დაბნევია კვალია,  
 მაგრამ იმისი გაქრობა,

ჯერ მაინც, ცოდვა... ბრალია!..  
 შენ ხელში არის, უფალო,  
 იმისი მომავალი!..  
 შეუნდვე ცოდვა და მოეც  
 შენი მადლი და ძალია!..  
 ამის მეოხი პატრონი  
 თვით ზეცის დედოფალია!“

## XIV

იდიდოს წმინდა გიორგი,  
 რომ სანყლის მეგობარია!..  
 პირქვე ამხვია მტირალი,  
 შენდობის მათხოვარია!..  
 მთლად დედამინა შეიძრა,  
 შეირყა მთა და ბარია,

ერთი იქუხა, იელვა,  
 ცამაც გაალო კარია  
 და გადმობძანდა ნათლითა  
 იესო მაცხოვარია.  
 წამოაყენა გიორგი,  
 ღვთის მადლით მოუბარია:  
 „გიორგი, შენი ვედრება  
 და შენი სათხოვარია  
 ზეცამდის მოწვედა სინმინდით,  
 გაისმა როგორც ზარია!..  
 ისმინა შენი უფალმა  
 და გადმოგსახა ჯვარია, –  
 დედის ნილხვედრი ქვეყანა  
 დღეიდან შენ გაბარია!..  
 შენ ხელთ იქნება ამიერ  
 მისი ხმალი და ფარია!“  
 ბრძანა და ზეცას ამაღლდა,  
 როგორც ელვა და ქარია!

## XV

გამხიარულდა გიორგი,  
 პირნათლად გაიცინაო,  
 მისმა სიცილმა ნათელი  
 ოთხკუთხივ მოაფინაო.  
 – დედას ვუტირებ ხოლერას! –  
 სთქვა, – მე წავიფრენ წინაო!..  
 წავიდეს, როგორც მოსულა,  
 მონახოს ძველი ბინაო!  
 ჯერ ესეც კმარა, რაც მოკლა  
 და ცოდვა ჩაიდინაო:  
 უფრო მუშა ხალხს ერჩოდა,  
 ცრემლეები დაადინაო;  
 არ შეეპუა ექიმებს,  
 ქვეყანა შეაშინაო,  
 და სულ პანღურით გავხეთქავ,  
 თუ არ წაეთრა შინაო!

## XVI

ვენაცვა წმინდა გიორგის,  
 იმის თეთრ რაშს და შუბსაო!  
 მთავარი არის მძლეეთამძლე,  
 ვინ გაუბედავს ჩხუბსაო!  
 ისე გაბერავს ხოლერას,  
 როგორც ტიკჭორას, რუმბსაო!  
 მალლით ნათელი ადგია  
 იმის ბრწყინვალე შუბლსაო.  
 ამ შაირების გამომთქმელს  
 სწყალობდეთ თითო რუბსაო.

[1892]

## ხალხური

მინდვრად ეგდო თეთრი ქვა,  
დავკარ ხელი, თან ამყვა...  
ქალო, შენი სიყვარული,  
სადაც წაველ, თან წამყვა.

ქვა უბეში ჩავიდევი,  
დამამძიმა, დამძალა!..  
ქალო, შენი სიყვარულიც  
გამწარდა, ვით სამსალა.

ქვა ავიღე, გადავაგდე,  
მიეუმატე ძველ ყორეს...  
ქალო, შენი სიყვარულიც  
გადვულოცე მეორეს!

იმ ქვას წვიმა დაასველებს, –  
ცრემლები – შენს სიყვარულს...  
მაგრამ წვიმა ქვას ვერ ალბობს  
და ცრემლები კაცის გულს.

[1892]

## ხალხური

აღვის ხე აყვავებულა,  
 აშვენებს არემარესა,  
 გარს იხვევს ქვეყნის შვენებას,  
 თავს ივლებს მზე და მთვარესა.

„ეს შენ ხარ აკოკრებული,  
 მზეთუნახავო თინაო!  
 შვენიერებამ შეგამკო,  
 ცით მადლი გადმოგფინაო!“

ზედ უკვდავების წყალი სდგას,  
 ფიალი, თვალის მომჭრელი!..  
 გრძნობა-გონებას იტაცებს,  
 არ ეკიდება კი ხელი!

„ეგ, ქალო, შენი გულია,  
 შიგ გრძნობა ნაგუბარიო;  
 არ ეკარება ჯერ ტრფობა!..  
 შორს არის მეგობარიო!“

აღვის ხეს მგზავრი წაანყდა,  
 მგოსანი აღელვებული,  
 თავი შესწირა სამსხვერპლოდ,  
 საკურთხად დაუდგა გული.

და ინყო ლოცვა-კურთხევა,  
 ჩანგზე დამღერა... დაჰკვნესა,  
 ცეცხლს ანთებს... კაჟი მონახა,  
 ნაპერწკლების ყრით... დაჰკვნესა.

„ეგეც ხომ შენი ბედია,  
ზვარაკი შენი გულისო,  
მგოსანი ტრფიალებისა,  
დამკვესი სიყვარულისო“.

აღვის ხეს ალი მოედვა,  
მაგრამ ხე ჰყვავა, არ ხმება!..  
რა უცნაური ცეცხლია,  
რომ ნამდვილს არ ეთანხმება!..

„ეგ ალი ტრფობის ალია,  
ტკბილად... უცეცხლოდ მწველიო,  
სულით სჩანს, გულით იცნობა,  
არ ეკიდება ხელიო!“

აღვის ხე აყვავებულა,  
აშვენებს არემარესა!..  
შეყვარებული თინათინ  
ამეტებს მზე და მთვარესა.

[1892]



## სატრფოს

მშვენიერო, შენ გეტრფი  
 შენი მონა, ერთგული!  
 შენთვის სულდგმულს, შენგანვე,  
 შენთვის მიძგერს ეს გული!

მეგულები ციხეში,  
 ცხრაკლიტულში მჯდომარე...  
 შეთვისებას გიპირებს  
 გაიძვერა მოყვარე!

ტკბილად გაჭმევს, ტკბილს გასმევს,  
 შეზავებულს ბანგითა,  
 დედის ხმაზედ გიმღერის  
 დედინაცვლის ჩანგითა.

გაუფრთხილდი! ნუ გჯერა  
 მაგის ტკბილი ნანინა,  
 შენზე წინათ სხვაც ბევრი  
 მოხიბლა, შეაცდინა!

გაუმაგრდი განსაცდელს,  
 აიტანე ტყვეობა!  
 გშვენის ნესტან-დარეჯნის  
 მაგალითი... მზეობა.

ტარიელი დაგეძებს,  
 გავარდნილი დღეს ველად,  
 ავთანდილი ფრიდონით  
 მოდის გამოსასხნელად!..

რომ სისხლი და ცრემლები  
 მსხვერპლად შენ წინ დაღვაროს!..  
 აქ ცოცხლებს ჰსცეს ნუგეში  
 და იქ მკვდრები ახაროს.

## გულის პასუხი

ცრემლში მილესავს ნაღველი  
და მელნად ის მიხმარია!  
შიგ თაფლი არის ნარევი  
და ზოგან ცხარი ძმარია!

ზოგს ეტკებილება, ზოგს არა,  
მაგრამ რა ჩემი ბრალია?  
ბულბული ვარდს და ეკალზე  
თანასწორ მომღერალია!

[1892]

## განთიადი

მთანმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,  
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს  
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთანმინდა,  
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:  
მდინარე ნანას უმღერის  
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთანმინდა გულში იხუტებს  
საშვილიშვილო სამარეს,  
მამადავითსა ავედრებს,  
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით  
თვალს ავლებს არემარესა  
და გულის პასუხს ნარნარად  
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო,  
სნეული დავბრუნებულვარ,  
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,  
სისხლის ცრემლები ვღვარეო,  
ნამძლია სულმა და გულმა,  
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„ნინ მომეგებენ ღიმილით  
 შენი მზე, შენი მთვარეო,  
 გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,  
 მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,  
 სევდები უკუფყარეო,  
 ია და ვარდი დამჭკნარი  
 ხელახლად გამიხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
 სულის ჩამდგმელო მხარეო,  
 შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,  
 შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამნირავ, ნურც ცოცხალს,  
 ზე კალთა დამაფარეო...  
 და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს.  
 ანდერძი დავიბარეო:

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:  
 შენს მიწას მიმაბარეო,  
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
 ჩემო სამშობლო მხარეო!“

[1892]

## ძველი და ახალი წელიწადი

ძალით მოსული სტუმარი  
ჭირზედაც უარესია:  
მასპინძლის გაუტანლობა  
მისი რიგი და წესია!..

შარშან არ იყო, გვესტუმრა  
ეს წელიწადი დღე-მეტი?  
არ გაგვიტანა წყეულმა,  
თაებრუ დაგვასხა და რეტი!

კიდობნის მტრედად მივიღეთ:  
დავხვდით ლოცვით და ნატვრითა!  
ამან კი! ღვთისგან წყეულმა,  
უბედურობით დაგვტვირთა!

სხვადასხვა ჭირი, სახადი,  
მან ხარკად შემოგვანერა  
და ესეც რომ არ გვაკმარა,  
ზედ დაამატა ხოლერა!

ახლა კი, ვირზე შემეჯდარი,  
მიიპარება ბებერი!..  
და რალა გვეთქმის ჩვენც მეტი:  
„ნინ წყალი... უკან მენყერი!“

ახალი წელი მოგვიდის,  
რამზე ზის, მოაკუნტრუმებს,  
რა იმედს აძლევს თანასწორ  
უსაქმურებსაც და მუშებს.

გატაცებული სურვილით  
ყველა ეძლევა ოცნებას:  
რაც ძველმა წელმა დააკლო,  
ახლისგან ელის შევსებას.

მაგრამ ვინ იცის, რას გვეტყვის?  
ახალიც ძველის შვილია:  
ბოლოში გაგვიმწარდება!..  
თავში სუყველა ტკბილია!!

გულგატეხილი ანდაზაც  
ანბობს: „მე არას ველიო,  
ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,  
ქვიმას მოატანს ძველიო“.

[1892]

## ალბომში

ახლანდელ ქალებს

ტკბილ სიტყვას ველარ ახერხებ,  
ასეიტყვებ აუგიანსა!..  
რა გითხრა ენატარტალას,  
უკუღმართს, საქმე გვიანსა?!

ლერაქმობდილი, ტრიხინა,  
მხარ-მკლავებ, გულმკერდტიტველა  
გადასკუპ-გადმოსკუპდები,  
დაჰფრენ, ვით ჭრელი ჰეპელა.

ვერ ხედავ ქვეყნის ბორკილსა,  
გულს არ გწვავს მისი მონება!..  
გრძნობა მტრისაკენ გიზიდავს,  
მათკენ ჰქრის შენი გონება!..

ძველი დედების ქალობა  
დაგვიწყებია, სთქვი, თუ რად?  
უპიროდ გახუნებულხარ,  
აჭრელებულხარ სკვითურად!..

მაშ, რალათ გიკვირს, რომ მძულდე...  
არ ვიყო შენი მოყვარე  
და შენს სიცოცხლეს მერჩიოს  
ძველი დედების სამარე?!

[1892-1893]

## ჩანგი მტირალი

ჩანგი მტირალი, სიმების კენესით,  
 დღეს თუმცა ანმყოს მოსთქვამს დაჩაგრულს,  
 მაგრამ წარსულით გულდანყვეტილებს,  
 იმედი მაინც გვიბრუნებს ჩვენ გულს!..

შევსტრფით, შევგალობთ მომავალ ვარდსა,  
 აღარად ვიმჩნევთ დღევანდელ ეკალს!..  
 დეე, გაგკანროს!.. სხვების სანიშნოდ  
 სისხლით და ოფლით მოვრწყავთ გზა და კვალს.

ის გზა მიგვიყვანს ჩვენ იმ ტაძრამდე,  
 სადაც არს ჩვენი „წმინდათა-წმინდა“,  
 და მის კარზედ რომ ტვინიც მივასხათ,  
 სხვა ნეტარება ჩვენ რაღა გვინდა?

ოღონდ კი ჩვენს შვილს და შვილიშვილებს  
 იმ დიდი ტაძრის გაელოსთ კარი  
 და კიდობნის წინ ძველებურადვე  
 აინთოს ისევ წმინდა ლამპარი,

რომ მისმა შუქმა გაჰფანტოს სრულად  
 გარს მოდებული სხვის ნებით ბნელი  
 და მსოფლიოსა ერთბრწყინვალეებას  
 თვითონაც შერთოს მცირე ნათელი.

მაშინ კი დღეის მტირალი ჩანგი  
 სალხინო ხმლებზე ამაყად დაჟღერს  
 და მოლხენილი შვილიშვილებიც  
 შემოსძახებენ: „მრავალჟამიერს!..“

[1892-1893]



## ხალხური

კაცო, რა ღმერთი გიწყრება,  
 რათ დაგიღია პიროო?  
 გულგასახეთქად წუნუნებ,  
 ნალმა უკულმა სტიროო.

პატარა ბავშვი ხომ არ ხარ,  
 ან სუსტი დედაბერიო?  
 რა დროს ეგ არის? ვერ ხედავ?  
 კარზე მოგვადგა მტერიო?

ნეტავ ვინ არის? ვისია?  
 საიდამ მოგვეხეტაო?  
 მოყვრულად შემოგვეპარა  
 და მტრულად გაგვიმეტაო!

სომეხი რალათ აგვიტყდა,  
 ე მამაოხრის შვილიო,  
 ერთი ვუთაქოთ ყვრიმალში,  
 რომ ჩავამტვრიოთ კბილიო!

ეგებოს ჭკუა ისწავლოს  
 და ისევ გვეძმოს, გვენდოსო,  
 რომ ერთმანეთის მომხრობით  
 ორივეს ცეცხლი გვენთოსო.

შენც, ბიჭო, მხარი მომეცი,  
 ნუ აპყოლიხარ გულსაო!  
 სჯობს დღევანდელი სიკვდილი  
 ხვალინდელ სინანულსაო!

ეჰ, გადვიგრიხოთ ულვაში  
 და ყელი მოვიღეროთო!  
 მოყვარეს კარი გაულოთ,  
 მტერი კი მოვიგეროთო!

[1892-1893]

## იუდა

აქ ყოფილა!.. გვითვალყურებს,  
 ჰგონია, რომ ვიტყვით რამეს,  
 მაგრამ როგორ გავბრიყვდებით?  
 განა ცოტა ჩაგვაშხამეს?!

იმას ვიტყვით, რაც რომ მაგას  
 ბევრით არად იამება:  
 საზიზღარი ეპისტოლე  
 მოუცდება, გაუხმება!

ოჰ! რა ფარისეველია,  
 გაიძვერა, მელაკუდა!?  
 მთელი ქვეყნის საბეზღარი  
 ზურგს ჰკიდია ცოდვის გუდა...

თვით პირადად კარგად არის,  
 ტკბილად, თბილად დაიბუდა,  
 მოძმის ხორცს სჭამს, მისვე სისხლს სვამს  
 ეგ კაენი... ეგ იუდა!..

არც ბერდება, აღარც კვდება,  
 ჯოჯოხეთსაც, სჩანს, არ უნდა...  
 ისევ უნდა ჩვენ დავჯოხოთ,  
 მივაყაროთ ქვა და გუნდა.

ეგ იუდა, ეგ კაენი,  
 თვისიანის გამყიდველი,  
 ვერა ხედავთ, სად დამჯდარა,  
 ნამდვილ ისკარიოტელი?..

უნდა რამე გაიგონოს,  
დაინახოს, – გვითვალყურებს...  
მაგრამ არა! ვერ მივართვით!  
ტყვილა აპარტყუნებს ყურებს!..

ადე!.. ადე!.. კარში გადი,  
მაბეზლარო, შენ იუდა!  
ცარიელი მიუტანე  
შენს გამომგზავნს შენი გუდა!..

[1892-1893 წ.]

## ღამის მეხრე

ღამის მეხრე ვარ! ბიჭი ვარ  
ტოლებში გამორჩეული!  
არა ვარ ნებიერობით  
უსაქმურობას ჩვეული.

არც დამელევა, ღვთის მადლით,  
ნახირი თვითო-ოროლა,  
ამხანაგად მყავს ძალლი და  
პატარა ჩიტი ტოროლა.

სადაც კი წავალ, თან დამდეგს  
მურია, არა მშორდება,  
ნადირსა, ჩემზე მომსტომსა,  
შეებმის, გაუსწორდება.

განთიადისას თუ ძილმა  
დამიბეჩავა, დამძალა,  
საკემო არის – ტოროლამ  
თუ მალლა დაიწკრილა!

წამოვარდები, ჩემ ნახირს  
ჯერ გადავავლებ მე თვალსა,  
და მერე ხელ-პირს დავიბან,  
მადლობას ვსწირავ უფალსა!

[1892-1893]

## ბებიას დარიგება

“შვილო, გიყვარდეს უფროსი  
უხმო-უსიტყვო-უფიქროთ,  
ძალღივით დაემორჩილე,  
რომ არ გაფუჭდე უდროოთ,

ბრძნული ანდაზა ხომ იცი:  
„ბატონს ბრმად ემსახურეო,  
სადაც მიხვიდე, იმ ქვეყნის  
თავს ქუდი დაიხურეო“.

რაც კი პირადად არ გარგებს,  
ამქვეყნად ყველა ფუჭია,  
იდელი და ზნეობა,  
იცოდე, მუცელ-კუჭია.

ეს არის ჭკუა, მაგრამ ხომ  
ჭკუასაც უნდა მიგნება, –  
როცა შენ აღარ იქნები,  
ქვა ქვაზეც ნულა იქნება.

ნუ გაუგონებ იმათ, ვინც  
სხვაგვარად გეუბნებიან,  
ძალღივით ჰყეფენ ძაღლები  
და ძაღლებივით კვდებიან!

ყური დამიგდე ისევ მე,  
ცუდს არას გირჩევ, ბებია!  
სადაც წახვალ და წამოხვალ,  
ყოველგან ეს ამბებია.

გეყოფათ, რაც მოგახსენეთ,  
სულ მე როგორ ვიჭრიჭინო!  
ეგებ ჩემთვის არ ვარგოდეს,  
მეტი რომ რამ ვიმომჭირნო.

ვიცი, რაც გსურთ მათქმევინოთ,  
საზოგადო რამ ჟინია,  
მეც კი მინდა მოგახსენოთ,  
მაგრამ რა ვქნა, მეშინია“.

ასე ამბობდა ბებია,  
სასახლის მცოდნე, ჭკვიანი,  
მაგრამ ვის რაღას არგებდა  
მისი ნარჩევი გვიანი!

[1892-1893]

## მიმკვლევა

გამხიარულდი, ბუხარო!  
 გულჩახვეული ნუ ხარო!..  
 მცივანა ზამთარს უყვარხარ,  
 და არც ცხელ ზაფხულს სძულხარო!

მოვდივართ მოსალოცავად,  
 მოგვაქვს სამკვლევი და „კვალი“,  
 ღმერთმა მრავალ წელს დაგასწროსთ  
 და გაგიტენოსთ ახალი!

შენ აგუზგუზებ, ბუხარო,  
 დაბლა ნაკვერჩხალს, მალლა აღს...  
 ნიგუზალს შეგიჩინჩხალბთ,  
 გაგაყრევინებთ ნაპერწკალს.

და ლოცვა-ნატვრას დავინწყებთ...  
 ეს ძველებური წესია:  
 „ის ერთიასად მოიმკოს,  
 რაც კარგი დაგიტესია!..“

„ამდენი პური და ღვინო!..  
 ხორაგეული ამდენი!..  
 ამდენი ჯოგი ოთხფეხი:  
 ცხვრები, ძროხები და ცხენი.

„ამდენი ოქრო და ვერცხლი!  
 თვალ-მარგალიტი ამდენი!  
 სიკეთე ბევრი სხვადასხვა  
 და ღმერთი მხოლოდ ამხდენი!“

ამ ძველებურსა ნატვრასა  
ჩვენც დავამატებთ ახალსა:  
„ამდენი თანამგრძნობელი  
და ნამკითხველი ჩვენს „კვალსა“!

გამხიარულდი, ბუხარო,  
დაფიქრებული ნუ ხარო!  
ჩვენს მოყვრებს ყველას უყვარხარ!..  
მტრებს ხომ სძულხარ და სძულხარო.

[1893]



## სტუმრები

ცეცხლი აანთეთ გუზგუზა,  
გამხიარულდეს ბუხარი!..  
გადამთიელი, ცოლ-შვილით  
კარზე მოგვადგა სტუმარი.

გზაზე ტყის პირად ეყარენ  
მშიერ-მწყურვალი, გამხდარი!..  
გამოქცევიან შიმშილსა,  
გადმოულახავთ მთა-ბარი.

ჩემი მათ არა ესმისთ რა,  
არც მე მესმის მათი ენა,  
მაგრამ ადამით ძმები ვართ,  
მამაც ერთი გვყავს ჩვენ ზენა.

ღვთის მოცემული ბევრი გვაქვს  
ხორაგი, პური და ღვინო,  
რომ გეყოსთ შინაურებს და  
გარეულებიც ვარჩინო...

შინ შემოდიან მგზავრები,  
კუთხეებს მისჩერებიან  
და რომ ვერ ჰხედვენ ხატებსა,  
შეშინებული კრთებიან.

პირჯვარსაც აღარ იწერენ,  
ურჯულოს სახლი ჰგონიათ...  
სუფრას დაუსხდენ პირდაპირ,  
ეტყობათ, მადა ჰქონიათ!

გამოდენ... გამოსისინდენ,  
წითელი ღვინით თვრებიან...  
მაღლიც არ უთხრეს მასპინძელს  
და წასვლას ეპირებიან.

ამბობენ: „აქ ვერ დავრჩებით  
ამაღამ!.. ცოდვა არიო:  
ურჯულოები ყოფილან,  
არ აქვსთ ხატი და ჯვარიო!“

ვერ მიხვდენ და ვერ შეიძლეს  
გონებით მის წარმოდგენა,  
რომ ხატიცა და ჯვარიცა  
მასპინძელს გულში ესვენა!

[1893]

\* \* \*

სანამ ვიყავ ახალგაზრდა,  
და სიამით ძგერდა გული,  
ვნატრობდი და არ მეღირსა  
ბედუკულმართს სიყვარული.

როს დავბერდი, დავუძღურდი,  
სახე დაჭკნა, დამელარა, –  
სიყვარული რალათ მინდა,  
გინდ იყოს და გინდა არა!

სილარიბე კვალში მდეგდა,  
კარის-კარზე დამატარა,  
ან სიმდიდრე რალად მინდა,  
გინდ იყოს და გინდა არა!

ვინც მინდოდა სამეგობროთ,  
ყველამ გვერდი ამიარა:  
დღეის იქით მეგობარი  
გინდ მყავდეს და გინდა არა!

უსამართლო დაცინებამ  
ჩვენში ბევრჯერ გამამწარა,  
ცხრა მთას იქით, რალად მინდა,  
გინდ მაქონ და გინდა არა!

ვისაც ვსთხოვდი შემწეობას,  
ჩემთვის წყალიც არ დაღვარა,  
რომ მოკვდეზი, რალათ მინდა,  
გინდ მიტირონ, გინდა არა!

სული კრული, გული წყლული,  
სახე მჭკნარი, თმა ჭალარა,  
ამისთანა სიცოცხლეც კი  
გინდ იყოს და გინდა არა!

[1893]

## თემურ-ლენგის ტყვე

გულდადალული, დამნვარი,  
მეფის ტყვეობის მნახველი,  
ტყვეობაში მყოფ ცოლ-შვილსა  
ეკითხებოდა ქართველი:

„მიტხარით, რა გადურჩინეთ  
სამშობლოს აოხრებულსო,  
როდესაც თემურ მძვინვარე  
ფეხით სთელავდა მის გულსო?“

ცოლმა მიუგო: „რაც გვქონდა  
სიმდიდრე ჭეშმარიტით:  
ოქრო და ვერცხლი დიდძალი,  
თვალი და მარგალიტო“.

– „ნუთუ ეგ არის სიმდიდრე  
მაგ შენს გულსა და თვალშიო?  
ეგ ოქრო ცეცხლში ჩაჰყარე!  
თვალ-მარგალიტიც წყალშიო!“

ეს სთქვა და მიუბრუნდა ქალს:  
„შენ მაინც გამახარეო!  
გულმა რა გითხრა, როდესაც  
დააგდე ჩვენი მხარეო!“

– „რა უნდა გითხრა, მამილო!..  
დავსწყევლე ჩემი ბედიო!..  
სხვა რა შემეძლო მე იმ დროს  
ბედკრულსა ამის მეტიო:

„მოვსწყვიტე ვარდი კოკობი,  
სახსოვრად მოვიტანეო,  
მისი დამჭენარი ფურცლები  
ცრემლებით გადავბანეო“.

– „დამჭკნარი ვარდი ცრემლებით  
არ განედლდება... არაო!..  
მარტო ცრემლები ქვეყნისთვის  
საშველათ არა კმარაო!“

მერე ვაჟს ჰკითხა მოხუცმა:  
„შენ რაღა იცი კარგიო?  
რა წამოიღე, მიჩვენე,  
საშვილიშვილო ბარგიო?..“

შვილმა მიუგო: „ხანჯალი,  
სიფრთხილით შენახულიო,  
რომ საიდუმლოდ მონლოლებს  
გავუპო ხოლმე გულიო!“

– „შემცდარხარ, შვილო! მაგითი  
ვერ ნახავ გამარჯვებასა,  
რომ ბევრიც მოჰკლა აქ მტერი,  
იქ ქართლს ვინ მისცემს შვებასა?“

„რად დაგავინცდათ სუყველას  
საუნჯე წმინდა... დიდიო,  
წარსულისა და მომავლის  
სიცოცხლის გზა და ხიდიო:“

„სად არის ჩვენი ჩანგური,  
ქვეყნის ქირი და ლხინიო,  
სამშობლოს სისხლი და ხორცი,  
მისივე ნაღველ-ტვინიო?“

მაშინ მიუგო მგოსანმა:  
„გულზე მე დავიკიდეო,  
ვერ გავეყრები, გინდ მოველო  
ტყვეობით კიდით-კიდეო!“

„ჩვენი სამშობლოს სიცილი  
და მისი მწარე კენესაო...  
ორივე ერთად სიმებმა  
შიგ გულში ჩაიკვნესაო“.

სთქვა და ჩამოჰკრა სიმებსა,  
ხმას ცას აწვდენდა ჰანგებით...  
და ის ხმა ტყვედქმნილს ბაგრატსაც  
მოესმა ღვთისა განგებით...

მოესმა: „ბაგრატ, გახსოვდეს  
შენი სამშობლო ტკბილიო!  
ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,  
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო“.

მაშინ სთქვა ბაგრატ: „ჰე, ღმერთო!  
ან იყავ ნება შენო!..  
მე სულს გავსწირავ, მაგრამ შენც  
სამშობლო დამიხსენო...“

[1893]

## ახლანდელი სიმღერა

„ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“  
 იძახდენ ჩვენი ძველები...  
 ამას მონმოზენ მტრის სისხლით  
 ნალები მთა და ველები.

„ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“  
 დღესაც ვიძახით ყველანი,  
 მაგრამ ენა გვაქვს ფარ-ხმალად  
 და სისხლად – შავი მელანი!..

ვეფხ-ლომნი გადაგვიშენდენ,  
 გამრავლდენ მელა-კატები...  
 „ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“  
 ჰყვირიან ადვოკატები.

ძმა ძმას არ ჰზოგავს, მამა – შვილს,  
 მოყვარე მოყვრის მტერია!..  
 „ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“  
 ყოველგან ასე სწერია!..

იჩაგრებიან სანყლები...  
 ცრემლზე ცრემლს ჰღვრიან მწარესა:  
 „ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“  
 გაისმის ყოველ მხარესა!..

[1893]

## შეცდომა

სულელი არის, ვინც ჰფიქრობს,  
რომ მთვარე ჩემთვის ბრწყინავსო,  
მარტო ჩემთვის!.. და სხვებისთვის  
ყველასთვის ბნელში სძინავსო!

უგნური არის, ვინც ჰგონებს,  
ჩემთვის იშლება ვარდიო,  
მარტო ჩემთვის! და სხვებისთვის  
ყველასთვის ეკლის ბარდიო!

შემცდარი არის, ვისაც სწამს,  
ქალმა მე შემიყვარაო!..  
სხვებისთვის გული დაიხშო...  
პირბადე დაიფარაო!..

[1893]



## ყარბი

ნუ კითხულობთ: ვინა ვარ?  
 სიდან მოვალ? სად მივალ?  
 სულ ესა ვარ, რაცა ვარ,  
 რასაც მხედავთ თვალდათვალ!

თავისუფლად დავდივარ,  
 არც ბატონად, არც მონად!  
 ცა ქუდად არა მყოფნის,  
 დედამინა ქალამნად.

უფროსი, არც უმცროსი  
 ნებით არვინ მყოლია!  
 ვინცა მცნობს და ვისაც ვსცნობ,  
 ყველა ჩემი ტოლია!

ძმობა და სიყვარული  
 ფულით არ მიყიდია!..  
 მხოლოდ გული და სული  
 მათი გზა და ხიდია!

არც მექონია, არც რამ მაქვს,  
 არც მექნება, მგონია,  
 მაგრამ ჩემზე მდიდარი  
 არც კი გამიგონია!

მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე  
 ღვთისგან მოცემულია:  
 სულია ის საუნჯე  
 და სიმდიდრე გულია!

ვერ მომპარავს ვერავინ,  
თან დამაქვს ეს დიდება!..  
განჩინების ძალითაც  
ხელი არ ეკიდება!

ჩამოდექი, პრისტავო!..  
ნუ მოდიხარ, მოვალე!..  
სიმდიდრეც ამას ჰქვია!..  
ვინც მომცა, ვენაცვალე!..

[1893]

## ქუთაისი

მშვენიერო ქუთაისო,  
სავარდო და სამაისო!  
ვინ ყოფილა შენი მავნე,  
გულს ეკალი რომ დაგისო?

შენი ციხე-გალავანი,  
ბევრჯელ სისხლით განაბანი,  
მინასთან ვინ გაგისწორა,  
ერთხელ მტკიცე, ახოვანი?

თავს დაგყურებ აოხრებულს,  
ქვით და ეკლით რომ ივსებ გულს!  
ველარ ვხედავ ოქროს ჩარდახს,  
ერთ დროს განთქმულს და დიდებულს!

ეგ ფაზისი თავმომწონი,  
სახელცვლილი დღეს რიონი,  
გულამღვრევით რას ბუტუბტებს,  
გადასული დროს მომგონი?

აგონდება ოქროს კრავი,  
ვით ქონება რამ უძრავი?  
და მრისხანე ზვირთებზედაც  
არგო, ფრთხილად მომცურავი?

შიგ იაზონ ელინებით,  
ვერ შემრთველი სურვილ-ნებით,  
მედეიას მომპარავი  
მედიასვე მანქანებით?

სადღა არის ოქროს სილა?  
შლამ-ტალახით ამომსილა!..  
მწუხრის ზენარს დაუფარავს  
მაგის მზე და მაგის დილა!..

გარბის შენგან მგლოვიარე!  
ცრემლით ირწყვის არემარე  
და შავ ზღვასვე შეჰღრიალებს:  
„ჩემი ტანჯვა მიიბარე!“

მაგრამ, ჩემო ქუთაისო,  
ძალით სხვასთან შენათვისო!  
მოთმინება!.. მოთმინება!..  
სევდით გული არ აივსო!..

[1893]

## გაზაფხულის მაყრები

მიიპარება ზამთარი,  
ძალ-ღონე გამოელა,  
და თვალს არიდებს გაზაფხულს!..  
რა ცუდი მასპინძელია!

კარისკაცები თან მიჰყავს:  
ანთება, სურდო და ხველა:  
„ნინ წყალი, უკან მენყერი!..  
წყალმა წაიღოს სუყველა!“ ...

მის ნაცვლად ველით გაზაფხულს:  
ჟუჟუნა, მშვენიერია!..  
იმისი ტანისამოსი  
უცხო და მრავალფერია!

ნინ მოუძღვიან ჩიტები  
მაყრულით საამურითა,  
ბულბული ჩანგით დახვდება  
და შაშვი სალამურითა.

მერცხალი მახარობელი  
ჭიკჭიკით მონავარდუა  
და სუნნელების მფრქვეველად  
მზათ ზამბახ-ია-ვარდია.

ქვეყანა მაჯას გაიხსნის,  
გული დაუნყებს ძგერასა  
და საიდუმლო სიმებით  
ინყებს ბუნება ჟღერასა.

[1893]

## მცირე ლოცვა

როდესაც გაჭირვებული  
კისრულობს სხვისა მონებას,  
რომ არ დაეცეს, უფალო,  
ნუ გამოუღე გონებას...

უღირსი როცა შეიძენს  
შემთხვევით ყოფა-ქონებას,  
რომ არ გაბრიყვდეს, უფალო,  
ნუ დაუკარგავ გონებას!..

როდესაც ქალი კეკლუცი  
ხელს მიჰყოფს თავმონონებას,  
რომ არ გაფუჭდეს პრანჭვითა,  
ნუ დაუმონებ გონებას!

როდესაც ვკრეფავთ კოკობ ვარდს  
და ვსცდილობთ ზედ დაკონებას,  
რომ იქ ეკალსაც ვხედავდეთ,  
ნუ დაგვიბნელებ გონებას!

ყველას, ყოველთვის, ყოველგან,  
ნუ გამოუღე გონებას,  
რომ მხოლოდ სიბრძნე-სიმართლით  
სცდილობდეს შენსა მონებას.

[1893]

## გამოცანები

1

როგორც ღრუბელთ წინამძღვარსა,  
 უყვარს გრგვინვა, ჭექა-ჭუქი,  
 რომ მის ფრთებქვეშ შეიფაროს  
 წინილა და ბატის ჭუკი.

2.

მართლის თქმით და გულწრფელობით  
 ბევრი ვინმე მოიმდურა,  
 უფრო კარგი იქნებოდა,  
 რომ არ იყოს ის ცმუტურა.

3.

ბევრს ამბობს და რიგიანად,  
 რაც გულში აქვს, ვერ დამალავს;  
 ნაძლევს დავდებ, ვინც რომ იმას  
 შეაჩერებს ან დალაღავს.

4.

კატასავით მოკრუტუნე,  
 წყნარი, ფრთხილი, კუდა-მელა,  
 მხოლოდ ჰფიქრობს თავისთავზედ,  
 სულ ერთია მისთვის ყველა.

5.

ვერც არაფერს გააკეთებს,  
 არც არაფრის წამხდენია,  
 მაგრამ ზოგჯერ მისი სიტყვა  
 სიზმარივით აგვხდენია.

6.

უმნიშვნელოდ არას იტყვის  
და თუ ნახა მან მიზანი,  
ერთს მისთანას დაიძახებს,  
როგორც დიდი ზარბაზანი.

7.

სიტყვით წმინდა გიორგია,  
საქმით თურმე გეურქ-ალა,  
უწყლოთ თევზი გააჩინა,  
რიყეები გააბალა.

8.

პროკურორად ნამყოფია,  
მერე იყო თვით ვექილად,  
სადაც გინდა, როგორც გინდა,  
გამოდგება ის ადვილად.

9.

ხან ჩვენია, ხან სხვისია,  
ხან აქ არი, ხან იქ არი,  
ხან წალმა და ხან უკულმა  
ბღღვირს აადენს, როგორც ქარი.

10.

გულით ამბობს, რასაც ამბობს,  
რაც პერანგზე დაიწერა  
და თუ სცდება, მისი ცოდვა  
მიეცა მას, ვინც ჩაბერა.

[1893]



## ალბომში

ყმანვილი სჯობდი მოხუცსა,  
 მოხუცდი – სჯობხარ ყმანვილებს!  
 ასეა, ვისაც ბუნება  
 თვის ძალას გაუნანწილებს.

ახალი ცუდი ძველ კარგის  
 ვისგან რა შესაფარდია?  
 ვარდი რომ კიდევ ქკნებოდეს,  
 მაინც ვარდი და ვარდია.

ის თუმც ალარ ხარ, რაც იყავ,  
 შენთანვე შედარებითა,  
 მაინც შენ გირჩევს გონება  
 და გრძნობა ნეტარებითა.

იცოცხლე, იმხიარულე,  
 ციურის ნიჭით გზნობილო!  
 არ მინდა დაგასახელო,  
 ისევ ყველასგან ცნობილო!

[1893]

## გ . . . . . ს

ახლოს ხარ – თვალს ვერ გიმართავ,  
 შორით ვუნდები ცქერასა,  
 ლამის დავკარგო გონება,  
 გადავყვე გულის ძგერასა!..

შენ კი მეკრძალვი ბეჩავსა,  
 როგორც წინილა ძერასა...  
 შენს ღმერთს მიჰმადლე!.. დაუგდე  
 ყური გლახგულის ძგერასა.

ნუ გამხდი ნაცარქექიად,  
 ნუ დამსვამ ცივსა კერასა,  
 ზედ ნუ დამაყრი ნაცარსა...  
 მიხშირებ გულის ძგერასა!..

ნუ მანყევლინებ გაჩენას,  
 სიცოცხლეს, ბედისწერასა!..  
 თანგრძნობა უნდა მაღამოდ  
 სნეული გულის ძგერასა.

ქვეყნის მკურნალნი შევჰყარე,  
 მაგრამ ვერ მიხვდენ ვერასა:  
 სხვადასხვა მიზეზს ადებდენ  
 ამ ჩემი გულის ძგერასა.

აღელვებასა მიშლიდენ,  
 სიცილს, ტირილს და მღერასა,  
 მაგრამ ვერ არგო ვერც ერთმა  
 შელახულ გულის ძგერასა!

ყური დავუგდე მაშინ მე  
ჩემი სიმების ჟღერასა  
და თვითვე მივხვდი, რაც იწვევს  
ამ ჩემი გულის ძგერასა:

ბრალი არა აქვს ლამაზ ქალს,  
შავგვრემანს, არცა ქერასა!..  
მარტო შენა ხარ მიზეზი:  
მიხშირებ გულის ძგერასა,

მიტომ, რომ თვალს ვერ გიმართავ,  
შორით ვუნდები ცქერასა!  
ლამის დავკარგო გონება,  
გადავყვე გულის ძგერასა.

[1893]

## ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე

აჰა, საზღვარი სიკვდილ-სიცოცხლის,  
 უცნობ-ნაცნობი რამ გამოცანა...  
 აქ იყრებიან, ვით დღე და ღამე,  
 ის საუკუნე და ეს ქვეყანა!..

ამ საიდუმლო საზღვრის წინაშე  
 წამდგარვართ დღეს ჩვენ თვალცრემლიანი  
 და თაყვანსა ვცემთ, ვინც ღირსეულად  
 განვლო ამ ქვეყნის გზა ეკლიანი.

სხვაგვარი იყო ამისი ნატვრა  
 და სულ სხვაფერი მისი ოცნება!..  
 ძვირფას საუნჯედ ემარხა გულში  
 ქრისტეს მოძღვრება და წმინდა მცნება:

ძმათ სიყვარული და სათნოება,  
 შრომის კავშირით შეერთებული...  
 გული სინმიდით და სული მარად  
 წრფელი ზრახვებით გაახლებული.

ამ ღირსეული საგზლით მიმართა  
 ზეცას პირნათლად ღირსსა წინაპრებს,  
 და აქ მსოფლიო ვალის გადახდით  
 ამიერიდან იქ ინეტარებს!

და ჩვენც მხოლოდღა გვრჩება, ვუსურვოთ  
 „წმიდათა თანა მას განსვენება“...  
 და აქ სახსოვრად საშვილიშვილოდ  
 სამაგალითო „ქებათა-ქება!“

[1893]

## მღერალ ქალს

საგანგებოდ მოვლენილო  
 უზენაეს განგებითა,  
 სულთან გულის გადამბელო  
 მომხიბლავის ჰანგებითა!

თვალი გჭამს და ყური გცლაპავს  
 და მაინც ვერ ძლება გული,  
 ვარდ-ბულბული მენში თხზულა,  
 რომ ამალდეს სიყვარული.

გიყურებ და მაგონდება  
 თვალდათხრილი მე ბულბული,  
 გაცრცვენილ ზამთარს რომ ხედავს,  
 თვალწინ უდგას გაზაფხული.

მოტყუებით მოხიბლული,  
 აფერადებს ჰანგით ჰანგსა,  
 ქვეყნით ცხოველს გამოიწვევს,  
 „ცით ფრინველს და ზღვით ნიანგსა“.

შენც ისე ხარ! მხოლოდ განზრახ  
 ჩვენს ანმყოზედ ხუჭავ თვალსა  
 და ოცნებით წარმოიდგენ  
 ჩვენ წარსულს და მომავალსა.

ხან ქვითინებ გულდანყვევით,  
 შავ ქვესკნელში აძვრენ ხმასა,  
 ხან იმედი ცაში აგყავს,  
 აორკეცებ გულისთქმასა!..

შთაგვაგონე ჩვენც ეგ ძალა,  
 სულთან გულის გადამბელო,  
 რომ ყოველთვის თვალწინ გვედგას  
 ფერმიხდილი საქართველო!

[1893]

## სახსოვარი

ა) ამ სოფლის ნორჩი ყვავილი  
და მზისა დასთა დასული  
აქა ძევს თეოდოსისა  
სოფრომ ცერცვაძის ასული  
შენდობით მოიხსენიეთ  
მისი ნამალი და სული  
გაქრა უეცრად ამიერ  
ქვეყნად ვარსკვლავად მოსული

ბ) სოფრომ ცერცვაძის მეუღლე  
ასული მაკარაძისა  
აქ ეფემია [...]  
მმოსაფი [...]

მინაწერი: დაიბადა 1851 წ. იანვარი 15.

გ) ღირსმა მეუღლემ და დედამ  
მიჰმართა უკვდავ მამასა  
შენდობით მოიხსენებდე მფარველი  
მინას ამასა“.

დაიბადა 1873 იანვრის 4  
მიიცვალა 1893 იანვრის 17

დ) აქ განისვენებს სოფრომ ცერცვაძე  
მიადგა მასაც უწყალო ჯერი  
სხეული მინას მონყალეს ერგო  
და სული ცასვე ცით მონაბერი.

სატრფო და სოფელი შვას  
მიჰმართა გრძნობით და სიყვარულით  
მფარველო გვედრებ ვიც [...]  
[...] შენდა გულისთქმის.

[1893]

## ექსპრომტი

ხუმრობა ვანოს არჩევნების დროს

სხვებს ვისმეეს რაღას ეძებ,  
როცა ცოლი გყავს მომხმარედ?  
ის გინათებს ცხოვრების გზას  
დღისით მზედ და ღამით მთვარედ!

ვით ვარსკვლავი განთიადის  
წმინდა, ცისკრად წოდებული,  
ისე წმინდად მოკაშკაშე  
არის შენთვის მისი გული,

მაგრამ შენ კი ცუდი ზნე გჭირს:  
სხვისი რჩევა!.. სხვის აყოლა,  
ცოლს კი არას დაუჯერებ  
და ვეზირად კი გყავს კოლა!..

[1893-1996]

## ბულბული

ბულბულმა ბუჩქში მიმჯდარმა  
დაცინვით ჩაიკაკანა:  
„რიგი რას ამბობს? რიგი რას?  
გადარეულა ქვეყანა...“

და პოეტები ხომ რაღა,  
გადაქცეულან ოცნებად:  
ყველა ნამდვილი ჰგონიათ,  
რაც კი რამ მოეჩვენებათ.

ჩემზე ამბობენ, რომ ვითომც  
მე ვარდი შემყვარებოდეს  
და მის წინ სიკვდილ-სიცოცხლე  
თანსწორად მენატრებოდეს;

ნისკარტსაც გულში ვუყოფდე  
ფრთქიალით, ჭიკჭიკ-კენესითო,  
და ეს ხომ ცხადი კოცნაა  
სავარდბულბულო ნესითო?

სცდებიან, იმ დროს მე ვიჭერ  
გულში მიმალულ ჭიასა,  
თანაც ცვარსა ვსვამ ციურსა  
და ვმღერი: ტია-ტიასა!“

მებაღემ ყური რომ მოჰკრა  
ბულბულის აღსარებასა,  
ალარ ჰქონია საზღვარი  
მის შეკრთომ-გაკვირვებასა!

სთქვა: „ეჰ, ნავიდა ძველი დრო,  
თან გაჰყვა გრძნობა და გული,  
და ეს ჩიტუნაც ყოფილა  
თანამედროვე ბულბული!“

[1894 წლამდე]



## ავადმყოფი მგოსანი

ბედო შავპირო, უპირო,  
ამრევო გზა და კვალისა!  
სულს ნუ ამომხდი, მაცალე  
დახამხამება თვალისა!..

აჩრდილილა ვარ წარსულის  
და ლანდი მომავალისა!..  
ვის შერჩენია, მე შემრჩეს  
გადახდა სოფლის ვალისა.

მაგრამ სურვილმა მომხიბლა  
ცრუ მოიმედე ხვალისა,  
ჩამიხმატკბილა ჩანგურმა  
და გული გამიხალისა:

ჩანგურო, ჩემო ჩანგურო!  
ოცნების ზღვაში მცურავო!  
შენი კრიმანჭი ნკრიალი  
ხელახლად მომენწყურო;

ჯორა გაქვს ია-ვარდისა,  
სიმი – ბულბულის ენაო,  
ფრთები არნივის გასხია,  
შეგშვენის აღმაფრენაო;

მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ,  
ნამის-ნამ, კიდის-კიდესო!  
ველარ მერევა სიკვდილი  
მე, შენსა გადამკიდესო!

დიდება შენსა მოვლენას,  
ციურო, ტკბილო ძალაო!..  
დააძნა გული შენს სიმებს  
და სული დაიცალაო.

[1894]

## მწუხრი

მთვარიანი ღამე იყო,  
 წყნარი, გრილი, მომხიბლავი!..  
 ზეგარდამო მაღლსა ჰფენდა  
 ძალთა ძალი უხილავი.

ცა ქვეყანას, ქვეყანა ცას,  
 ყურს უგდებდენ ერთმანეთსა,  
 მით ორივე შეთანხმებით  
 ადიდებდენ შემოქმედსა!

ცის და ქვეყნის შუამავლად  
 სხივი იყო მთიებისა,  
 და იმათში პირველობა  
 შუქურ-ვარსკვლავს მიეთვისა.

თვით მცენარე აღმაკმევით  
 მიმოფენდა სუნნელებას...  
 სიჭაბუკე ძალსა გრძნობდა  
 და სიბერე გაახლებას...

წამი იყო სასუფევლის  
 მრავალმეტყველ მდუმარება,  
 და ნაყოფი სამოთხისა –  
 ამაყრყოლი ნეტარება.

აქ უეცრად ვარდის ბუჩქი  
 შეინძრა და შეირხა რტო,  
 ზედ ბულბული თურმე იჯდა  
 გამსჭვალული მარტოდმარტო.

მოერია გრძნობა მღერალს,  
 გულში მაღლი ჩაესახა!..  
 ტკბილ-ზევსური, მწარე ზარი,  
 ორივ ერთად შემოსახა.

ხმა გაისმა სხივნართი რამ,  
 ზეამტანი, ამაძგერი!..  
 ყველა სმენად გადაიქცა,  
 უსულო და სულიერი.

მოფერადე ჰანგით ჰანგის  
 დაიქანცა, დაიღალა,  
 თითქოს ჩასდნა თვის ჭიკჭიკში:  
 ხმა შესწყვიტა!.. გაქრა ძალა!..

ნაცვლად მისსა იქვე ახლოს  
 აჭიკჭიკდა სხვა ბულბული...  
 იგივე კილო, იგივე ხმა...  
 შიგ არც სული და არც გული!..

თურმე რაღაც სათამაშო  
 ბავშვს ეჭირა, სულს ჰბერავდა,  
 და მანქანიც ხელოვნური  
 ბულბულისა ხმით უკრავდა.

მაგრამ ნამდვილს ისე ჰგავდა,  
 ვითა მწუხრი განთიადსა,  
 ვით უსულო – სულიერსა  
 და აჩრდილი – მისვე ცხადსა.

შევადარე ერთმანეთსა,  
 შევუნონე დიდსა მცირე  
 და ასე ვსთქვი: „სხვადასხვაა  
 პოეტი და მოშიარე!“

[1894]

## თვალი პატიოსანი

ღვთისმშობლის დიდებულ გვირგვინს  
ძვირფასი დააკლდა თვალი...  
და იმის მოპოებასა  
ბრძანებდა ღმერთი უფალი.

უბრძანა მთავარანგელოზს:  
„მიმოვლე ზღვა და ხმელიო  
და საკადრისი თუ შეგხვდეს  
თვალი, შეახე ხელიო!“

დაეშვა მალლით გაბრიელ,  
ათვალიერებს ქვეყანას,  
მაგრამ საძღვნოსა ციურსა  
ვერ ჰპოებს, რომ სურს, მისთანას.

ზღვაში მარგალიტს და მარჯანს,  
ხმელეთზე იაგუნდ-ლალსა,  
ზურმუხტს და აღმასს ეღვარეს  
ჰნუნობს!.. არიდებს მათ თვალსა,

რადგან ვერ ჰხედავს იმათში  
უნაკლულოსა... უზადოს!..  
არ იცის: უფალს რა უთხრას?  
ღვთისმშობელს რა მოუმზადოს?

დაღონდა!.. ფრთები გაშალა  
სხივების მოსაფენადა  
და მიემართა ზეცისკენ  
ხელახლად ასაფრენადა.

მაგრამ იმავ დროს შორს რაღაც  
შენობას მოჰკრა მან თვალი!..  
ის იყო ქოხი სანყლისა,  
ნახევრად ნაქცევ-დამპალი.

შეფრინდა მის ბნელ ოთახში  
ცის მოციქული ელვარე  
და ნახა ქალი უძლური,  
ძირს მომაკვდავად მდებარე.

მის წინაც, მუხლებმოყრილი,  
საბრლო მისი ასული!  
გული ევსება ტანჯვითა  
და სასოებით თან სული.

მალლა აეპყრა ხელები,  
ფიქრით ქვეყანას ბურავდა  
და ღანვზე, ვით მარგალიტი,  
ობოლი ცრემლი გორავდა.

„ვიპოვე, რასაც ვეძებდი  
გვირგვინის შესამკობლადა  
ცისა და ქვეყნის დედისთვის!..  
ყოფილა აქვე, სოფლადა!..“

ჰტყვა ანგელოზმა და ცრემლიც  
მოჰწყვიტა სიხარულითა...  
ცრემლი, ნაშობი უმანკო  
ვედრება-სინანულითა.

[1894]

## იუდა გამცემლიძე

ხალხური

იუდა გამცემლიძესა,  
 უქებენ მოსახლკარობას!  
 არც მოედანზე გამოდის,  
 არც წავა სადმე ჯვარობას.

დღისით არავის ნახულობს,  
 არავის მიეკარება, –  
 სადღაცა დადის ღამ-ღამით,  
 მელიად მიიპარება.

ამბობენ: დიდი ხანია,  
 ხელი აიღო რჯულზეო,  
 აღქაჯებს დაუმეგობრდა,  
 სული გაჰყიდა ფულზეო.

ქაჯებმა ფრთები შეასხეს,  
 უთხრეს უკულმა ფრენაო,  
 ქვეყანა გაანირვიეს,  
 დააგმობიეს ზენაო.

გულში ჩაუსხეს ნაღველი  
 შხამი სცხეს ენის წვერზეო,  
 ლაფი დაესხას იუდას  
 ულვაშებზე და წვერზეო!...

[1894]

## ნეიტრალი

აქეთაც ვარ, იქითაც ვარ,  
 მიყვარს შუა მე ტრიალი!..  
 მაგრამ არსად კი არა ვარ:  
 ჩემთვისა ვარ... ნეიტრალი.

მადლობა ღმერთს, რომ სხვებსავით  
 არ მეზნევა გზა და კვალი!..  
 გადავდივარ!.. გადმოვდივარ!..  
 ისე, როგორც ნეიტრალი.

მე არა მსურს, ჩემზე ვინმე  
 რომ გარისხდეს!.. იყოს მწყრალი!..  
 იაც მომწონს, ვარდიც მიყვარს,  
 რადგანაც ვარ ნეიტრალი.

სამაისოდ მომზადებამ  
 ორად გაჰყო ჩვენში ძალი,  
 მე არც ერთს არ ვემატები:  
 განზედა ვარ, ნეიტრალი.

ამბობენ, რო საზოგადო  
 საქმე არის ყველას ვალი,  
 მაგრამ მე ჯერ ვალს არ ვიხდი,  
 სანამდი ვარ ნეიტრალი.

სულ სხვადასხვა პარტიისა  
 ერთად შემხვდა ორი ქალი:  
 ერთი ერთს მთხოვს, მეორე სხვას...  
 დამაფიქრეს ნეიტრალი.

ერთს ის ვუთხარ, მეორეს ეს,  
აქეთ თვალი! იქით ვალი!..  
ბისმარკივით გამოვძვერი,  
დავრჩი ისევ ნეიტრალი.

საარჩევნო ლხინში ვიყავ:  
იქ სუყველა იყო მთვრალი,  
მეც ვსვი, მაგრამ ფხიზლად ვიყავ,  
რადგანაც ვარ ნეიტრალი.

ვინც ამ ქვეყნად პირდაპირობს,  
ვაი, მხოლოდ მისი ბრალი,  
თვარა ყველგან კარგი ყმაა  
ჩემისთანა ნეიტრალი!..

აქეთაც ვარ, იქითაც ვარ,  
მიყვარს შუა მე ტრიალი!..  
მაგრამ არსად კი არა ვარ,  
ჩემთვისა ვარ, ნეიტრალი!..

[1894]



## ქართველი ქალი

ვინ სთქვა: „ქართველ ქალს მშვენება  
მაღლით არ მოჰმადლებია?“  
არც ერთი ნიჭი ბუნების  
რჩეულსა არ დაჰკლებია!..

თვით სარკე ხელოვნებისა,  
შემკული გარეგნობითა,  
გონების ნერგი მაღალი,  
აყვავებული გრძნობითა,

თვალსა სჭრის და გულს იტაცებს  
ანდამატური ძალითა  
და ჰზიბლავს ყოველ არსებას  
გარს შემონაშუქ ალითა!

ბნელში მნათობი, ნათელში  
მოთინათინე ქმნილება  
ესისხლხორცება სიცოცხლეს  
სხვისას და ენაწილება!..

მაგრამ!.. რა მაგრამ? მე მაინც  
ჯერ მას ვერა ვსცემ თაყვანსა,  
„ზარს“ ვერ ვუმღერებ მის კუბოს  
და „ნანას“ – მისსა აკვანსა!..

მიტომ, რომ მისსა შვენებას  
აკლია გვირგვინ-ბეჭედი,  
ანწყოში სულის ჩამდგმელი  
და მომავალში იმედი:

ეს არის ნერგი ოცნების,  
ღრმად გულში ჩამარხულისა,  
სახის აღმგზნები ბეჭედი  
სამშობლოს სიყვარულისა!..

[1894]

## პასუხი

რას მეტყვი, ძმაო, მისთანას,  
რომ არ მსმენოდეს ათასჯერ?  
სიტყვას ნუ აჭიანურებ!..  
მოკლედ გამოსთქვი... გადასჭერ!

რასაც შენ ამბობ, ეგ ხომ ჩვენც  
იმ თავიდანვე ვიცოდით?!  
წყალი მაშინაც გვარჩობდა!..  
ცეცხლში მაშინვე ვინვოდით!..

წამალი გვინდა!.. წამალი,  
შეპყრობილს მრავალ სენითა!  
ვის გაუკურნავს სნეული  
რჩევით და მარტო ენითა?

სიყმანვილეში ერთ ზღაპარს  
გამდელი მეუბნებოდა...  
დღეს ის ზღაპარი მცნებათ მრწამს,  
მაშინ კი მეცინებოდა.

იმ ზღაპარს ხალხი ეძახის  
„უკვდავებისა წყაროსა“,  
დიდ ქირში გამამხნევებელს,  
სასურველ-სანეტაროსა.

ჭირისუფალი დაეძებს,  
მოლახავს კიდითკიდესა,  
არ ერიდება შემთხვევას,  
ბევრ ქირის გადამკიდესა.

თავისთავს მისთვის ივინყებს,  
თვალნინ უდგია სნეული,  
მტერს სასიკვდილოდ შეებრძვის,  
გინდ იყოს ქაჯი-გრძნეული.

ან შეაკვდება, ან მოჰკლავს,  
ხელში ჩაიგდება „წყაროსა“;  
მოაქვს და სნეულს ასხურებს,  
რომ ადგეს!.. გაიხაროსა!

მაშინ კი თავისთავზედაც  
ჰზრუნავს ვალმოხდილ გმირთ-გმირი,  
ლხინობს და ლხინიც ერგება:  
გამოვლილი აქვს მას ჭირი!

ჩვენც გმირი გვინდა დღეს, ძმაო,  
„უკვდავებისა“ მძებნელი!  
და არა ნაცარქექია,  
ტიტინა, ქურჩის მტკეპნელი!

[1894]

## ქრისტე აღდგა!

მარიამ იაკობისი,  
 მარიამ მაგდალინელი  
 და მასთან ერთად სალომე,  
 ქრისტეს საფლავის მიძებნელი,

მოსულან ნელსაცხებლითა,  
 რათა სცხონ გვამსა დიდებულს,  
 მაგრამ შემკრთალან, რომ ხედვენ  
 დიდ ლოდსა გადაგორებულს.

მკვდარი არსად ჰჩანს!.. და მარჯვნივ  
 ჭაბუკი ვინმე მდგომარე,  
 სპეტაკი შესამოსლითა,  
 ნათლითა მოსხივცისკარე,

მათ ეუბნება: „რად შეკრთით?  
 ანგელოზი ვარ მე მცველი,  
 ან გიხაროდენ: ზე აღგა  
 იესო ნაზარეველი!“

მენელსაცხებლეთ აევსოთ  
 სიხარულითა მყის გული  
 და მიახარეს ქვეყანას:  
 „აღდგაო მკვდრეთით ჯვარცმული!

„აღდგა, ვინც სისხლი დაჰთხია  
 ახალი რჯულის დვრიტადო!“  
 ცა და ქვეყანაც პასუხად  
 იძახის: ჭეშმერიტადო!“

[1894]

## მესტვირე რას ამბობს?

ცრემლით ამევსო ქამანჩა,  
კვნესით და ოხვრით – სტვირიო!  
აქამდი ძველ დროს მოვთქვამდი,  
ახლა ახალსაც ვტირიო!..

ღმერთო, რა ვნახე?! რას ვხედავ?..  
რა დრო დაგვიდგა ესაო?  
სიმტყუნე გულში იცინის,  
სიმართლემ დაიკვნესაო!..

მელა მექათმედ დამდგარა,  
მწყემსობას ჩემობს მგელიო...  
ეშმაკი ეშმაკს პატიჟობს:  
„სასუფეველში გელიო!“

დიდება შენდა, უფალო!  
სხვა დროა... უცნაურიო...  
გადაუბრუნდა ქვეყანას  
თვალი, ენა და ყურიო!..

ცრემლით მევსება ქამანჩა,  
კვნესით და ოხვრით – სტვირიო,  
აქამდი ძველებს მოვსთქვამდი,  
ახლა ახლებსაც ვტირიო!..

[1894]

## სამი დრო

ჭაბუკობის დროს, როდესაც  
სიცოცხლე გრძნობით დნებოდა,  
ფერადი, ჭრელი ქვეყანა  
ვარდისფრად მეჩვენებოდა.

სიკვდილიც ტკბილი მეგონა,  
საძრახსა არვის ვძრახავდი,  
დიდს და პატარას სულ ერთად  
ანგელოზებათ ვსახავდი.

ალარ დგებოდა ბუდეში,  
ფრთებშემოსხმული გარს, გული:  
შიგ ია-ვარდი ჰყვავოდა  
და ჭიკჭიკობდა ბულბული.

რომ დავვაჟკაცდი, მესტუმრა  
„თვალდიდა“ გამოცდილება  
და მონონებულ ქვეყანას  
მევე შევნიშნე ცვლილება:

ვარდი ერთი თვით იშლება!..  
თერთმეტით – მარტო ეკალი...  
და კაცის ანგელოზობაც  
ალარ გამოდგა მართალი!

გული დააჭკნა საგულეს,  
გარს მოიქაფა ნალველი!..  
ბულბულიც ყორნად გადიქცა,  
ჭრომახი ქვეყნის მნახველი.

ხანში რომ შეველ, ქვეყანას  
გულგრილად ვავლებ მე თვალსა:  
ვარდს აღარ ვაქებ-ვადიდებ  
და აღარც ვწყევლი ეკალსა.

ორივე ერთ ხეს აბია, –  
ძირი ორივეს ერთია...  
მათი გამრჩევი, მსაჯული  
თვით შემოქმედი – ღმერთია.

[1894]

## ხატის წინ

მიყვარს, როდესაც ხატის წინ  
ანთია წმინდა სანთელი  
და საიდუმლო პარპალით  
ბნელს ფანტავს მისი ნათელი.

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად  
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,  
რომ მადლით გაასპეტაკოს  
თვალუნდომელი წყვილიადი.

მივჩერებივარ ამ დიდ ძალს  
მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული,  
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,  
ცის სვეტად გაქვავებული.

რალაც უცნაურ ერთობას  
ვხედავ სანთელს და ჩემს შუა,  
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ წვდება  
ჩემი გონება და ჭკუა.

სანთელი ჩემი ხორცია,  
სიცოცხლე – მოკლე პატრუქი,  
ნათელი – ჭკუა-გონება,  
იმათგან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე – მთელი ქვეყანა,  
და, რომ ვინვოდე, ვდნებოდე,  
არ შემიძლია მეც, განა?

კი... მაგრამ მნათე არსად სჩანს,  
ჩემთან მომტანი ცეცხლისა...  
ის მოციქული მომავლის,  
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!..

[1894]



## ზღვაო, ალელდი, ალელდი!

ზღვაო, ალელდი, ალელდი,  
ქარტეხილს დაემორჩილე!  
ამთაგორე ტალღები,  
კიდეებს გადააცილე!

მარგალიტების სალარო  
შენი უფსკრული გულია,  
მყუდროების დროს ის განძი  
ქვეყნისთვის დაფარულია.

მხოლოდ როდესაც მრისხანებ,  
გულს უხსნი მზეს და მთვარესა,  
იმ მარგალიტებს შესტყორცნი  
შენს შემკვრელს არემარესა.

პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი  
მრისხანე გულის ღელვასა!..  
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი  
და სიბნელის დროს ელვასა!

[1894]

## ანდერძი

ოთხი ფიცარი კუბოსთვის,  
უბრალო, შეუმკველათა,  
და ოთხი მუშაც ნამღები,  
რომ გამასვენონ ხელათა.

არც გვირგვინები, არც სიტყვა,  
არცა რა ცერემონია,  
არ მინდა!.. მოლას ანდაზა  
მეც ბევრჯელ გამიგონია.

მინდა, რომ ბალში დამმარხონ,  
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!..  
ზაფხულმა მწვანით შემოსოს  
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!..

მზე საფლავს სხივებს ტყორცნიდეს,  
დაქათქათებდეს ზედ მთვარე  
და ვარსკვლავები ჭიკჭიკა,  
მიბნედიტ მოსხივცისკარე.

დილ-დილიტ გასალვიძებლათ  
შაშვმა მისტვინოს ზევსური,  
რომ მის მაღალ-ბან სალამურს  
სიკვდილმაც დაუგდოს ყური.

სალამოს ვარდის ჩიტუნამ  
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანინა“.  
იქვე მახლობლათ ბუჩქებზე  
მას აერჩიოს რა ბინა!..

და ამდენ ნატვრის გვირგვინათ  
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს:  
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,  
ორივე სოფლის სიამეს!..

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,  
ყოველგვარ სანახაობას,  
რომ იქ უქმე დღე ვხედავდე  
მოზარდულ ქართველ თაობას!..

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს,  
ეხორცებოდეს ქართველ ერს!..  
და თავისუფლათ დამღერდეს  
ძველებურ „მრავალჟამიერს!“

[1894]

## ჩემი თხა

ხალხური

ჩემო ლამაზო ბეკეკა,  
 შენ ჩემო თხაო ბელაო!  
 ჩემი მტერი და ორგული  
 შენ გენაცვალოს ყველაო.

წვერი გაქვს დეკანოზისა  
 და რქები ეშმაკისაო,  
 კბილები, ნამგლათ ნალესი,  
 ნეკერს კვრებს, ბალახს მკისაო.

მთაში რომ წაკოკინდები,  
 დააგდებ მინდორ-ველსაო,  
 ჯიხვებს ეწვევი კლდეებში,  
 იქ მოიღერებ ყელსაო!

გაძლები, გასისინდები,  
 ჯიქანს გაივსებ რძითაო,  
 რა გზითაც დილას წასულხარ,  
 ბრუნდები იმავ გზითაო.

მოხვალ და სანველს ამივსებ,  
 არ დამამადლი წველასო!..  
 მეძღვნეო ჩემი შვილების,  
 შენ მირჩევნიხარ ყველასო!

თვალისჩინივით მოგივლი,  
 ნუ გეშინია მტერისო!..  
 მაგ ძუძუების ჭირიმე:  
 სანველში ჩაიმღერისო!..

ბეკეკა! ჩემო ბეკეკა!  
 შენ ჩემო კარგო ბელაო!..  
 ჩემი ოჯახის ურგები  
 შენ გენაცვალოს ყველაო!

[1894]

## კენჭობია

ყეენობა გადავარდა,  
შემოვიღეთ კენჭობია, –  
აღარ ვიცით, რა ვირჩიოთ:  
ის ჯობდა, თუ ეს ჯობია?

ის ხუმრობა მაინც იყო  
და ყეენის დაცინება,  
ეს ჩვენივე გაკიცხვაა!..  
აღარა გვაქვს მოსვენება.

ავირიეთ, ავიშალოთ;  
აღარ ზოგავს ტოლი ტოლსა,  
შვილი მამას, მამა შვილსა,  
ცოლი ქმარს და ქმარი ცოლსა!..

გარბიან და გამორბიან  
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას;  
ვინც შეხვდებათ, ხელს ავლებენ  
და აგლეჯენ ჩოხის კალთას.

„კენჭი! კენჭი! – იძახიან: –  
არა მე და არა მეო!  
საზოგადო მოღვაწე ვართ,  
არ იფიქროთ სხვა რამეო!“

ყეენობა ერთს დღეს იყო,  
კენჭობია – წლიდან წლობით!  
ის თავდება, ეს იწყება  
ლხინითა და მასპინძლობით.

მერე რა დროს? ხალხი რომ გვთხოვს:  
 „ნუ ამოგვწყვეტთ ჩვენ მშვიერსა!“  
 მაშინ იმათ საპასუხოდ  
 ვმღერით „მრავალჟამიერსა“.

ჩვენ შვილებსაც სწავლა უნდათ,  
 მაგრამ ბედი უგებს ხაფანგს!..  
 ჩვენ კი ისევ კენჭებს ვეძებთ  
 და შევეყურებთ უკუღმართ ბანკს.

ვერა ვხედავთ, რომ გვანება  
 წინ მტერი და უკან მტერი!  
 დაგვაბრმავა კენჭობიამ,  
 მოგვაყარა თვალში მტვერი.

ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხინი  
 ბანკს დაუდგით საზვარაკოდ!  
 დღევანდელი ჩვენი ქცევა  
 დარჩება შვილთ საარაკოდ.

ყეენობა თუ კენჭობა?  
 ახლა თქვენ სთქვით, რა სჯობია?..  
 ეს მოვლენა ყველასათვის  
 საფიქრებელ-საბჭობია.

[1894]

## რამ მომარჩინა?

ბურანში მყოფს, ცოცხალ-მკვდარსა,  
 ხმა ჩამესმა ციური რამ:  
 „ვერ გიმეტებ სასიკვდილოდ!  
 ჯერ აღრეა... ვერ გაგნირაგ!“

თან ჩამოჰყვა, როგორც კიბეს,  
 სამკურნალო იმ ხმას ძალი:  
 ვისუნთქე და შევფართხალდი,  
 გავახილე სუსტათ თვალი.

ნათლის შუქმა თვალი მომჭრა,  
 მომეჩვენა რალაც ბუნდათ...  
 თითქოს დასი ანგელოსთა  
 მეხვეოდა მე გარს გუნდათ.

ერთს ეჭირა ჩანგი ხელში,  
 სულს ატკობობდა ჟღერით... მღერით,  
 და სხვები კი ბანს აძლევდენ  
 თანგრძნობით და გულისძგერით.

ვთქვი: „სადა ვარ? სად მოვსულვარ?  
 ველარა ვცნობ მე ამ სოფელს!..  
 ეს ყოფილა, რომ იტყვიან  
 ზეცასა და სასუფეველს!..“

„ეს სიმღერაც მაღამოა  
 ნრფელი გულის, წმინდა სულის!..  
 მშობელი და თვით ნაშობი  
 ზეციური სიყვარულის!“

ეს ვიგრძენ და მისუსტებულს  
 სამკურნალოთ მიმეძინა...  
 ვფიცავ ღმერთსა, მხოლოდ ამან!..  
 ამან მხოლოთ მომარჩინა!..

[1894]

## სადღეგრძელო

წრფელის ჰაზრითა და გრძნობით ტკბილით,  
რადგან შენა ხარ ლხინის საგანი,  
ვისურვებთ, რომ შენ ყოვლის კეთილით  
ისე აივსო, ვით ეს სტაქანი.

რაგინდ შორს იყო შენ ჩვენგან მსვლელი,  
გულით შენთან ვართ ყველა ჩვენგანი,  
და ვინც კი გყავდეს ავის მსურველი,  
ღმერთმა დასცალოს, ვით ეს სტაქანი.

შემთხვევა დროთი შენს თავს გვაცვილებს,  
მით გვემატება ჩვენ სამწუხარო,  
და შენის წასვლით გულდანყვეტილებს,  
ნუ დაგვივინწყებ, დაუვინყარო.

[1895 წლამდე]



## პანორამა

ზოგს ის მოსწონს, ზოგს ეს მოსწონს,  
სულ სხვადასხვა ბევრი რამა,  
მე კი ყველას მირჩევნია  
პანანინა პანორამა:

ჩაიხედავ, გამოჩნდება  
ყველა ნათლად, უტყუარად,  
გინდ იხმარონ მელის ტყავი  
პირბადეთ და ხელში ფარათ.

ყველგან არის... ბევრგვარია  
ამისთანა საჭვრეტელი,  
მაგრამ ჩვენში ერთი არის:  
„საზოგადო სარბიელი!“

ვინც გინდათ და ვინც არ გინდათ,  
აქ შეხვდებით ყველას ერთად.  
გაბერილებს-გაგუდულებს  
თავი მოაქვსთ რალაც ღმერთად.

პირბადეთ და გზა და ხიდათ  
გაუხდიათ სიყვარული!..  
სათვალთმაქცოთ იძახიან:  
„ოჰ, სამშობლო!.. ოჰ, მამული!..“

ენაჭახრაკ-საქმეხრიკა,  
საგულკუჭო ლიბერალებს.  
ყველას გულში სულ სხვა უძევს!..  
თავში სხვა რამ უტრიალებს!

გვატყუებენ, გვაბრიყვებენ,  
გზას გვიხლართვენ წარამარა!..  
დროა, თვალი გავახილოთ!..  
რაც მოვტყუვდით, ისიც კმარა...

ვინც იჩემებს მოღვაწობას,  
 მოღვაწეა განა ყველა?  
 ზოგჯერ თურმე ძალღივით ჰყეფს  
 მატყუარა კუდა-მელა.

არა, არა! სხვა დრო გვინდა!..  
 გამოვიდეს სულ სხვა დასი,  
 რომ ძველსაცა და ახალსაც  
 ღირსეული დასდვან ფასი.

ჩვეულება-ტრადიციით  
 ვინ თქვა ქვეყნის სამსახური?  
 ვინც ღირსია, მას თაყვანი!..  
 ვინც არა და – მას პანღური!..

მაშინ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის  
 წარმატებას დავიჯერებ...  
 გულს ვაძგერებ საბუღბულოდ!..  
 ჩანგს სავარდოთ ავაჟღერებ!..

მანამდი კი წინ დაგიდგამთ  
 გასაცნობათ პანორამას  
 და გიმღერებთ იმერულათ  
 „გვეგონას“ და „ჩაირამას“.

აქ არიან თავმოყრილი  
 სულ ჩვენები და არ უცხო...  
 მინდა, საგზლათ თვითოეულს  
 „გამოცანა“ გამოვუცხო:

პუბლიცისტს

აი!.. ჰხედავთ ამ ვაჟბატონს,  
 ყველაზე წინ რომ დამდგარა  
 და სახეზეც აწერია:  
 „თავმოყვარე მეტიჩარა?“

დღეს ერთია, ხვალ მეორე,  
 აქ სულ სხვაა და იქ სულ სხვა!  
 აპრილივით მოიდარებს,  
 მარტივით კი იცის სუსხვა...

ხან მხარს აძლევს ფარისევლებს,  
 გოლგოთაზე მისდევს ქრისტეს  
 და ყველაზე მაღლა ჰყვირის:  
 „ნაიყვანეთ! ჯვარს აცვით ეს!“

ხან კელაპტრით ლიტანიას  
 ქრისტიანთან უვლის ერთათ  
 და იძახის: „ქრისტე აღდგა!  
 აღვიაროთ ღმერთი ღმერთათ!“

ხან მტერია მოსისხარი,  
 ხან მორჩილი, მონა შვილი!..  
 არც აქ არის, არც იქ არის,  
 მიხტი-მოხტის, როგორც რწყილი!

„ასკიკუკუს“ მოთამაშე,  
 „ფიგაროა“ მწერლობაში!..  
 იმას სცდილობს, მხოლოდ იმას,  
 რომ ატეხოს რამ განგაში!..

შეახეთქოს ტოლი ტოლსა,  
 მეგობარი მეგობარსა,  
 მერე შედგეს მაღალ სერზე,  
 გადაძახოს მთა და ბარსა:

შემომხედეთ, აი, სად ვარ  
 გმირი, ყოვლის შემძლებელი!..  
 კარზე ყურით მიბმული მყავს  
 იუდა და ბელზებელი.

„ჩემი გეგმით, ჩემი რჩევით  
 ეს ქვეყანა გაჩენილა!..  
 ზამთარ-ზაფხულს მე ვაყენებ,  
 ჩემით ცივა, ჩემით თბილა!..

„თვით შემოქმედს ჩემი რჩევით  
 მოუწყვია არემარე!..  
 მე ვათენებ, მე ვალამებ,  
 მე ამომყავს მზე და მთვარე!

„მოდით, რალა!.. მეთაყვანეთ!..  
 მე ვარ თქვენი წინამძღოლი!..  
 მე ვარ, მხოლოდ მე! მე! მე! მე!  
 არვინ არის ჩემი ტოლი!“

ამას ყვირის კუდაბზიკა!..  
 გაგვიჭედა ყველას ყური!..  
 წვერიც აქვს და „მე“-საც ბლავის  
 ვით თხა, თხების მეთაური.

ბევრს ატყუებს!.. მის ხელშია  
 ჩვენი ცხვრების ბედისწერა!  
 მაგრამ ჩვენ კი, უკაცრავათ,  
 იმისი რომ არა გვჯერა:

„მე“-ს რომ ბლავის, არ ვარგია  
 იმისთანა მეთაური!..  
 თუ გარეთ მგელს გადაურჩა,  
 ძალღი შესჭამს შინაური!

ეს ცხადია, მაგრამ მაინც,  
 გადაკვრია თვალზე ბისტი,  
 და ყოველგან „მე“-ო, ბლავის  
 ზოგიერთი პუბლიცისტი.

პოეტებს

ცოტა ნიჭი, ცოტა ცოდნა,  
ზედ ქართული ანა-ბანა...  
ცა ქუდათ არ მიაჩნია  
და ქალამნათ ეს ქვეყანა!

ხან რუსთველობს, ხან შავთელობს,  
ხანაც მოიჩახრუხავებს...  
აძირმნარებს ტკბილ ქართულსა:  
ხან თავს ჭრის და ხან ატყავებს.

საპირადო და საკუჭო  
აზრებს აძლევს მაღალ ბანსა,  
სიტყვებს გააქვს ბრახაბრუხი,  
როგორათაც ბარაბანსა.

ნამოყაჭავს ტკბილ-ტკბილ რითმებს:  
„კუჭო-მუჭო, გულო-ფულო“,  
და ბოლოში მიაკერებს:  
„ოჰ, მამულო დაღუპულო!“

ვინც ამ სიტყვებს აბდაუბდად  
მიაკოსებს, მოაკოსებს,  
პოეტია!.. სხვა რა უნდათ  
ჩვენ კაჭკაჭა კრიტიკოსებს?

ამ სიტყვებში ეხატებათ:  
ხელოვნება – პოეზია!  
ია, ვარდი და სუმბული  
მათთვის მხოლოდ ჩალა-ბზეა!..

ტაშს უკვრენ და იძახიან:  
„ვაშა! ვაშა! – გენიაო!..  
დაცემული ჩვენი მხარე  
ამის აღნადგენიაო!

„ზეგარდამო შთაგონებით  
ცამდის ანუელიაო,  
და ვინც ამას თაყვანს არ სცემს,  
ის ბოროტი სულიაო“.

შეფერებულ ვითომ პოეტს  
თავი მოაქვს რალაც დიდათ  
და მწერლობას ცხოვრებისთვის  
ის იკეთებს გზათ და ხიდათ;

ხან აქ არი, ხან იქ არი,  
მიძვრებ-გაძვრებ-გამოძვრება!  
მაგრამ ყველგან მედიდურობს,  
კოლოტივით იბერება.

იცის კარგად, რომ ამწონი  
და გამზომი არვინა ჰყავს...  
რომ კრიტიკოს-კაჭკაჭები  
ვერ არჩევენ ბულბულს და ყვავს.

აი, ამან გაასწორა,  
მხოლოდ ამან, მთა და ბარი,  
და მიტომაც მრავალია  
პოეტობის მაძებარი.

პედაგოგებს

მეხრე-ტეგია მიხაკა  
და ღვიტიკელა გოგია,  
ვინც ქართულს დაამახინჯებს,  
სუყველა პედაგოგია.

„კორფი“ და „ვოდოვოზოვი“,  
„უშინსკიც“ შეუსწავლიათ:  
„პესტალოც-დისტერვეგები“  
არშიათ გარე ავლიათ.

მხოლოდ მას იმეორებენ,  
 რაც სხვისგან გაუგონიათ,  
 სურამში დაბადებული  
 ნოვლოროდელი ჰგონიათ!..

მათთვის არც გვარი, არც ტომი,  
 არც სხვანაირი ბუნება!..  
 სამაიმუნო გამხდარა  
 მათი ჭკუა და გონება.

აი, ხომ ხედავთ ამ ბატონს,  
 რომ ჰგომობდა ჩვენსა სკოლასა  
 და მითი გულს უკეთებდა  
 მთაგადალმიელ მოლასა?

ცხადათ აქ იყო, ჩუმად – იქ,  
 მტრისა და მოყვრის მსახური!..  
 ჩაიბისმარკა: არ დასწვა  
 არც მწვადი და არც შამფური

მას თურმე პედაგოგობა  
 დაჰქონდა გასაყიდათა  
 და ჩვენი ახალგაზრდობა  
 დაიდვა გზათ და ხიდათა.

და, რაც უნდოდა, იშოვნა...  
 აუხდა გულის წადილი!..  
 დღეს ეძებს მარტო მეგობრებს,  
 მზათა აქვს მათთვის სადილი.

იცის, რომ კუჭი მაძლარი  
 ადვილი მოსაგებია!..  
 მოიხიბლება – ცუდს აქებს  
 და დაჰგომობს, რაც საქებია!..

იცის და მიტომ პატიჟობს  
დიდს და პატარას, ყველასა...  
მაგრამ ვის? ინტელიგენცსა,  
ფუჟსა და ღორმუცელასა.

იოლათ ნავა მათითაც...  
ბრმა და ყრუ არის სოფელი:  
მოყვარე მტერი ჰგონია  
და მტერი –შემამკობელი.

აი, ამასთან მეორეც  
მოდის და მოიფხორება...  
ვითომ ვერ იცნობს მოლასა!..  
ჩუმათ კი ეანბორება.

ეტყობა, პედაგოგის  
ჯერ მაგას არრა სცხებია,  
ვერ შეუგნია სხვისი რამ,  
თავისიც დავინყებია!..

აღარც აქ არის, აღარც იქ!..  
ჩამდგარა ორთა წყალთ შუა!..  
გამოღმა გრძნობა დაჰკარგა  
და გაღმა დარჩა მას ჭკუა...

მაგრამ ხომ გაგიგონიათ:  
„ქვეყანას უმოახლოსა  
ვირს ვარდისახარს ეძახდენ,  
რომ ხელი არვინ ახლოსა?!“

მესამე? მაგრამ მესამე,  
მეათე, გინდა მეასე!..  
სულ ერთი გვარის არიან...  
შემისწავლია მე ასე.



და როცა გამოერევა  
იმათში თითო-ოროლა,  
როგორც ყვავებში ბულბული,  
ანუ ჩხიკვებში ტოროლა,

აჩხივლდებიან დიდები,  
ალარ აძლევენ შველასა!..  
ანდა თვის კერძათ გახდიან,  
ან შეაჭმევენ მელასა.

ვინლა გაარჩევს პედაგოგს  
უგვაროსა და გვარიანს,  
როდესაც ერთი ფასი აქვს  
კავთისხვესა და ვარიანს...

.....

[1895]

## სამძიმარი

ბატონიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონის  
დასაფლავებაზე წარმოთქმული

ეს საგულისხმო დღევანდელი დღე  
საგანგებოა და სახსოვარი,  
როგორც აჩრდილი ჩვენი წარსულის  
და მომავალის ნიშან-ლამპარი.

ამგვარი გლოვა და ეს ტირილი  
ალარ გვინახავს დიდი ხანია!..  
ჰსჩანს, რომ წარსულ დროს თვის ჩვეულება  
საფლავში თან არ ჩაუტანია;

და ისევ თურმე გვიღვივის გულში  
ობოლ ნაკვერცხლად ჩვენი ძველი დრო,  
ვით ცისარტყელა ფერადოვანი,  
შვების ნიშანი მარად სამკვიდრო!

ვინ მოგვაგონა ეს ჩვეულება?  
ვინ შეგვითანხმა ერთ გრძნობად გული?  
მან, ვინც დავკარგეთ ასე უდროვოთ  
და მალღით იქნა მიწოდებული!..

ნერგი სამეფო, შტო ჩინებული,  
ჩვენ ნიადაგზე აღმონაცენი!..  
ხალხის ნაშობი, თანშენაზარდი,  
ჭირში და ლხინში ჩვენი და ჩვენი!

შეძლებისდაგვარ ქვეყნის მოყვარე,  
გულის მომგები და საყვარელი!..  
აი, ვის იგლოვს ამდენი ხალხი!..  
ვის საფლავზეა ცრემლების მღვრელი!

ცვალებადია ჩვენი ქვეყანა!..  
მხოლოდ განგება არ შეიცვლება...  
მაგრამ მოყვარე და საყვარელი  
ქვეყნის მკვდართ რიცხვში არ ჩაითვლება!..

აქაც დარჩება, იქაც ნაჰყვება  
მას ზნეობრივი მისი ქონება!..  
ხალხის გულია იმისი კუბო  
და მტკიცე ტახტი – ქვეყნის გონება.

მშვიდობით... მარად კურთხეულ იყოს  
ამქვეყნად ჩვენში შენი ხსენება!..  
და იქ, დიდებულ წინაპართ შორის,  
ღირსი მიღება და განსვენება!..

[1895]

**ეგნატე ნინოშვილისადმი**

სურათზე

მას, ვინც სიცოცხლე ხანმოკლე,  
ხანგრძლივად ნაყოფიერი,  
წმინდათ უმსხვერპლა სამშობლოს, –  
არ დაივინყებს არც ერი.

[1895]

## ობოლი

დედის ტკბილი რძის ჭირიმე!  
ძუძუებს ვენაცვალეები!  
ვინც მათი გემო არ იცის,  
ახვეული აქვს თვალები.

ხელში ჩამიგდო ობოლი  
კუდურმა დედინაცვალმა.  
დამწყველა ენაბოროტმა,  
გამღალა მისმა მე თვალმა...

ალარც ვიზდები, არც ვკვდები,  
შევკვნესი სხვისა კერასა,  
დედის სახელსაც ვერ ვამხელ,  
ვაი, ჩემ ბედისწერასა!..

დედას ვეძახი – „მამასა“,  
ვეძახი მამას – „პაპასა“;  
არც ერთი პასუხს არ მაძლევს  
და იმან გამაკაპასა.

ოჰ, რა ძნელია ობლობა  
და უძნელესი – გერობა!  
დედინაცვალის დედობა,  
მისი მოყვრული მტერობა!..

დედის რძე თაფლი ყოფილა  
და დედინაცვლის – ნალველა:  
დავლიე – ყელზე დამადგა,  
ძირმწარეთ წამომახველა!..

ისევ დედის რძის ჭირიმე,  
ძუძუებს ვენაცვალეები!  
ოცნებით მაინც შევეტკბო,  
სიცხადით განაწყალეები!

[1895]

## სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,  
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!..  
გულამოსკვნილი ვჩიოდი:  
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“

ეკალში ვარდი შევნიშნე,  
ობლად რომ ამოსულიყო,  
გულის ფანცქალით ვკითხავდი:  
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

ნიშნად თანხმობის კოკობი  
შეირხა... თავი დახარა,  
ცვარ-მარგალიტი ციური  
დაბლა ცრემლებათ დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული,  
ფოთლებში მიმალულიყო,  
მივეხმატკბილე ჩიტუნას:  
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

შეიფრთქილა მგოსანმა,  
ყვავილს ნისკარტი შეახო,  
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,  
თითქოს სთქვა: „ღიახ, ღიახო!“

დაგვეტათებდა ვარსკვლავი,  
სხივები გადმოსულიყო,  
მას შევეკითხე შეფრქვევით:  
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

დასტური მომცა ციმციმით,  
 სხივები გადმომაყარა  
 და იმ დროს ყურში ჩურჩულით  
 ნიავმაც ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,  
 მორჩი და მოისვენეო!  
 დღე დაილამე ან ტკბილად  
 და ლამე გაითენეო!

„სამად დაშლილა ის ერთი:  
 ვარსკვლავად, ბუღბუღ, ვარდათო,  
 თქვენ ერთმანეთი რადგანაც  
 ამქვეყნათ შეგიყვარდათ“.

მენიშნა!.. აღარ დავეძებ  
 საყვარლის კუბო-სამარეს,  
 აღარც შევჩივი ქვეყანას  
 და არც ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!..

ბუღბუღს ყურს ვუგდებ, ვარდს ვცნოსავ,  
 ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა  
 და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,  
 ვერ გამომითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,  
 დღემდი რომ მწარეთ კრულ იყო,  
 ახლა კი ვიცი, სადაც ხარ:  
 სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

[1895]

## თერთმეტი ენკენისთვე

ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს

კრწანისის ველი! კრწანისის ველი!  
რა საგულისხმო გასაგონია?!  
გმირთა კალოა, სისხლით მორწყული  
და ერიც მითი თავმომწონია!..

სადაც ქართველი კი წამებულა,  
ეს სუყველაზე უდიდესია:  
მამების კუბო სამარადისოთ  
შვილების აკვნად აქ ნათესია!

ეს არის დიდი უღელტეხილი  
ჩვენი წარსულის და მომავალის,  
მკვდრეთით სიცოცხლის მომნიჭებელი,  
ძველზე გამყვანი ახალი კვალის!

აქ რომ კვდებოდნენ ჩვენი მამები,  
გატაცებული და გამსჭვალული,  
სულ სხვა განძრახვით და სხვა იმედით  
სიკვდილის წინედ უძგერდათ გული:

ჰფიქრობდენ: „ჩვენ ვართ უკანასკნელი  
სამშობლოს მსხვერპლი, გათავდეს ქირი!..  
და ქრისტეს მცნებას ან ქვაკუთხედათ  
უნდა დაედვას „ორთა კავშირი“.

„კავშირი ჯვარით გამყარებული,  
კავშირი ძმური და მეგობრული...  
და ვინც იფიქროს მისი განყვეტა,  
იყოს წყეული ღვთისგან და კრული!



„ან ვინ იფიქრებს იმის განწყვეტას,  
 თუ არ უგნური და უმეცარი?  
 ძმობა, ერთობა და სიყვარული  
 ქვეყნისთვის არის ციური ცვარი!..

„ერთობა სჯულის, ერთობა გულის  
 უფარისელო და პირდაპირი, –  
 აი, რა არის სხვადასხვა ტომის  
 შემხორცებელი წმინდა კავშირი!“

ასე ფიქრობდენ, რომ გვიანდერძეს  
 მათი განძრახვა სახელმძღვანელოთ,  
 და მათი ღირსი აღარ ვიქნებით,  
 ეს გრძნობა გულში რომ გავინელოთ!

მოყვრათ ვერ ვიცნობთ, ვინც ცივად გვეტყვის:  
 „შესცვალეთ თქვენი ხორცი და ფერი,  
 დაჰკარგეთ ენა, ზნე-ჩვეულება,  
 უარჰყავთ თქვენი ყოველიფერი!

„ნარხოცეთ თქვენი მესხიერება,  
 ზოგჯერ აღმძვრელი სინანულისო  
 და მაშინ მხოლოდ გახდებით ღირსი  
 თქვენ ჩვენი ძმობა-სიყვარულისო“.

არა! არ გვჯერა!.. აქ შეცდომაა!..  
 ასე არ ესმის ქართველს კაცობა!  
 ჯერ უნდა თვითონ სულით ამაღლდეს,  
 რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა.

და ადამიანს რა აამაღლებს,  
 თუ არ მისივე წმინდა სამშობლო,  
 ენა, ფერადი ზნე-ჩვეულება,  
 ვით „წმინდათ-წმინდა“ საამასოფლო?..

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,  
 ის მის მაგიერს ვის შეიყვარებს?  
 ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,  
 ვინდა გაუღებს სამოყვროთ კარებს?

განა სხვის სახლში შევა ერთგულად  
 თავისი მტერი და გარეწარი?  
 თუ არ ქვეშ-ქვეშად, ფარისევლობით,  
 ვით მოლაღატე მონა... მზაკვარი?!

არა და არა!! ქართველმა იცის  
 ეს და მიტომაც მრუდეთ არ სდგამს ფეხს  
 და გადმონაცემს ძვლებისაგან  
 საშვილიშვილო „ანდერძს“ არა სტეხს!..

და ის „ანდერძიც“ აქ დაინერა,  
 „კრწანისის ველზე“, ქართველთა სისხლით,  
 გამტკიცდა დღეის-დღის მოგონებით  
 და დაგვირგვინდა დღესვე ასის წლით!..

კურთხეულ იყოს ამიერიდან  
 და საუკუნოთ სახსენებელი,  
 ვინც სჯულს და მამულს შესწირა თავი  
 და სისხლით მორწყო კრწანისის ველი!..

[1895]

## თვალეზო!

სარკეო სულის და გულის,  
გრძნობა-გონების სარკმელო,  
გალაღვით მიმტყუებელო,  
კარზე ნამნამით დამბმელო!..

თვალეზო! ქვეყნის ვარსკვლავათ  
მოციმციმ-მოკაშკაშენო!  
თქვენის ანდამატ-სხივებით  
უნდა ედემი ვაშენო!..

რომ ან და სამარადისოთ  
ის იყოს ჩემი სადგური,  
სად ევა აღარ იქნება  
და აღარც გველი მაცდური,

რომ „ცნობადისა ხე“ იგი  
აღარ დამეგოს მე მახედ  
და სიყვარული უკვდავი  
წინ მიელვებდეს ღვთის სახედ.

გავიადამებ ოცნებით  
მე მაშინ გრძნობა-გონებას,  
ღმერთად ვინამებ თქვენს მფლობელს,  
მსხვერპლად შევწირავ მონებას!

წამს საუკუნედ მივითვლი,  
მარადათ – საუკუნოსა,  
მაგრამ ოცნებით სწეული,  
ვაჰ, თუ ველარამ მკურნოსა!..

თვალეზო! ქვეყნის ვარსკვლავად  
მოციმციმ-მოკაშკაშენო!  
ჩემი ედემი სხვის კარზე  
როგორ ავაგო, ვაშენო?...

[1895]

## მახვილი თუ ინდუსტრია?!

გაიძვერა გმირებისთვის  
ეს ქვეყანა თეატრია!..  
თვალთმაქცობენ და ჰყვირიან:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ვისაც ქვეყნის ნაცოდგარი  
ჯიბეში სქლათ ჩაუყრია,  
ის ყველაზე მეტად ჰყვირის:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ჭკუამწყრალი ლიბერალი,  
კუჭისთვის რომ მოაზრეა,  
ბანზე აგდებს სიტყვებს!.. ჰყვირის:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ქურდი, თხლეზე დაჭერილი,  
პატრონს რომ ზედ მიუსწრია,  
თავს იმართლებს და იძახის:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

შეხიზნულებს ჩვენს ოჯახში  
სამტროდ თავი მოუყრია,  
ალარ გვზოგვენ, ჩვენ კი ვფიქრობთ:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

რაზედაც ჩვენს მამა-პაპებს  
ოფლი სისხლათ დაუღვრია,  
წაგვართვეს და ჩვენ ვიძახოთ:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ვისაც ჩვენი ქვეყნისათვის  
ცოცხლათ ტყავი გაუძვრია,  
რა ნება აქვს, რომ იძახოს:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ვინც პირადის ანგარიშით  
ჩვენი წმინდა სამღვრია,  
აქვს უფლება იძახოდეს:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ვინც აფასებს მხოლოდ იმას,  
ვისაც თავი მოუხრია,  
განა შვენის იძახოდეს:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ვინც სდევნიდა ყველა კარგ კაცს,  
რომ კბილები ჩაემტვრია,  
დღეს ნება აქვს, რომ იძახოს:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ვფიცავ ღმერთსა, ღმერთსა ვფიცავ,  
ეს ქვეყანა თეატრია:  
ყველა სტყუის, ვინც იძახის:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

მხოლოდ კენჭებს ვინც აგროვებს,  
ან იყრის და ან უყრია,  
იმას შვენის, რომ იძახოს:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

ლიბერალო! შე საბრალო!  
რათ აჩქარდი? ჯერ ადრეა!  
კენჭობის დროს უნდა გეტყვა:  
„მახვილი თუ ინდუსტრია?“

[1895]

## ავადმყოფი

საბძელმა უთხრა ქარსაო:  
რას მომდგომიხარ კარსაო?  
ბზეს შემომიტან ერთ მუჭას,  
გაიტან ათას ძარსაო!“

„ნურც თქვენ ენდობით მკურნალსა,  
გადამთიელსა გრძნეულსა!“  
ურჩევდა თურმე ჭაბუა  
ზაქიჭამია სნეულსა. –

„სიფრთხილეს თავი არ სტკივა!..  
ძველებს არ უთქვამთ ტყვილადო.  
სანამლავს შემოგაპარებს  
ორგული თაფლზე ტკბილადა.“

– ეგ არაკები ჭაბუა  
ბევრისგან გამიგონია... –  
ხავსს ვეჭიდები, მეც ვიცი,  
მაგრამ რა მეტი ღონია?

შენც ხედავ, კარზე გვადგია  
ჭირი რამ გაუკითხავი!  
ქონის დადნობას ვინ ჩივა?  
არც ხორცი შეგვრჩა, არც ტყავი.

მოყვარე გადამთიელი  
მპირდება განკურნებასა;  
მოსულა ქრისტეს სახელით,  
იფიცავს მისვე მცნებასა.

ჩემი სატკივრის შემგნებიც  
უნდა ჩემსავით იწვოდეს!..  
თუ მომატყუა, იმან და  
იმისმა ღმერთმა იცოდეს!

მგელი, თუ ძალღი მგლის ფერი,  
რომელიც შემჭამს – ერთია!..  
ან ველარ გავსტეხ ჩემ სიტყვას,  
თავმდები თვითონ ღმერთია!“

ეს სთქვა და თვალი დახუჭა  
ბრძანა: „გააქვრეთ ლამპარი!..  
ბნელაში ძილის მომყვანი,  
მიტხარით ვინმემ ზღაპარი!..“

ყველა მოშორდა. იქ დარჩა  
მარტო ჭაბუა ორბელიანი  
და ზღაპარს ეუბნებოდა,  
უკუღმართ ბედის მჩივანი:

„იყო და არა იყო რა...  
სცხოვრობდა ერთი მელია.  
დაუდგა უკუღმართი დრო:  
საკვები შემოელა.“

მიეკრა წელზე მუცელი  
შიმშილით ხდება მას სული...  
დაინყო გამწარებულმა  
აქეთ და აქით ცუნცული.

ნაოხარ ადგილს მიადგა,  
დასუნაგობდა, დარბოდა!..  
დიდი ხნის გაცივებული  
სოფელი, რაღას არგოდა?

ხეტილის დროს უკარო  
ნახა პატარა სამღებრო;  
იქ ჭური დახვდა თავლია  
და გაუსინჯა, ვითომ, ძრო:

შიგ ჩაჰყო თავი, ჩახედა!..  
 – რას ეძებს რა ეგულება? –  
 აუსხლტა ფეხი!.. ჩავარდა,  
 უეცრად გახდა ძირს ტვლეპა!..

შიგ საღებავი მდგარიყო...  
 ამოინუმპა მელია;  
 ძლივს ამოფორთხდა წვალებით  
 ძალ-ლონე გამოეღია.

მოკიდებოდა ლილა და  
 ლაინის ფერი ედვა მას!..  
 ჰგომბდა უკუღმართ ქვეყანას,  
 სწყევლიდა მშობელ დედ-მამას!!.

ტყვილა დახარჯა... უბრალოთ...  
 სამღურავ-საყვედურები!..  
 ამოიძუა, რომ შერცხვა,  
 და ჩამოყარა ყურები.

„ალარა გაენყობა-რა!  
 – სთქვა – საქმეს უსაშველოსო!.,  
 მე მოგახსენებთ, სხვა ფერმა  
 ტყავი არ დამიძველოსო?!..“

რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ  
 ჩვეულებით და ზნითაო!..  
 რას მავნებს ლურჯი ფერი მე  
 და ისიც ცოტა ხნითაო?“

თავს ნუგეში სცა და ძველ გზას  
 გაუდგა ისევ ნელ-ნელა.  
 ვინც შეხვდა ჰკითხა ანბავი,  
 მან მოატყუა სუყველა.



უთხრა: „რათ გიკვირსთ ნეტავი  
 ეს უცნაური ფერიო?  
 ის აღარა ვარ, რაც ვიყავ!..  
 ახლა ვარ წმინდა ბერიო!..“

სულს შეუდექი... ცოდვების  
 ან მონანება მინდაო;  
 იერუსალიმს მივდივარ,  
 იქ უნდა გავხდე წმინდაო.

თქვენც გირჩევთ სულზე იფიქროთ,  
 შეუდგეთ ჩემსა კვალსაო;  
 გადახდა უნდა ამ სოფლის  
 ხორციელ სესხს და ვალსაო!“

გაბრიყვდა ზოგი პირუტყვი  
 და აედევნა მელასა, –  
 როგორც მოწაფეს მოძღვარი,  
 წინ მიუძღოდა ყველასა.

შიგ მოჰყვა ერთი მამალი,  
 ერთიც ოფოფი და ძერა.  
 მელას ხელშია იმათი  
 უკულმართი ბედისა-წერა.

რომ დაალამდათ, ერთ ქვაბში  
 შევიდენ, დაისადგურეს;  
 ვით განდეგილის წესია,  
 ლოცვის წინ კარი დახურეს.

მოძღვარმა უთხრა მოწაფეთ:  
 „უნდა სთქვათ აღსარებაო!..  
 სამ ცოდვას ღმერთიც შეგინდობს  
 და მეოთხეზე სწყრებაო!..“

რალა გზა ჰქონდათ?! დათანხმდენ,  
 მიჰყვენ ცბიერის ნებასა  
 და გულში აღარ ელოდენ  
 სანწყლები გათენებასა.

წადგა ბრალმდებლად მელია,  
 და საკანონოს მომხდელად  
 გამოგონებულ ხრიკებსა  
 თავზე ადებდა მათ ხელად.

ზოგს ის შესწამა ზოგს ესა. –  
 სასჯელიც გადაუწყვიტა:  
 წაავლო პირი და ყველას  
 იქავე თავი წასწყვიტა.

აჰა, ელასა – მელასა  
 ძილი გაამოსთ ყველასა!..  
 სხვა რალა მოეთხოვება,  
 გინდ ბერად შესდგეს, მელასა?“

სთქვა და წამოდგა მეზლაპრე –  
 „გათავდა!.. ან კი კმარაო!“  
 მაგრამ სნეულმა მიუგო:  
 ჯერ სულ არ გითქვამს, არაო!

რათ დაგავინყდა ოფოფი  
 და მწევარ-მეძებრებო?  
 სიკვდილის წინეთ თავდებსა  
 მეც იმას ვევედრებო!..

[1895]

## დაკარგული ქრისტიანობა

კაცი რომ თავის თავს უზამს,  
იმას ვერ უზამს მტერობა!  
ვაი, რა ტყვილად დავჰკარგეთ  
ენა, რჯული და ერობა.

გამმეტებელი სხეულის,  
ვერ გამწირველი სულისა,  
თათრებს შევაკვდით... შევანწყდით  
მცველად და ფარად რჯულისა.

ვამბობდით: „ტკბილო სამშობლოვ!  
ნილხვედრო ღვთისმშობლისაო!  
დედა-ღვთისაა მფარველი  
და მცველი ქვრივ-ობლისაო.

არ გაგვიმეტებს მის მმოსავს  
და არ აგვალებს ხელსაო:  
მოგვივლენს თანამერჯულეს,  
თანამეომარს, მხსნელსაო“.

ასე ვფიქრობდით და თვალი  
ჩრდილოეთისკენ გვეჭირა.  
გვინდოდა შეკავშირებულს  
ერთად გველოცა... გვეწირა.

გაგვიდგა კათალიკოსი,  
ამბობდა: „სცდებით ყველაო,  
მგელს რომ გადენით, ვაი თუ  
შემოგეპაროსთ მელაო.

და სადაც ხმალი ვერა სჭრის,  
 იქ ხერხმა გაიტანოსა  
 და უარესმა სხვა ჭირმა  
 ძველი დრო დაგვანახოსა?

სულიც დავჰკარგოთ და ხორციც,  
 აღარც ეს გვექნეს, არც ისო!..  
 აღვიფხრათ ქვეყნის პირისგან  
 არც ქვეყნის ვიყოთ, არც ცისო?

სჯობს ამთავითვე სიფრთხილე  
 ბოლოს დროს დანანებასო?  
 შევსცვალოთ რჯულში მცირე რამ,  
 ნუ ვჰკარგავთ ქრისტეს მცნებასო.

გვიჯობს, მივიღოთ ფრანგობა,  
 იგივე ქრისტეს რჯულიო,  
 ნუ შევჩერდებით იქ, სადაც  
 სხვა არის განძრახულიო!“

არ დავიჯერეთ და დღეს კი  
 გვენიშნა მისი ნათქვამი:  
 დავჰკარგეთ ცაც და ქვეყანაც!  
 არც სული შეგვრჩა, არც გვამი!...

ქრისტეს სახელით დაიწყეს  
 პოლიტიკური გოდება!..  
 მოგვისპეს საღმრთო წერილი,  
 სასულიერო წოდება.

ჩვენს ძველ მონასტრებს წიხლი ჰკრეს,  
 ააგეს სემინარია;  
 აქ მათმა ფარისევლობამ  
 ქვეყანა არივ-დარია.

რჯულს არ დასდევენ, არც ქრისტეს  
 უძღვნიან ქებათ-ქებასა!  
 და ასწავლიან აქ მხოლოდ  
 ქართველის გარუსებასა.

და გარუსებას რაგვარად?  
 განა გრძნობით და გონებით?  
 არა! ქართულის განირვით  
 და რჯულის საგმობ მონებით.

და ვისიც ნორჩი ბუნება  
 ვერ იტანს საძაგლობასა,  
 იმას უსპობენ საზრდოსაც,  
 არ თუ აძლევენ მღვდლობასა.

და ვინც ითვისებს, იმას კი  
 თავზე ხელს უსმენ ქებითა,  
 მკერდს უფარავენ ჯვრებითა...  
 და გულს ეშმაკის რქებითა.

ამგვარად ჩვენში გამრავლდნენ  
 იუდა—მღვდელებ-ბერები.  
 „სტეხენ შიგნიდან ციხესა“  
 მოჰყავთ შორიდან მტერები.

მათ ქართველების არა აქვსთ  
 არც ხათრი, არცა რიდება  
 და ფეხით გააქვსთ-გამოაქვსთ  
 ძველი სინმინდე—დიდება.

ამბობენ: „ხელში გვიჭირავს  
 თქვენი წარსულის სიაო!  
 რასაც არ სტყუით, სად გჰქოდათ  
 რჯული? ან ეკლესიაო?

სად მხეცი ხალხი... ველური,  
სად ქრისტეს მსახურებო?  
ძაღლების ენით ნათარგმნი  
რას ვარგა სახარებო?"

აი, რას გვეუბნებიან, –  
და მათი ბაგეც არ სცხრება! –  
ეს არის ქრისტიანობა  
და მათი რჯულის მოძღვრება.

ვაი, შერცხვენას ერისას!  
რჯულის შებღალვას ურჯულოდ!  
სანამდი უნდა ვითმენდეთ  
და შევჰყურებდეთ უგულოდ?

მაგრამ აღარ გყავს, დღეს ბედ კრულს,  
ქუთათელ-გენათელები?  
მათ ნაცვლად ჩვენს ძველ ტაძრებში  
ჰბუდობდენ ბაყაყ-გველები.

გვიბღალვენ უნმინდურებით  
რჯულსა და ეროვნებასა  
და ურჯულობას სარჩულად  
უდებენ ქრისტეს მცნებასა.

[1895]

## „ივერიის“ თანამშრომლები

ფირუზა, ლალი, მეველე, ნალი, ფარნაოზი, დიოგენი, მენავე, მეკობრე, მანველიძე, პონტოელი, მეკალანდრე და განდევილი

„ივერიამ“ აგვირია  
ყველას გზა და კვალი!  
აღარ ვიცით, სად მივყავართ?  
ვაი, ჩვენი ბრალი!..

ნინამძლოლად გამოსულან  
„ფირუზა“ და „ლალი“,  
ერთი ბრმაა, ერთი კოჭლი!  
ვაი, ჩვენი ბრალი!..

„ნახირ-ნახირ!“ იძახიან  
„მეველე“ და „ნალი“,  
მაიდანიც იმათ რჩებათ, –  
ვაი, ჩვენი ბრალი!

„ფარნაოზი“ უმაძლარი,  
„დიოგენი“ მთვრალი,  
ცხოვრებასაც გვასწავლიან, –  
ვაი, ჩვენი ბრალი!..

„მენავეც“ ხომ „მეკობრეა“,  
გამძვრალ-გამომძვრალი,  
ზნეობაზე გვიქადაგებს, –  
ვაი, ჩვენი ბრალი!..

„მანველიძე“ უმეცარი,  
ნიჭით გამომშრალი,  
როსისა და მაზინს არჩევს?  
ვაი, ჩვენი ბრალი!..

ილია რომ „პონტელია“,  
 პილატებზე მღერალი:  
 დრამებს გვინერს, იტებს კისერს!  
 ვაი, ჩვენი ბრალი!

„მეკალანდრე“ გუნიაა  
 და ბანკის ბორბალი,  
 იმას უნდა დავუჯეროთ?  
 ვაი, ჩვენი ბრალი!..

უნიჭოა და უენო,  
 არ აქვს ფეხი, თვალი...  
 საარშიყო როლს თამაშობს!  
 ვაი, ჩვენი ბრალი!

ყველასა სჯობს „განდეგილი“,  
 მაგრამ ისიც ქალი? –  
 ნვერ-ულვაშო, შერცხვენილო, –  
 ვაი, ჩვენი ბრალი!..

[1895-1896]



## ოპოზიციის სიმღერა

ბედმა გვიმუხთლა უდროვოდ,  
ტკბილ-ტაროსი შეგვეცვალა  
და ტიელმა ფლავის ჭამა  
ალარ იქნა – არ გვაცალა!

ხოლო ვინც კი მას მიუჯდა,  
შეიკერა ქურქი თბილი,  
მას ზამთარი ვერას ავნებს  
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.

მაგრამ რა ქნას, ვისაც შრომით  
გაუფრთხია თვისი ძილი, –  
იგი სხვისთვის მეზრძოლია,  
„მუხთარს“ რჩება მისი წილი!

სჯობს, მიჰბადოს იმან ქრისტეს:  
ბოროტებას არ შეუდრკეს,  
მაჰმადის რჯულს უარი ჰყოს  
და ქრისტესის ჯვარს შეუდგეს...

საზრდო მივცეთ სულსა და გულს,  
მით სურვილი დავიმნიფოთ,  
მოთმენით და სულგრძელებით  
მტერი ნალოდ ავითრიოთ.

მაშინ მუხთარ ფლავისაკენ  
კისერს კიდევ გაიწოდებს,  
მაგრამ ბედმავეს ძველებურად  
ალარავინ მიაწოდებს;

ზამთრისათვის შეკერილი  
ქურქი თბილი გაუცვდება  
და ფლავისგან გაპოხილი  
კუჭიც მალე გაუხმება.

აი, მაშინ... სწორედ მაშინ  
ავჭიკჭიკდეთ, ვით მერცხალი,  
რომ მოგვძახონ თვითვე მტრებმა:  
„გაზაფხული თქვენი არი!“

რომე ფაშის ქადაგება  
ტყუილია, არ-მართალი,  
ფლავის ჭამა შხამად ერგოს,  
ახია და სამართალი!..

თვით ფაშამ კი სიმწარისგან  
თმა იგლიჯოს ხელით ბლუჯი,  
სამუდამოდ დაინყველოს  
ის მსუნაგი თვისი კუჭი!

დეე, ჯერედ იპარპაშოს,  
რადგან ფლავი ეგემება,  
მაგრამ ოხერი ერთი დრო  
რომ არავის არ შერჩება!..

1896 წ., 20 მარტი

### პირუმთნეულად

მარიამ სვიმონის ასულს გოპაძისას

კარგი რამ ხარ, როგორც დედა!..  
უკეთესი – როგორც ცოლი!..  
თვალ-ტანადათ ლამაზ-სანდო...  
საკადრისი ქმრის და ცოლი!

შემოქმედმა შენით, შენზე  
თვისი ძალა დაგვანახვა...  
დიდება მის ძლიერებას!..  
რალა ეთქმის პოეტსა სხვა?

1896 წ., 12 აგვისტო,  
აბასთუმანი.

## ჩემი ლოცვა

თამარს, ქეთევანს და ნინოს  
 თაყვანს ვსცემ, როგორც იდეალს,  
 საკვერთხად ვუდგამ წმინდა გულს  
 და ვუკმევ ტრფიალების ალს!

დიდება ერთის მზეობას!  
 მეორის მოთმინებასა!  
 მესამის სარწმუნოებას...  
 და მათსა მოვლინებასა!..

ერთს არსებაში სამივეს  
 ვხედავ აქ მოთავსებულად!..  
 თაყვანს ვსცემ, როგორც ღვთაებას  
 და თავს ვგრძნობ გაახლებულად.

[1896]

## არაგვისპირელს

როდესაც ჩვენში მწერლობა  
თანდათან იშრიტებოდა,  
შენ მოგელოდი „ხედ-წმინდათ“  
და ნახვა მენატრებოდა.

მოხველ თავმდაბლად და ამბობ:  
„გიახელთ ახალ-დვრიტათო“,  
და მეც რას გეტყვი მოხუცი,  
თუ არა: ჭეშმარიტათო?!

[1896]

## მუხამბაზი

ფუ, ჩემ ვარსკვლავს და ჩემ ბედისწერასა:  
 ცივ ნაცარში მიმატყუპა კერასა!  
 რაც მებადა, გაატანა ურჯულოთ,  
 შემოსეულ ჩხიკვს, ყვავსა და ძერასა!

რას მერჩოდა? ვის რა ვირი მოვპარე,  
 რომ საკანათ გამიხადა ეს მხარე,  
 სადაც სისხლი დავანთხიე სარწყავათ  
 და ცრემლები თან ჩავეურთე მდულარე?

ცალი ხელით გვარს და რჯულს ვიფარავდი,  
 მეორეთი – ვთოხნიდი და ვბარავდი!..  
 სისხლის ოფლში გავინურე... გააკაჟდი!..  
 გავფოლადდი ცეცხლში!.. დავპატარავდი!

დავჩიავდი!.. ნამლევი ვარ კვერცხივით,  
 მზე ვერ მწვდება ჯერ ვერც შუქით, ვერც სხივით!  
 და თუ დამწვდა... ჩამომჭვრიტა სარკმელში,  
 ვიბრჭყვიალებ ერთხელ კიდე ვერცხლივით!

მაგრამ ჯერ კი – ფუ, ჩემს ბედისწერასა,  
 სანამ ასე მიკრული ვარ კერასა!..  
 შხამ-ნალველი და ძირმწარე ჩემს კალამს  
 და ცრემლები – ამ ჩემ შემკრთალ წერასა!..

[1896]

## სახსოვარი

იხარე ანგელოზთ გუნდო  
ვარსკვლავო მოსხივცისკარე!  
ლიტანიობდე ამიერ  
ეთერზე ფრთებმოელვარე!

ნახველ უდროვოდ ამ სოფლით  
ედემის ნორჩი ყვავილი.  
რომ შენი ხსოვნა შენ მშობლებს  
ეკლად დაესოს მწარ-ტკბილი!

თანა მავალო ვარსკვლავთა  
ელვარებითა დიდობით,  
ლიტანიობით ცის გუნდში!  
იმხიარულე! . . . მშვიდობით!

[1896]

## ნათელას სიმღერა

ჩანგურს სიმები გავუბი,  
მოვმართე ნელა-ნელაო,  
შევეუხმატკბილე ერთმანეთს:  
„ოდელა-დელა-დელაო!“

თავ-თავის ჰანგზე, თავის ხმით  
წკრიალობს ერთად ყველაო,  
ერთიმეორის თანხმობით:  
„ოდელა-დელა-დელაო!“

ერთი მათგანიც რომ განყდეს,  
მაშინვე უნდა შეველაო,  
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური,  
„ოდელა-დელა-დელაო!“

ჩანგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,  
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:  
„ოდელა-დელა-დელაო!“

ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ  
სინათლე დაგვიბნელაო!..  
ბნელში რა სასიმღეროა:  
„ოდელა-დელა-დელაო!“

შორიდან შემოგვეპარა  
მტერი, ვით ტურა-მელაო  
და სულ სხვა ხმაზე გვამღერებს,  
არ მოსწონს „დელა-დელაო!“



მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით:  
 ფუტკარი... ჭიანჭველაო!..  
 და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე:  
 „ოდელა-დელა-დელაო?!“

ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
 მტრებისთვის სახრჩობელო!..  
 მტრებს „ვაი, დედა“ ვაძახოთ  
 და ჩვენ ვთქვათ „დელა-დელაო“.

კმარა! ამდენმა ცრემლებმა  
 სიმები დამისველაო!..  
 ვერც ვუკრავ!.. ველარცა ვმღერი:  
 „ოდელა-დელა-დელაო!“

[1897 წლამდე]

## თავ. ნ. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო

იყო და გაჰქრა! აი, ეს არის  
სიტყვა ყველასთვის უკანასკნელი!  
და სადგურათაც სამარადისოთ  
ვინრო საფლავი, ცივი და ბნელი!

ან დასაბამი რა იყო ჩვენი?  
ან რა იქნება ან დასასრული?  
ვერ სჭრის გონება, იჭვით აღვსილი,  
და ვერც სავსებით გვისახავს გული.

გრძნობა-გონების სასწორის რყევას  
ამაგრებს მხოლოდ სარწმუნოება:  
ის სიყვარულის პირმშო ნათელი,  
თვით სასოება და სათნოება.

ეს გვაძევს ვალად ყველა მიწის შვილს  
და ნეტარება ამის გადამხდელს!..  
იმ ქვეყნათ სული მიაქვს ნათელი  
და ამ ქვეყნად კი დასტოვებს სახელს.

და შენც, ცხედარო!.. ქვეყნიურ ვალის  
ქრისტიანულათ ხარ გადამხდელი:  
იქ წინაპრებთან მიხვალ პირნათლათ,  
აქაც სახელის დამტოვებელი!

„იყო და გაჰქრა უმნიშვნელოთო!“  
რომ ითქვას შენზე, არა გვაქვს ნება!..  
მშვიდობით, ძმაო, ქართველთა შორის  
კურთხეულ იყოს შენი ხსენება!..

[1897]

## სარკე

გამოცანა

იჩემებს თავისთავობას,  
მაგრამ სჭირს სხვისი მონება!  
სხვისი თვალი და ყურია  
მისი გრძნობა და გონება.

თავს იჩენს გარეგნობითა...  
შინაგნით არაფერია!  
„ვარ ფუჭი მამულიშვილი!“  
სახეზე დაუნერია.

[1897]

## თავ. ნიკო დიასამიძის სახსოვრად

ქალაჩუნა, ენატკბილი,  
გაიძვერა მოუბარი –  
ყველას მოსწონს ცხოვრებაში  
და ბევრიც ჰყავს მეგობარი!..

პირში მთქმელი, უბოდიშო,  
თავმომწონე, უშიშარი –  
ბევრს არ უყვარს, რა თქმა უნდა,  
და ცოტაც ჰყავს მეგობარი!..

ესეები ყველა ვიცი,  
მოვლილი მაქვს მთა და ბარი:  
კარგათ ვატყობ, სადაც არის  
უპირბალო მეგობარი.

შენც გიცნობდი... ფიცხი იყავ,  
თავგამწევი, მეტი ჩქარი,  
მაგრამ ძვირად შემხვედრია  
შენებრ წმინდა მეგობარი!..

ლხინში კარგი, ჭირში მარგი,  
პირის-კაცი უტყუარი,  
სიმართლის დროს საიდუმლოდ  
თვით მტრებისაც მეგობარი!

საზოგადო ჩვენი საქმის  
თანამგრძნობი უებარი,  
ავის მტერი სიტყვით, ქცევით,  
კარგის – გულთ მეგობარი.

კარგი მუშა, მეოჯახე,  
 კარგ ცოლ-შვილზე გადამკვდარი,  
 მეზობელი მეზობლების  
 მოყვარული... მეგობარი.

ერთი ხიდან გაკეთდება  
 როგორც ჯვარი, ისე ბარი,  
 ხშირად ერთ და იმავ საქმეს  
 მტერიც ჰყავს და მეგობარი...

და შენც, ძმაო, ლალატობამ  
 საქმე გიყო საოცარი:  
 მტრებს შეასხა ფრთები მხოლოდ  
 და ცრემლებს ღვრის მეგობარი.

მაგრამ მაინც შეუნდვე მტრებს,  
 მოიგონე მაცხოვარი!..  
 ის, ვინც იყო განურჩევლად  
 მტრის და მოყვრის მეგობარი.

[1897]

## საახალწლო ანდაზები

ილიადა გადვიკითხე  
ქართველების ჰომერისა,  
სხვა მწერლებიც მივაყოლე  
სულ სხვადასხვა ნომერისა.

ჭკუა-გრძნობის ლამპარ-შუქი  
შარავანდათ მომეფინა,  
თვალი ველარ გავუმართე,  
დავხუჭე და დამეძინა...

გულის-ძილში მომეჩვენა  
უცნაური ბებრუცანა!  
მე ჩემ დღეში არ მინახავს  
სულიერი იმისთანა:

თავშიშველა, ფეხშიშველა,  
საზიზღარი ყოველი მხრით...  
თავზე მადგა დატვირთული  
ზურგზე გუდით, ხელში დავთრით.

შემეზიზლა!.. დავეკითხე:  
„ვინ ხარ და რა სულიერი,  
საამქვეყნო რომ არ გაძევს  
არც ხორცი და აღარც ფერი?!“

მიპასუხა: „მე ისა ვარ,  
შარშან ამ დროს რომ მელოდი,  
დღეს კი გინდა, გამისტუმრო,  
მომაყარო ქვა და ლოდი?!“

„შარშან მთხოვდი: „მოდი, მოდი!“  
 დღეს იძახი: „ნადი, ნადი!“  
 მაშინ ვიყავ მე „ახალი“,  
 ახლა – ძველი „ნელინადი“.

„მე მივდივარ, სხვა მოგიდისთ  
 სანატრი და სასურველი,  
 მაგრამ ისიც შეგძულდებათ,  
 რომ გაივლის ერთი წელი.

„ქვეყნის სურვილს, ქვეყნის იმედს  
 ვერც ახალი გაამართლებს!..  
 თქვენს ცოდვებს და თქვენს შეცდომას  
 რათ აბრალებთ მიმავალ წლებს?!

„თავმოყვარე ადამიანს  
 მოსწონს თვისი ჭკუა-გრძნობა  
 და მიტომაც ეძნელება  
 თავისთავის გამოცნობა.

„უსამართლო ქვეყანაში  
 დიდს, პატარას, კაცებს, ქალებს...  
 ვისაც კი რამ წაუხდება,  
 მიზეზს ყველა მე მაბრალებს!

„იძახიან: „რაც გადაგვხდა,  
 მხოლოთ მოსავალიაო,  
 ბედისა და მარცხიანი  
 ნელინადის ბრალიაო!“

„ანდაზა კი ავინყდებათ:  
 „რაც მოგივა, დავითაო,  
 სხვას ნურავის დააბრალებ,  
 ყველა შენი თავითაო“.

„თქვენი ცოდვა-მადლით მადევს  
 ზურგზე გუდა გატენილი  
 და რაც ვნახე ამ წელიწადს,  
 დავთარში მაქვს ჩანერილი.

„ცოდვის გუდას მე ნავილებ,  
 შენ კი გქონდეს ეს დავთარი:  
 გადიკითხე, შენებურად  
 გაჰკარი და გამოჰკარი!“

ეს მითხრა და უცბათ გაჰქრა,  
 თვალიც ველარ მოვასწარი!..  
 ხელში შემრჩა მხოლოდ მისი  
 უცნაური რამ დავთარი.

გადავშალე, გადვიკითხე,  
 გამაკვირვა... გამაშტერა!..  
 იმ გუდიანს, იმ კუდიანს  
 რაები არ ჩაენერა?!

ყველა რომ ვთქვა, არ იქნება,  
 არ მომცემენ ამის ნებას!..  
 და თუ არ ვთქვი, გავსკდი გულზე...  
 ამფერ ამ ჩემს მოთმინებას!..

მოდით, ისევ ჯობს მივმართოთ  
 ანდაზებს და უმანკო ზმებს,  
 გზა და კვალი გავუკვლიოთ  
 უჟურულო აფორიზმებს.



„მე რომ შემხვდა წელინადი  
 თქვენს მტერს კიდევ იმისთანა!“  
 ასე ინყებს ბებრის დავთრის  
 ზღაპრები და გამოცანა.

„ვენახები გახმა ყველგან,  
 განყდა ღვინის მოსავალი,  
 „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი  
 აკლიაო“ – დამდვეს ბრალი!

„ღმერთმა მტერსაც ააშოროს  
 ჩემისთანა ბედისწერა!  
 „სად ერეკლე და სად თეკლე?“  
 ის რომ გახმეს, მერე მე რა?!

„დამნაშავეს ვხედავ, ვიცი,  
 ვინც ქვეყანა დამამტერა!  
 „სადაც შევა მეფილოქსრე,  
 იქ განდება ფილოქსერა!“

„მაგრამ რა ვქნა, ეს სიმართლე  
 რომ არავინ დამიჯერა?!  
 გზა არ მქონდა, ამ დავთარში  
 მაინც უნდა ჩამეწერა.

„კაცის კვლა და ძარცვა-გლეჯა  
 გაისმოდა ყოველ მხარეს,  
 ბევრი ცოდვა ჩაიდინეს,  
 ყაჩაღებმა სისხლი ღვარეს!

„შეეშინდათ სოფლელებს და  
 უფროსებიც გაიმწყრალეს,  
 მაგრამ, დახეთ უგნურებას, –  
 ეს ცოდვაც მე დამაბრალეს!..

„ახა, ღმერთო! აბა ბრძანონ:  
 ვინ ქურდობს და ვინ იტაცებს?  
 ვინ გამოდის შარაგზაზე,  
 ვინა ჰგლეჯს და ვინ ჰკლავს კაცებს –

„თუ არ ის, ვინც კატორლიდან  
 გაქცევიათ? შეუტყვიათ,  
 მაგრამ, როცა უჯიბიათ,  
 თვითვე ხელი შეუწყვიათ!

„თუ კარგია, რათ გზავნიან,  
 თუ არა – რათ გვიბრუნებენ,  
 რას გვერჩიან ან ხალხს, ან მე,  
 რომ საერთოდ გვინუნებენ?!

„ეჰ, ხომ ვიცით დამნაშავე,  
 მაგრამ ხმაც ვერ გაგვიცია:  
 „ავაზაკებს იქ რა უნდათ,  
 სადაც არის პოლიცია?“

„ჭირი გაჩნდა საქონლისა,  
 მუსრი გაჰკრა იმისთანა,  
 რომ საბრალო პატრონებმა  
 ვერ მიახწრეს ველარც დანა!

„აღრილდენ სოფლელები,  
 დამწყველეს და დამდვეს ბრაღი...  
 მე რა მექნა... „ჭირი იქ სჭრის,  
 სადაც მივა ბეითალი“.

„სიცივემ და სიღარიბემ  
 გაახურვა მაღარია,  
 წარამარა ქინაქინამ  
 კიდევ უფრო გადარია!

„ზოგი მოკვდა უპატრონოთ  
 ზოგსა ჰკლავდა მხოლოთ შიში  
 და რომ ვთვლიდი ქირისუფლებს,  
 აღარ იყო ანგარიში!..“

„მამტყუნებენ ამაშიაც,  
 მაგრამ, ღმერთო, ხომ ჭორია?  
 და სიკვდილის თანაშემწე  
 ბევრჯელ თვითონ დოქტორია!“

„ვერ დაუდგა კარგი ალო  
 ზოგიერთ დიდ მოადგილეს:  
 მათი საქმე, მათი ღვანლი  
 როცა კარგათ განიხილეს;“

„მოახსენეს: ბრძანებულხართ  
 სწორეთ კარგი მოღვაწეო,  
 მაგრამ ცოტა დალაღულხართ  
 და მიბრძანდით, ან „აცეო!““

„გადამდგრები მე გამინყრენ:  
 წელიწადის ბრალიაო!  
 ნათქვამია: „მუსტაფას რა,  
 რომ ყაჩაღობს ალიაო?!““

„ზოგ-ზოგ მდიდარ მემკვიდრეებს  
 გამოუხტა უცბათ მტერი,  
 რომ წაართვას მამა-პაპის  
 სამკვიდროდან ყოლიფერი!“

„მემკვიდრები დროს ჰყვედრიან:  
 „შამფურსა სწვავს, არა მწვადსო,  
 ფუი, ამისთანა წეს-რიგს,  
 ამისთანა წელიწადსო!““

„წელიწადმა აბა, რა ჰქნას,  
სადაც ყველა მშობარია?!  
ვინც მოკვდება – პლუშჩევსკისთვის  
ზეტცერი და რიშარია!..

„მემკვიდრობა იმას რჩება,  
მემკვიდრეებს – მარტო დავა!..  
ნათქვამია: „სადაც გავა,  
ყველაფერი გავათ გავა“.

„მხოლოდ ახლა შეუშალეს  
ნახტომი და ჭკუა-გრძნობა,  
როცა თვითონ მოინდომა  
დიდი მუხრანბატონობა!

„ისიც თურმე მე მიწყრება,  
მე მემდურის, მე მდებს ბრალსო!  
არ იცოდა, რომ „ყოველთვის  
ვერ მოიტანს კოკა წყალსო“.

„ყველა კარგათ დროს ატარებს,  
საუცხოვოთ გართულია,  
მხოლოდ მაშინ დაამთქნარებს,  
თუკი რამე ქართულია!..

ოპერებს და ხალხურ დრამებს  
იძახიან – ვუყუროთო!  
რას დავსდევთ ჩვენს აქტიორებს,  
დეე, დარჩენ უპუროთო!

„გული მოდისთ ჩვენს არტისტებს:  
„ეს რა სამართალიაო?  
მაგრამ რა ვქნათ? ყოლიფერი  
წელიწადის ბრალიაო!“

„აღარ ახსოვთ კი ანდაზა –  
თითქო რაღაც ჭორიაო:  
„შინაური მრუდე არის,  
გარეული სწორიაო“!

„პატარძალი მეოჯახე  
ქორს წინილას არ გაატანს,  
ველიჩკომაც „ჰაუ, ჰაუ!“  
მიადახა ჰაიასტანს.

„მიადახა, მაგრამ რაღაც  
იქით-აქეთ ილაციცა  
და ორივე მოიმდურა:  
ქორიცა და წინილაცა!

„ბრალს მე მადებს, მაგრამ ხალხში  
ნათქვამია და მეც ვიცი:  
„უსათუოდ მგელი შესჭამს,  
დედის წინ რომ ნავა კვიცი!“

„ივერიას“, „ცნობის ფურცელს“,  
დასის „კვალს“ და „მოამბესა“  
გარეშემ და შინაურმა  
ყველამ თოკი მოაბესა!..

„გასწიეს და გამოსწიეს  
ზოგმა აღმა, ზოგმა დაღმა!..  
ამისთანა მწერლობას კი  
მიაყფოს შავმა ძაღლმა!

„და რომ ჰკითხოთ რედაქტორებს:  
„ვერ ვთქვით, რაცა გვწადიაო!  
ჩვენ არა ვართ დამნაშავე, –  
ცუდი წელიწადიაო!“

„წელიწადმა აბა, რა ჰქნას,  
რომ ცბიერობს ეს ქვეყანა  
და სუყველა მწერალია,  
ვინც კი იცის ანაბანა?!

„აკაკიც კი გამობრძანდა,  
საგულეზე ჰქონდა გული,  
რომ სეფისკვრათ გამოეცხო  
ყოველ თვეში მას „კრებული“.

„გამოვიდა და მერე რა? –  
გარეთ დახვდა უფულობა  
და შინ კიდევ უარესი,  
ცხვირში ეცა უფულობა!..

„გაცივინა, თქვა: „ეს ჭირი  
არ-ახალი – ძველიაო!..  
„დეე, ფურმა სულ ინველოს,  
სანამ მოსანველიაო“.

„მადლობა ღმერთს! იმან მხოლოდ  
არაფერი დამაბრალა,  
რადგან ისიც ბებერია,  
ჩემისთანა მაჩანჩალა!..“

[1897]

## მაინც ჩვენია

მადლის გამომეტყველი,  
სახე რამ ზეციური,  
მომწონს, როცა ზედ ზრუნვაც  
იხატება დღიური!..

მომწონს და გულში ვამბობ:  
საოცნებო რამ არის!..  
სწორი არის შვენებით  
თვით იმ დიდი თამარის!

მაგრამ მხოლოდ გარეგნად...  
თვალ-ტანადათ, სხვებ არა!..  
ძნელი არის, თუ მთვარეს  
ნისლი გადაეფარა!..

ის თამარი ქართველი  
ადიდებდა თვით ქართველს,  
თავს სწირავდა სამშობლოს,  
სხივებს ჰფენდა მთა და ველს!

ეს ვერ გვატობს!.. გვინათებს  
შორით, მსგავსად მთვარისა!  
აჩრდილია უსულო  
იმ დიდი თამარისა!..

მაგრამ მაინც თვალსა გვეჭრის  
ძალაუნებურათა,  
როცა გაიჭიატებს  
ისევ ჩვენებურათა!..

მეც შევჰყურებ ოცნებით,  
მაშინ გულისძგერითა  
და მთა და ბარს ვაყრუებ  
ჩემი ჩანგის ჟღერითა!..

## ფუტკარი

ხატის ბუზი, ზეცის მუშა  
პანანინა ფუტკარია!..  
შორს მიფრინავს სამუშაოთ,  
მიიმღერის... უხარია!

ყვავილიდან ყვავილებზე  
გადაბზუის, გადმობზუის!  
ის სიმღერა მუშურია,  
მისებური... არა სტყუის!..

აქაც წონნის, იქაც წუნნის  
სათაფლსანთლო მასალასა,  
არ იზოგავს ღვთის მოცემულს  
არც ნიჭსა და არც ძალასა.

დაბრუნდება დატვირთული,  
მიაშურებს ისევ სადგურს,  
სულსა სწირავს და გულს უძღვნის  
ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს!..

წვიმა-ელვა-ქუხილის დროს  
ეტანება ფოთლის კარავს!..  
უფრთხილდება ნამუშავარს,  
რომ არ წახდეს... თავს იფარავს.

არვის ერჩის, და თუ მტერი  
სადმე გზაში დაუხვდება,  
მივარდება ვაჟკაცურად,  
ისარს ჰკრავს და შეაკვდება!

შენც, მგოსანო, კაცთა შორის  
ფუტკრათა ხარ გაჩენილი!..  
თაფლს და სანთელს რომ სხვას აძლევ,  
რალა გრჩება ნათელ-ტკბილი.

[1897]



## გამოცანები

1

თავი ახალი,  
ტანი კი ძველი,  
ფეხები მრუდე,  
გამკრავი ხელი.

2

„ფოლ“ და „უამანაკ“  
„ტერ-ვოლორმია“!..  
მთლად საქართველო  
ჩემთვის მიყვია!

3

მკბენარ-მკბენარ, მწოვარ-მწოვარ  
ტანზე მჯდომი კირაკუზა,  
განსაცდელში რომ ჩავარდა,  
შეშინდა და მოიკუზა;  
მათხოვრობას ხელი მიჰყო,  
ჩემ კარებზე აეტუზა,  
შემებრალა, შინ შევეუშვი,  
ყოლიფერი დაუხვდა მზა.  
რომ გამოძღა, გასისინდა,  
აიყოჩა, აიგრუზა!..  
სახლ-კარს მართმევს, კარში მაგდებს...  
დამიხლართა სავალი გზა!..  
რა არის მისი ნამალი?  
ბრაგი-ბრუგი, „ბუზა-ბუზა“!..  
და ვინც ამას გამოიცნობს,  
მისი იყოს ჩემი მუზა!

[1897]

## ოცნება

თვალაბმული, თბილ ოთახში,  
გალიაში ზის ბუღბუღი,  
მოხიბლულა და ჰგონია  
ზამთარშიაც გაზაფხული!..

ნალკოტს ხედავს აყვავებულს,  
ვარდებს, კოკრათ გადაშლილსა,  
„იავ-ნანას“, „ვარდო-ნანას“  
ჩვეულებრივ უმლერს ტკბილსა!

ტანში უვლის ჟრუანტელი,  
იქანცება... იწვის... დნება!..  
და ცხადზედაც უტკბესია  
მატყუარი ის ოცნება!..

სიბერის დროს მგოსანს გულში  
შეჰპარვია სიყვარული...  
გიპნოტიზმურ ცბიერ ძალით  
კრულია და გამსჭვალული.

ხედავს სატრფოს სხივმოსილსა  
ქვეყნის დარათ, ზეცის სწორათ,  
შეჰყურებს და ემატება  
სიჭაბუკე ერთიორათ,

გულს ჩანგურათ აკოპიტებს,  
ზედ გაუბამს სულის ძაფებს  
და, გედივით, სიკვდილის წინ  
ერთხელ კიდევ შემოძახებს:

„შენ გეტრფოდი!.. შენვე გეტრფი,  
საიმედო ჩემ საფიცარს!..  
და შენ მხოლოთ ახატიხარ  
ამ ჩემ წმინდა გულის ფიცარს!“

[1897]

## ბებერი

რა სინათლეა სინათლე  
დამცხრალი, ძველი მთვარისა?  
ვინ თქვა, რომ რქაც კი კარგად ხნავს  
ნაცად ბებერი ხარისა?!

მოხუცის სანუგეშებლათ  
ეს უთქვამს ვილაც ცბიერსა  
და ჰგონებია მართალი  
გულნაკლულ, სანყალ ხნიერსა!..

მე კი არ მჯერა, რადგანაც  
გამოცდილი მაქვს სიბერე:  
გულს არ ვიტყხდი, ფაფხურით  
ბევრი ვიჭიმე, ვიბერე...

თმაც შევიძინე, კბილებიც,  
ბევრი რამ გამოვიგონე  
და მაინც ვერ დავიბრუნე  
ახალგაზდობის ძალ-ღონე!..

ქალებიც მიტატანებენ:  
გასწი, შე ბებრუცანაო!..  
სხვაც ბევრი არის ურგები  
აქ ჩვენში შენისთანაო!..

მართალს ამბობენ: სიბერეს  
აღარას არგებს წვალება!  
ნათქვამი არის: „ხალთაში  
შუბი არ დაიმალება“.

[1897]

## მწყემსის სიმღერა

შენ, ჩემო ძროხავ შვინდაო,  
საკვები აღარ გინდაო:  
ზაფხული კარზე მოგვადგა,  
ცა ლურჯათ მოიწმინდაო.

გაგდენი საბალახოზე,  
თან წამოგყვები მეცაო,  
ძირს დედამინა ბიბინებს  
და დაგვქათქათებს ზეცაო.

იქ წყალი ჩამოჩუხჩუხებს  
უკვდავებისა წყაროთო,  
შენ იმ ბუნების სიუხვით,  
მე შენით გავიხაროთო!

გაძლები, გასისინდები,  
ზურგზე დაიჯენ ღარსაო,  
გაგიფრთხილდები თვალისჩინს,  
შემოგეველები გარსაო.

დაემსგავსები ირემსა,  
კისერსაც მოიღერებო...  
ნუ გეშინია ნადირის,  
ხელმარჯვეთ მოგიგერებო!

ზაფხულიც მალე გაირბენს,  
იქ არ დავრჩებით დიდხანსო,  
წველას უმატებ, ერთგულო,  
გამოიტიკნი ჯიქანსო.

ხბოსაც ეყოფა, ოჯახსაც  
ეგ შენი მონაწველიო,  
არ დაგვაკლდება ზამთრისთვის  
ერბო და ხაჭო-ყველიო.

მადლი შენს გამჩენს, შვინდაო!  
დღეს მეტი რალა გვინდაო?  
ზაფხული კარზე მოგვადგა,  
ცამ ლურჯათ მოიწმინდაო!

[1897]

## ქართული პატრიოტიზმი

როდესაც ჩემ წინ სუფრაზე  
ცხელი, შუშუნა მწვადია,  
მაშინ მე სამშობლოსათვის  
ყოველი კარგი მწვადია!

როცა გადავჭკრავ ნუნუას  
თას-ყანწით, გინდა კულითა,  
მაშინ მეც ზეცას ვავედრებ  
ამ ჩემ სამშობლოს გულითა.

როდესაც ვეტრფი ქართველ ქალს,  
ვეძლევი ნეტარებასა...  
ველარა ვფარავ!.. სახალხოთ  
ვამბობ ჩემს აღსარებასა:

„მრავალჟამიერ, ჟამიერ,  
ჩვენს ტურფა საქართველოსა!“  
ვიტყვი და შეუპოვართ  
გადავჭკრავ სადღეგრძელოსა.

მაგრამ ესენი სუყველა  
თუ აღარ მექნა ხელათა,  
წიხლსა ვკრავ შინაურობას  
და გავიჭრები ველათა.

დავენაფები გულით კვასს,  
გავსისინდები ქაშითა  
და, კუჭათ გადაქცეული,  
გულს დავიფარავ ფაშვითა!..

დამავინწყდება ქართული,  
ჟუჟუნა, შავი თვალები!..  
ჩიჩხასაც არა უშავსრა,  
სკვიტის ქალს ვენაცვალები!

თუ გსურთ, რომ დავრჩე ქართველად,  
ვიხდიდე მშობლურ ვალებსა,  
ნუ გამომიღევთ ღვინოსა,  
ცხელ მწვადს და ლამაზ ქალებსა!..

[1897]

## მოხუცი და ახალგაზრდა

ვუძღვნი ვ. წ.-სას

ბუღბუღს ყურს ვუგდებ, ვარდსა ვჭვრეტ,  
ორთა შუა მაქვს გონება,  
თაყვანისცემა ერთის მსურს  
და მეორესი – მონება.

მსურს, მაგრამ მარტო ჩემს სურვილს  
რა უფლება აქვს, რა ძალა?  
შარბათი სიყრმემ წარმტაცა,  
სიბერეს მოაქვს სამსალა...

ტრფობის ბუდეა შვენება,  
თავდები სიჭაბუკეა!..  
და ეს ორივე აკლია,  
ვისაც ჭალარა უმკია!

მე კი ეს ჩემი ჭალარა  
მაფრთხილებს, გულიკალია,  
ოცნებას მიკლავს, სურვილს წყლავს,  
როგორც ნესი და ვალია:

„ვის ეტრფი? – მეჩურჩულება –  
რა არის თქვენში საერთო?  
მას ლხინი ლხინზე მოელის,  
შენ ჭირი ჭირზე დაგერთო!..

„სიჭაბუკე და სიბერე  
ორი სხვადასხვა კიდეა:  
ერთი რომ ჯაჭვით აბია,  
მეორე ბენვზე ჰკიდია!..



„ის გაზაფხულის იაა,  
 გარს ეხვევიან ვარდები!..  
 შენ – შემოდგომის ფოთოლი,  
 სიო გკრავს, ჩამოვარდები!..

„და გაშრა ტრფობის აუზი,  
 გულში ძველილა არხია,  
 შიგ გადასული ამბავი  
 თვალ-მარგალიტათ მარხია!..

„მოდგება ცნობისმოყვარე,  
 თან გადმოჰყვება სურვილსა,  
 მაგრამ უკანვე იქცევა,  
 რომ ვერ მოიკლავს წყურვილსა!

„სიჭაბუკესვე მიმართავს,  
 მასთან დაიჭერს კავშირსა:  
 პატარა ნაპერწკალი სჯობს  
 დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა!..

მამხილებს, მაგრამ ჯერ მაინც  
 გული არ იშლის გულობას:  
 თვალს ურჩევს მზერით დატკობას  
 და ენას – მოციქულობას...

[1897]

## ხმა

გარს ეხვევიან ვარსკვლავნი  
 ცაზედ ამოსულ მთვარესა!..  
 შექათქათებენ, ბრწყინვალეს  
 სხივს რომ ფენს არემარესა!..

გარს ევლებიან წმინდანი,  
 დედოფალს, დედა-ღვთისასა!..  
 შეგალობ-შელაღაგებენ,  
 მაძლს რომ ფენს ქვეყნად მისასა.

სამოთხის კარზე ქალწული  
 დამჯდარა ოქროს სელზედა!  
 ბროლის თითისტრით ლალის ძაფს  
 ართავს და იხვევს ხელზედა...

კვართსა ქსოვს საქართველოსთვის,  
 ქვეყანა მის წილ-ხვედრია!  
 და ის წყალობაც, საქვეყნო,  
 თამარის შენავედრია!

რომ გაათავებს ხელსაქნარს,  
 გადმოფენს საქართველოსა,  
 და ააყვავებს ფერადათ,  
 ვით გაზაფხული მდელოსა!

მაგრამ ეს ერთი ხანია,  
 ბოლოს ვერ აბამს ხელ-საქნარს,  
 რალაცა უშლის სინმინდეს,  
 უკუღმა სცარავს თითისტარს.

თავზე ადგიან დედოფალს:  
 ნინო, ქეთევან, თამარი,  
 ხორციით ყვავილი ივერთა  
 და სულით წმინდა ლამპარი.

ატირდნენ წმინდა დედანი,  
დალონდა დედა ღვთისაცა  
და შეეკითხა, განგება  
ხელში უპყრია ვისაცა:

„რა მიზეზია, რომ მადლი  
ველარ სჭრის რჩეულ ერზედა?  
და საქართველოს ვხედავთ დღეს  
სულ სხვა გუნება-ფერზედა.“

მიბრძანდა იესო ტკბილი  
და უთხრა: „ნუ სწუხ, დედაო,  
დავფიქრებულვარ მრავალჯერ  
მეც მაღლით მაგაზედაო!

ის აღარ არის, რაც იყო  
შენი წილხვედრი ერიო!  
იმას უშვრება თავის თავს,  
რასაც ვერ უზამს მტერიო.

აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,  
არც სადმე სასწაულიო!..  
და ჯოჯოხეთის სიბილწით  
გადარეცხია გულიო.

გადაუგდია გულიდგან  
ჩემი მოძღვრება-მცნებაო  
და მეც სასჯელად დაუდევე  
იობის მოთმინებაო!“

– „ნუ გულისწყრომით ამხილებ!  
და ნურცა რისხვით სწავლი მათ“, –  
ევედრებოდნენ მაცხოვარს  
ქართველ დედანი სულ ერთხმად.

„მათი დაცემის მიზეზი  
თვით უწყი, მხსნელო, რაც არი!  
უცეცხლოდ ძალუძს ხეს სადმე,  
დაჰყაროს ნახშირ-ნაცარი?

ცეცხლად მოედვა ქვეყანას  
ბედი, უკუღმა მბრუნავი!..  
აღარ ჰყავს ძველი მოკეთე,  
მფარველ-პატრონი, მზრუნავი!!

რაც ეკლესიას ივერთა  
მისცა მსოფლიო კრებამა,  
ის დღეს ახადა გარეშე  
ძალამ და აოხრებამა.

აღარ ჰყავს კათალიკოზი,  
მღვდელ-მთავარ, მეუფროსები,  
მათ ნაცვლად ნაძალადევად  
დაუსვეს ეგზარხოსები.

ისინი განზრახ უკარგვენ  
ხალხს რწმენა-სასოებასა  
და აპირობენ სხვა სჯულის  
სხვაგვარად შემოღებასა,

სცდილობენ, ენა ქართული  
გარდაჰქმნან სლოვენურათა,  
მაგრამ ერთთავად კი არა!  
ნელ-ნელა, ეშმაკურათა.

შესცვალეს წესი მოძღვრების,  
გარდაქმნეს თვით საგანიცა,  
უარჰყვეს ლოცვა ქართული  
და მათი კურთხევანიცა.

ვერ ეღირსება ქართველი  
მღვდლობას და მონაზნობასა,  
გინდ აიყვანოს ზეცამდე  
ის სამღთო მადლის გრძნობასა.

თუ სლოვენურად არ სწირა  
და უარს არ ყოფს ქართულსა!  
ასე ამბობენ: ქართული  
არც ხორცს არგებსო, არც სულსა.

და ამ განზრახვით ააგეს  
სხვადასხვა სემინარია  
და მათმა მეცადინობამ  
საქრისტიანო არია!..

იქ გაუგებარ სიტყვებით  
უვსებენ ყურთა სმენასა  
და უკრძალავენ მონაფეთ  
სამშობლო დედა-ენასა.

მათი გაზრდილი სამღვდლო  
გზა და კვალ არეულია,  
არც შინაურად ვარგია,  
და აღარც გარეულია!

ხალხს მათი არა ესმის-რა!..  
უბღვერს როგორც მტერს მტრულადა  
და ეკლესიაც მის გამო  
დამხობილია სრულადა.

სემინარიის რექტორად  
დღესაც რომ გერმოგენია,  
ივერთა ეკლესიისთვის  
ჯოჯოხეთური გენია!..

სდევნის ქართველებს, არ იშლის  
თვით მათი სჯულის მტრობასა  
და ამ ღვანლისთვის მოელის  
დღე-დღეზე მღვდელმთავრობასა.

მაშინ კი უფრო თამამად  
მახვილს აილებს პილატე  
და შეიქმნება ქვეყნისთვის  
მეორე თეოფილაქტე!..“

რომ მოისმინა იესომ,  
ბრძანა: „ჰო, სულ მართალია!  
მაგრამ ეგ ყველა ხომ მაინც  
ხალხისვე ცოდვა-ბრაღია?“

თუ თათრობის დროს კი შეძლო  
დაეცვა წმინდა ტაძარი,  
დღეს მწვალებლობას გულგრილად  
რალათ გაულო მან კარი?

თუ ძველათ ჩემი გულისთვის  
თავსაც კი სდებდა სამონწოთ,  
დღეს რალათ არის უგრძნობლათ,  
აუღელვებლად და უხმოთ?

ჭირის ამტანი გულგრილად  
თავს რისთვის უდებს სატანას?  
„ეძიებდეთ და პოებდეთ“ –  
ასე არ ვამცენ ქვეყანას?

აჰა, ეძიოს იმანაც  
საერთო ამბოხებითა,  
თუ არ იპოვნის, რაცა სურს  
ღვთისმშობლის მეოხებითა.

მაგრამ ჯერ კიდევ იმ ხალხის  
გრძნობა ეშმაკის ხელშია  
და მეც იმიტომ ჩავაგდე  
იობის განსაცდელშია“!..

„–დიდხანს იქნება, უფალო,  
მაგ განსაცდელში ქართველი?“–  
ეკითხებოდა მარიამ  
ქვეყნის სიკეთის მზრახველი.

„–არაო, – ბრძანა იესომ!  
მას იხსნის თქვენი ფარის  
და წალმაც დატრიალდება  
ეგ წმინდა თითისტარიო“.

[1898 წლიდან]

## თუნდ რომ განამონ

ანეტას

მინდა, ვემონო იმ დედას,  
ვინც გრძნობით აღზარდა შვილი,  
დღედაღამ მოუსვენარმა  
ვინც მამულს შესძინა გმირი.

ვინც ნანინით ყურს ჩასძახოდა:  
ნურა გექნება გულში ფარული,  
ჯვარს რომ გაცვამდენ, იმისთვის  
უარ არა ჰყო შენი მამული.

იცოდე, შვილო, ნუ გინდა,  
სხვის ჯილდო, ნურცა უფლება,  
შენ მხოლოდ სისხლის წვეთამდის  
ეძიე თავისუფლება.

იმისთვის ვწვალობ და ვდარდობ  
და გიმღერ გრძნობიერ ნანას,  
რომ შენ სამშობლოს ღალატით  
არ შემიგინო ჩემს ამაგს.

მიორკეცდება თაყვანისცემა  
ჩემად არა მწამს იმის მგმობელი,  
მოვალეთა ვრაცხ მე ჩემს თავს,  
ვინამო როგორც მშობელი.

სურს, ეხლანდელი დედებიც  
გამხდოდეთ თაყვანისმცემლათ  
და ნაბაძვიდეთ ძველ დედებს:  
მამულს უზრდიდეთ შვილს მცველათ.

1898 4 მაისს



## გუძღვნი მ. ა-ძისას

გამხნევედი, გრძნობით ამაღლდი,  
 ნუ დაეცემი სულითა.  
 მას აგისრულებს უფალი,  
 რასაც სთხოვ ნრფელი გულითა.

ნუ შესცვლი აზრსა წმინდასა,  
 მასვე ემონე შენ მედგრად,  
 უარს ნულარ ჰყოფ შემომქმედს  
 იმისთვის, რაც გარგო ხვედრად.

დრო მოვა, თავსა ავიშვებთ,  
 გვექნება მყუდრო საფარი,  
 თავს დაიფასებს, იცოდე,  
 უკუნაგდები ფარ-ხმალი!

დანინდულს მამულს დავიხსნით,  
 ჩვენვე ვიქნებით მფარველი,  
 ველარ წაგვაქცევს ამ დროში  
 შორს გამოკრული ფანდები.

აღმართამთ დროშას ძველებურს,  
 ჩვენი გვექნება სიმაგრე,  
 ჩვენებრ მართალსა აროდეს  
 არ დაეკარგვის სიმართლე.

მხოლოდა გვმართებს ერთობა,  
 სიყვარული და ძმობა,  
 შემდეგ თუნდ ბევრიც ეცადონ,  
 ვერას დაგვაკლებს მტრობა.

თუ ვერ მოვესწრო ვერა რას  
 და აღარ ვიქნე ამქვეყნად.  
 საფლავს ჩამძახე შემდეგი,  
 ნუ ჩათვლი სხვისათ გარენრათ.

აღსდექ! ამაღლდი, ნუ გძინამს,  
 ამოსთქვი აზრი ფარული,  
 რასაც ნატრობდი, ასრულდა!  
 აჰყვავდა ისევ მამული,

გავსწყვიტეთ ჯაჭვი ტყვეობის,  
 ან დაიმშვიდე სხეული.  
 ზოგს უმაგივრეთ წვალებით,  
 ბევრიც მოგმუსრეთ წყეულნი.

ამ დღემდის მოუსვენარსა  
 ბევრი რამ შემეძინება,  
 და დამშვიდებულს სიამით  
 ტკბილ სიზმრით ჩამეძინება.

ა. წერეთელი  
 9 მაისს [1898]

## ნიკოს

წარწერა წიგნზედ

ნიკო ამ იგავ-არაკებს  
გაიზეპირებს ყველასა  
და მერე ზღაპრად გადასცემს  
მის დას... პატარა ელასა.

რომ გაათავებს, წიგნს მომწერს:  
„ვისწავლე, ჩემო ძიაო!  
ან სხვა წიგნს ველი, არ კმარა,  
რაც დღემდი მოგიციაო!“

მეც ავუსრულებ სურვილსა,  
არ გავუმტყუნებ გულისთქმას,  
ნიკოც ისწავლის გულდაგულ  
და გაახარებს დედ-მამას!

[1898 წ. ივნისამდე]

## სიყვარული

ყველამ ვიცით სიყვარული,  
ყველასა გვაქვს გამოცდილი,  
მას შემდეგ, რაც ევამ ადამს  
შეაპარა უცხო ხილი...

იმავე დღიდან აქამომდე  
უკუღმართად გვიცემს გული:  
რაც ჩვენია, მოგვწყენია,  
გვენატრება აღკრძალული!..

და მიტომაც კაცს ყოველთვის,  
მზეთუნახავ ცოლის პატრონს,  
გინდ მახინჯი რამეც იყოს,  
სხვისი ცოლი უფრო მოსწონს!

და ქალებმაც, მაშ რაღა ჰქნან,  
რომ ქმარს თავი შეაყვარონ,  
თუ იმათაც წრფელი გულით  
სხვის ცოლობა არ ინატრონ?!

[1898]

## ცხოვრება

ეს ცხოვრება ისე ვიცი,  
როგორც ჩემი ხუთი თითი:  
ბევრი ვნახე საგულისხმო  
სიავ-კარგის მაგალითი.

სისხლხორცობაც, მეგობრობაც,  
სიყვარულიც ტყუილია,  
თუ შეძლება მას სარჩულათ  
და არშინათ არ ავლია!

რისი თავი?! რისი გული?!  
რასი ჭკუა?! რასი გრძნობა?!  
ეს სულ სიტყვის მასალაა,  
მიტემა-მოთქმა და უბნობა!

კუჭი გრძნობს და კუჭი ჰფიქრობს,  
ჭახრაკია ქვეყნიური!  
კუჭზე არის გამობმული  
ქვეყნის თვალი, ქვეყნის ყური!..

ჯიბე არის მეკავშირე  
ერთობის და მეგობრობის,  
იგივეა გზა და ხიდი  
სიყვარულის და ცოლ-ქმრობის!..

ხალხი მიდის ძაღლის კვალზე:  
თუ ასვი და თუ აჭამე,  
კუდის ქნევით გინუნკუნებს  
და შენტვის ჰყეფს დღე და ღამე!..

თუ ვერა და – მის სამსხვერპლოთ  
 გინდა დადნე, ვით სანთელი,  
 ყურადღებას არ მოგაქცევს,  
 თანაგრძნობას ნუ მოელი!..

თვით იესო მაცხოვარმა  
 ქვეყნათ რა არ ჩაიდინა?  
 კიდით-კიდე სასწაული  
 მიაფინა, მოაფინა:

ხალხს ჰკურნავდა, მკვდრებს აღდგენდა,  
 ზღვა და ხმელი დაიმონა,  
 მაგრამ ბრმა და ყრუ ქვეყანა  
 ვერაფრით ვერ შეაგონა!..

ვერც ძალით, ვერც სასწაულით  
 ვერაფერი ვერ გაანყო,  
 სანამ ერთხელ უდაბნოში  
 მშიერები არ გააძლო!..

მაშინ კი სთქვეს: „მესიაა!“  
 აღრიალდენ ყველა ერთად;  
 დაიჯერეს სასწაული  
 და იწამეს კაცი ღმერთად!

[1898]

## სიზმარი

ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში,  
ქართველ ქალთა ვნახე კრება;  
გეფიცვებით, მისი ნახვა  
ახლაც ისევ მენატრება!

ტახტზე იჯდა თამარ მეფე,  
მომხიბლავი, ეშხიანი!..  
მარცხნივ უდგა თინათინი,  
მარჯვნივ – ნესტან-დარეჯანი.

გარს ეხვიენ სხვა ქალებიც,  
როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება,  
ცალ-ცალკე და ყველა ერთად  
სიცოცხლე და ნეტარება!..

შემოვიდა რუსთაველი,  
ის სულმნათი და მგოსანი,  
ხელში ეპყრა მოწინებით  
მისი „ვეფხისტყაოსანი“.

თაყვანი სცა სწორუპოვარს,  
მის წინ მუხლი მოიყარა...  
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა  
და ცრემლები გადმოღვარა!..

მზის ჭიატის დარი იყო  
უცნაური ის ღიმილი,  
და თვით გრძნობის ორჭოფობაც  
ცრემლში იყო ჩაღესილი;

მასაც მგოსნის თანაგრძნობა  
გულში ედვა, როგორც ქალსა,  
მაგრამ უნდა დაეჭირა  
თავი, როგორც დედოფალსა!

ბრძანა: „გმადლობ, ვერ გადვიხდი,  
როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, –  
უკვდავების მოსახვეჭად  
მიგაპირებ მომავალსა!..“

მიუბრუნდა მერე იქ მდგომ  
ნესტანსა და თინათინსა:  
„თქვენ გილოცავთ ამქვეყნიურ  
სიყვარულს და შვება-ლხინსა!

„გიანდერძებთ საქმროთ ყველას  
ტარიელს და ავთანდილსა,  
რომ ქართველი ქართველ გმირათ  
გამოზრდიდეს შვილიშვილსა!“

ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტათ  
გადმოეშვა ცისარტყელა...  
აიტაცა შუქმა შუქი  
და მას გაჰყვა თანვე ყველა!..

მე კი დავრჩი... შემეშინდა!..  
მიმოვაველე გარს თვალები,  
და რა ვნახე იმათ ნაცვლათ?!  
სხვა ხალხი და სხვა ქალები!

არც თამარი, არც თინათინ,  
ალარც ნესტან-დარეჯანი!..  
ალარც ერთს არ ეტყობოდა  
ქართველობის რამ ნიშანი...

გული დამწყდა!.. გამელვიდა,  
ნაღვლიანათ გამეცინა!..  
ვსთქვი: „ნეტავი არ მენახა,  
საუკუნოთ დამეძინა!“

[1898]



## სიკვდილი

ლამის წყვილიადმი მოზარდულ  
კოკობ ვარდს ტკბილათ ეძინა,  
ნიავი აკვანს ურწევდა,  
ბუღბუღმა უთხრა „ნანინა“.

სხივებით გამოაღვიძა  
რიჟრაჟმა ყოველდღიურმა  
და თანვე პირი დაბანა  
ცვარ-მარგალიტმა ციურმა!

გული გაიხსნა კუკურმა,  
ველარ გაუძლო ვნებასა!..  
ცასაც და დედამინასაც,  
უკმევდა სუნნელებასა!

ნაცვლათ, ელოდა ქვეყნიურს  
მომხიბლავს ლხენა-შვებასა  
და სასიცოცხლოთ სრულქმნილი  
ჰფიქრობდა უკვდავებასა.

დილას მოვიდა ყმაწვილი,  
თვითონაც ვარდი ცხოველი,  
მოგლიჯა ტკბილი ღიმილით  
და გაუქარწყლა ყოველი.

დაჰყნოსა კოკობს სიამით,  
აყვავებულმა ვარდისფრათ,  
მაგრამ იმავ დროს იკივლა,  
შეშინებულმა უეცრად.

იქ გველის სახეთ სიკვდილი  
ბუჩქებში მიმალულიყო;  
გარს შემოერტყა, დაგესლა  
ის, ვინც სიცოცხლით სრულ იყო!

სალამოს მწუხრის ვარსკვლავმა  
რომ გადმოხედა მაღლითა,  
ველარ დაუხვდა ქვეყანა  
აღვსილი სიტკბო-მადლითა:

მშობლების თვალწინ ყმანვილი  
იტანჯებოდა... ჰკვდებოდა,  
და, რომ მოსწყვიტა, ის ვარდიც  
იმასთან ერთად ჭკნებოდა.

[1898]

## ირაკლის საფლავზე

მესტვირული

სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის,  
ქამანჩა ქებაძისაო<sup>1</sup>  
დაბლა ქვეყნის ვარ მღერალი,  
შემამკობელი ცისაო;  
თან დამაქვს გული გავსილი  
და ცარიელი ქისაო,  
ჩემი როცა მაქვს, არ ვზოგავ,  
არა მინდა რა სხვისაო!  
სიმდიდრეთ მყოფნის სიტურფეც  
ხმელეთისა და ზღვისაო.  
ამ ქვეყნის ჭრელა-ჭრულები  
გულმა ვერ შეითვისაო!  
არც ბატონი მყავს, არც ყმა ვარ,  
მონა ვარ მეუფისაო!  
მის ნება-სურვილს ვასრულებ,  
მორჩილი გულისთქმისაო.

გული სარკეთ მაქვს ქცეული,  
ენა საყვირათ ზეცისა,  
უნდა, რაც ჩამესახება,  
გავიმეორო მეც ისა.  
მოკანანახე ცხოვრების,  
ფერადათ მრავალკეცისა,  
ვერ ვაქებ მუნჯის მჭევრობას,  
შორმჭვრეტელობას ბეცისა.  
შეუპოვარი სიმართლე  
ნაბრძანები მაქვს მე ცისა,  
თვარა ჩემთავად მე რა ვარ,

<sup>1</sup> ბლიაძე და ქებაძე განთქმული მესტვირეები იყვნენ ძველ დროში. (ავტორის შენიშვნა)

მზგავსი მატლის და მხეცისა,  
 ადვილად დასაფშენელი რამ,  
 როგორც ჭურჭელი კეცისა!..  
 უკვდავი მხოლოთ ღმერთია  
 და ძალაც მისი სრულია,  
 სხვა ყოლიფერი ნაარსი  
 მისგანვე გახსნილ-კრულია;  
 რასაც კი დასაბამი აქვს,  
 თანვე ჰდევს დასასრულია;  
 ხორცშესხმულ კაცის შეგნება  
 მოკლე და უმეცრულია!..  
 რაც გარეგნობით თვალსა ჭრის,

ის შიგნით გამოხრულია;  
 ნაგვიანები ცხოვრება  
 ზოგისთვის ნაადრულია,  
 და, ვაი, სოფლის მიმყოლსა!  
 მისი მოყვრობაც მტრულია.

მაშინ შევიგნე ეს ყველა,  
 ღონე რომ გამომელია...  
 ავის და კარგის გამრჩევი  
 გამოცდილება ძნელია!  
 მართალი უთქვამს მგოსანსა:  
 „რაც ელავს – ყველა ბნელია!“  
 თურმე შავია ქვეყანა  
 შიგნით, გარეთ რომ ჭრელია;  
 გულგრილათ ბრუნავს თავისთვის,  
 სხვაგვართ გაძრახველია;  
 ავიც და კარგიც იმისი, –  
 ორივე საეჭველია...  
 და რაც ახალი გვგონია,  
 ის თურმე ძველისძველია!

ერთხანათ მეც ეს სოფელი  
ვარდისფრათ მეჩვენებოდა:  
ოცნების ზღვაში მცურავი

სული ნეტარი ტკებოდა,  
თან ხორციც, გაბრიყვებული,  
ტკბილ ჟრუანტელით დნებოდა;  
იქ, სადაც სხვები ტიროდენ,  
მე მარტოს მეცინებოდა,  
სიტუბოში მღვიძარს, ღამ-ღამით  
გულმშვიდათ მეძინებოდა;  
არას ვნაღლობდი საჩემოს,  
არც სხვისი მენანებოდა,  
და თვით ოცნება-სიზმარიც  
ნებაზე ამეხსნებოდა!..

ის დრო წავიდა! ირაოდ  
გადაფრენილი ბუდითა,  
დამიგდო გამოცდილება  
მისი კარგით და ცუდითა;  
სულ ჩამაშხამა, რაც მომცა  
სწორი გზით, ანუ მრუდითა,  
წიხლი მკრა, გამაბურთავა,  
ქვა მასროლია კუდითა  
და მშრალზე დამსვა მარტოკა  
ჩემი ქამანჩა-გუდითა!..  
მეც მიტომ ვწუნობ ქვეყანას  
იერემიას ქუდითა!..

ვინც იყო იერემია,  
ან ჰგლოვდა რომელ ერსაო,  
ამას ბიბლია მოგვითხრობს  
და ძველი აღთქმა წერსაო,

გოლგოთის აღმართს შეუდგა,  
 დადგა მთის მაღალ წვერსაო:  
 დაცქერდა იერუსალიმს,  
 ატყობდა ყოლიფერსაო,  
 იგლოვდა იმის მომავალს,  
 იგლეჯდა თმა და წვერსაო:  
 „იუდიანთა დიდებავ!  
 ჩაუვარდები მტერსაო,  
 ბევრ რასმეს მოინატრებენ,  
 დაგავინწყებენ ბევრსაო,  
 მუსრს გაავლებენ ერთგვარათ  
 ქალს, კაცს, მოყმეს და ბერსაო...  
 ახალი ძველსა შელახავს,  
 შეუცვლის ხორცს და ფერსაო!..  
 შენც, სოლომონის ტაძარო,  
 ზურგზე აგადენს მტვერსაო;  
 მაგრამ ჯერ ბრმა ხარ, ისრაილ,  
 ვერ ხედავ ვერაფერსაო  
 და მტერი აღარ გგონია,  
 ვინც დღეს მოყვრულათ მღერსაო!..“

მე რა მრჯის იმის მიბაძვას?  
 სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი?  
 სად ჩემი სტვირი, სად მისი  
 იერიქონის საყვირი?!  
 ის მაღალ ჰანგზე ჰგოდებდა,  
 მე ბლიაძურათ გავჰყვირი,  
 თუმც კი ორივეს საგლოვის  
 ერთია სარჩულ-საპირი:  
 ის ჰგლოვდა საფლავს იუდის,  
 მე – ირაკლისას დავტირი:

„პატარა კახო, გმირთ-გმირო,  
 ქვეყნათ მეუფის სახეო,  
 სულით მაღალო, მაღალთა  
 მეფეთა მეინახეო!

დიდხანს ვერავინ გაგიძლო,  
ვისაც კი ხელი ახეო!..  
ბოლოს გიმუხთლა სოფელმა,  
ქვეშ-ქვეშ დაგიგო მახეო...  
მთლათ საქართველოს აღმდგენი,  
მცხეთაში დაიმარხეო,  
თან ჩაიტანე საფლავში,  
რაც გულში გაიძრახეო,  
და ახლაც შენი კურთხევა  
მაღლიდან გადმოგვცახეო!..“

[1898]

\* \* \*

რაც არ იწვის, არ ანათებს, –  
 უჩინარათ ლპება ნელა,  
 მოდი, დამწვი, სიყვარულო,  
 მიაშუქე, სადაც ბნელა!

ერთი წამიც კი სიცოცხლის,  
 თუ სხივების მომფენია,  
 უსინათლოს და უგრძნობელს  
 საუკუნოს მირჩენია.

მართალია, მთას რომ დასთოვს,  
 თან სიგრილევ ბარში დაჰკრავს!  
 თავზე თეთრი, თმა ჭალარა  
 გულს აგრილებს, გრძნობას ჩაგრავს;

მაგრამ ადგილს, ცეცხლის მფშვენელს,  
 სადაც დაგავს გენია,  
 ეს კანონი საზოგადო  
 თავიდანვე ასცდენია.

პოეტის გულს, გახურებულს,  
 სადაც ელავს, ლელავს გრძნობა,  
 რას მოუშლის თმას ჭალარა?  
 რას დააკლებს ხნოვანობა?

მრწამს სინმინდე სიყვარულის  
 ისევ ისე, როგორც ძველათ  
 და გულს ვუგებ საკურთხევლათ,  
 ზედ სიცოცხლის დასანველათ!

თუმც ეს მსხვერპლი საიდუმლო  
 საიდუმლოთ იწვის, ჰქრება,  
 მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც  
 არის დიდი ნეტარება...

[1898]



## ტურმარჯანა

თვალციმციმა, კბილებ-ბროლა,  
პანანკუნა ტურმარჯანა, –  
ზოგჯერ წმინდა ცეცილია,  
ხან ეშმაკი, ვით სატანა,

დალაციცობს, ყველას ხიბლავს,  
ხელოვნურათ უხლართავს გზებს:  
მარჯვნივ ელავს, მარცხნივ ქსელავს  
და შიგ აბამს, როგორც ბუზებს.

ფრთხილად! ფრთხილად! არ შეგრჩება...  
გადაგხდება, ტურმარჯანა!  
თვისვე ქსელში რომ გაება,  
ბევრი ვნახეთ შენისთანა!

შენც დაგიჭერს ერთი ვინმე,  
რომ არ ჰფიქრობ – იმისთანა  
და მაშინ კი აგეხსნება  
სიყვარულის გამოცანა.

სილამაზე, სიჭაბუკე,  
მომხიბლავი კაცის გულის,  
ედემს ქმნილი, ცაში თლილი,  
აკვანია სიყვარულის.

და გვირგვინი კი მისივე  
დედობაა და ცოლობა,  
გინდა დაჭკნეს, გაცამტვერდეს  
შვენება და ყმანვილობა.

მაგრამ გვირგვინს ვერ იტვირთებს,  
ჩემო კარგო ტურმარჯანა,  
ვინც უარჰყო მისი ქვეყნის  
ბიბლიური ანაბანა!

## ჩემს მეგობარს

მტერსა, მოყვრულათ მოსულსა,  
ვერიდოთ, ვარდის მფენარსა!..  
მყეფავი ძალლი სჯობია  
მიმპარავს, ჩუმათ მკბენარსა.

ფარისეველი სხვის მცნებას  
და თვისსა აღსარებასა  
სარჩულათ უდებს იდუმალ  
იუდას ამბორებასა.

ვაი მას, ვისაც მაცდური  
წმინდა მფარველი ჰგონია  
და „საბზელ-ქარის“ ანდაზა  
აროდეს გაუგონია!..

შორიდგან ამონაბერი  
საბზელს მიადგა ქარიო,  
შეზუზუნებდა მოყვრულათ;  
„ჩქარა, გამილე კარიო!

„სხვაგან და სხვაგან ნახვეტი  
ბზე მინდა შემოვყაროვო,  
რომ მეგობრული კავშირი  
ჩვენ შორს დავამყაროვო!“

საბზელმა უთხრა: „მომშორდი,  
არა მინდა რა შენიო!..  
ვიცი, რაც შვილი ბძანდები  
და ან რათ მოგაქვს ძღვენიო:

„სხვა გზა არა გაქვს, მოხვიდე  
და დამიბერო სხვა მხრითო!  
მუჭა ბზეს მიტომ შემოჰყერი,  
რომ გაიტანო გოდრითო!“

[1898]

## პოეტის პროგრამა

რაც კი არ არგებს ქვეყანას,  
ის ყველა ფუჭი ბარგია...  
სულ ბულბულობაც არ ვარგა,  
ზოგჯერ ყორნობაც კარგია.

გადავიქცევი ბულბულად,  
თუ გაშლილს ვხედავ ყვავილსა,  
მაგრამ თუ ვნახე მძორ-ლემი,  
ყორანს მივბაძავ ჩხავილსა.

ჭირში „ზარს“ ვიტყვი საცრემლოს  
და ლხინში „მრავალჟამიერს“;  
გარჩევა უნდა ავ-კარგსა  
და დრო – გულისთქმას წამიერს.

მაქებარი ვარ ერთგულის  
და მგმობი ქვეყნის მტერისა,  
მათი პასუხის მიმცემი  
საკადრის-მესაფერისა,

მოყვრისთვის თავდადებული  
ბულბული ტკბილად მსტვენარი,  
მტრის თვალში მუდამ გველი ვარ  
და ძალღი მყეფარ-მკბენარი.

მოყვრებს ვუყვარვარ, მტრებს ვძულვარ,  
ეს კანონია ცხოვრების,  
მაგრამ მე გაურჩეველად  
კარგის მდომი ვარ თვით მტრების...

[1898]

## ნატვრის თვალი

დილას რიჟრაჟზე გავედი  
 საძებნად ნატვრის თვალისა:  
 ჩემ ბედს მივენდე, იმედიც  
 მქონდა სულ-ხორცის ძალისა.

ხან იქ მივანყდი და ხან აქ,  
 დაქანცულს სული მხდებოდა...  
 სადაც ვგონებდი ძვირფას თვალს,  
 იქ მხოლოდ სიპი მხვდებოდა.

სალამოს შინვე დავბრუნდი  
 იმედმიხდილი, ძალმკვდარი!..  
 დღის აღარ მწამდა ოცნება  
 და ბნელი ღამის სიზმარი!..

კერას მივუჯექ, დავკვსე,  
 ცეცხლი ავანთე პრიალა  
 და ბედმაც მამა-პაპის გზით  
 წალმავე მომატრიალა:

მე რომ საუნჯეს ვეძებდი,  
 გარეთ გაჭრილი, ტანჯული,  
 თურმე ის შინვე ყოფილა,  
 კერას ძირშივე ჩაფლული.

ჩვენს ძველებს შეუხვევიათ,  
 შეუკრავთ მზე და მთვარითა,  
 ისტორიული სარქველიც  
 დაუბეჭდიათ ჯვართა.

ამ ქვეყნის მსხვერპლად დაუდევთ  
და საიმქვეყნო წინდათა...  
ის არის ჩვენი სიმდიდრე!..  
დიდება! წმინდა-წმინდათა!

და მხოლოდ იმის მახლობლად  
(ვიტყვი მე აღსარებასა)  
ქართველის გული შვებას გრძნობს  
და სული ნეტარებასა!

[1898]

## საყვარელ ნათლიდედას ნიცას

რომ დაგიტკებეს ნალველ-ძმარი,  
გულში შხამად ნაგუბარი,  
გრწამდეს სულის უკვდავება,  
მეცნიერის ნაუბარი.

ვინც მოგშორდენ დროებითად,  
ნუ გგონია დაკარგული,  
გადაცვლით და განსვენებით  
ელვარეობს მხოლოდ სული.

რაც ყოფილა... რაც არსებობს,  
არა ჰქრება, თუმც იხრწნება,  
საუკუნო უკვდავება  
ქრისტეს ბეჭდით იმონმება.

[1898]

## საშა ბეჟანის ძის წერეთლის ეპიტაფია

მშობლების გულში აღმგზნები  
გავხდი ცეცხლისა მწველისა:  
მოვსწყდი ამ სოფელს უდროოდ,  
ვითა ყვავილი ველისა.

ანგელოზთ გუნდსა მივმართე,  
იქ დამხვდა ლიტა ელვარე  
და მალლით ერთად ორივე  
ვართ ქვეყნის მოსხივცისკარე.

რომ თანგადმოჰფენს ჩვენ სხივებს  
ძალი და მადლყ ზეცისა,  
გასაქარვებლად ქვეყნიურ  
ჭირისა მრავალკეცისა.

1898

## საგულისხმოდ

არჩევნების გამო

ამბობენ: მეცხვარის ძაღლებს  
როცა მოუვათ ჩხუბიო,  
ვერ გააზავებთ ვერაფრით,  
გინდა აძგეროთ შუბიო!

ღრენენ და ჰყეფენ!.. ხორხოზში  
აღარ აქვთ ყურთა სმენაო!..  
ველარც არჩევენ ერთმანეთს,  
კბენა!.. კბენა და კბენაო!

მაგრამ მეცხვარე რომ ხედავს,  
არ არის სხვა სამველიო,  
განგებ იძახის: „ჰკა მაგას!  
სსსი! სსსი! მოვიდა მგელიო!“

ეს ხმა აფხიზლებს მოჩხუბრებს,  
თავდება ყოლიფერიო!  
და ერთად ჰყეფენ, გარეშე  
რომ მოიგერონ მტერიო.

ეს რომ უამბეს მგოსანსაც,  
სინარბე შემოეპარა  
და ქართველთ სავედრებელად  
ლოცვა დასწერა პატარა:

„რადგანაც ქართველობაზე  
ჩვენში დღეს ყველა სტყუაო,  
ღმერთო, მიეცი ქართველ კაცს  
ძაღლის გრძნობა და ჭკუაო“.

[1898]



## ნინობას

სცენიდან ნათქვამი

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე  
 ღვთისაგან დანათესია,  
 მაგრამ იმათში ყველაზე  
 შუქურა უკეთესია!..

ბევრია ჩვენში დღეს ნინო,  
 პირთა-მზე, მზეთუნახავი,  
 მაგრამ იმ ნინოს მსგავსის კი  
 არავისი ვართ მნახავი.

ის სულ სხვა იყო!.. სულითაც  
 იგივე შევნიერება!..  
 მკურნალი ივერიისა, –  
 საერო ბედნიერება.

მას არ ჰქონია საუნჯე  
 დაუდებელი ფასისა,  
 სიმდიდრეთ ხელში ეჭირა  
 უბრალო ჯვარი ვაზისა.

მისის ცრემლებით ნაბანი,  
 შეკრული იმისივე თმით;  
 სურვილით გამაგრებული,  
 განმტკიცებული გულისტქმით.

და ის მოგვიძღვნა ქართველებს  
 საშვილიშვილო სიმდიდრედ,  
 ჩვენც რჯული და ეროვნება  
 ორივე მაზედ ვამკვიდრეთ.

მაგრამ დღეს ჩვენთან ისინი  
ორივე განსაცდელშია:  
წმიდა საფლავიც და ჯვარიც  
დავჰკარგეთ!.. სხვების ხელშია!..

და ველარ ვხედავთ ჩვენში ქალს,  
რომ ისევ შეგვაძენინოს!  
„ნინიჩკა“ თუმცა ბევრი გვყავს,  
მაგრამ ვერ ვჰპოობთ იმ ნინოს.

[1899]

## სცენიდან ნათქვამი

პოეტების ბედის ვარსკვლავს  
ქვეყნად ვერა შეედრება:  
მათს სიკეთე-დღეგრძელობას  
სუყველა ღმერთს ევედრება.

არავის ჰყავს ქვეყანაზე  
მათოდენი მეგობარი!  
ყველას უნდა მათი ნახვა,  
უყვართ მათი საუბარი.

ჭირში, ლხინში, სუყოველგან  
მზად არიან მისცენ მხარი!  
„ვაშა-ვაშას“ შესძახიან  
და ბანს აძლევს მთა და ბარი.

ქვეყნის მათზე გულუხვობა  
დიდია და საოცარი:  
ცოცხალს ტაში! მკვდარს – გვირგვინი,  
აი, მათი საჩუქარი!..

პოეტების ბედის ვარსკვლავს  
ვერაფერი შეედრება!..  
და მიკვირს, რომ პოეტობა  
სუყველას არ ენატრება?!.

[1899]

## ახირებული სტუმრობა

სასწორ-საზომით მოარულს,  
 უმადურს, გაუტანელსა,  
 რა უნდა უთხრას ქართველმა  
 შემოხიზნულსა ვანელსა!?

ერთ დროს რომ კარზე მოადგა,  
 მშიერ-მწყურვალი, შიშველი,  
 და სანყლად, ქრისტეს სახელით,  
 გამოუშვირა მას ხელი.

ვეედრებოდა: „დავკარგე  
 სამშობლო, სახლი... კარიო!..  
 გზა აღარა მაქვს შენს იქით...  
 აღარც თავშესაფარიო.

„ამხანაგობას ვერ გკადრებ...  
 ვერც გაგიბედავ ძმობასო!..  
 შენ მიპატრონე! მეც ნაცვლად  
 გაგიწევ ნამდვილ ყმობასო!“

პასუხად ესმის: „ჰე, ძმაო  
 გულს მიკლავს შენი კვნესაო!  
 ყმობა-მონობა ქრისტეს სძულს!  
 მან ძმობა დაგვიწესაო!“

„ვინც სტუმრად მოდის, არ არის  
 თვით ქრისტეს მოციქულიო?  
 და ქრისტეს ტახტი-ტაძარი  
 მასპინძლის წმინდა გულიო!?“

„ჰა, ძმაო, სახლი და კარი,  
 შემოდი მზაზე წევრადო!..  
 შენი სტუმრობა და ძმობა  
 არ დამიფდება ბევრადო“.

შედის სტუმარი მადლობით,  
 მასპინძელს ჩაესახლკარა,  
 მაგრამ რომ სული მოიდგა,  
 სტუმრობა აღარ იკმარა;

ჩაჰკიდა ხელი ყველაფერს...  
 „ეს ჩემი იყო ყველაო!  
 მათხოვრად როდის მოვსულვარ!  
 ან როდის გთხოვე შეველაო?“

„ადრეც ვყოფილვარ!.. ახლაც ვარ!  
 შენ ვერც კი გიცნობ; ვინ ხარო!  
 არც წარსული გაქვს, არც აწმყო,  
 რომ მომავალით იხარო!“

„ამაში მოწმეც ბევრი მყავს  
 შენივე ქვეყნის შვილიო!..  
 ჩემს ოქრო-ვერცხლში ჩამფდარი...  
 ჩემგანვე გაჭედილიო!“

„ოქრო და ვერცხლი ბევრი მაქვს,  
 აქცია... ასსიგნაციო!  
 შენ ღარიბი ხარ!.. მომშორდი!  
 არ გესმის? «ასი გნაციო!»“

[1899]

## ქრისტე აღსდგა

ჩემს სათაყვანოს

ჩემო სულისდგმავ! ტკბილო გულისთქმავ!  
ყველგან, ყოველთვის მნათობო სულის!  
შენ ერთადერთო შემკვრელ-გამხსნელო  
ჩემის ტანჯვისა და სიხარულის.

ცით მოვლენილო, ქვეყნად შობილო,  
ცისა და ქვეყნის შუა კავშირო!  
ჩამგონებელო, ზე-აღმგზნებელო,  
ქნარ-საზევსურო, უკიდ-უძირო!

ვითვალისწინებ ოდეს გოლგოთას,  
მაზედ ამართულს ჯვარს ცხოველმყოფელს  
და ზედაც განრთხმულს მსხვერპლს უგნურების  
ღმერთკაცს, სიკვდილით სიკვდილის მთრგუნველს,

შენც იქვე ახლოს, მორწმუნეთ რიცხვში,  
გხედავ სინმინდით მოსხივცისკარეს!  
ქრისტეს სამსჭვალით თვით გამსჭვალულო,  
მსხვერპლად ცოდვილთა, ცრემლებს ჰღვრი მწარეს.

ყოველი ნვეთი შენი ცრემლებს  
ციურ მანანად გულს მენვეთება  
და სასოებით სარწმუნოება  
მეც მიდიდდება... მიორკეცდება.

მენელსაცხებლე დედათა შორის  
შენვე გიყურებ მახარობელად,  
და „ქრისტე აღსდგა“ შენი პირველი  
გრგვინვით გაისმის მათათა და ველად.

მეც „ჭეშმარიტად“, – ვამბობ და მრწმენა  
 მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტების!  
 წყარო ცხოვრების და სიმართლისა  
 თუმცა იმღვრევის, მაგრამ არ შრტების!

მრწამს! და შენც მწამხარ წინამორბედად  
 იმ აღდგომისაც, რომ ველი მეცა!  
 როდესაც ქვეყნად ტანჯულ სიმართლეს  
 მკვდრეთით აღადგენს კურთხევით ზეცა.

ყველგან, ყოველთვის, ჭირში და ლხინში  
 რადგან შენა ხარ ჩემი გულისთქმა,  
 წმიდა ამბორმა შეგვისისხლხორცოს  
 ახალი რჯული და ძველი აღთქმა!

[1899]

## მგოსანი

ზოგიერთების საპასუხოდ

შეჰვედრა უფალს მგოსანმა მეფემ:  
„ღმერთო, ძლიერო, შემინყალო!  
ჩემთანა გული წმინდა დაჰბადე  
და სული ნრფელი განმიახლო!..“

უსმინა ზეცით საყოველთაოდ  
და აუმაღლა მგოსანთა გული...  
საერო განძად, საშვილიშვილოდ  
ჩასდვა სიმართლე და სიყვარული...

მოსეს მახვილად, არონის კვერთხად,  
ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი  
და უსუპის წილ სიმებს ასხურა  
შეზავებული თაფლ-ნალველ-ძმარი.

ხმა უცნაური, ხმა საამური  
გაისმა ქვეყნად მარად და მარად,  
ზოგისთვის ის ხმა თაფლ-მალამოა,  
ზოგს გულზედ ხვდება ის ნალველ-ძმარად.

ერთიც მღელვარებს და მეორეცა,  
ორივე სწორად მოხიბლულია  
და თვით მგოსანიც, ერთის საქები,  
ათასისათვის წყეულ-კრულია.

მაგრამ მგოსანი ჰფიქრობს: „ამქვეყნად  
ყოველი ზრახვა არის ამაო,  
სულს შემუსრვილს და გულს დამდაბლებულს  
ნუ შეურაცხყოფ შენ კი, მამაო!“

ამბობს და ჩანგის სულის ჩამდგმელი  
ცა და ქვეყანას ესალბუნება!..  
ზევსური მისი უტყუარია  
და მრავალფერი, ვით თვით ბუნება!..

[1899]



## კნენა მ. ამირეჯიბის ალბომში

ვნახე ცოლ-ქმარი მე მეგობარი,  
ერთმანეთისა შეთანამტკბარი  
და გულგატეხილს უჩვეულობით  
მეგონა მხოლოდ ფუჭი სიზმარი.

ხმატკბილ-ნარნარი ხელთ ეპყრათ ქნარი,  
მხიბლავდა მღერა გასაოცარი,  
მაგრამ მე მაინც, ზეალტაცებულს,  
მეგონა მხოლოდ ტკბილი სიზმარი.

მას შემდეგ არი, რომ მეც დამტკბარი  
მათ თანავუგრძნობ, ვით მეგობარი,  
მაგრამ ერთხელვე კი გულგატეხილს  
ესეც მგონია მარტო სიზმარი.

[1899]

## ვახტანგ გორგასლანი

ისტორიული

„რამ დაგაღონა გმირთ-გმირო,  
მეფეთ-მეფეო ქებულო,  
საქართველოსთვის მანანად  
განგებით მოვლინებულო?

ცალ ფეხს რომ აჭერ შავ ზღვაზე,  
მეორე თეთრზე გიდგია!  
მალლით მზე გეგვირგვინება  
და მთვარე ტახტად გიდგია!

ქვესკნელში უჭრი სამართალს  
ქვემძრომსა, ჭიანჭველასა!..  
ცაში ყურს უგდებ რეკასა  
და იგულისხმებ ყველასა!

აღვირამსხმელო სპარსეთის,  
გარს ძლევის სხივი გივლია!  
სინდ-ინდო აბაშეთითურთ  
ფეხდაფეხ შემოგივლია!!

და საბერძნეთიც მოყვრად გყავს,  
თანამერჯულე შენია!  
რალა გაკლია ამქვეყნად,  
მაგრე რომ მოგიწყენია?“ –

„სჭვრეტ და ვერ ჰხედავ, გრძნობ – ვერ სჯი;  
გჯერა, რაც არაფერია!..  
ქარი წაიღებს უკანვე,  
რაც ქარის მონაბერია!..“

თუმც მართალია, რაცა სთქვი,  
მაგრამ სულ გარეგანია!  
დიდება ხალხის გულია –  
სხვა ყველა გარე კანია!

რას უზამს მტერი გარეშე  
დამხდურსა მარად ფხიზელსა,  
როცა ვერ აწვდენს გულამდე  
ვერც სისხლიან ხმალს, ვერც ხელსა?..

დღეს დაიმონებს, ხვალ ველარ...  
ეს ბრუნვა ქვეყნის წესია!  
მაგრამ მოყვარე ორგული  
კი მტერზედ უარესია:

მოგხიბლავს სირინოზივით,  
დაგიფენს ვარდს და იასა,  
ბანგს გასმევს დასაძინებელს,  
გულში გაიჩენს ჭიასა!..

მაშინებს ბერძნის მოყვრობა,  
და ერთსჯულობა მათთანა,  
ვაითუ, მათი მოძღვრებით  
ყელში გაგვირჭონ მათ დანა!..

ვხედავ, სხვაგვარად უჭირავს  
ანტიოქიას დღეს თვალი!  
სჯობს, ეკკლესია ქართველთა  
რომ იყოს თავისუფალი!

მაგრამ რაგვარად? თანხმობით  
არ აიღებენ ხომ ხელსა,  
და თუ ვიხმარე ძალა რამ,  
გავიტეხ ნმინდა სახელსა“.

ჯუანშირ ეტყვის: „მეფეო,  
 გქონია საფიქრებელი!  
 მე შენსა აღმაფრენასა  
 რას მივსწვდებოდი მზებნელი?“

ახლა რომ ჩამაგულისხმე,  
 სისწორით ვახელ მეც თვალსა:  
 ეს საქმე გადასანყვეტად  
 ზეცას მივანდოთ უფალსა.

ნებით არ იზმენ, ეგ ხმალი  
 ხომ ღვთის ნაკურთხი გკიდია?  
 მსხვერპლი სამშობლოს გულისთვის  
 ყოველგვარ მსხვერპლზე დიდია!“

რჩევა დაუჯდა გორგასლანს  
 ერთგული ჯუანშირისა,  
 საერო „გიხაროდენი“  
 გამქარვებელი ჭირისა.

რა ველარ გასჭრა ვედრებამ,  
 ხელში აიღო მახვილი  
 და მით მსოფლიო კრებაზე  
 დაბეჭდა ქვეყნის სურვილი:

„საქართველოს ეკკლესია  
 თვით მართლმადიდებელია;  
 კათალიკოსს თვისას დასვამს,  
 დამოუკიდებელია!“

[1899]

## ცოცხალი სურათები

ვუძღვნი დ. ა. ბაგრატიონ-დავითისშვილს

„თუცა ქალია, ხელმწიფედ  
მართ ღმრთისგან დანაბადია!..  
ლეკვი ლომისა სწორია,  
ძუ იყოს, თუნდა ხვადია!“

ასე შეჰკადრა დიდ მეფეს  
ჭიაბერ ბრძენმა სოგრატმა  
და მით გამოსთქვა უტყუვრად  
მთლად საქართველოს გულისთქმა<sup>1</sup>.

ვინც მამაკაცი გონებით  
და გრძნობით დედათ სქესია!..  
სითბო-სინათლის შენათხზვა  
დღიურ მნათობის წესია.

გიორგის ნაკვთი, ნამსგავსი,  
გმირთ-გმირი, ლომთა-ლომია!  
ჰფიქრობს, ქვეყანა განკურნოს...  
ქვეყანაც მისი მდომია!

ვის არ ჰსურს, ტრფობის ბადეში  
რომ მისის ეშხით დაეხას?  
ვინ არის, თაყვანს რომ არ სცემს,  
ვით უკვდავებას... ღვთაებას?!

ყოველი კუთხით მოდიან  
მეფე და უფლისწულები,  
სიცოცხლე მოაქვთ საკმევლად  
და ფიანდაზად გულები.

<sup>1</sup> ჩვენის აზრით, რუსთველმა „ვეფხისტყაოსანში“ როსტევან მეფედ მეფე გიორგი გამოსახა, თამარის მამა, თინათინად – თამარი, სოგრატ ბრძენად – ჭიაბერი და ავთანდილად – მხარგრძელი ზაქარია. თამარიც მამისერთა იყო და ტახტზე აყვანა მისი და გამეფება ჭიაბერმა ურჩია მეფეს. (ავტორის შენიშვნა).

მაგრამ თამარი – „თინათინ“  
 არავის ათბობს მნახველსა  
 გაურჩეველად, თანასწორ  
 აფენს კი ყველას ნათელსა.

ვერ შეარყევენ წყარონი  
 უფსკრულსა დიდი ზღვისასა!  
 ვერავინ შესძრავს ვერც ერთს ძაფს  
 თამარის გულისთქმისასა!

ზენაა მისი სურვილი  
 ქვეყნიურ აღმაფრენითა!  
 არც კალმით დაიხატება,  
 არც გამოითქმის ენითა!

ამას ყველას გრძნობს მხარგრძელი,  
 სხივ-ისრით გამსჭვალულია,  
 სურვილს უსიტყვოდ გულში ჰკლავს,  
 გრძნობა მით დაფარულია.

ჰფიქრობს: ამ გრძნობა-საუნჯეს  
 სამარეს ჩავაბარებო,  
 თამარს შევსწირავ სიცოცხლეს,  
 მით ვიშვებ... გავიხარებო!

თამარიც სხივს ჰფენს სპასალარს,  
 ხანდახან შეთინათინებს:  
 არცა აღვიძებს თვის გრძნობას  
 და აღარც მისას აძინებს!

დაკარგულია იმათთვის  
 ნაშთი ედემურ ქონების!  
 ვინ იცის, ვისი მეტია  
 ის მსხვერპლი გრძნობა-გონების?!

ეს იცის მხოლოდ სამარემ,  
მესაიდუმლემ იმათმა:  
ხარბად ჩაჰყლაპა ორივე,  
დაჰფარა მათი გულისთქმა.

ნალმა მბრუნავი ქვეყანა  
ზოგჯერ უკუღმაც ტრიალებს,  
ერთს რომ ქვესკნელში ჩააძვრენს,  
სხვას აღმა ააფრიალებს.

მზე ჩაგვესვენა... დაბნელდა,  
ძლივს ბჟუტავს ჩვენი ლამპარი,  
ჩვენი წარსული ჩვენთვისვე  
გამხდარა სიზმარ-ზღაპარი...

თამარს „თათიად“ მორთულსა  
ფერ-ცხადად გვიდგმენ სცენაზე  
და ჩვენც მივდივართ სამზერლად,  
თითქო დიდ გამოფენაზე.

აჰა, ახადეს კრეტსაბმელს...  
ოცნებამ შეითამაშა!  
მაცურებლები აჟრჟოლდენ,  
დასძახეს „ვაშა!“ და „ვაშა!“

მათ რიცხვში მხოლოდ ორს ვხედავ,  
ყურს არ უგდებენ სცენასა,  
არც აღტაცებით ტაშს უკრვენ  
და არცა სძრავენ ენასა.

სხვაგან ჰქრის მათი გონება  
საკუთარ მზე და მთვარისა,  
ერთია ნაშთი მხარგრძელის,  
მეორე თვით თამარისა.

თუ იგონებენ წინაპრებს  
და მათსა შეთანხმებასა?  
გრძნობას უკმევენ სამსხვერპლოდ  
და სწირვენ ქებათ-ქებასა?

რად არ შეუკრავთ ამათაც  
წინაპრებსავით ოცნება  
და სხვადასხვა მხრით ორივე  
ცალ-ცალკე გაიტყორცნება?!

ეჰ, ვინ გამოსცნობს?! ქვეყანა  
ორპირი, ცვალებადია!..  
დღეს ჭირისაგან დამსხნელი,  
ხვალ დამჭირავი ბადეა!..

[1899]



## გამოცანები

ატესტანტებს დავარიგებ,  
არ ვახსენებ სახელს და გვარს,  
ხახვ-ნიორი ვინცა სჭამა,  
პირიც მხოლოდ იმას უყარს!

სამგლე, წუპაკი მურია  
შეჭხუის, შეჰყევს მთვარესა,  
რამდენი ძალლი ჰყოლია  
საბრალო ჩვენსა მხარესა?!

### 1

ერთგული ძალლი მტრებს უყევს,  
ორგული – შინაურებსა;  
საითაც უწრუპუნებენ,  
იქითკენ აცქვეტს ყურებსა.

### 2

კუდქიცინა, ფეხთამლოკო,  
ბობოლების ფინიაო,  
ვსთქვათ, რომ კაცის არ გრცხვენია!  
ღვთისაც არ გეშინიაო?

### 3

როცა ძალლები აყეფდენ,  
შენ რალასა ჰყეფ, მელაო?  
– მეც საქათმეში მივძვრები  
და მსურს მოსტყუედეს ყველაო!..

### 4

საშოვარის დროს ქორია,  
სანუნკარის დროს ღორია,  
გინდ იყოს საკურთხეველსა,  
მისი სინმინდე ჭორია!..

5

თავი დევგმირი გგონია,  
ჭკუა-სანყალო ბექია,  
რწყილების მონადირე ხარ.  
საბრალოვ, ნაცარქექია!

6

ცა რომ გრგვინვით ჰქუხს და ელავს,  
მინას ეკერი მამინ... წივი,  
ლობემძვრალა რას მიხვდება,  
სად ჰფრენს იმ დროს ცის არწივი?

7

პატარა თავის და გულის  
პანანინა გრძნობა-ჭკუა –  
უგზო-უკვლოდ რას ჭუჭყუნებს?  
და საიდან გამოჭყუა?..

8

საიდუმლო შენი მცნება:  
კუჭი, მუჭი, ფუჭი გული!  
შენისთანა სხვაც გვინახავს  
ანტექრისტეს მოციქული.

9

რომ არ გქონდა, უარჰყოფდი  
სხვის შეძლება-ქონებასა!..  
რომ იმოვნე, შეურიგდი  
ბატონ-ყმობა-მონებასა!

10

ჭკუა-გრძნობის ასანონად  
გამოსულხარ, მეგობარო!..  
შავი ქვა ხომ არ გგონია,  
რომ ფუთობით მოიპარო?

11

ნახირ-ნახირ გამოსულხარ,  
 კუდი გაგიბზეკიაო;  
 რასაც სთესავ და რასაც მკი,  
 სულ ჩალა და ბზე კიაო!

12

ურიასთან შაფათაა,  
 ქრისტიანთან კვირიაო!  
 საქმით დაბლა მოქვეშქვეშე,  
 სიტყვით მაღლა ყვირიაო!

13

თქვენო მაღალ-ღირსებაო!  
 თქვენო პატიოსნებაო!  
 ამ თქვენ ტიტულს აგვირგვინებს  
 სიზმარი და ოცნებაო!..

14

მაძლარი სხვისი პურითა,  
 დამტკბარი მტრობა-შურითა,  
 ჰხედავს და ისმენს ყოლიფერს  
 სხვისი თვალთ და ყურითა!

15

თამარიც გიყვარს და ნინოც,  
 გახსოვს დიდება ძველიო!  
 მაგრამ ორივეს ივინყებ,  
 როდესაც ანნას ელიო!..

16

თამარ და ნინო ენაზე  
 გაკრავს, ვით სიტყვის მასალა!..  
 ანნას კი გულზე მიიკრავ –  
 სულ სხვა ეშხი აქვს!.. სხვა ძალა!

17

ნინო ნინად გადაგვექცა  
და თამარი თათიდა!..  
ზოგიერთ ქალს რაღა ეთქმის  
თუ არ: „მახლას!“ „აფსუს!“ „ხათა?!“

18

ცოლად და დედად არ ვარგა,  
არც ვარგებულა ქალადა!  
წიგნების ნაცვლად ის უჯობს,  
ხელში აიღოს კალათა!!

19

ქმარი ცოლად გაგიხდია,  
გახდომიხარ თვითონ ქმარად!  
იცოდე, არ გამოდგება  
ძმარი ღვინოდ, ღვინო ძმარად!

20

ბულბული რომ ვარდს დასტვენდა,  
ძალლი დაღრენდა ძვალსაო,  
ვირიც ბანს დაჰყროყინებდა,  
ჰანგებს ატანდა ძალსაო!

21

მტრებისთვის ბუმბულ-ბამბა ხარ  
და მოყვრისთვის ქვა და გუნდა!  
ან გიჟი ხარ, ან სულელი!  
ორში ერთი!.. რა თქმა უნდა!

22

ხის ფარ-ხმალი აგიღია!  
ჯოხიც ვითომ თოფურია!!!  
ტვინზე ვინ გყავს მიწვეული,  
ნაზარა თუ თოფურია?

23

ვარდს შეუთვალა: „მომშორდი,  
მძულხარო!“ – მყრალმა ჭიამა;  
ვარდმა სთქვა: „ღმერთი ხომ ხედავს,  
რომ ეს მტერობა მიამა!“

24

შიგნით ჭრელი ხარ გველივით,  
გარეთ კი ბამბის ქულაო!  
იმის ჭირიმე, ვინც ჩემი  
შენ თავი შეგაძულაო!

25

ვინ ნახა კატა დამფრთხალი  
პატარა თავვის შიშითა?  
რამდენსაც მეტყვი: „ჰკა მაგას!“  
მეც გიპასუხებთ „ჩიშითა“.

[1899]

## განდეგილია

აპოკრიფული ამბავი

უდაბნოში განდეგილი  
სულის საქმეს შესდგომოდა,  
საამქვეყნო, საპირადო  
„ვარხალალო“ არ ესმოდა.

მისი ქვეყნის ავსა და კარგს  
იგონებდა... გულში ჰკრებდა  
და შემოქმედს მუხლმოდრეკით  
წრფელის გულით ავედრებდა:

„ეს ქვეყანა ცოცხალ-მკვდარი,  
დღეს რომ ქედი მოუხრია,  
უბინო და უგინებელ  
თვით ქალწულის წილხვედრია!

„მართალია, დღეს ჯოჯოხეთს  
თავისაკენ მიუმხრია,  
მაგრამ ადრე, ვით მონამეს,  
შენთვის სისხლი დაუღვრია.

„ნუ ამხილებ გულისწყრომით!  
მოიბრუნე მადლით გული!  
შეუნდვე მას შეცოდება!..  
მიანიჭე სინანული!

„და თუ მსხვერპლი საჭიროა,  
ვითა წვლილი ქვრივის მცირე,  
ნუ განმაგდებ!.. სხვებზედ უმალ  
მიმიღე და შემინირე!..“

ამ სიტყვებით გამოსთქვამდა  
 ტკბილ სურვილს და მწარ გულისთქმას...  
 და ცრემლებსაც ასხურებდა  
 ზედ, ვით წმიდა აიაზმას!

ესმა უფალს ხმა ცოდვილის,  
 შეიწირა სამსახური!..  
 განდევილის აღსარებას  
 ქვეყანამაც მოჰკრა ყური.

სთქვა: „ეს კაცი ცოდვილთათვის  
 ეგებ წინამორბედია?!  
 და მაგის შორსმჭვრეტელობა  
 მალლით ქვემო, ორ-ბედია!!“

ჩაგულისხმდა, გამოერკვა,  
 მოაგონდა წინაპარი,  
 რომ თავს სდებდა ქვეყნისათვის  
 და იწვოდა, ვით ლამპარი.

განიზრახა კრინი მოძღვრის,  
 მიბაძვა და მიმდევრობა;  
 შეაჩვენა ძალი ქვენა!  
 აღიარა ზესთ მთავრობა!

ამ ამბავმა ჯოჯოხეთი  
 ააშფოთა!.. შავად ჰლელავს!  
 თვით სატანა, ცეცხლის მფრქვევი,  
 შესაზარად ჰქუხს და ელავს!..

მის წინ დგანან მოწინებით  
 წვრილფეხობა ეშმაკები,  
 ჰკანკალებენ, უთრთის ყველას  
 კუდ-ბრჭყალები, ნისკარტ-რქები!

„ვერა ჰხედავთ – სთქვა – განდგეილს,  
ქვეყნად ნინ რომ მელობება?!  
ლამის ლოცვით შეარყიოს  
ჩემი ძალა-მეუფება!..

„რალას უცდით? ადრე თუ სხვაც  
დაგილუპავთ მაგისტანა,  
ჩემი რჩევა და ბრძანება  
გეჭირვებათ კიდევ განა?

„შეიცვალეთ სულ სხვადასხვად:  
ჭიად, მატლად, ბაყაყ-გველად,  
ბუზად, პეპლად, ჭია-მყრალად,  
ბალლინჯოდ და მორიელად!..

„მიესიეთ ყველა ერთად!  
ნუ მისცემთ მას მოსვენებას!  
გაჭირვება დაავინყებს  
ქვეყნის ვალს და ზეცის მცნებას!“

აასრულა წვრილფეხობამ  
ბნელ მთავარის სურვილ-ნება  
და მისცვივდენ საწყალ მლოცველს,  
რომ არ მისცენ მოსვენება.

ჭირში მყოფმა ღმერთს შეჰვედრა:  
„თუ ეს შენი არის ნება,  
შენვე მომეც მეც, უფალო,  
იობისა მოთმინება!“

ჰკბენენ, სჩხვლეტენ, გესლს ანთხევენ,  
ჰაერს ჰბილწავენ ჭია-მყრალა,  
მაგრამ ვერ სჭრის ძველებურად  
უკუღმართი მათი ძალა:



იქვე ახლოს, უჩინარად,  
 სხივმოსილი იდგა ქალი,  
 განდევილის მფარველ-მცველი,  
 აღმგზნებული იდეალი!..

მოახსენეს უფროსს ბატონს:  
 „დიდებულო სატანაო!  
 ვერას გავხდით!.. მან შეიძლო  
 გაჭირვების ატანაო!“

ეუცხოვა ეს ამბავი  
 ჯოჯოხეთის ბობოლასა,  
 ვერ იტანდა ძველი ძალის  
 ის ხელიდან გამოცლასა.

კვალად ბრძანა: „უარს ვერ ვჰყოფ  
 მე მაინც ჩემს სანადელსო,  
 და თქვენც, გირჩევთ, ნუ დააგდებთ  
 თქვენს საქმეს და საცადელსო!“

„თუ პირადად მას ვერ ავნებთ,  
 სხვებს ხომ მაინც მოსჭრით თვალსო?!  
 შეაშინებთ, რომ ვერ მიჰყვენ  
 განდევილის გზა და კვალსო!“

ეს ბრძანება სულ ახალი,  
 ხელთ უპყრიათ ეშმაკებსო  
 და ვაი მას, ვინც სატანას  
 არ ადიდებს!.. არ აქებსო!..

[1899]

## კარგად მყოფ მგოსანს

ვუძღვნი სილოვანს

პასუხად თქვენის წერილის,  
მოღვანევ პატიოსანო,  
ნება მიბოძეთ, მოგიძღვნათ  
თქვენივე ლექსი, მგოსანო!

და გთხოვთ, რომ გადაუკითხოთ  
ოპოზიციის სილოვანს,  
რომ თვით მან დასდოს სახელი  
მის მჩატე ნახტომს რწყილოვანს.

და ჩვენ კი არას შევკადრებთ  
მის მაღალ პატიოსნებას,  
რადგანც ამყოლი ბევრი ჰყავს  
ჩვენში საკუჭო ოცნებას.

[1899]

## ყიზილბაშური

თვალი დაუდგეს ქართველ კაცს,  
ველიჩკოს მოტრფიალესა!  
ვერ ჰხედავს, მის დასაკლავათ  
რომ მან მახვილი გალესა?

სომხებს რომ უყევს, იმავ დროს  
კუდს უქიცინებს ქართველსა,  
მაგრამ ორივეს თანსწორათ  
ანთხევს სანამლავ-ნალველსა.

ცბიერს – სომეხიც, ქართველიც  
სკვითურ ფეხებზე ჰკიდია!  
იმისი მუცლის ტკივილი  
სხვაგვარი „გზა და ხიდია“.

ჰფიქრობს: დრო არის, მკვიდრებმა  
აქედან გაიმინდვრონო  
და იმათ ნამოსახლარზე  
მოსულნი დაემკვიდრონო!

ტკბილად იმღერის, როდესაც  
გვიჭედავს ბორკილ-რკინებსა  
და ქვეშქვეშურად მხარს აძლევს  
იანოვსკ-ბუტირკინებსა.

მაგრამ გულწრფელი ქართველი  
განა მიხვდება ამასა?  
როცა არ ტორავს, დათვსაც კი  
ეძახის „კეთილ-მამასა!“

[1899]

## მოღვაწე

ცოცხალი რომ ვარ, მდევნიან,  
მასმევენ ძმარს და ნაღველსა,  
თუ ავად გავხდი, – ვინ დასთვლის  
მომკითხველსა და მნახველსა?

სუყველას უნდა, შეიტყოს,  
როგორ მოკვდება, როდისო?  
რომ გვირგვინებთან მომზადდეს  
სიტყვებიც ახალ მოდისო,

რომ ავასრულო ბოლოს დროს  
სათვალსეირო ვალიო...  
„მოყვარეს ახლოს და მტერს შორს  
დავთხაროთ მითი თვალიო“...

გიცნობ, ასის წლის სნეულო,  
შენ თითონ ცოცხალ-მკვდარო,  
მეტი რა მოგეთხოვება?  
შენგან ესეცა კმარაო!

[1899]

## პატრიოტი

ჩემისთანა პატრიოტი  
განა არის სადმე კიდე?  
გარწმუნებთ, რომ ვერ შეხვედებით,  
გინდ მოლაზხოთ კიდით-კიდე...

ღვინოს ბევრს ვსვამ, მიყვარს მწვადი,  
არტალა და ჩახოხბილი...  
ფლავსაც ხომ სულ ხელითა ვჭამ,  
რომ არ მოხვდეს ჩანგალს კბილი!

რაც შეჭფერის მამულიშვილს,  
ვასრულებ მეც ყველაფერსა,  
უკულმართის ხმით ვიმღერი  
ქართულ „მრავალჟამიერსა“.

მე არაფერს არ ვმუშაობ,  
მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ...  
რაც რომ მერგო მამა-პაპის,  
ნელა-ნელა „ვაპრადალებ“;

და ფულს ვხარჯავ კნიაზურად,  
ისე, როგორც ჩალა-ბზესა!..  
მამის სული გამიშვია,  
ვფიცავ მამინაცვლის მზესა...

ერთი სიტყვით, ქართველობა  
გამჯდარი მაქვს სრულად ტანში!..  
რო მოგწონვართ, თქვენც კი გატყოფთ,  
აბა, დამიკარით ტანში!..

[1899]

\* \* \*

ელას და დათიკოს შუა  
ჩამდგარა და ჰყეფს ფინია.  
დათიკო ხედავს, იცინის.  
ელიკოს კი ეშინია.

[1900 წლამდე]

## გამოთხოვება

ჩემს ქვეყანას

მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული  
მომაკვდავთ ერთ არ გამოითქმის!..  
შენ იყავ ჩემი სიტყვა და საქმე  
და თვით მიზეზიც წრფელი გულისთქმის!..

სიყმაწვილიდან მწარ სიბერემდე  
ოქროქსოვილად გეფინებოდი,  
და ვით ხატის წინ წმინდა სანთელი  
შუქმოპარპალე, უხმოდ ვდნებოდი.

შენის მოხიბლვით გამოწვეული,  
წინ მიმიძლოდა მეც ის ნათელი...  
და ჩემი ნატვრაც მხოლოდ ეს იყო!  
სამაგიერო და სასყიდელი.

ვფიქრობდი შენ წინ წვითა და დაგვით  
წმინდად დადნობას, ტკბილად გაქრობას,  
მაგრამ სინწინდის ნაბილწვაც თურმე  
არაფრად უჩანს შურსა და მტრობას!..

ან რაღა მეთქმის? კურთხეულ იყოს  
მიუწვდომელი მალლით განგება!..  
ჩემი ნათელი ბნელად გეჩვენა  
და წყევლა-კრულვად – ქებათა ქება!..

უნდა მოგშორდე იძულებული!..  
მშვიდობით, მაგრამ ვაი მშვიდობას!  
თუ უნებურად შეგცოდე რამე,  
სულგრძელი იყავ! ვითხოვ შენდობას!

7 მარტი [1900]

## ჩემს მწყალობელს

ბატონო! თქვენი წყალობა  
სულ სხვა ყოფილა, განაო?  
პილატემ თავი იმართლა  
და ხელიც დაიბანაო!..

რაც მინდა, იმას ნუ ვიტყვი?  
რაც გინდა, ის ვსთქვა, განაო?..  
აჰ, არა! „ფონს ვერ გამიყვანს“  
უფლება მაგისტანაო!..

გიჩუქებიათ მახვილი,  
მაგრამ პირობით, განაო?  
რომ ჩემი ხელით გავლესო  
ჩემივ დამკვლელი დანაო?

აბა, რას ბრძანებ, ბატონო?  
გიჟი გგონივარ, განაო,  
რომ ვერ გამოვსცნო ეგ თქვენი  
კრიმინალ-გამოცანაო?

ვინც გულსაფხანი სიტყვების  
შენ ენა მოგიტანაო,  
პატიოსნებით შემკულად  
ის მიგაჩნია, განაო?

ჩემს „ამოსალებს“ რომ სწუნობს  
ეგ შენი „ანაბანაო“,  
სასწორ-საზომის სიმრუდე  
სამართალია, განაო?..



მაგრამ ერთხელვე თქმულია:  
„ძალა აღმართს ჰხნავს“ – განაო?  
ვინც წაღმა სიტყვა შეგკადრა,  
უკულმა გაექანაო!..

ჩემნაირ მოპირდაპირეს  
არაფრად აგდებ, განაო?  
ხმელეთი საბურთაოდ გაქვს  
და ზღვაა შენი სანავო!

მაგრამ ერთი დრო ყოველთვის  
ვის შერჩენია, განაო?..  
მძლავრებსაც წაუჩოქნიათ  
სუსტის წინ ხანდისხანაო!..

[1900]

## მდიდარს ღარიბისაგან

გინდ მშობედს, გინდ მწყუროდეს,  
დავდიოდე ტიტლიკანა,  
არ ვინატრებ შენს ქონებას,  
არ მსურს, ვიყო შენისთანა!

ქვეყანამაც რომ გამწიროს,  
დამიკეტონ ყველგან კარი,  
მაინც არ მსურს, შენ რომა გყავს,  
იმისთანა მეგობარი!

შემიძულოს დედათ სქესმა!  
გავხდე მათი საზარელი!..  
არად მინდა, რომ მეც მყავდეს  
შენისთანა საყვარელი!..

კარგათ ვხედავ, შელახულო  
გრძნობითა და გონებითა,  
რომ ყიდულობ თაღლით-გრძნობას  
ძალითა და ქონებითა?!

შენთვის არ სცემს არავისი  
ჭეშმარიტად გული წმინდა!..  
არა! არა! მაგ შენ ცრუ ბედს,  
არ შევნატრი! არად მინდა!

მისთვის მომცა ღმერთმა ენა,  
სიმართლისთვის გავინირო;  
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,  
თუნდა ქვითაც დავიკირო.

ბევრჯელ ვნახო დღენი ტკბილი  
და ბევრჯელაც გავინბილო;  
მცირეს ვჯერდე ოფლით ნაშოვნს,  
მრავლისათვის არ ვიტყო.

მოდმის ვიყო შემნე ჭირში,  
ვიხარო და გავახარო;  
რაც კი ვნახო მასში ცუდი,  
გამოვსთქვა და არ დავფარო.

დეე, მტანჯონ მართლისათვის,  
მე იგი არ გავიკვირვო;  
მხოლოდ მინდა, რომ რითიმე  
ბოროტები დავიჭირო.

ვინც რომ მშრომელს და ტვირთ-მიძიმეს  
ხელმოსანყობ ნივთად სთვლიან,  
იმათ ნაშრომს, ოფლით ნაშოვნს  
გასთვლიან და გამოსთვლიან.

[1900]

## ფულიკო

გირავოს ფურცლებს ჩვენ ვყიდდით,  
გვსურდა, რომ მოგებულიყო,  
ფინანსისტები ვფიქრობდით,  
იზრდება ბანკის ფულიკო!

ჩავაფუჩეჩეთ სულყველა,  
რაც მაჩაბლისგან თქმულიყო,  
შეჯიბეტკბილდა უშიშრად  
დირექტორებთან ფულიკო!

ვკითხავდით ქუთაისის ბანკს,  
ვითომც იქ დაკარგულიყოს  
და აქ კი ჩუმად ვხილავდით  
იმ დროს ამ ბანკის ფულიკოს!

კარგად ვიყავით, რომ კოლა  
მთხრობლად არ გამოსულიყო,  
ალარ დაფარა, ამბობდა,  
იკარგებო ფულიკო!

ალარ მოხერხდა მას შემდეგ  
რომ საქმე დაფარულიყო  
და რევიზორად ბაქოში  
ჩაბრძანდა თვითონ ილიკო!

სადგურზე დახვდა დიდ ალას,  
იმისი ყული პალიკო  
და მოახსენა – ეგ საქმე  
არ არის სალაპარიკო!

კასსა წმინდად მაქვს, თქვენც იცით,  
ფული იქა მაქვს, აქ არა,  
ხვალ დამიმონმე და დღეს კი  
წავითამაშოთ ბაქარა!

დასტური დასცა ილიამ,  
აგრე ვქნათ, დიახ – დიახო,  
მოკითხვის ნიშნად მის ჯიბეს  
პოეტმაც ხელი შეახო!

და მეორე დღეს დამონმდა  
კასსა, რომ ვითომ სრულ იყო,  
და ხალხსაც უმახარობლეს,  
არ დაკარგულა ფულიკო!

მაგრამ არ იქმნა, რომ შუბი  
ხალთაში დამალულიყო,  
ბოლოს ხალხმაც კი გაიგო,  
რომ დაკლებოდათ ფულიკო.

მაშინ თქვეს დირექტორებმა,  
ახლა კი დადექ თვალიკო,  
ალარც ფულია კასსაში  
და ალარც ჩვენი პალიკო!

[1900]

## სახსოვარი

ნიჭი უებრო, სწავლის მოყვრობით  
დაგვირგვინებულ, დამთავრებული,  
შესწირა მოძმეთ, თვით მე ვარ მონმეთ,  
თან ჩაატანა სული და გული.

ამ ცრუ სოფელმა, დაუნდობელმა,  
არ დააცალა მშრომელსა შრომა,  
ვინც იყო ყველას მოპირდაპირე  
და არ უყვარდა ქვემ-ქვემად ძრომა!

მაგრამ მის შრომას და მის გულისთქმას  
ვერ გააქარწყლებს საფლავი ბნელი!..  
მის მახვილ კალამს ვერრა დამალავს,  
გარს ემოსება სხივთა ნათელი!..

თანამეკალმე, გეთხოვები მე.  
აქ განისვენებ და არ ხარ მკვდარი!..  
ის არ მომკვდარა, ვისაც სამშობლო  
იგონებს ხოლმე, ვით მეგობარი!..

[1900]

## მოზენეფისეს აღსარება

დღეს რომ მეფე ვარ, – ხვალ მწყემსი;  
 ხან გლახაკი ვარ, ხან გმირი;  
 რომ მეტირება, ვიციინი  
 და მეციინება, რომ ვტირი.  
 ცხოვრებასავით ხელობაც  
 ეს ჩემი ცვალებადია:  
 რაცა ვარ, ნამდვილად არ ვარ  
 და რაც მაქვს, არ მაბადია.  
 სულ სხვა ვარ სცენის გარეშე,  
 მაგრამ ეს თქვენთვის ერთია!..  
 ყველას თანსწორად რომ ჰხედავს,  
 ის მხოლოდ ერთი ღმერთია.  
 როცა სცენაზე მორთული,  
 გითვალისწინებთ მდიდარსა:  
 ვადგენ მის მედიდურობას,  
 გიხატავთ სახლსა და კარსა.  
 თქვენ რას მიხვდებით, რომ იმ დროს,  
 როცა დიდებით სრული ვარ,  
 ნამდვილად ჩემს ოჯახში კი  
 ლუკმასაც მონატრული ვარ?!  
 თქვენ აქ ტაშს მიკრავთ, მამხნევებთ,  
 იძახით: „ვაშა!“ „ვაშაო!“  
 მე ვფიქრობ: „ვაი, თუ ცოლმა  
 ლობიო არ მოხარშაო?“  
 თქვენ წინ კი ლალი, უკადრი,  
 მდიდარი, მეფე ძლიერი,  
 შინ რომ მივდივარ, ჭილოფზე  
 უნდა მივეგდო მშვიერი.  
 და ძილში მაინც თუ ჩამყვა  
 ის, რაც ატყუებს სხვის თვალსა,

ნუგეშად ისიც კარგია!..  
მადლობას ვწირავ უფალსა!!  
მთელ წელიწადში ჩვენ ერთ დღეს  
შევხარით როგორც აღდგომას,  
რომ მაშინ მაინც ველირსოთ  
ცოლ-შვილის ჯერზე გაძღომას.  
ეს სანატრელი, ტკბილი დღე,  
სახელად „ბენეფისია“,  
მაგრამ ისიც კი ხანდახან  
სახრავად მაინც სხვისია!..

[1900]



## არტისტის აღსარება

თქვენის ვაშით, თქვენის ტაშით,  
თავი მომწონს... მენატრება!..  
თეატრალურ თანა გრძნობას  
სხვა, აბა, რა შეედრება?  
არც დაინვის, არც დაღუპება  
ამ არტისტის ნეტარება;  
უხრწნელია: არც ცეცხლი და  
არც წყალი არ ეკარება.  
გულს გვიტკობს და კუჭისათვის  
არაფრად ღირს თქვენი „ვაშა“,  
ვსინჯეთ, მაგრამ არც შეინვა,  
და არც წყალში მოიხარშა!..

[1900]

## გ. ქართველიშვილს

ვერცხლის ჭიქა რომ გამოეგზავნა

ეგ თანაგრძნობა, ეგ სულის ძმოზა,  
უძლური მუშის გამხნევებელი,  
თქვენივ სიკეთის არის მოწმობა,  
ზნეობითი მხრის მზრდელი, მკვებელი.

მისს სიცოცხლეში არ ავიწყდება  
მშრომელს მოძმისგან თანგრძნობა ტკბილი,  
და გულიც მაშინ აღარ უტყდება,  
როს თანაუგრძნობს მამულისშვილი.

გმადლობ! და ღმერთს ვსთხოვ, რომ მეც მეღირსოს  
თქვენი შვილების მაგგვარი ქება,  
და თქვენც სიკეთით ისე აგავსოსთ,  
როგორც ეს ჭიქა ან აივსება.

[1901 წლამდე]

ვარიანტები  
შენიშვნები  
კომენტარები  
საძიებლები



## ტექსტისათვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეულის მეორე ტომი მოიცავს 1881-1900 წლებში დაწერილ ლექსებს. აკაკის შემოქმედების ეს პერიოდი განსაკუთრებით გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებითა და პოეტური სრულყოფილებით.

ტომის შედგენისას ჩვენ ვეყრდნობოდით აკაკის სიცოცხლისდროინდელ ყველა გამოცემას, მათ შორის: „აკაკის თვითურ კრებულს“, „თხზულებანი“ 1893 წ. I და II ტომებსა და „ჩემი ნაწერების“ 1912 და 1913 წწ. I-II წიგნებს. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ შეიცავს ავტორის განმარტებებს, თუ როდის დაინერა და რით იყო განპირობებული ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნა. ყველა ისინი გადმოტანილია ჩვენი გამოცემის კომენტარებში.

წინამდებარე ტომში შედის აგრეთვე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში არსებული ლექსები, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდისა და საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ არქივში დაცული საცენზურო კომიტეტის მასალები.

ახალი აკადემიური გამოცემის II ტომი გამდიდრდა სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული ხელნაწერებით, რომლებიც მოგვიანებით შეემატა მუზეუმს მაშინდელი ხელმძღვანელის ნიკოლოზ კეყერაძის ძალისხმევით. ამდენად, ეს წყაროები პირველად ქვეყნდება ჩვენს გამოცემაში.

ტომი ეფუძნება ასევე, აკაკის თხზულებათა სრული კრებულების შვიდტომეულს (მთავარი რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბ., 1940-1961), აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულს (გიორგი აბზიანიძის, იოსებ გრიშაშვილის, ლევან ასათიანის რედაქტორობით, თბ., 1950-1963), ნოდარ გურგენიძისა და ილია გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეს“ თბ., 1989, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემას: „უცნობი აკაკი“ (შემდგენლები: იუზა ევგენიძე და ნანა ფრუიძე, თბ., 2001).

აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის II ტომი შეივსო ნაბეჭდი წყაროთი – „სალამური აკაკის ლექსთა კრება“, შედგენილი და გამოცემული 1893 წელს კირილე ლორთქიფანიძის მიერ, ქუთაისში. აღნიშნული წიგნი ბიბლიოგრაფიული იმვიათობაა, შემონახულია მისი მხოლოდ ორი ეგზემპლარი: ამჟამად ისინი ინახება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის პალატის საცავსა და ი. გრიშაშვილის სახელმწიფო მუზეუმში. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ერთ-ერთი ცალი იოსებ გრიშაშვილის საკუთრება იყო, აკაკის თხზულებათა თხუთ-

მეტრომეულში იგი ვერ მოხვდა, რადგან გამომცემლებს წიგნისთვის ვერ მიუგნიათ („სალამურის“ შესახებ იხ. გამოკვლევა: ჯულიეტა გაბოძე „აკაკის ლექსთა კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი“. – ჟ. „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“ №2, 2000, იხ. აგრეთვე, მისივე „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009, გვ. 108)<sup>1</sup>.

ტომში შევიდა საზოგადოებისათვის უცნობი ლექსები, რომლებიც მიკვლეულ იქნა მეცნიერ-ტექსტოლოგთა მიერ აკაკის ფონდებში; თუმცა ზოგი ლექსი წინა გამომცემელთათვისაც იყო ცნობილი, მაგრამ საბჭოთა ცენზურისა და კონიუნქტურული მოსაზრების გამო მათი გამოქვეყნება მაშინ ვერ მოხერხდა.

გამოვლინდა აკაკის ლექსების ათობით უცნობი ავტოგრაფი, სხვადასხვა ფონდიდან და კერძო კოლექციიდან, მაგ., იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივში ინახება „გულის პასუხის“ ავტოგრაფი.

ფასდაუდებელი სამსახური გაუწია გამოცემას ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ავტოგრაფულმა კრებულებმა: Q 2173/973, Q 2173/974 და სხვ. კვლევით დადგინდა, რომ „განთიადის“ ხელნაწერი Q 2173/953, რომელიც აქამდე ასლად იყო მიჩნეული, სინამდვილეში ლექსის ავტორიზებული წყაროა, რადგან ნაწარმოები ჩანერილია აკაკის კარნახით კირილე ლორთქიფანიძის მიერ (ვრცლად იხ. ჯ. გაბოძე, „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009, გვ. 118).

გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის აკაკი წერეთლის საარქივო გამოცემის მიხედვით ტომს შეემატა რამდენიმე ათეული ლექსის უცნობი ავტოგრაფი, რაც შესაძლებელს ხდის ბევრი თხზულების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლას.

ასევე ათობით უცნობი ავტოგრაფი თუ ხელნაწერი წყარო შეემატა აკაკის თხზულებათა II ტომს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფონდებიდან. როგორც აღვნიშნეთ, მასალის ნაწილი ცნობილი იყო თხზულებათა თხუთმეტომეულის გამომცემელთათვის, თუმცა კონიუნქტურის გამო ისინი ტომში ვერ მოხვდა.

თითოეული ლექსი შედარებულია ავტოგრაფებთან (თუ ასეთი არსებობს), ასლებთან და ავტორის სიცოცხლეში გამოცემულ ყველა ნაბეჭდ წყაროსთან.

დაზუსტდა ზოგიერთი ნაწარმოების თარიღი (მაგ., „განთიადი“), შეიცვალა ზოგი ლექსის ქრონოლოგია და, შესაბამისად, მისი ადგილი, მაგ., „ქართველი ძეგლის წინ“.

---

<sup>1</sup> 2010 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით განახორციელა ამ გამოცემის რეპრინტი.

დადგინდა რამდენიმე ნაწარმოების ძირითადი ტექსტი, მაგ., ლექსი „ვახტანგ გორგასლანს“ წინა გამოცემაში დაიბეჭდა V ტომში და მიჩნეული იყო პოემის ნაწყვეტად, კვლევით დადგინდა, რომ ის დამოუკიდებელ ნაწარმოებად გამოაქვეყნა პოეტმა 1899 წელს უფრონალ „აკაკის კრებული“.

თხუთმეტომეულისგან განსხვავებით, წინამდებარე ტომში არ შევიტანეთ პროზასა და პუბლიცისტურ ნერილებში ჩართული ლექსები, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ და ავტორს თავის სიცოცხლეში ცალკე არასოდეს გამოუქვეყნებია. მათ მკითხველი გაეცნობა პროზისა და პუბლიცისტიკის ტომებში.

ლექსების სათაურები წარმოდგენილია (იშვიათი გამონაკლისის გარდა), A წყაროს, ანუ ავტორის ბოლო ნების მიხედვით. უსათაუროები კი – პირველი სტრიქონით და მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში.

ტომში ლექსები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მათ უმრავლესობას თარიღი არ აქვს. პირობითი თარიღები დადგენილია პირველი პუბლიკაციის მიხედვით, ან კვლევა-ძიების შედეგად და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული; ავტორისეული თარიღი კი ფრჩხილების გარეშეა წარმოდგენილი.

განყოფილებაში „ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები“ ლექსის სათაურის შემდეგ მითითებული გვაქვს ავტორისდროინდელი ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი წყარო, რომლებიც ხელთ გვექონდა ძირითადი ტექსტის დადგენის დროს. აღნიშნულია, თუ სად და როდის დაიბეჭდა ესა თუ ის ნაწარმოები.

წყაროები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. თითოეულ მათგანს მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ლიტერი, რომელიც მითითებულია აგრეთვე ვარიანტების ჩვენებისას.

გამოცემის სამეცნიერო აპარატში ვარიანტულ ნაკითხვებთან ერთად წარმოდგენილია ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები და ტექსტში ნახსენებ პიროვნებათა ვინაობა.

ტომს ახლავს ლექსების ანბანური, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ტექსტი იბეჭდება ავტორისეული ენობრივი ფორმების სრული დაცვით. თანამედროვე გრამატიკული მართლწერის მიხედვით გასწორდა მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტები (ზოგი გამონაკლისის გარდა). ტექსტებში ყოველგვარი სწორება და ტექსტებს შორის სხვაობანი ნაჩვენებია ვარიანტებში.

A ლიტერი ყველგან აღნიშნავს იმ წყაროს, რომლის მიხედვითაც დადგენილია ძირითადი, ანუ ტომში წარმოდგენილი ტექსტი.

K – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აკაკის ფონდი.

Q – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ხელნაწერთა ფონდი.

T – საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი.

Z – საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდი.

S – სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი.

L – იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივი.

თსკ – თხზულებათა სრული კრებული.

### პირობითი ნიშნები:

] ენაცვლება (მაგ. ყინვა ] სიცივე BC, ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილ ყინვას BC ვარიანტებში ენაცვლება სიცივე).

+ ტექსტს ემატება (მაგ. ჩვენ+ვმუშაობთ B); ეს ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილ სიტყვას B ტექსტში ემატება ვმუშაობთ).

– არ არის (მაგ. მხიარული – C, ნიშნავს, რომ C ვარიანტში ეს სიტყვა არ არის).

~ სიტყვები გადაადგილებულია (მაგ. ლამაზი ქალი ~C, ნიშნავს C-ში იკითხება ქალი ლამაზი).

პირველი ციფრი მიუთითებს ტომის გვერდს, ხოლო მომდევნო – ლექსის სტრიქონს (ზემოდან), სათაურები და სტროფებს შორის გამყოფი ნიშნები სტრიქონების სათვალავში არ შედის.

აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის II ტომი ხელახლა გადაამუშავეს და შეავსეს ტექსტოლოგებმა, ფილოლოგიის მეცნიერეთა დოქტორებმა: **ჯულიეტა გაბოძემ და რუსუდან კუსრაშვილმა. ტომი თავდაპირველად მოამზადა ჟ ცისანა ყიფშიძემ.**

ტექსტის მომზადებაში მონაწილეობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მაია არველაძე.**

ტომის ტექნიკურ მომზადებაში დაგვეხმარნენ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები: ნათია სიხარულიძე და თამთა გრიგოლია.



**გაზაფხული (დღეს მერცხალი შემოფრინდა. . . ) (გვ. 7)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 10 512, გვ.78 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 3 მარტი, №45, გვ.1 (C); „თხზულებანი“ II, 1893, გვ.96-97 (D); „აკაკის რჩეული ლექსები“ (საიუბილეო გამოცემა), 1908, გვ.89-90 (E); „ალი“ 1908, №29, გვ.2 (F); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ.52 (A).

ს ა თ ა უ რ ი: მერცხალი B.

თ ა რ ი ღ ი: [1881, 1 მარტი] C.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი C.

7. 5 მივდექ ] ვიდეგ B; გადავიხედე ] გავიხედე B; 8 მკრა ] მჰკრა C; 11 რალად ] რალათ BC; ვნახამ ] ვნახავ B; 17 დავყნოს ] დავჰყნოს BCD.

1913 წლის გამოცემიდან ცენზურას ამოუღია სტრიქონები:

დავყნოს ვარდასა გადაშლილსა,  
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას, –  
და ბულბულიც გამაგონებს  
მისებურად: „ტია, ტიას!“

რომლებიც ჩვენ აღვადგინეთ.

ლექსი დაწერილია რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მოკვლის გამო 1881 წლის პირველ მარტს. იგი იმავე წლის 3 მარტს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“.

ერთ-ერთ თავის მოგონებაში აკაკი გვიამბობს: „1 მარტს რომ ხელმწიფე იმპერატორი მოკლეს, 3-ს ჩემი ლექსი გამოვიდა „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ და სხვანი... კინალამ ციმბირში ამომაცოფინეს თავი... სტაროსელსკი, მაშინდელი ნამეტნიკის კანცელარიის უფროსი რომ არ გამომსარჩლებოდა“ („აკაკის მოგონება“, „საქართველო“, 1908, №3). ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1881 წლის 1-ლი მარტით.

**მწერლების ფერხული (გვ. 8)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი: K 73 (A); ასლები: T 17 729 (B); T 12 414 (C).

თ ა რ ი ღ ი: მაისი, 1881 A; 1884 B; —C.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, იგი პირველად გამოქვეყნდა 1940 წელს: აკაკი წერეთელი, „თხზულებანი“, სრული კრებული (ა. აბაშელისა და პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, გვ.292).

**8.1** A-ში ადრე იყო: „კვენეს ნიკოლოზ და სტირის“, პოეტს ეს სიტყვები გადაუხაზავს და „ნიკოლოზის“ ზემოთ დაუნერია „და მოთქვამს“; 3 ოხრავს ] სტყუის B; 5 საიმედოდ ] საიმედოთ AC; ჭყლოპინობს ] ხლაპუნებს C; 9 ქართულობს ] ქართველობს C; ჰელეავს ] ჰბუჟავს C; სოფრომი ] სოფრონა C; 12 მოსთქვამს ] მოსთქვას B; ყველა ] მხოლოდ B; 14 ყველა ] ნელა B, ადრე იყო „ფრთხილად“, შემდეგ იგი ავტორს გადაუხაზავს და ზემოთ დაუნერია „ყველა“; 15 მალული ] მალულო B, მალულად C; ფრთხილად იყავ ] ფრთხილად, ფრთხილად BC.

ავტოგრაფში ლექსს თარიღად უზის 1881 წელი, ხოლო B-ში თარიღად აღნიშნულია 1884 წ. საფიქრებელია, რომ ეს შეცდომა ლექსის გადანერის დროს არის დაშვებული. ყოველ შემთხვევაში ავტოგრაფის თარიღი უფრო საიმედოდ მივიჩნით.

ლექსში მოხსენიებული არიან შემდეგი პიროვნებები:

**ვახტანგ ორბელიანი** (1812-1890), **ნიკოლოზ ბარათაშვილი** (1817-1845), ილია – **ილია ჭავჭავაძე** (1837-1907), გრიგოლ – **გრიგოლ ორბელიანი** (1800-1883), ალექსანდრე – **ალექსანდრე ჭავჭავაძე** (1786-1846), ანტონ – **ანტონ ფურცელაძე** (1839-1913), ცახელი – **პარმენ თვალჭრელიძე** (1866-1919), რაფაელ – **რაფიელ ერისთავი** (1824-1901), კატო – **ეკატერინე გაბაშვილი** (1851-1938), ლომაური – **ნიკო ლომოური** (1852-1915), სანდრო – **ალექსანდრე ყაზბეგი** (1848-1893), სოფრომი – **სოფრომ მგალობლიშვილი** (1851-1925).

ლექსის ბოლო სტროფში ნახსენებ „კუდა-მელაში“, ი. გრიშაშვილის აზრით, შესაძლებელია ცენზორი ლუკა ისარლოვი იგულისხმებოდეს (იხ. აკაკი წერეთელი, თსკ. ლექსები, ტ. II, 1950, გვ.457).

### უკანასკნელი ნატვრა (გვ. 9)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 12 413, გვ.56 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 6 ოქტომბერი, №207, გვ.1 (C); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.103 (D); გაზ. „თემი“, 1913, 13 მაისი, №123, გვ.1 (E); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ.53 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1881] B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი CE.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**9. 7** ნულარ ] ნულა CDE; ტყვილათ ] ტყულად CE.

**ვორონცოვი** – მიხეილ სიმონის ძე (1782-1856), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, 1844-1854 წლებში მეფის ნაცვალი და განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი კავკასიაში. იგი ემსახურებოდა კავკასიის კოლონი-

ზაციისა და იმპერიასთან შერწყმის საქმეს. ყოველივე ამას იგი მოქნილად, მეთოდურად, უპირატესად კულტურული ღონისძიებებით ახორციელებდა, თუმცა ალექსანდრე ორბელიანმა იმთავითვე ამხილა მისი მოჩვენებითი მზრუნველობის არსი (იხ. მისი „რუსების დასი ქართველები ჩემზედ“, წიგნში: ალექსანდრე ორბელიანი, „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“ 1999). ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა, მათ შორის აკაკი წერეთელმა, მისი მოქმედებანი ქართველებისადმი გულწრფელ დამოკიდებულებად მიიღო.

## დედაბრის მოგონება (გვ. 10)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/973, გვ.36-38.

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. იგი პირველად გამოქვეყნდა 1941 წ. (იხ. აკაკი წერეთელი, „თხზულებანი“, სრული კრებული, 1941, ტ. II, გვ.540-542).

**10. 14** „იჭირავს“, ადრე იყო „იჭერს“, შემდეგ ავტორს შეუცვლია ისე, როგორც ტექსტშია. ამის შესაბამისად უნდა შეეცვალა წინა სიტყვა „მითი“ „მით“ სიტყვით, მაგრამ როგორც ჩანს, ავტორს ეს მხედველობიდან გამორჩენია.

**11. 13** ის, ადრე იყო „იმ“, შემდეგ ავტორს გაუსწორებია ისე, როგორც ტექსტშია. „დრო“, ადრე ყოფილა „დროს“, ავტორს გაუსწორებია.

**13. 12** თავშიაც, ადრე ყოფილა „თავშიდაც“, შემდეგ გაუსწორებია ავტორს.

ლექსი მიძღვნილია ცნობილი რუსი პოეტის **იაკობ პოლონსკისადმი (1819-1898)**. ახალგაზრდობაში პოლონსკი (1846-1851) ცხოვრობდა თბილისში და ქართველი ხალხისა და საქართველოს თაყვანისმცემელი გახდა. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა ქართულმა თემამ. 1849 წელს პოლონსკიმ თბილისში გამოსცა ლექსების კრებული „საზანდარი“, სადაც შევიდა ქართულ თემატიკაზე შექმნილი ლექსებიც (იხ. აკაკი წერეთელი, თსკ, ტ. II, 1950, გვ.458). იგი ბევრ გამორჩენილ ქართველ მოღვაწეს დაუახლოვდა, მათ შორის – აკაკი წერეთელსაც.

აკაკი პირადად იცნობდა პოლონსკის და სიმპატიით იყო განმსჭვალული მის მიმართ. 1892 წელს პოლონსკის მონაწილეობა მიუღია აკაკის პატივისცემად მოსკოვში გამართულ ლიტერატურულ საღამოში (იხ. გაზ. „ივერია“, 1892, №2).

აკაკის ეს ლექსი, თუ გავითვალისწინებთ ლექსში მოხსენებულ ოცდაათ წელს, გამოდის, რომ დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1881 წელს, რადგანაც ცნობილია, პოლონსკი საქართველოდან 1851 წელს წავიდა.

**ვორონცოვი** – იხ. გვ.426.

## სავარცხელი (გვ. 14)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი T 17 767 (A); ასლი T 17 769 (B).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

14. 19 ფათალოებ] ფოთოლოებ B.

15. 22 მეხვეოდნენ] მეხვეოდენ B.

16. 7 მაჩვენა] მიჩვენა B; 9 დასჩურჩულა] უჩურჩულა B; 10 ხან] ხამ B; 17 ცხადად] ცხადათ B.

1956 წელს ი. გრიშაშვილის რედაქციით გამოვიდა აკაკი წერეთლის თხზულებათა VI ტომი, რომელიც მოიცავს პოეტის დრამატულ ნაწერებს. ამ ტომზე მუშაობის დროს ი. გრიშაშვილი ნააწყდა აკაკის ლექსს „სავარცხელი“, რომელიც არც ავტორის სიცოცხლეში და არც მის შემდეგ არ გამოქვეყნებულა. არსებობს ამ ლექსის რუსული თარგმანი, შესრულებული ცნობილი რუსი პოეტის ივ. თხორუევსკის მიერ (იხ. „Грузинские поэты в образцах“, 1897, გვ.57). დედანში ლექსს არავითარი მიძღვნა არა აქვს, თარგმანში კი წერია, რომ ლექსი ეძღვნება პოეტ პოლონსკის (იხ. აკაკი წერეთელი, თსკ. ტ. VI, 1956, გვ.393).

რადგან ლექსი თემატურად ენათესავება წინა ლექსს „დედაბრის მოგონება“ და მიძღვნილია იმავე პიროვნებისადმი, ამიტომ ჩვენ პირობითად 1881 წლით ვათარილებთ.

ვარანცოვი – იხ. გვ.426.

## ქართველი ქალი ( მწუხარე და სევდიანი. . . ) (გვ. 18)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 29 იანვარი, №21. გვ.1 (B); „თხზულებანი“ II, 1893, გვ.79-83 (C); „ჩემი ნაწერები“, ნ. II, 1913, გვ.249-250 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

18. 7 მოჰკრა] მოკრა C; 8 დაიწყო ] დაუნყო C; 24 ძლიერს ] ძლიერ B; 25 ბრძანეთ ] ბძანეთ B; 28 მზად ] მზათ B.

19. 1 სერაქსირსა ] სერასქირსა B; 5 ქართველის ] ქართლის A; 11 უმცროსი ] უნცროსი B; 17 უნებურად ] უნებურათ B; 21 გამიზრდია ] გამიზრდია B; 24 თან ] თანც B; 27 ვალად ] ვალათ B.

20. 9 უმცროსი ] უნცროსი B; 14 უცნაურად ] უცნაურათ B; 18 ვაჰ ] ვა B; 19 თითქმის ] თვითქმის B; 20 გამირულადო ] გამირულათო B.

სერასკისი –XVIII საუკუნეში სპარსი მებრძოლი.

**სოლომონი** – დავითის ძე, ისრაელის სამეფოს მეფე (ძვ. წ. 965-928), რომელმაც ააყვავა ისრაელის სამეფო და დაიმსახურა სახელი „სოლომონ ბრძენი“.

**\*\*\* (სცენიდან ნათქვამი) (გვ. 21)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 14 413, გვ.57 (B).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 5 თებერვალი, №26, გვ.1 (C); „თხზულე-  
ბანი“, II, 1893, გვ.92-93 (D); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ.57-58 (A).  
თ ა რ ი ლ ი: [1881].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**21. 2** პატოსნება ] პატოსნობა B; 4 მგოსნება ] მგოსნობა B; 21 სცენი-  
დან ] სცენიდან BC.

**ადგოკატებს (გვ. 22)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/974 (C). ასლები: Q 2173/975 (D);  
T 12 413, გვ.55 (B);  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 6 თებერვალი, №27, გვ.1 (E); „სალამ-  
ური“ 1893, გვ.35 (F); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.93-94 (A).  
თ ა რ ი ლ ი: [1881].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი BCE.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**22. 1** ეხლანდელ ] ახლანდელს CDF; 2 იმ მჩხავან ] მჩხავანა B; 3 ვერ  
ანამებს ვერავინ ] ვერავინ ვერას ანამებს B; 6 შებლალული ] შებლავლული  
B; 7 იმას თხოულობს ] ამას გაჰკივის CD, C-ში ადრე ყოფილა „ამას თხო-  
ვილობს“, შემდეგ გაუსწორებია ისე, როგორც ვარიანტულ წაკითხვაშია მო-  
ცემული; 11 სიტყვებით ... კი ] სიტყვით კი სხვებს და საქმით B; 14 აქეთ  
] აქვსთ DF; 15 სჯულად ] სჯულათ E; 20 გადაამეტებს ] გადაამატებს DF.  
17-20 სტრიქონები (ეხლანდელ . . . გადაამატებს) – BE.

**სიმღერა (დასტრფის ვარდსა. . .) (გვ. 23)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 10 თებერვალი, №30, გვ.1 (B); „თხ-  
ზულებანი“, II, 1893, გვ.49 (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ.104 (A).  
თ ა რ ი ლ ი: [1881].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**23. 4** ჰგრძნობს ] გრძნობს B; 7 არად ] არცა B; 8 ჰგრძნობს ] გრძნობს B; 11 გაჰფრინდება ] გაფრინდება C.

### სიმღერა (ბულბულმა სთქვა . . ) (გვ. 24)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 12 413, გვ.55 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 10 თებერვალი, №30, გვ.1 (B); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.95 (C); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ.58 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1881]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**24. 5** გონიათ ] ჰგონიათ BC; აგზნებულად ] აგზნებულათ BC.

### გამოსაღმება (გვ. 25)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 10 512, გვ.32-33 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1881, №2, გვ.93-94 (A); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.87-88 (C); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ.255-256 (D).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ამ ლექსის ძირითად წყაროდ (A) ავიღეთ არა ბოლო გამოცემა, ავტორისდროინდელი ნაბეჭდი წყაროებიდან, არამედ „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტი, როგორც ავტორის ნების გამომხატველი. მიუხედავად იმისა, რომ „ჩემი ნაწერები“ აკაკის ბოლო ნაბეჭდი წყაროა, ცნობილია, რომ ცენზურამ ამ გამოცემის II ნიგნი დააკავა და ამოიღო იქიდან პოემა „ვარანცოვი“, ეს ლექსიც, ისევე როგორც რამდენიმე სხვა, კუპიურებით დაიბეჭდა.

**25. 2** უნივერსტეტი ] უნივერსიტეტი D; 3-4 სტრიქონები (სადაც... მეტი) – CD; 15 მარტო ] მხოლოდ D; 21 დავჰგმე ] დავგმე BCD; 23 რადგანც ] რადგანაც B.

### სასონარკვეთილება (გვ. 26)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 10 512, გვ.33-35 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1881, №2, გვ.94-96 (C); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.88-90 (D); „ჩემი ნაწერები“, II, 1913, გვ.54-55 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**26. 8** შენდამი | შენდამო C; 10 შენზედ | შენზე B; 22 ჩაყვება | ჩაჰყვება DC.

**27. 5** დაგმოს | დაჰგმოს BC; 7 ჩემზედ | ჩემზე B; 11 აქეს | აქ B.

**პილატე** – პონტიუს, იუდეის რომაელი მმართველი (ახ. წ. 26-36). ახალი აღთქმის თანახმად, პილატემ ჯვარცმის განაჩენი გამოუტანა იესოს. მან განაჩენის გამოტანის დროს სახალხოდ დაიბანა ხელები, რითაც სიმბოლურად მიანიშნა, რომ სისხლის ღვრაში მას წილი არ მიუძღვოდა.

### არაკი (ლურჯამ სქევა. . . ) (გვ. 28)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „შრომა“, 1881, №2, გვ.1 (B); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.105-107 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**28. 4** სატანჯავადო | სატანჯავათო B; 6 თავადო | თავათო B; 8 შავადო | შავათო B; 10 მსხნელიო | მსხნელიო B; 23 გავადგი | გადავადგი B; 24 მტაცეს B. მტაცეს B.

**29. 3** ჩემი | ჩენი B; 10 აყარა | აჰყარა B.

### გამოფხიზლება (გვ. 30)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 10 512, გვ.35-36 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1881, №2, გვ.96-97 (C); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.91-92 (D); „რჩეული ლექსები“ (საიუბილეო გამოცემა), 1908, გვ.60-61 (E); „ჩემი ნაწერები“ II, 1913, გვ.56-57 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**30. 4** ჭირზედა | ჭირზედ B; 6 შევინახავ | შევინახამ E; 7 ჩემ | ჩემს B; 8 ჩემის | ჩემი E; 12 ჩვენს | ჩვენ C; 14 კულითა | გულითა E; 15 შემოვძახებ | შემოვსძახებ C; 20 წყლულისა | წყლულის B; 22 საბრალოს | საბრალო BCE.

### აღდგომა (გვ. 31)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 12 აპრილი, №77, გვ.1 (B); „თეატრი“, 1890, №14 (C); „ჩანგი“, 1892, გვ.108-109 (D); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.108-109 (A); „ჩანგი“, 1900, გვ.130 (E).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**31. 3** აღდგა ] აღსდგა CDE; 4 ასე ] ესე DE; აღიარებს ] აღვიარებს B; 6 ათასფერად ] ასეფერად C; 7 თითქო იგი ] თითქოს მითი CDE; იგი ] ისა B; აღდგას ] აღსდგას CE; 8 შემოქმედს ] შემომქმედს E; 9 ლიტანიობს ] ლიტონიობს B; 11 აღდგა ] აღსდგა CDE; 12 ქრისტეს ] ჩვენი BD; 13 რომ ეს ~ C; 14 აღდგინების ] აღდგენისა DE; 16 ელხინების ] ელხინება DE; 17,19 აღდგა ] აღსდგა CDE.

ლექსის ძირითად A წყაროდ ავიღეთ არა ბოლო გამოცემა, ავტორის-დროინდელი ნაბეჭდი წყაროებიდან, არამედ 1893 წელს დაბეჭდილი ტექსტი, როგორც ავტორის ნების გამომხატველი.

### ნინო, ქეთევან და თამარი (გვ. 32)

ნ ა ბ ე ქ დ ი: უ. „ივერია“, 1881, №4, გვ.58-59 (B); უ. „მწყემსი“, 1891, №21-22, გვ.7 (C); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.109-110 (D); «სულიკო» და სხვა ლექსები“, 1899, გვ.41-42 (E); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.3-4 (F); „ჩანგი“, 1904, გვ.261-262 (G); „ბუნების კარი“, 1907, გვ.290-291 (J); „აკაკის რჩეული ლექსები“ (საიუბ. გამოცემა), 1908, გვ.19-20 (A); „ნაკადული“ (მოზრდილთათვის), 1908, №11, გვ.57 (H).

ს ა თ ა უ რ ი: სიზმარი BCDHI, \*\*\* G.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ე ე შ: ვ. ქ. მ. BDH, (თორნიკედან ) E.

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**32. 1** დლიურ ] დლისა CJ; გულდაჩაგრულმა ] გულდაჩაგრულსა BCD-HJ; 2 ღამით ვიხილე უცხო ] ძილში მელირსა ტკბილი BCDHJ, მელირსა ტკბილი ] ვიხილე უცხო G; ჩამოსულიყვნენ ] ჩამოსულიყვენ BGJH, ჩამოსულიყო AE; 6 წმიდა] წმინდა BDGH; 9 ზეცად ] ზეცას G; სამთავეს ] სამთავე B; 10 აშვერდენ ] იშვერდენ CDH, აშვერდნენ J; 11 ამ დროს] და შეერთებით, ხმაშენყობილად მოესმათ ანგელოსთ გუნდი F; 12 ჰგალობდა] ჰგალობდენ B, ჰგალობდნენ J, გალობდენ EG, გალობდა AF; 13 ღვთისავ



] მღვთისაგ BD; ხვედრია ] მხვედრია BDH; 15 აალებ ] აილებ G; 18 გად-  
მოსახე ] გამოჰსახე J; გამოსახე G; 19 ქართველთა ერი ] ქართველი დედა  
BDGHJ; 22 გაუმტკიცებდე ] განუმტკიცებდე CG; 23 საქებრად ] საქებრათ  
C, სადიდებელად ] სადიდებელათ C; 24 დაავიწყებ ] დაუკარგავ BCDJ;  
ტკბილ ] ტკბილს EJ.

**33.** 1 ბრძანებას ] ბძანებას B; 3 შენისა მცნებას ] შენის მცნებასა BDH;  
4 რჩეულ ] რჩეულს C.

ლექსის ბოლო სტროფი:

რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,  
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა  
და დაინახეს რომ ძველ ადგილზე  
გამოესახათ მათ ცისარტყელა!

პოეტმა პირველად შეიტანა 1899 წლის (E) გამოცემაში, ხოლო გაიმეორა  
1903 და 1908 წლების გამოცემებში.

ლექსი პოეტმა 1884 წელს ჩაურთო პოემაში „თორნიკე ერისთავი“.

**ნინო** – წმინდა ნინო, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი  
საქართველოში (IV საუკ.).

**ქეთევან** – წამებული, თეიმურაზ I-ის დედა. გამაჰმადიანებაზე მტკიცე  
უარის გამო შაჰ-აბაზმა სასტიკად აწამა.

**თამარი** – საქართველოს მეფე, გიორგი III-ის ასული (დაახ. 1184-1213).

### გამოსათხოვარი (გვ. 34)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 19 ივნისი, №126, გვ.1 (B);

„თხზულებანი“, II, 1893, გვ.97-100 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**34.** 3 უთავბოლოდ ] უთავბოლოთ B; აღჭურვილი ] აჭურვილი B; 8  
შრომასა ] შრომისა B; 25 უნებურად ] უნებურათ B; 26 რადა ] რათა B; 28  
მასხარადა ] მასხარათა B.

**35.** 4 აკაკურად ] აკაკურათ B; 5 ამგვარად ] ამგვარათ B; 7 მივყოლოდი  
] მივყოლოდი B; 10 მარტოდ ] მარტოთ B; 11 შეუპოვრად ] შეუპოვრათ  
B; 21 გზად და ხიდად ] გზა და ხიდათ B; 24 მეგობრად ] მეგობრათ B; 28  
ნაყოფს ] ნამყოფს B.

**\*\*\* (პე, დრონი, დრონი ...) (გვ. 36)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, №44, 1 მარტი.

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ლექსი ჩართულია ფელეტონში „ცხელ-ცხელი ამბები“. ლექსის პირველი სტროფი ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს („ვაჰ, დრონი, დრონი...“).

**\*\*\* (პე, ორგულო...) (გვ. 37)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, №62, 22 მარტი.

თ ა რ ი ლ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსი თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**სალამი არხეოლოგებს (გვ. 38)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1881, 22 სექტემბერი, №197, გვ.1 (B); „თხ-ზულებანი“, II, 1893, გვ.101-102 (A).

ს ა თ ა უ რ ი: სალამი (B).

თ ა რ ი ლ ი: [1881, სექტემბერი] B.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

**38. 2** ძველადგანვე ] ძველთაგანვე B; უღლად ] უღლათ B; 5 უცნაურად ] უცნაურათ B; 7 წმინდად ] წმინდათ B; 10. ღრმად ] ღრმათ B; 11 ზეზეურად ] ზეზეულად B.

**39. 3** გავყვეთ ] გავჰყვეთ B; ერთად, ძმურად ] ერთათ, ძმურათ B; 8 მზად ] მზათ B.

„დროებაში“ ლექსს დართული აქვს ასეთი შენიშვნა: „ამ ლექსით მიესალმა ავტორი გუშინ [21 სექტემბერს], ორშაბათ საღამოს ქართულ წარმოდგენაზე მიწვეულს არხეოლოგიურ კრების წევრთა“.

ლექსი დაწერილია 1881 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარებულ რუსეთის მეზუთე არქეოლოგიურ ყრილობასთან დაკავშირებით. ყრილობის მუშაობაში მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მონაწილეობდა, ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ მოვლენისადმი. 21 სექტემბერს ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ აკაკის მეთაურობით ყრილობის მონაწილეებს გამოსათხოვარი სალამო მოუწყო. სტუმრებისათვის გამართულ ნადიმზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა, აკაკიმ

წარმოთქვა მეტად საგულისხმო ვრცელი სიტყვა, რომელშიც იგი შეეხო არქეოლოგიის ამოცანებს.

პოეტმა ბრალი დასდო ზოგიერთ მეცნიერს საქართველოს ისტორიის უცოდინარობაში.

აკაკი დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ისტორიით, მშობლიური ქვეყნის არქეოლოგიური ნაშთებით. იგი ბევრს მოგზაურობდა და ლექციებსაც კითხულობდა თემაზე: „ქართული არქეოლოგიური ნაშთები“ (იხ. „ჩვენი გაზეთი“, 1910, №48; „დროება“, 1910, №83).

### ოცნება თარზე (გვ. 40)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/974 (B); ასლი Q 2173/975 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „შრომა“, 1881, 9 დეკემბერი, №15, გვ.1 (D); „სალამური“, 1893, გვ.19-20 (E); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.104-105 (F); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.83-84 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1881].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი D.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**40. 4** შფოთვას ] შფოთავს BC, ჰშფოთავს F; **6** ვიორკეცებ ] ვივორკეცებ B; **7** ამ ქვეყნისა ] ამ ქვეყნიურს BCE; **8** მივყევარ ] მივყავარ BC, მივჰყევარ DF; **9** ქვეყნიურად ] ქვეყნიერად BCDEF; **10** ათასფერად შეხამებულს მის ] ედემის მგზავს შეკაზმულსა ამ BCD; **11** მფშვინავსა ] მფშვინავსა A; **16** ის ] და BC; გააღებს მის ] გაუღებს მას BCE; **17** რა ხალხია აქ მდგმური ] რა ხალხია, აქ მდგური A; **18** აქვთ ] აქვსთ BCDEF; **20** წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან] მეტის გრძნობით და საქმით იგრძნებიან BCF, წმინდის გრძნობით და საქმით იგზნებიან DE; **21** შეუწირავთ ] შეუწირავსთ BCDE; მათ ] მთლად BDEF; **25** სიმნი ] სიმი BCDEF; **26** ოცნებამაც დაჰკარგა ] ოცნებაშიც დაჰარდა B.

30—35 სტრიქონები:

აღარც ვარდი, არც ბულბული, არც მთვარე!..

სხვის მოედნად გადაიქცა ეს მხარე,

ვარდის ნაცვლად ეკალს ათესინებენ,

ბულბულის წილ ბაყაყნი ყიყინებენ!

ეს კი, მგონი, აღარ არის სიზმარი!

მაშ, რაღად მღერს? სჯობს დადუმდეს ან თარი!

ამოღებულია ცენზურის მიერ „თხზულებანის“ 1893 და 1903 წლების გამოცემებიდან. ეს სტრიქონები წითელი მელნით გადახაზულია C-ში, კრებულ „სალამურის“ ხელნაწერის ასლში (Q 2173/975), რომელიც საცენზურო

კომიტეტში იყო წარდგენილი, შემდეგში კი „სალამურის“ ბეჭდვის დროს ავტორმა (ან გამომცემელმა) მოახერხა ამ სტრიქონების ნაწილობრივ აღდგენა და მხოლოდ 30-35 სტრიქონი (სხვის მოედნად... ყიყინებენ) დარჩა ამოღებული.

30. გადაიქცა ] გარდაიქცა C; 34 რაღად ] რაღათ C; მღერს ] მღერ D; დადუმდეს ] დაჩუმდეს BC.

### გამოცანები (ყველა ჭურში. . .) (გვ. 41)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი: Q 1108 (კირ. ლორთქიფანიძის ფონდი) (A); ასლი: T 17 496 (B).

ს ა თ ა უ რ ი: გამოცანები A;

თ ა რ ი ლ ი: [1881-1888], 1862 B.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: ა. წერეთელი A.

41. 7. ზედას ] ზედაც B; ქვედას შიგნით ] ქუედის შიგნით B; 9 ჰა, პოლიტიკა ] ესაა პოლიტიკა B; 11 იტიკა] იტაკა B; 12 ვყრით იქა] ვყრითაცა B; 13 არ იღებს] ალაღებს B.

ლექსის A ავტოგრაფი დაწერილია ხაზიან ფურცელზე შავი მელნით, შედგება ორი ნაწილისაგან, პირველს სათაურად აქვს „გამოცანები“. როგორც ჩანს, აკაკის თავდაპირველად განზრახული ჰქონია დაენერა გამოცანა ერთი ადრესატის მიმართ და სათაურიც ასევე დაუნყია „გამოცანა“, შემდეგ კი სხვების შესახებაც გააგრძელა წერა და შესაბამისად „ები“ მიუმატა. ზედმეტი ასოს ნაშლა დავიწყინა და ამიტომაც საბოლოოდ სათაურში დარჩა „გამოცანები“.

ლექსი შედგება ოთხი (გამოცანის) სტროფისგან: I და II სტროფს ქვეშ აკაკის ხელით მიწერილი აქვს ისარლოვი, III-IV სტროფს – ბეს. ლოღობერიძე. ლექსს ახლავს აკაკის ხელმოწერა „ა. წერეთელი“ და დათარიღება (18... ). იმავე გვერდზე დაუნერია სხვა ლექსი-გამოცანა სათაურით: „ორი ლიტერატორის განსხვავება“, ორი სტროფი, რომელსაც აკაკის ხელითვე მიწერილი აქვს გამოცანის ადრესატის ვინაობა: „ივ. კერესელიძე“.

ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერის ასლი გამოცანას (კანდიდატმა. . . ) ახლავს თარიღი: 1862 წელი (იხ. აკაკი წერეთელი საარქივო გამოცემა წიგნი პირველი ლექსები, პოემები, თარგმანები, დრამა ლიტ. მუზეუმი, თბ., 2010, გვ.379).

მკვლევარ ელისაბედ ზარდიაშვილის მოსაზრებით, ლექსის A ავტოგრაფი თარიღდება ცენზორ ლუკა ისარლოვის მოღვაწეობის წლების მიხედვით (1881-1888), (იხ. ელ. ზარდიაშვილი, „აკაკის უცნობი ნაწერები“, თბ., 2005, გვ.29-30). ჩვენ ეს თარიღი მისაღებად გვეჩვენება მხოლოდ ლუკა ისარლოვისა და ივანე კერესელიძის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით მეორე გამოცანის ადრესატის ბესარიონ ლოღობერიძის შესახებ, რადგან იგი ამ

დროს უკვე გარდაცვლილი იყო (1832-1879). ეს გამოცანა ცხადია, უფრო ადრეა შექმნილი, სავარაუდოდ, აკაკის პეტერბურგში სწავლის პერიოდში. ამ მოსაზრებას ამყარებს ლექსის B ხელნაწერის თარიღი 1862 წ. გამოცანა იწყება ასე: „ერთმა ვინმემ ფუტურომა“, სხვათა შორის, 1862 წლით თარიღდება აკაკის ალეგორიული ლექსიც „ფუტურო“ (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, თბ., 2010, ტ. I გვ.42). შენიშვნებში მითითებულია: „ლექსი მიმართულია პეტერბურგის სტუდენტთა ერთი ნაწილის წინააღმდეგ, რომლებიც აკაკისა და მისი შემოქმედებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი“. (იქვე, გვ.354). (ჯ. გაბოძე).

**ისარლოვი** – ლუკა, ცენზორი, მოღვაწეობდა 1881-1888 წლებში. იგი მეტისმეტად მკაცრი ცენზორი იყო, რის გამოც ხშირად უსიამოვნება ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

**ბეს. ლოლობერიძე — ბესარიონ ლოლობერიძე (1832-1879)**– პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე. მის შესახებ აკაკის კომენტარი იხ. აკაკის თხზულებანი, შვიდტომეული, თბ., 1940, ტ. I, გვ.864.

### ორი ლიტერატორის განსხვავება (გვ. 42)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 1108 (კირ. ლორთქიფანიძის ფონდი) (A); ასლი: T 17 496 (B).

ს ა თ ა უ რ ი: ორი ლიტერატორის განსხვავება AB.

მ ი ნ ა ნ ე რ ი: ორი ლიტერატორის განსხვავება AB.

თ ა რ ი ლ ი: [1881-1888].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

არსებობს ამ ლექსის ორი ავტოგრაფი და ერთი ასლი. Q 1108 შესრულებულია ერთ გვერდზე და ამიტომ მას ვათარილებთ იმავე პრინციპით, როგორც წინა ლექსს. (იხ. „გამოცანები“ (გვ. 436)), რაც შეეხება მეორე ავტოგრაფს (K 8 ა), ეს წარმოადგენს აკაკის 1901 წლის უბის წიგნაკში ჩანერილ ლექსს, რომელსაც სხვა ადრესატი ჰყავს და სხვა სათაური („ჩემს თანამეკალმეს“) აქვს. შედგება ერთი სტროფისაგან, ამ გამოცანაში ივანე კერესელიძე არ უნდა იგულისხმებოდეს, რადგან იგი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო (1892) და აკაკი მას ასე აღარ მიმართავდა. (ჯ. გაბოძე). ლექსი იბეჭდება ჩვენი გამოცემის III ტომში.

**ივანე ივანეს ძე კერესელიძე (1828-1892)** – მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე.

თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ (გვ. 43)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 17 730 (B).

ნ ა ბ ე ტ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, 29 აგვისტო, №181, გვ.1 C; „თხზულებანი“, II, 1893, გვ.169-171 (A); გაზ. „ივერია“, 1900, 29 ივნისი, №139, გვ.2 (D).

ს ა თ ა უ რ ი: თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ B.

თ ა რ ი ღ ი: 1882 წელსა აგვისტოს 14, ქ. თელავს B; — AD.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი C.

გაზ. „დროებაში“ ლექსი ჩართულია ს. მერკვილაძის ფელეტონში „შუა-მთა“.

**43.** 1 წმინდა ] წმიდა C; 9 მებმება ] მებმევა B; 11 მადვეს ] მანვეს D; 12 სტრიქონები (ეს არ-სანატრო... გვესობა) – D; 22-24 სტრიქონები (რომ ჩვენი... ჩაგრული) – A; გინახავს ] გინახამს B; 29 ავით] ავათ B.

**44.** 1 მაშინ] მაშინ BC; 5 სასტიკად] სასტიკი BC; 15 იყავ კურთხეულ] გყავ კურთხეულ B, ადრე მიუწერია „არ დავინწყებული“, გადახაზულია.

„ივერიის“ 1900 წლის №139-ში ცენზურის მიერ ამოღებულია შემდეგი სტროფები:

ეს არ-სანატრო,  
უკულმართი დრო  
სიცოცხლითვე გვეკლავს, გვედება ბნელი,  
არცა გვაქვს ძალი  
და არც ნამალი,...  
სად არის მხსნელი, რომ მოგვეცეს ხელი?!  
ტკბილო პოეტო,  
ნათლისა სვეტო!  
შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,  
რომ ჩვენი ერი,  
დღეს სხვის ფეხთ მტვერი,  
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!  
თორემ სხვაგვარად  
მწარედ და მარად  
ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...  
და შენც ჩვენსავით  
სიტყვებით ავით,  
გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას.  
და მაშინ შენს გულს,  
ჩვენთვის აღგზნებულს,

სხვა ფასს დასდებდა უმეტესობა,  
და ის ისარი,  
სასტიკად მწარი,  
შენც მოგხვდებოდა, ჩვენ რომ გვესობა...

1893 წლის გამოცემიდან კი ამოულიათ 22-24 სტრიქონები:

რომ ჩვენი ერი,  
დღეს სხვის ფეხთ მტვერი,  
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე** – გარსევანის ძე (1786-1846), დიდი ქართველი პოეტი.

### არაბი ფაშა (გვ. 45)

ნ ა ბ ე ჟ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, 7 სექტემბერი, №187, გვ.1 (B); „თხ-ზულბანი“, II, 1893, გვ.174-175 (A).  
თ ა რ ი ღ ი: [1882].  
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**45.** 6 ჰყვიროდა | ყვიროდა B; 16 ჰლაღატობ | ლაღატობ B; 21 სჯულის | რჯულის B; 23 ჩვენ | ჩვენს B.

აკაკის ლექსის ადრესატი **არაბი ფაშა**, ურაბი-ფაშა, აჰმად (1839 ან 1840–1911) არის ეგვიპტელი ხალხის 1879-82 ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი. იგი დაიბადა შეძლებული ეგვიპტელის ოჯახში, დაამთავრა კაიროს სამხედრო სკოლა, 1879 წელს სათავეში ჩაუდგა ეგვიპტის ოფიცერთა ანტითურქულ გამოსვლას. 1881 წლის სექტემბერში ხელმძღვანელობდა კაიროს გარნიზონის აჯანყებას – „ეგვიპტე ეგვიპტელთათვის“. აჯანყების პირველ ეტაპზე – 1882 წლის თებერვალში შეიქმნა ეროვნული მთავრობა, რომელშიც დაიკავა სამხედრო მინისტრის პოსტი. ალექსანდრიაში ხედივის გაქცევის შემდეგ მთელი ძალაუფლება მის ხელში გადავიდა. 1882 წლის ივლის-სექტემბერში არაბი ფაშა ხელმძღვანელობდა ეგვიპტელი ხალხის ბრძოლას ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ. არაბი ფაშა უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა 13 სექტემბერს თელ-ელ-ქაბირთან, იგი ინგლისელებმა 15 სექტემბერს შეიპყრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. შემდგომ განაჩენი ცვილონზე გადასახლებით შეუცვალეს.

ამ ლექსის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს „დროების“ თანამშრომელი დავით მესხი: „ერთ დღეს რედაქციაში გვესტუმრა აკაკი და წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი აჯანყებულ აბაშელების სარ-

დალზე დანერვილი. აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა: – ყმანვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატთანემ, დეე, გულისტივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს – აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში, როგორც „არაბი ფაშაო“ (დ. მესხი, „მოგონებანი“, თბ., 1940, გვ.84-85).

**ჩინგიზ-ყაენი**, ასევე ჩინგიზ ხანი (1161 18 აგვისტო –1227) მონღოლი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი ან ყაენი, რომელმაც გააერთიანა მონღოლთა ტომები და შექმნა მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი მონღოლთა იმპერია.

### ყმანვილ ქალს (გვ. 47)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, 21 ნოემბერი, №243. გვ.1 (B); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.183-187 (A); „ჩანგური“, 1904, გვ.263 (C).

ს ა თ ა უ რ ი: ყმანვილი ქალი A, \*\*\* (C).

თ ა რ ი ღ ი: [1882].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

C-ში ლექსის მხოლოდ 1-6 (ყოველ სწეულებაზე... ძალსა) სტროფია დაბეჭდილი.

**47.** 1 ყოველ] ყველა C; 15 გაურჩევლად] განურჩევლად C; 18 ვალი და] ბუნების C; 19 გულზედ] გულზე C; 21 მაგრამ ერთხელ] ერთხელ მაინც C; 22 დაგკრავს, მოგიდებს] აგინთებს გულში C; დაგკრავს] დაჰკრავს C; 23 გაგრძნობინებს უცნაურს] და იცნობ მშვენიერო C; 24 რალაც ციურსა ძალსა] გრძნობას შენთვის ახალსა C.

**48.** 10 იპოება ] იპოვება B. 13 შავს ენას და შავსა გულს ] შავს ენასა და შავს გულს B; 14 თეთრს ] თეთრ B; 16 მამულიმვილებს ] მამულისშვილებს B.

### ხანჯალს (გვ. 50)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 86, გვ.21-22 (B); ასლები: T 10 512, გვ.20 (C); T 12 622, გვ.60-62 (J); K 100 (D); T 17 743 (E); T 17 751 (F); T 17 763 (G).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1905, 17 ნოემბერი, №208, გვ.3 (H); „ორი ქართველი, ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი და სხვა ლექსები“, 1911, გვ.29-30 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ხანჯალი BCDEJH, — G.

თ ა რ ი ღ ი: [1882].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი H.



**50.** 2 რკინაო ] რკინავ J; ხვარასნისაო ] ხორასნისაო BGH, ხოროს-  
 ნისაო C; 5-8 სტრიქონები (ნესტარიცა ხარ... ხელიო) ~ 9-12 სტრიქონები  
 (გლესავ... დაჩაგრულსაო ) BCDEFJH; 5 ბასრიც ხარ ] ბასრიცა J; 6 ორივე  
 ] ორთავ J; გვერდით ] გვერდითა J; 7 გული ] J -ში ადრე ყოფილა „მცირე“,  
 შემდეგ გადაუხაზავს ავტორს და დაუნერია ისე, როგორც ძირითადშია; 8  
 და გიპყრობს ] გიპყრია J; 9 ხანჯალო ] მახვილო CDFG; 10 ამოგიფერავ,  
 BC-ში ადრე ყოფილა „ამოგილესავ“, შემდეგ ეს გადაუხაზავს ავტორს და  
 ჩაუსწორებია ისე, როგორც ძირითადშია, „ამოგიფერამ“ J; 11 ეძმო და ეყმო]  
 უძმო და (უყმო) უმოყვრო J; J -ში მე-12 სტრიქონის (დაჩაგრულსაო) შემდეგ  
 მოდის 51-ე გვერდის სტრიქონები (მისი წითელი... ბინაო); 13-16 სტრიქონე-  
 ბი (მისი გამჩენის..... დედაო) – DF; 13-14 სტრიქონების (მისი... გამოგ-  
 ქედაო) ნაცვლად G-ში ასეა: „მისი ჭირიმე, ვინც შენა, გაგფერა, გამოგ-  
 ქედაო“; 16 მტერს] მტრებს B; მტერს აუტირე ] ჩვენს მტრებს უტირე G; 18  
 სკვიტებმა ამ ჩემს ] მტრებმა ამ ჩემსა BEG, რუსებმა ამ ჩემს D, რუსებმა  
 ჩვენსა J, ურჯულომ ამ ჩემს G; 19 მიმკურნალე ] მიპატრონე G, რამე ახსენ  
 ჩემო J; 20 უმართლოდ ] უდროოდ C; 21 გულთან ] გულთა C; 22; მიუძღვენ  
 ] მიიძღვენ B; 24 ჩაურჭვე ] ჩაერჭვი J; როგორც ] ვითა J.

**51.** 1 მელნითა] მელანიდ J; 2 შემალეზინე ] შემიღეზინე H, შემალეზინა  
 C, შემიღებე მე J; 3 კენესა ] კვესა C; იქნება ] იქმნება F; 4 ჩემთვის დაფი და  
 ნალარა ] ჩემ გულს დაფი და ნალარა J; 5 გლესავ და გლესავ ] გლესამ და  
 გლესამ J, შენ გენაცვალე G; მახვილო ] ხანჯალო C, სიტყვის ზემოთ წერია  
 „მახვილო“ ისე, რომ ქვედა სიტყვა არ არის გადახაზული; 6 ფოლადო ჩემო  
 ] ჩემო უბადლო G; 7 ქარქაშში ] ქარქაშით BJDH; ამოდი ქარქაშით ] აიშალო  
 ქარქაშში J; 8 ან შენ ] იქ შენ BE, შენ ანი C; შენ ] მანდ DH.

ხელნაწერ K 100—ში და „ივერიაში“ გამოქვეყნებული ლექსის ქვემოთ  
 მინერილია „აკაკი“, „სადიკო“. იმავე ხელით ფურცლის მეორე მხარეზე აწე-  
 რია: „გენაცვალე!“ ეს ლექსი ძრიელ დაფარულად არის დაწერილი პოეტი-  
 საგან და შენც ნუ გამოამჟღავნებ, ძრიელ საიდუმლოთ შეინახე ზოგიერთ  
 პირებთან.

შენი საკუთარი...”

ამის ქვემოთ მინერილია შემდეგი: „ამ წერილში აღნიშნული სადიკო იყო  
 მელქისედეკ წერეთლის ასული და გიორგი დავითის ძე წერეთლის მეუღლე.  
 პაპუნა წერეთელი, 3/III—35 წ.“

აკაკის ამ ცნობილი ლექსის შექმნა ერთი ვერსიით დაკავშირებულია  
 სტუდენტ **იოსებ ლალიაშვილის** მიერ რექტორ **ჩუდეცკის** მკვლევობას-  
 თან, მეორე ვერსია კი მას 1905 წლის რევოლუციურ პერიოდს აკუთვნებს,  
 ალბათ, იმის გამო, რომ ლექსი პირველად ამ წელს გამოქვეყნდა. პავლე  
 ინგოროყვამ, რომელიც აკაკის თხზულებათა საიუბილეო გამოცემის რე-  
 დაქტორი იყო, უარყო ზემოთ მოყვანილი შეხედულებანი: მისი აზრით, აკა-  
 კის ლექსი „ხანჯალს“, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ „ქართულ  
 მარსელიოზას“, რომელიმე ცალკე შემთხვევასთან კი არ არის დაკავშირე-  
 ბული, არამედ მიმართულია საერთოდ ცარიზმის წინააღმდეგ.

ლალიაშვილი ჩუდციკი მოჰკლა 1886 წლის მაისში, ხოლო ლექსი უფრო ადრე იყო ცნობილი. ამიტომ თუ ლექსი რომელიმე კონკრეტულ შემთხვევა-სთან არის დაკავშირებული, იგი, პ. ინგოროყვას აზრით, ეხმაურება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მკვლელობის ამბავს (აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, 1941, ტ. II, გვ.663-664).

იმის გამო, რომ ლექსი „ხანჯალს“ პირველად 1905 წელს დაიბეჭდა, აკაკის გარდაცვალების შემდეგ გამოსულ პოეტის თხზულებათა ყველა კრებულში ეს წელი აქვს მინერილი. ასევეა იგი დათარიღებული 1940 წელს გამოცემულ აკაკის თხზულებანის შვიდტომეულის პირველ ტომშიც, რადგან პ. ინგოროყვამ მხოლოდ პირველი ტომის დაბეჭდვის შემდეგ მოიპოვა ახალი მასალა, რომელიც აღნიშნულ თარიღს ცვლიდა. ქვემოთ მივუთითებთ რამდენიმე არგუმენტს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდა ლექსის თარიღის დაზუსტება: I. 1911 წელს გამოცემული ლექსთა კრებული „ორი ქართველი ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი და სხვა ლექსები აკაკისა“, სადაც ლექსი „ხანჯალს“ დათარიღებულია 1882 წლით. II. ქუთაისის მონაფეთა ხელნაწერი ჟურნალი „სალამური“, რომელშიც აკაკის ზემოთაღნიშნული ლექსიც შევიდა. ხელნაწერი ჟურნალი 1886 წლით თარიღდება.

III. პროფ. გ. აბზიანიძემ თხუთმეტომეულის II ტომზე მუშაობისას მი-აკვლია 1895 წლის 23 აპრილით დათარიღებულ, დღემდე უცნობ ლექსს „ვუძღვნი «ხანჯლის» ავტორს“. აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ეს ლექსი ეკუთვნის მწერალ ილია ჭყონიას კალამს (იხ. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №6326/4). „ილ. ჭყონია აკაკის ხელნაწერების კარგი მცოდნე იყო და მანვე შეადგინა ლექსთა კრებული „ჭოლოკი“, რომელმაც აკაკის ლექსების იშვითი ვარიანტები შემოგვინახა“ (იხ. გ. აბზიანიძის შენიშვნა, თსკ. ტ. II, 1950, გვ.468).

IV. ქართველ მწერალთა მოგონებანი ამ ლექსთან დაკავშირებით. სოფრომ მაგალობლიშვილი იხსენებს: „მოკლეს მეფე ალექსანდრე მეორე... გამეფდა საშინელი შავი რეაქცია. ალექსანდრე მესამე ვერა ძღებოდა რევოლუციონერთა სისხლით. ჩვენშიაც ავმოძრავდით... ის იყო გამოვიდა აკაკის ქართული მარსელიოზა „ხანჯალი“ (ს. მაგალობლიშვილი, „მოგონებანი“, თბ., 1938, გვ.92-93).

V. როგორც დავით მესხი გადმოგვცემს 1885 წელს, „დროების“ დახურვის გამო პროტესტის ნიშნად, რედაქციის წევრებმა აკაკის აკრძალული ლექსი „ხანჯალი“ ფარულად დაბეჭდეს და მთელ ქალაქში გაავრცელეს. ლექსისთვის მიუწერიათ საძულველი ცენზორის ლუკა ისარლოვის გვარი (დ. მესხი, „მოგონებანი“, თბ., 1940, გვ.93). როგორც ამ მოგონებებიდანაც ჩანს, ლექსი მეტად პოპულარული ყოფილა გასული საუკუნის 80-იან წლებში.

VI. „ხანჯალს“ 80-იანი წლებით ათარიღებს ლევან ასათიანი (იხ. ლ. ასათიანი „ცხოვრება აკაკი წერეთლისა;“, თბ., 1940., გვ.359).

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ ლექსს პირობითად ვათარიღებთ 1882 წლით, როგორც მითითებულია კრებულში „ორი

ქართველი“ და სხვა ლექსები აკაკისა“, რადგან კვლევით დადგინდა, რომ ამ გამოცემის მომზადებაში აკაკი უშუალოდ მონაწილეობდა და მან გადასცა იგი დასაბეჭდად იოსებ მერკვილაძეს (იხ. ჯ. გაბოძე „აკაკის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009, გვ.240).

### \*\*\* ღმერთო, წვიმა მოიყვანე. . . (გვ. 52)

ნ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 12 622, ფ. III, გვ.111 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „დროება“, 1882, 29 ივლისი, №156. გვ.1 (C); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.168 (A); აკაკის რჩეული ლექსები (საიუბილეო გამოცემა), 1908, გვ.46-47 (D).

ს ა თ ა უ რ ი: ღმერთო, წვიმა მოიყვანე D.

თ ა რ ი ლ ი: [1882].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი BC.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

გაზ. „დროებაში“ ლექსი ჩართულია პროზაში „ცხელ-ცხელი ამბები“.

**52.** 2 შხაპუნაო ] შხაპუნა B; 3 სამუშაოდ ] სამუშაოთ B; 4 და დავსძახოთ „ჰოპუნაო“ ] დავძახოთ და ჰოპუნა B; 5 გვერდში გვედგენ ] გვერდით გვედგენ B, გვერდში გვიდგენ D; 7 ჰკრებდენ ] ჰკრეფდენ C; 9 შვილებიც თავს დაჰხაროდენ ] რომ ბავშვებიც დახაროდნენ B; 10 მობრუნებულს ალოსაო ] მობრუნებულ ალოსა B; მობრუნებულს ] მობრუნებულ C; 11 „ოროველას“ ] ისე ველარ B; დასძახოდენ დასძახოდნენ B; 12 კალოსაო ] კალოსა B; 14 დამალბობელიო ] დამალბობელი B, დამალბობელიო C; 15 გასწყვიტოს ] გასწყვიტო D; 16 ქვეყნის დამამხობელიო ] „ქართლის“ დამამხობელი B.

### დარიგება (გვ. 53)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „შრომა“ 6 ოქტომბერი, 1882, №39, გვ.1 (B); „თხზულებანი“, II, 1893, გვ.178 (A).

ტომზე მუშაობისას ჩვენ მივაკვლიეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აკაკის ფონდში დაცულ ფოტო-ასლს, რომლის დედანი (ე. ი. ფელტმანის ალბომი, სადაც ჩანერილია აკაკის ხელით ეს ლექსი) ინახება მოსკოვის ცენტრალურ ლიტერატურულ არქივში. ალბომში ლექსის ქვემოთ არის აკაკის ხელმოწერა და თარიღი: „აკაკი, 1891/სა ნელსა, ივნისის 3/სა“. ამ ახალი მასალის მიხედვით ლექსს მიეცა ზუსტი თარიღი: 1891 წ., 3 ივნისი. (ვ. გაბოძე).

**ფელტმანი** – ექიმი-ფსიქიატრი, სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, ე. ნ. „სხვისი აზრების გამოცნობის“ ჰიპნოზური ხერხით მალე გახდა ცნობილი და დიდი სიმდიდრე შეიძინა. შემდეგ იგი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

### ობოლი და დედამისი (გვ. 196)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი K 77, გვ.19 ( B).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ.„ჯეჯილი“, 1892, №1, გვ.18-19 (A).  
თ ა რ ი ღ ი: [1891]; 1892 B.  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

რადგანაც ცენზურის ნებართვა 1891 წლის 11 დეკემბერს გაიცა, ლექსს ვათარილებთ პირობითად 1891 წლით.

### ნინობას (იტირე, მინავ, სამშობლოვ.. ) (გვ. 197)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 73, გვ.2-3 (A); K 80, გვ.51-52 (B); K 86, გვ.10 (C); ასლი K 110 (D).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „განათლება“, 1910, №1, გვ.12 (E); „მინაური საქმეები“, 1910, №4 გვ.10 (F).  
ს ა თ ა უ რ ი: გლოვა BEF, იტირე, მინავ, სამშობლოვ D.  
თ ა რ ი ღ ი: 1891 D.  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

197. 5-8 სტრიქონები (ენაც... ნინოსი) – D; 13-16 სტრიქონები (სა-დლა... კოლო-ხმებითა) – D; 18 შემოერია, ადრე B-ში იყო „შემოეპარა“, შემდეგ გადახაზულია და გასწორებულია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; 19 ჩვენს ] ჩვენ C; ფიცარზე ] შტოებზე BCEF, C-ში იყო „ეთრადზე“, შემდეგ გადაუხაზავს და დაუნერია „შტოებზე“; 21 ვაჟკაცსა ] ვაჟკაცსა BC; 23 სჯობს სიცოცხლესა ] სჯობსო სიცოცხლეს C.

BEF-ში ლექსი ასეთი სახით არის წარმოდგენილი:

## გლოვა

სად არის კუბო თამარის  
ქვეყნისგან ნაამბორისა,  
ვის ხელში არის საფლავი  
ნინო მოციქულთ სწორისაო?  
სადღაა ჯვარი ვაზისა,  
შეკრული წმინდის თმებითა?  
დასდუმდა მისი ტროპარიც,  
ქართულის კილო ხმებითა.  
ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს  
წვალემა შემოერია,  
და ჩვენ ეროვნულ შტოებზედ  
„ქართველი“ აღარ სწერია!  
ვიტიროთ? არა! ვაჟკაცსა  
არ შევნის ცრემლით გლოვანი,  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,  
სიკვდილი სახელოვანი!“.

თამარი – იხ. გვ. 433.

ნინო – იხ. გვ. 433.

## გედი (გვ. 198)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 14 057.

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1915, 2 თებერვალი, №205, გვ.2.

თ ა რ ი ლ ი [1891].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი აკაკის თხზულებათა 1940 წლის საიუბილეო გამოცემაში დაიბეჭდა 1913-1914 წლებში დაწერილ ლექსთა შორის (იხ. აკაკის თხზულებანი, ტ. I, 1940, გვ.864; ტ. II, 1941, გვ.707).

შემდეგში, თხუთმეტკომეულის გამოცემაზე მუშაობის დროს გიორგი აბზიანიძემ მიაგნო ახალ მასალას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ლექსი გაცილებით ადრე ყოფილა შექმნილი, სახელდობრ, 1891 წელს. ივანე მაჩაბლისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1891 წლის 22 ივლისით, „თემის“ რედაქტორი გრ. დიასამიძე წერს თავის ადრესატს: „აკაკისაგან წერილი მივიღე, იგი ამჟამად კარგად გახლავსთ. გამომიგზავნა ლექსი „გედი“, ლექსი ყოველის მხრით მშვენიერია. როცა გნახავთ, წაგიკითხავთ, მაგრამ რათა? შემოდლიან ეხლაც გადმოვწერო. ეს ლექსი, როგორც იწერება აკაკი, რუსულად გადაითარგმნა და ჟურნალში დაიბეჭდა. რომელ ჟურნალშია დაბეჭდილი, იმას კი აღარ მატყობინებს. წერილი პესი-

მისტური კილოთი არის გამსჭვალული, რაც ამ ლექსშივე ეტყობა. დღესვე უნდა მივწერო პასუხი“ (იხ. საქართველოს სახ. ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №14 057).

ამრიგად, ლექსი „გედი“ პირობითად თარიღდება 1891 წლით.

**1892**

**დათვი (გვ. 199)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: შ. „ჯეჯილი“, 1892, № 2, გვ.13-15.

თ ა რ ი ლ ი [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსი თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**ჩიტი გალიაში (გვ. 202)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლები: K 77, გვ.22, ( D); T 10 191(E).

ნ ა ბ ე ქ დ ი: შ. „ჯეჯილი“, 1892, № 3, გვ.32 (A); შ. „ჯეჯილი“, 1908, № 10-11, გვ.6 (B); „დედა ენა“, 1907, გვ.178; 1908, გვ.178; 1910, გვ.178; 1911, გვ.183; 1912, გვ.117; 1913, გვ.177; 1914, გვ.177 (C).

თ ა რ ი ლ ი: [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი AB.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

სხვადასხვა წლების „დედაენის“ ტექსტები იდენტურია, ამიტომ ისინი ყველა ერთი ლიტერით C აღვნიშნეთ.

**202.** 3 ტყვექმნილი ] ტყვედქმნილი C, ტყვე—ქმნილი D; 4 და მტ-კივა ] მიკვდება C; 5 ჩემ] ჩემს C; 8 ფერად-ფერადად ] ფერად-ფერადათ B; 9 დაჭიკჭიკებენ ] დაჭიკჭიკობენ CD; 11 ყველას ] ყველა C; 13 რათ ] რად C.

**ხალხური (ქვეყანამ ეთერს მშვენებით. . ) (გვ. 203)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი K 77, გვ.23 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: შ. „ჯეჯილი“, 1892, № 5, გვ.10-11 ( A).

თ ა რ ი ლ ი: [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

203. 5 სანთლად] სანთლათ B ; 6 საბნად ] საბნათ B; 9 აღმოსავლეთით] ამოსავლეთით B; 10 ვარსკვლავი ] ვარსკლავი B.

ბეთლემი – იხ. გვ. 493.

### ხოლერა (გვ. 205)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი: Q 2173/976, გვ.1-16 (A); ასლი Q 2173/971 გვ.1-2 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: Q 2173/972 „ხოლერა“ — მესტივირული შაირები აკაკისა. 1892 წლის ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო, (C).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: На мотивах народных песен сочинения Акакия Рост. Церетели А.

თ ა რ ი ღ ი: 1892 C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი ABC.

ხელნაწერის Q 2173/976 (A) გარე ყდაზე სათაური და წარწერა გაკეთებულია აკაკის ხელით. ასევე ახლავს აკაკის ფაქსიმილე. თავად ლექსი შესრულებულია ლამაზი კალიგრაფიით, შესაძლოა იყოს აკაკის ხელწერა. ყოველ გვერდზე ახლავს ცენზორ რაფიელ ერისთავის ხელმოწერა.

ხელნაწერის ასლი Q 2173/971(B) გადაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ. თავფურცელზე აწერია: ხოლერა—მესტივირული ლექსები აკაკისა – ქუთაისი, ტიპო—ლიტოგრაფია ნ. გამრეკელოვისა, 1892. თავფურცელზე ახლავს წარწერა „გვერდზედ 24 სტრიქონი ფორმატი ამხანაგობიდან გამოცემულის წიგნებისა, ციცგრ, №12. ოთხ.პუნქტიანი შპონით“. ლექსში ამავე ფერის ფანქრით გამოყოფილია თავები და მონიშნულია ის ადგილები, რომლებიც ცენზორმა 976 ხელნაწერში გადახაზა.

ლექსის გამოცემის ისტორია ასე წარმოგვიდგება: აკაკიმ გადაწერა ან გადააწერინა ლექსი, წაიკითხა, ჩაასწორა და ხელნაწერი 2173/976 წარუდგინა ცენზორს, რომელმაც ამოშალა ცალკეული ადგილები და მხოლოდ ასე მისცა დაბეჭდვის ნება, ამის შემდეგ კირილე ლორთქიფანიძემ სრულად გადაწერა ლექსი და გაამზადა სტამბაში წარსადგენად, თუმცა ცენზორის შენიშვნები მაინც მონიშნა. (ხელნაწერი 2173/971). ასე დამახინჯებით, ამ ადგილების გამოკლებით, გამოიცა ლექსი 1892 წლის სექტემბერში.

კირილე ლორთქიფანიძისავე თხოვნით, იმავე წლის ოქტომბერში აკაკის შეუდგენია ლექსების ხელნაწერი კრებული „სალამური“, რომელიც შემდეგ გადაუწერია კირილეს საცენზურო კომიტეტში წარსადგენად და განუზრახავს (ალბათ ავტორის სურვილით) მასში აღდგენილი სახით შეეტანა ლექსი „ხოლერაც“. ამიტომ გამომცემელს აღარ გადაუწერია ლექსი და უსარგებლია მისი ნაბეჭდი ეგზემპლარით, რომელშიც ხელით აღუდგენია ცენზორის მიერ ამოღებული ადგილები, შემდეგ თავიდან ერთიანად გადაუწომრავს („ხოლერას“ ნაბეჭდი ცალი 16 გვერდს მოიცავს, „სალამურის“ ხელნაწერი კრებული კი შედგება 42 გვერდისაგან) (42+16=58) და ასე

ნარუდგენია ცენზურაში. „სალამურის“ ხელნაწერს თავფურცელზე ახლავს ცენზურის ნებართვა: „Дозволено цензурою на пятидесяти восьми страницах с исключением на страницах ~ 7,8,9,13,15,18,45 и 53“. „12 декабря 1892 года. Тифлиси КН. Р. Эристави“.

მაშასადამე, ცენზორმა სხვა ლექსებთან ერთად ამოშალა „ხოლერა“.

ამის შემდეგ კირილე ლორთქიფანიძეს კრებული „სალამური“ ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის თავმჯდომარე ალექსანდრე ჯაბადარისათვის უჩვენებია, რადგან გამგეობა აკაკის თხზულებების ათ ტომად გამოცემას აპირებდა. ხელშეკრულების პირობით, ამხანაგობის ნებადაურთველად აკაკი წერეთლის ნაწერების გამოცემა ეკრძალებოდა ყველას.

გარეკანზე ხელნაწერს აქვს შემდეგი წარწერა: „ამ რეეულში მოთავსებული ოცდაექვსი ლექსის (გარდა ლექსისა „ხოლერა“) დაბეჭდვის ნებას აძლევს წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა. ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი. 13 დეკემბერი 1892 წ. ქ. თბილისი“. როგორც ჩანს, ალ. ჯაბადარმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რომ ლექსი „ხოლერა“ კვლავ ასე დაჩეხილი გამოეცათ. ამიტომაც ურჩია კრებულიდან მისი ამოღება გამომცემელს. (ვრცლად იხ. ჯ. გაბოძე „ხოლერას“ თავგადასავალი“ კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“ XXIV, გვ.175 თბ., 2011).

**205.** I. 4 ბოქაულიო, A-ში ადრე ეწერა „ბოქოულიო“, შემდეგ გასწორებულია; 11 მიუგდებ ] მიუგდებ ABC.

II. 1 დაბძანდა ] დაბრძანდა C; 2 სამსჯავროდ ] სამსჯავროთ BC; 6 გზით ] გზას B; 15 მოტყუარ ] მატყუარ BC.

**206.** 3 ღვდლებს ] მღვდლებს BC; 3-6 სტრიქონები (მაშინ... სულია) A-ში გადახაზულია ცენზორის მიერ წითელი მელნით, C-ში კი არ არის; 5 მერე იმათაც ] მღვდელ-დიაკვნებსაც BC; 8 საქვეყნოდ ] საქვეყნოთ ABC.

**206.** III. 1 შეიძრა ] შეიმძრა A; 13 რალად ] რალათ ABC; 14 რისხვით, წყევლით და კრულივითა ] რისხვით და გულისწყრომითა BC, B-ში ადრე ისე ეწერა, როგორც A-შია, შემდეგ გადაუხაზავს და ფანქრით მიუწერია „და გულსწყრომითა“; 16 მიხეილ-გაბრიელითა, A-ში ცენზორს გადაუხაზავს ეს სიტყვები და მიუწერია „მახვილით გაბასრულითა“, ასეა BC-ში.

IV. 2 მაგრე, A-ში ადრე ეწერა „მანგრე“, შემდეგ გასწორებულია; 8 ძემ ] ძე AB; 12 ცრემლი ] ოფლი A.

**207.** V. 2 სულგრძელობას ] სურგრძელობას A, სულგრძელებას B; 7 წარამარ ] A-ში ადრე ეწერა „წარა-წარ“, შემდეგ გასწორებულია.

VI. 3 შავ ზღვამდი ] შავ ზღვამდე B.

**208.** VII. 20 ჩაიგდო ] ჩაგდო B; 21 მიფლანგ-მოფლანგავს, A-ში ადრე ეწერა „მოფლანგ-მიფლანგავს“.

**209.** VIII. 3 საცოდავია ] საცოდვავია C.

IX. ა მოშორდა, A-ში ადრე ეწერა „გაბძანდა“, გადახაზულია და ისეა გასწორებული, როგორც ძირითად ტექსტშია.

X. 4 გლესკაცათ ] გლესკაცი B; 16 ბოროტად ] ბოროტათ BC; 17-18

სტრიქონები (ხატი... გამტეხელია) – BC; 19 უგუნური] A-ში ადრე ეწერა „უგუნური“, შემდეგ გასწორებულია ისე, როგორც ძირითად ტექსტში; 26 მეტათ ] მეტი B.

**210.** XI თავი (მერე... ფონია) მთლიანად გადახაზულია A-ში ცენზორის მიერ წითელი მელნით, C-ში მთელი თავი ამოღებულია; 5 მათი A-ში ადრე იყო „მისი“, შემდეგ გადახაზულია და ისეა გასწორებული, როგორც ძირითად ტექსტში; 8 ნახდენ ] ნახდენენ C; 10 სხვაგვარათ ] სხვაგვარად H; 13 დათვურათ ] დათვურად C, ჰფიქრობს ] ფიქრობს B; 14 იადონია; A-ში ადრე ეწერა „ტონია“, შემდეგ იგი გადახაზულია და გასწორებულია ისე, როგორც ძირითად ტექსტში.

**211.** XII. 4 მიდებ-მოდება ] ჩემი ვედრება C; 7-8 სტრიქონები (ჩინოვნეკებს... მოენოდება) A-ში გადახაზულია, ხოლო C-ში ასეა: „არც ერთ მათგანსა მგონია, ხელი არ მიენოდება“.

XIII.....1 გზაჯვარედინზე ] გზაჯვარადინზე A; 2 შენ ] შენს BC.

**212.** XIV. 12 მოუბარია ] მუბარია B; 15 მოწვდა ] მიწვდა B; 16 გაისმა A-ში ადრე იყო „გამოისმა“, შემდეგ გადახაზულია და ისეა გასწორებული, როგორც ძირითად ტექსტში; 19 წილხვედრი ] წილმხვედრი A, წილმხვედრი B; 21 შენ A-ში ადრე იყო „შენი“, შემდეგ გასწორებულია ისე, როგორც ძირითად ტექსტში.

**213.** XV. 5 დედას ვუტირებ ] დედასუტირებ AB, სეირს ვაჩვენებ C; 9 ესეც ] ისიც BC; 10 ჩაიდინაო A-ში ადრე იყო „ჩაიდინავო“, გასწორებულია; 11 ერჩოდა ] ერჩოლა C; 19 შეეპუა ] შეეპოვა B; 15 გავხეთქავ ] გავხეთქამ A; და... გავხეთქავ ] სულ კუდით ქვას ვასროლინებ C.

XVI. 6 რუმბსაო A-ში ადრე იყო „რუმბსაო“, შემდეგ გადახაზულია და გასწორებულია ისე, როგორც ძირითად ტექსტში; 8 შუბლსაო ] შუბსაო AB.

**ქეთევან** – იხ. გვ. 433.

**ნინო** – იხ. გვ. 433.

**გიორგი** – აქ წმინდა გიორგი (III საუკ.) კაბადოკიდან. პირველმოწამე, ქრისტიანობისთვის თავდადებული და წამებული.

**მიქელ-გაბრიელი** – ორი მთავარანგელოზის გაერთიანება ქართულ ხალხურ წარმოდგენებში სიკვდილის მთავარანგელოზად.

### **ხალხური (მინდვრად ეგდო თეთრი ქვა...) (გვ. 214)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 81, გვ.13-14 (B); Q 2173/974 (C); ასლი Q 2173/975 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, 19 მარტი, № 12, გვ.2 (E); „სალამური“, 1893, გვ.26 (F); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.17 (A); „ჩანგური“, 1904, გვ.183 (G).

ს ა თ ა უ რ ი: \*\*\* G.

თ ა რ ი ლ ი: [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი E.

ცენზურის ნებართვა „სალამურზე“ (F) გაცემულია 1892 წელს, ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1892 წლით.

**214.** 1 მინდვრად ] მინდვრათ BDF; ეგდო ] ვნახე B; 2 დავკარ ] დავპკარ BG; თან ] არ G; 3 ქალო, შენი სიყვარული ] სიყვარული მე შენი CDF; 4 სადაც ] საცა B; 5 უბეში ჩავიდევი ] ჩავიდევი უბეში CDF; 7 სიყვარულიც ] სიყვარული BG; ქალო შენი სიყვარულიც ] და ჩვენი სიყვარულიც HD; 9 ქვა... გადავაგდე ] გადავაგდე მე ის ქვა CDF; 10 მიეუმამტე ] მიუმამტე ABC; 11 ქალო ] და CDF; სიყვარულიც ] სიყვარული BCFG; 12 გადულოცე ] გადულოცე CG; 13 იმ... დაასველებს ] დაასველებს ქვას ნვიმა F; 15 მაგრამ... ალბობს ] ნვიმა ქვას ვერ დაალბობს CDF.

### ხალხური (ალვის ხე აყვავებულა.....) (გვ. 215)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი: Q 2173/974 (B); ასლი Q 2173/975 (C).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, № 10, გვ.3 (D); „სალამური“, 1893, გვ.43 - 44 (A).  
თ ა რ ი ლ ი: [1892].  
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი D.

ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის 12 დეკემბერს, ამიტომ ლექსს პირობითად ვათარილებთ 1892 წლით.

**215.** 2 აშვენებს ] ამშვენებს B; 6 მზეთუნახავო ] მზეთუნახაო D; 20 საკურთხად ] საკვერთხად AC; 22 დამლერა ] დაჟლერა B; 24 ნაპერწკლების ყრით ] ნაპერწკლებსა ჰყრის BD.

**216.** 2 შენი ] შენის C; 14 აშვენებს ] ამშვენებს B.

### სატრფოს (მშენიერო, შენ გეტრფი...) (გვ. 217)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი: Q 2173/974 (B); ასლი: Q 2173/975 (C).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: „სალამური“, 1893, გვ.24-25 (D); „სულიკო და სხვა რჩეული ლექსები“, 1899, გვ.29-30 (E); „სიმლერა აკაკისა“, 1903, გვ.5-6 (A); „ჩანგური“, 1904, გვ.265-266 (F); „აკაკის რჩეული ლექსები“ (ვაჭართა გამოცემა), 1908, გვ.10-11 (G).  
ს ა თ ა უ რ ი \*\*\* F, სამშობლოს G.  
თ ა რ ი ლ ი: [1892].  
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

კრებულ „სალამურზე“ ცენზურის ნებართვა გადაცემულია 1892 წლის 12 დეკემბერს, ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1892 წლით.

**217.** 6 ცხრაკლიტულში ] ცხრაკილტულში E; 9 ტკბილად ] ტკბილსა F; 9-12 სტრიქონები (ტკბილად ... ჩანგითა) – G; 11 ხმაზედ ] ხმაზე C; გიმღე-



რის ] გიმღერებს BC; 13 გაუფრთხილდი ] გაუფთხილდი ED; 15 წინათ ] წინად G; 16 მოხიბლა ] მოჰხიბლა G; 22 ველად ] ველათ F; 24 გამოსახსნელად ] გამოსახსნელათ F; 25-28 (რომ... ახაროს) – G; 26 დაღვაროს ] დაყაროს F.

**ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი** – ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები.

### გულის პასუხი (გვ. 218)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/974 (B); L ავტოგრაფი ინახება იასონ ლორთქიფანიძის საოჯახო არქივში (C)<sup>1</sup>. ასლი: Q 2173/975 (D).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: „სალამური“, 1893, გვ.3 (E); „თხზულებანი“, ტ. II, 1893, გვ.4 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

რადგანაც ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის 12 დეკემბერს, ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1892 წლით.

**218.** 8 თანასწორ, B-ში ადრე იყო „ერთგვარად“, შემდეგ ავტორს გადაუხაზავს და ზედ დაუწერია: „თანასწორ“.

### განთიადი (გვ. 219)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი: Q 2173/974 (B); ავტორიზებული ასლი: Q 2173/953, გვ.1-3 (C); ასლები: Q 2173/975 (D); T 24 337 (E).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, 3 იანვარი, № 2, გვ.11-12 (F); „სალამური“, 1893, გვ.45-45 (G); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.4-6 (M); „სულიკო“ და სხვა ლექსები აკაკისა“, 1899, გვ.49-51 (N); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.34-36 (A); „აკაკის რჩეული ლექსები“ (საიუბილეო გამოცემა), 1908, გვ.37-39 (P); „აკაკის რჩეული ლექსები“ (ვაჭართა გამოცემა), 1908, გვ.14-15 (I).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: დ. ყ-ნს I.

თ ა რ ი ღ ი: [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი FG.

E-ში ლექსს მიწერილი აქვს „1893 წ., 3/1“, ეს, როგორც ჩანს, „კვალის“ ის ნომერია, რომელშიც დაიბეჭდა ლექსი.

**219.** 1-16 სტრიქონები (მთანმინდა... მხარესა) – I; 2 ვარსკვლავსა ] ვარსკლავსა; 3 სხივებს მალლით ჰფენს, C-ში პირველად იყო „მოსავს სხივებით“, შემდეგ ავტორს გადაუხაზავს „მოსავს“ და „სხივებით“, ნაცვ-

<sup>1</sup> ხელნაწერი მოგვანოდა იასონ ლორთქიფანიძის ოჯახის სიძემ, ბატონმა გიორგი მაჭავარიანმა, რისთვისაც მადლობას მოვასხსენებთ;

ლად დაუწერია „სხივებს“. იქვე ფანქრით მიწერილია „უხვად ფენს“. შემდეგ „უხვად“ გადახაზულია და დაუწერია „მალლით“. საბოლოოდ ავტორს სტრიქონი ისე გაუმართავს, როგორც ძირითად ტექსტშია; 5 მთანმინდა, C-ში ავტორს გადაუხაზავს „წმინდა“ და ამის ნაცვლად დაუწერია „იგი“, შემდეგ ისიც გადაუხაზავს და აღუდგენია ისე, როგორც იყო თავდაპირველად; 6 ისმენს დუდუნსა, C-ში ადრე იყო „ყურს უგდებს დუდუნს“, შემდეგ გადაუხაზავს „ყურს უგდებს“ და დაუწერია ფანქრით „უსმენს დუდუნსა“. საბოლოოდ ისე დაუწერია, როგორც ძირითად ტექსტშია; 8 რაინდსა, ურჩსა მტრისასა, C-ში ადრე იყო „საფლავსა დიმიტრისასა“, შემდეგ გადახაზულია და წერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; 9 C-ში „მთანმინდა“-ს თავზე აწერია „2“, ხოლო „გულში“ – „1“, სიტყვები ფანქრითაა დანომრილი; 10 საშვილიშვილო ] საშვილისშივილო G; 13 გრძნობამორევით, C-ში ადრე იყო „როგორც დიდ მოძღვარს“, შემდეგ გადაუხაზავს და დაუწერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; 14 თვალს ავლებს, ადრე C-ში იყო „შეჰყურებს“, შემდეგ ავტორს იგი გადაუხაზავს და დაუწერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; 15 და გულის პასუხს ნარნარად, C-ში ადრე იყო „საალსარებოთ გულს უხსნის“, შემდეგ გადაუხაზავს და დაუწერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; ნარნარად ] ნარნარათ H; 20 მკურნალად ] მკურნალათ H, C-ში პირველი გვერდის აშიაზე წერია და შემდეგ იმავე ყავისფერი მელნით გადახაზულია შემდეგი სტრიქონები:

დაღონებულა მთანმინდა,  
ყურს უგდებს ჩანგის ჟღერასა!  
და ორივე შეერთებულად  
სწყევლიან ბედისწერასა.

23 სულმა, C-ში 2-ე სტრიქონის (... დავეჩქარეო) შემდეგ იმავე მელნით წერია და შემდეგ გადახაზულია:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
სწორუპოვარო მხარეო.

მეორე სტრიქონის გასწვრივ ფანქრით მიწერილია: „ქვეყნისა თვალო“.

**220.** 1 მომეგებენ ] მომეგებნენ DEI; ღიმილით, ამ სიტყვის წინ C-ში ჩამატებულია „სიამით“, შემდეგ გადახაზულია; 3 ვარსკვლავი ] ვარსკლავი; მე-4 სტრიქონის (... მოელვარეო) შემდეგ D-ში გადახაზულია.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
მიმომხიბლავო მხარეო.

5 სიამემ, C-ში ამ სიტყვის გვერდით ავტორს მიუწერა „ღიმილმა“, შემდეგ ისიც წაუშლია და დაუტოვებია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; 8 ხელახლად ] ხელახლათ H; გამიხარეო, C-ში ადრე იყო „გავიხარეო“, შემდეგ

„ვი“ გადაუხაზავს და ზემოთ დაუწერია „მი“; 10 სულის ჩამდგმელო ] ჩემო სამშობლო BDG; 15 მოვკვდები ] მოვჰკვდები B; 13-20 სტრიქონები (ნურც... მხარეო) – I; 15 მკვდარს ] მკდარს D ; მე-14 სტრიქონის (... დამაფარეო) შემდეგ C-ში გადახაზულია შემდეგი სტრიქონები:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო ნანატრო მხარეო.

15 მოვკვდები ] მოვჰკვდები B; 18 შენს ] შენ F.

რადგან კრებულ „სალამურის“ ასლსა (Q 975) და ნაბეჭდ „სალამურს“ ახლავს ცენზურის ნებართვა: „1892 წლის 12 დეკემბერი“, ლექსს ვათარღლებთ პირობითად 1892 წლით. ამას ხელს უწყობს ჯულიეტა გაბოძის გამოკვლევა: „როდის დაიწერა და ვის მიეძღვნა აკაკის „განთიადი“ („ლიტერატურული ძიებანი“, XXII, 2001, გვ.364, აგრეთვე, „ჩვენი მწერლობა“, 2001, 11-18 მაისი გვ.8-9), კვლევაში სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით არის დადგენილი ლექსის დაწერის თარიღი (1892 წელი) და ის ფაქტი, რომ ლექსი მიძღვნილია დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი. ამავე კვლევით დადგინდა, რომ C წყარო არის „განთიადის“ პირველი შავი ხელნაწერი და იგი ჩანერილია და ნასწორებია კირილე ლორთქიფანიძის მიერ აკაკის კარნახით. ამდენად, ეს არის ლექსის ავტორიზებული ხელნაწერი. (იხ. აგრეთვე, ჯ. გაბოძე. „აკაკის თხზულებათა გამოცემები, თბ., 2009, გვ.118-130).

როგორც ერთ-ერთი წყაროს ქვესათაურიდანაც ჩანს, ლექსი მიეძღვნა შესანიშნავი ქართველი მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას. გარდა ამისა, ლექსის ხელნაწერიც (C) ამას ადასტურებს.

**ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887)** – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ვოლოგდაში გადაასახლეს. 1837 წელს დაბრუნდა საქართველოში.

1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდდევკის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ (ლებედევი) ქართველი ერი დაწყევლა. დ. ყიფიანმა მას საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო დ. ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მეფის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს. დ. ყიფიანის დაკრძალვისას ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის მეთაურობით ხალხმრავალი პროცესია მთავრობის სანინააღმდეგო დემონსტრაციად გადაიქცა. დიმიტრი ყიფიანი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. დაკრძალვისას აკაკის წარმოუთქვამს ლექსი „ქართველი უცხოეთში“ (იხ. დ. დავითაშვილი, „დიმიტრი ყიფიანი, როგორც ქართველი პატრიოტი“ ნიგნში „სამედიკალიზაციო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, შემდგენელი თ. ჯოლოგუა, თბ., 2007; გვ.174).

## ძველი და ახალი წელიწადი ( ძალით მოსული სტუმარი. . . ) (გვ. 221)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი K 77, გვ.25 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „ჯეჯილი“ 1893, № 1, გვ.25-26“ (A); B–ში ბოლო ოთხი სტროფი ცალკეა გამოყოფილი და ცალკე ლექსად გაიაზრება, რომელიც უსათაუროდაა წარმოდგენილი.

თ ა რ ი ლ ი: [1892].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

რადგანაც ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის 12 დეკემბერს, ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1892 წლით.

**221.** 22 რაშზე ] რაშზე B; 9 მტრედალ] მტრედათ B; ჩვენც] ჩვენ B; 23 რა იმედს] და იმედს B.

**222.** 1 სურვილით] სურვილი B.

## აღბომში (ტკბილ სიტყვას ველარ ახერხებ. . . ) (გვ. 223)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 81, გვ.1 (A); T 18 540 (B).

ს ა თ ა უ რ ი: აღბომში ახლანდელ ქალს B.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ახლანდელ ქალებს A.

თ ა რ ი ლ ი: [1892-1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა 1940 წელს (იხ. აკაკის თხზულებანი, 1940, ტ. I, გვ.446).

პ. ინგოროყვას მოსაზრებით ლექსი დაწერილია არა უგვიანეს 1892-1893 წლებისა. ის 21 ლექსი, რომლებიც ავტოგრაფულ რვეულშია (K 81) მოთავსებული, დაწერილია 1883-1893 წლებში, ან უფრო ზუსტად, არა უგვიანეს 1893 წლის იანვარ-თებერვლისა. ამ დასკვნის გაკეთება შეიძლება შემდეგი ფაქტიდან: ლექსი „თემურ-ლენგის ტყვე“, რომელიც 1893 წლის იანვარში დაიბეჭდა „კვალში“ და ლექსი „ქუთაისი“ (იმავე წლის თებერვალს – „კვალში“), ამ რვეულში წარმოდგენილია ნასწორები, შავი ავტოგრაფების სახით. ამის მიხედვით შეიძლება მიახლოებით განვსაზღვროთ თარიღი შემდეგი ცხრა ლექსისა, რომლებიც ან დაიბეჭდა 1893-1894 წლებში, ან ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ეს ლექსები რვეულში ასეთი თანმიმდევრობითაა ჩანერილი: „აღბომში (ახლანდელ ქალებს)“, „ხალხური“, „იმედი ებრაელთა“, „ძველი ამბავი (თემურ-ლენგის ტყვე)“, „ახლანდელი სიმღერა“, „იუდა“, „ქუთაისი“, „ღამის მებრე“, „ბეზიას დარიგება“ (იხ. აკაკის თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ.680).

ყოველივე ამის გამო, ლექსს ვათარილებთ პირობითად 1892-1893 წლებით, თუმცა შევნიშნავთ, რომ კრებულში მოთავსებული 21 ლექსიდან ზოგი მათგანი მაგ. „ქართველი უცხოეთში“ – 1887 წ. – გამოქვეყნდა, „გალობა ძველთა“ – 1884 წელს.

## ჩანგი მტირალი (გვ. 224)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 81, გვ.6 (B).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: ფ. „მოამბე“, 1894, № 3, გვ.32 (A).  
ს ა თ ა უ რ ი: იმედი ებრაელთა B.  
თ ა რ ი ღ ი: [1892-1893].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსის დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. კომენტარი ლექსისა „ალ-ბომში“ (გვ. 543).

**224.** 2 დღეს თუმცა ] თუმცა კი B; დაჩაგრულს ] დაკარგულს B; 3 გულდანყვეტილებს ] გულდანყვეტილსა B; 5 შევსტრფით ] შევსტრფით B; 6 ვიმჩნევთ ] ვაგდებთ B; 7 გაგვკანროს ] დაგვქაცროს B; 11 კარზედ, B-ში ადრე იყო „კარებზედ“, შემდეგ „ებ“ გადახაზულია; 14 იმ დიდი ] ამ წმინდა B; 16 ისევ ] იგივე B; 19 ერთ-ბრწყინვალებას ] ლიტანიობას B; 20 შერთოს] შესძღვნას B; 23 მოლხენილი ] გამოხსნილი B; შვილიშვილებიც ] შვილისშვილებიც B.

## ხალხური (კაცო, რა ღმერთი გინყრება. . ) (გვ. 225)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 81, გვ.5.  
თ ა რ ი ღ ი: [1892-1893].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, პირველად გამოქვეყნდა 1941 წელს (იხ. აკაკის თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ.543).

**225.** 13 სომეხი, ავტოგრაფში ადრე იყო „ძმა მაინც“, მაგრამ შემდეგ გადაუხაზავს ავტორს და დაუნერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია:

ლექსის დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. კომენტარი ლექსისა „ალ-ბომში“ (გვ. 508).

## იუდა (აქ ყოფილა! გვითვალყურებს. . ) (გვ. 226)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 81, გვ.12 (B); K 112, გვ.1-2 (A).  
ს ა თ ა უ რ ი: — B.  
თ ა რ ი ღ ი: [1892-1893].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსი პირველად დაბეჭდა 1940 წელს (იხ. „მნათობი“, 1940, №5-6, გვ.9). თარიღთან დაკავშირებით იხ. კომენტარი ლექსისა „ალბომში“ (გვ. 508).

B-ში ლექსი იწყება მე-15 სტრიქონიდან (მოძმის ...). A-ში ლექსის ქვემოთ, იმავე ხელით და მელნით მიწერილია: „ამ ლექსის ხელნაწერი (არა

ავტოგრაფი) გადმომცა გადასანერად ს. აბაშელმა, როცა აკაკის IV ტომის აწყობა უკვე დასრულებული იყო. პირველი ხანის გასწვრივ არშიაზე რალაც თარიღისებურია წარწერილი 1886.

გადმოვწერე 1927 წ. 26 დეკემბერს, ტფილისში.

ს. გორგაძე“.

B—ში ბოლო ოთხი სტროფია დაწერილი და ზოგი გადახაზულია.

**226.** 15 სჭამს ] ჰსჭამს B; 19 დავჯოხოთ ] დავქოლოთ B; 17-20 სტრიქონები (არც ბერდება... გუნდა) B-ში იმავე მელნით, რითაც ნაწერია, გადახაზულია.

**227.** 4 აპარტყუნებს ] ანძრევს, ლალავს B; 5-8 სტრიქონები (ადე... გუნდა) B-ში გადახაზულია იმავე შავი მელნით, რა მელნითაც ლექსია დაწერილი.

იუდა – იხ. გვ. 450.

კაენი – ბიბლიის მიხედვით, ადამისა და ევას უფროსი ვაჟი, რომელმაც მოკლა თავისი ძმა აბელი.

### ღამის მეხრე (გვ. 228)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 81, გვ.15-16.

თ ა რ ი ლ ი: [1892-1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1940 წელს (იხ. აკაკის თხზულებანი, 1940, ტ. I, გვ.458).

დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. შენიშვნა ლექსისა „ალბომში“ (გვ. 508).

### ბებიას დარიგება (გვ. 229)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 81, გვ.18 (B); ასლი Q 2173/956 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1892-1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

B-ში ტექსტი იწყება მე-17 სტრიქონიდან (ნუ გაუგონებ...).

**229.** 6 ბრმად ] ბრმათ A; 8 თავს ქუდი ] თავ-ქუდი A; 9 პირადად ] პირადათ A; 18 სხვადასხვაგვარად ] სხვაგვარებ A; 22 B-ში „ცუდს“ ნინ იყო „ცდას“, რომელიც შემდეგ ავტორს გადაუხაზავს; 24 ამბებია ] ანბებია B.

**230.** 1-8 სტრიქონები (გეყოფათ ... მეშინია) – B; 7 მოგახსენოთ ] მოგახსენო A; 9-12 სტრიქონები B-ში ადრე ასე იყო წარმოდგენილი:

ასე ურჩევდა ბებია  
შვილიშვილს გაოცებულსა,  
ყურში ესმოდა სიტყვები,  
ვერ ათანხმებდა კი გულსა.

ეს სტროფი ავტორს გადაუხაზავს და ისე გაუსწორებია, როგორც ძირითად ტექსტშია წარმოდგენილი; 9-12 სტრიქონები (ასე... გვიანი) – A; 9 ამბობდა ] ანბობდა B; 12 მისი წარჩევი, B-ში ადრე იყო „იმისი რჩევა“, შემდეგ ავტორს იგი გადაუხაზავს და ისე გაუსწორებია, როგორ ძირითად ტექსტშია.

ლექსის სრულ, ვრცელ რედაქციას წარმოადგენს ასლი, რომელიც დაცუ-ლია ქუთაისის მუზეუმში (Q 2173/956). მას აკლია მხოლოდ ბოლო სტროფი ლექსისა. ამიტომ ძირითად წყაროდ აღებულია ასლი, რომელიც შევსებულია ავტორგრაფისეული ბოლო სტროფით. ლექსი პირველად დაიბეჭდა. (იხ. აკაკის თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ.544), აკლია 3-10 სტრიქონები (გეყოფათ... მეშინია). სრული სახით დაიბეჭდა (იხ. თსკ. ტ. II, 1950, გვ.251-252).

დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. შენიშვნა ლექსისა „აღბომში“ (გვ. 508).

1893

### მიმკვლევა (გვ. 231)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი K 76, გვ.19 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: შ. „კვალი“, 1893, 3 იანვარი, № 1, გვ.2 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 19, გვ.1-2 (A); „ჯეჯილი“, 1905, № 1, გვ.4-5 (C).

თ ა რ ი ღ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი BC.

**231.** 6 და „კვალი“ ] „ჯეჯილი“ CD; 8 გაგითენოსთ ახალი ] გაგამრავლოთ ხეხილი C; 15 ასად ] ასათ C.

**232.** 2 ახალსა ] ერთს ტკბილსა CD; 4 ჩვენს „კვალსა“ ] „ჯეჯილსა“ CD.

ლექსი აკაკიმ მიუძღვნა „კვალის“ გამოსვლას და დაიბეჭდა კიდევ ამ გაზეთის პირველსავე ნომერში. შემდგომში იგივე „მიმკვლევა“ იქნა გამოყენებული საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილისათვის“.

### სტუმრები (გვ. 233)

ნ ა ბ ე ქ დ ი: შ. „კვალი“, 1893, 3 იანვარი, № 1, გვ.5 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.3-4 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**233.** 18 მისჩერებთან ] მიჩერებთან B.

**234.** 8 ამაღამ ] ამელამ B.

**\* \* \* (სანამ ვიყავ ახალგაზრდა. . .) (გვ. 235)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 17 755 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, 17 იანვარი, № 3, გვ.7 (C); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.22-23 (A); „ჩანგური“, 1904, გვ.112-113 (D).

თ ა რ ი ღ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**235.** 2 ძგერდა ] სძგერდა BC; 5 როს ] რომ BC; 7 რალათ ] რალად CDE; 10 კარის-კარზე ] კარისკარზედ BC; 13 სამეგობროთ ] სამეგობროდ B; 16 მყავდეს ] მყვანდეს D; 17 უსამართლო ] უსამართლოთ B; 18 ბევრჯერ ] ბევრჯელ B; 19 რალად ] რალათ D; 21 ვსთხოვდი ] ვთხოვდი BCD; 23 რომ ] რომ B; რალათ ] რალად CDE.

აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულში ამ ლექსის ვარიანტად წარმოდგენილი იყო სხვა ლექსი, ამავე დასაწყისით, თუმცა შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული, ვინაიდან იგი შეიცავდა რუსეთის კრიტიკას. როგორც ჩანს, შემდგენლებმა მისი დამოუკიდებელ ლექსად დაბეჭდვა ვერ გაბედეს, მაგრამ მაინც მოახერხეს მისი გამოქვეყნება და ვარიანტებში „გააპარეს“. ამჟამად იგი იბეჭდება ჩვენი გამოცემის III ტომში „უთარილოს“ განყოფილებაში (ჯ. გაბოძე).

**თემურ-ლენგის ტყვე (გვ. 236)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი: K 81, გვ.8-10 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, 23 იანვარი, № 4, გვ.1 (C); „აკაკის კრებულები“, 1898, № 12, გვ.8-11 (A); „სულიკო« და სხვა ლექსები აკაკისა“, 1899, გვ.10-14 (D); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.29-33 (E).

ს ა თ ა უ რ ი: ძველი ანბავი B.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მიბაძვა BD.

თ ა რ ი ღ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.



**236.** 1 გულდადალული ] გულდადალული B; 2 მეფის ტყვეობის ] ჭირ-ითა ჭირის B; მე-4 სტრიქონის (... ქართველი) შემდეგ B-ში გადახაზულია შემდეგი სტრიქონები:

აოხრებულსა სამშობლოს  
მითხარი, რა გადურჩინე,  
ჩვენს აოხრებულს მამულსო,  
როდისაც მტერი მძვინვარე  
ფეხით თელავდა მის გულსო.

5 მითხართ: რა გადურჩინეთ ] მითხარი, რა გადურჩინე B; 7 როდესაც ] როდისაც BE; თემურ მძვინვარე ] მტერი ძვინვარე B; 14 შენს ] შენ B; თვალშიო, B-ში ადრე იყო „შენს თვალშიო“, შემდეგ „შენს“ გადახაზულია და თავზე აწერია „შენს თვალში“; 16 თვალ-მარგალიტიც წყალშიო, ადრე B-შიც ასე იყო, შემდეგ გადაუხაზავს და ზემოდან დაუწერია: „თვალ-მარგალიტი შიგ წყალში“; 17-20 სტრიქონების (ეს სთქვა... მხარეო) ნაცვლად B-ში შემდეგი სტრიქონებია: „ქალს მიუბრუნდა: მან უთხრა:“ ( ადრე იყო „ქალმა მიუგო: მამილო“, შემდეგ გადახაზულია და ისეა შესწორებული, როგორც ტექსტშია, „მან“-ს ნაცვლად იყო „მანც“, შემდეგ „ც“ გადახაზულია):

მიყვარდა ჩემი მხარეო,  
რომ მომავორეს ძალდაძალ  
სისხლის ცრემლები ვღვარეო.

21-24 სტრიქონები (რა უნდა... მეტიო) – B. მე-6 სტრიქონის (... გადავბანეო) შემდეგ B-ში გადახაზულია შემდეგი სტრიქონები:

მამამ მიუგო: ის ვარდი  
ცრემლით ხომ ვერ ახარეო,  
აქ რომ ცრემლები დაჰღვარო  
იქ რას შეიძენს მხარეო?

გადახაზული სტრიქონების გვერდით.

**237.** 1-4 სტრიქონების (დამჭყნარი... კმარაო) ნაცვლად B-ში წერია:

კეთილი, მაგრამ მაგ ცრემლით  
აქ ვარდი არ გაახლდება  
და აქ რომ ლამაზი იყოს  
სამშობლოს რას მოუხდება.

5-8 სტრიქონების (მერე... ბარგიო) ნაცვლად B-ში იყო:

ან, ჩემო ვაჟო, შენ მითხარ,  
რა წამოიღე სახსოვრად,  
რომ ჩვენის ქვეყნის გამსრესელს  
წინა აღუდგე აქ მედგრად.

ავტორს ეს სტრიქონები გადაუხაზავს და დაუნერია:

უფროს ვაჟს ჰკითხა: აბა, შენ  
მითხარ, თუ იცი კარგი რამ,  
თუ წამოიღე, მაჩვენე,  
საშვილიშვილო ბარგი რამ!

9 შეიღმა მიუგო | აქა მაქვს ბასრი B, შემდეგ „აქა“ გადაუხაზავს და დაუნერია „თანა“; 11 მონღოლებს | აქ ჩვენს მტრებს, მონგოლებს B; 12 გაეუპო | გაუპო E; 13 მაგითი | მაგგვარად B; 15 მტერი | შვილო B; 16 შევბასა | შევლასო E; 17 რად... სუყველას | ერთი რამ დაგვინყებიათ B; 18 წმინდა | წმიდა წმიდა C, დიდიო | და დიდი B; 19 წარსულისა | წარსრულისა B; მომავლის | ანმყოსი B; 20 სიცოცხლის... ხიდიო | ის სწორი გზაა და ხიდი B, ამ სტრიქონის შემდეგ B-ში იყო:

მე სულ სხვა რამეს დავეძებ,  
სხვა არის ჩემი იმედი...  
ის თუ დავკარგე, მაშინ კი  
გადამინყდება მეც ბედი! –

შემდეგ ავტორს ეს სტროფი გადაუხაზავს; 21 ჩვენი | ჩემი B; 22 ქვეყნის... ლხინიო | ის ქვეყნის ქირი და ლხინი B, ადრე იყო: „ჩემი წარსულის მთხრობელი“, შემდეგ გადახაზულია და შესწორებული ისე, როგორც ძირითად ტექსტშია; 23 სამშობლოს... ხორცი, ადრე B-ში იყო „ანმყოში ნუგეშცემული“, შემდეგ გადახაზულია და შესწორებული ისე, როგორც ძირითადშია; 24 მისივე ნაღველ-ტვინიო | მისი ნაღველი და ტვინი B, ადრე B-ში იყო და გადახაზულია „მომავლის მთხრობელი“; 25 მაშინ... მგოსანმა | უნცროსმა ვაჟმა მიუგო B, ადრე იყო: „მსახურმა უთხრა: აქ გახლავსო“. შემდეგ ეს სიტყვები ავტორს გადაუხაზავს; 26 გულზე | გულზედ B; 27 ვერ | არ B; მოვლო | მოვლო B; 26-ე სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია შემდეგი სტრიქონები:

ეს არის ჩვენი სამშობლოს  
საკენო, სანანიანო,  
ესევა მისი სამარე  
და საუკუნო ბინაო!

**238.** 1 სიცილი, B-ში ადრე იყო „წარსული“ შემდეგ ავტორს გადაუხაზავს და ისე ჩაუსწორებია, როგორც ძირითად ტექსტშია; 4 ჩაიკვენესაო | ჩაისკვენესაო C; 7 ტყვექმნილს ბაგრატსაც | ისევე ჩვენამდი B, ადრე „ისე“-ის წინ ეწერა „ერთხელ“ შემდეგ ავტორს გადაუხაზავს; 9 მოესმა | მოანევეს B; 9-16 სტრიქონები (მოესმა... დამიხსენიო) – B; 13-16 სტრიქონები (მაშინ... დამიხსენიო) – DE.

**თემურ-ლენგი** – (ტამერლანი), შუააზიელი მხედართმთავრი (1336–1405), მისი ლაშქრობები გამოიჩინა საშინელი სისასტიკით, 1386-1403 წლებში რვაჯერ დალაშქრა საქართველო და დიდი ზიანი მიაყენა მას.

### ახლანდელი სიმღერა (გვ. 239)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 81, გვ.11 (B); Q 2173/926 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: უ. „კვალი“, 1893, № 5, გვ.3 (D); „აკაკის კრებული“, 1898, №12, გვ.12 (A).

ს ა თ ა უ რ ი: – C.

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი D.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**239. 7** გვაქვს ] გვაქვს B; 9 ვეფხ-ლომნი გადაგვიმენდენ ~ C; 12 ჰყვირიან ] გვირჩევენ C, ყვირიან B; 13 ჰზოგავს ] ზოგავს C; 16 ყოველგან ასე ] სამსჯავროს კარზედ B, სამართლის კარზე C; 17 სანყლები ] მართლები C; 18 ჰღვრიან ] ღვრიან C; 17-20 სტრიქონები (იჩაგრებიან... მხარესა) – B.

### შეცდომა (გვ. 240)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლები: S 4882 (B); S 4883 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: უ. „კვალი“, 1893, № 5, გვ.15 (D); „აკაკის კრებული“, 1898, №12, გვ.13 (A).

ს ა თ ა უ რ ი: შეცდომა A, D – B C.

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B C D.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში ინახება ამ ლექსის ორი ხელნაწერი: S 4882 (B) დაწერილია ლექს „ხარაბუზა და ფუტკარის“ გვერდით, ბოლოში ერთვის ასეთი სტროფი:

„გული უხობითა და ხელი ცარიელობით სავესე გაქ  
და ერთი ფოთოლი არ გემოება ფხლის და  
მარილის მოსაყრელათო.

ქილილა და დამანა“

S 4883 (C) წყარო შესრულებულია ცალკე ფურცელზე, ტექსტი არ შეიცავს ვარიანტულ სხვაობებს, თუმცა მას ეპიგრაფად უძღვის ასეთი სტროფი:

„ბრძენნი იტყვიან, რას არგებს კაცს  
კვიპაროზის ხის ჩერო,  
თუ მისი ჩრდილი სხვას ადგას  
და თავი მივაგლახო [?].

ქილილა და დამანა“

ამის შემდეგ არის ლექსი უსათაუროდ, რომელსაც ახლავს ხელმონერა „აკაკი“ და ბოლოში ერთვის ეს ხალხური ლექსი:

„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს  
ნადირსა შავი ტყისასა,  
ვინც დახვდა, იგივე დახვდება  
გულდაგულ რაზმსა მტრისასა.“

S 4882 ხელნაწერს ახლავს მუზეუმის ყოფილი დირექტორის (ან. გარდაცვლილი) ნიკოლოზ კეყერაძის მინაწერიც, რომ ლექსი გადაწერილია აკაკის ძმის დავით წერეთლის მიერ. ცნობილია, რომ დავითი 80-იანი წლებში დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან და აქტიურად მოღვაწეობდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისივე გადაწერილია სულხან-საბას „სიტყვის-კონა“, რომელსაც ახლავს მინაწერები და ცნობა, რომ ხელნაწერი მისთვის უჩუქებია აკაკის<sup>1</sup>.

მისივე მინაწერი ახლავს აკაკის ერთ უცნობ ლექსს „მონაფე და მოძღვარი“ (იხეჭდება ჩვენი გამოცემის III ტომში).

**დავით წერეთელი (1832 )** გარდაიცვალა 1902 წელს, დასაფლავებულია კვერეთის სასაფლაოზე, სენია ბიძის საფლავში. აკაკის ლექსიც მიუძღვნია მისთვის, რომელიც ეპიტაფიად ამოკვეთილა მათი საფლავის ქვაზე. იხ. გ.შარაძე, აკ. წერეთლის ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, 2006, გვ.128 ეპიტაფიის ავტოგრაფი ინახება სხვიტორის მუზეუმში და სრულად პირველად გამოქვეყნდება ჩვენი გამოცემის III ტომში.

## ყარბი (გვ. 241)

ნ ა ბ ე ტ დ ი : შ. „კვალი“, 1893, № 7, გვ.8 (B); „აკაკის კრებული“, 1898, №12, გვ.13-14 (A).

თ ა რ ი ლ ი : [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**241.** 1 კითხულობთ ] კითხულობ B; 11 ვინცა ] ვინც B.

**242.** 6 მოდიხარ ] მიდიხარ B.

<sup>1</sup> ამჟამად „სიტყვის კონას“ ხელნაწერი ინახება აკაკის სახლ.-მუზეუმში და საჭიროებს აღდგენას.

## ქუთაისი (გვ. 243)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 127, გვ.33 (B); K 81, გვ.15 (C); K 86 გვ.22 (E).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, № 8, გვ.3 (D); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.15-16 (A).

ს ა თ ა უ რ ი: – (C).

თ ა რ ი ღ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი D.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B ავტოგრაფში წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისი 20 სტრიქონი (მშვენიერო... მომცურავი), ხოლო C-ში 21-ე სტრიქონიდან (შიგ იაზონ...) ბოლომდე. როგორც ჩანს, BC ავტოგრაფები ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ.

**243.** 1 მშვენიერო ქუთაისო | მშვენიერი ქუთაისი E; 3 შენი მავნე | ის კუდური B; 7 გაგისწორა | გაასწორა B; 9 დაგყურებ | დაგყურებთ B; აოხრებულს | გაოხრებულს D; 11 ვხედავ | ვხედავთ B (ამ სტრიქონის ორი სიტყვა: „ოქროს ჩარდახს“ მოხეულია); 12 ერთ | ერთს D, ამ სტრიქონის ბოლო სიტყვები: „განთქმულს და დიდებულს“ B-ში მოხეულია; 16 დროის | დღის B; 19 მრისხანე | მღელვარე B.

**244.** 10 ძალით სხვასთან | შენაკავშირ AD; 11 მოთმინება | გქონდეს დრომდი C; 12 სევდით გული ~C.

**იაზონ** – თესალიის მეფის ძმისწული, რომელსაც კოლხეთში გამგზავრების დროს შეუყვარდა მედეა.

**მედეა** – არგონავტების მითის მიხედვით, კოლხეთის მეფის აიეტის ასული.

## გაზაფხულის მაყრები (გვ. 245)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „ჯეჯილი“, 1893, № 2, გვ.35 (A); ჟ. „ჯეჯილი“, 1908, № 10-11, გვ.7 (B); „დედაენა“, 1907, გვ.182-183; 1908, გვ.183-184; 1911, გვ.187-188; 1912, გვ.181-182; 1913, გვ.181-182; 1914, გვ.181-182 (C).

ს ა თ ა უ რ ი: გაზაფხული B.

თ ა რ ი ღ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**245.** 5 კარისკაცები | კარისკაცებიც BC; 15 დახვდება | დასკდება B; 18 მონავარდეა | მონავარდია ABC; 19 სუნნელების | სურნელების C; მფრქვეველად | მვენელად C; 20 მზათ | მზად BC.

## მცირე ლოცვა (გვ. 246)

ნ ა ბ ე ქ დ ი: უ. „კვალი“, 1893, № 16, გვ.14 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.18 (A); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.55-56 (C).

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

„კვალში“ ლექსი ჩართულია პროზაში „ცხელ-ცხელი ამბები“. ლექსს სათაურიც აქვს მიცემული.

## გამოცანები (როგორც ღრუბელთ წინამძღვარსა. . .) (გვ. 247)

ნ ა ბ ე ქ დ ი: უ. „კვალი“, 1893, №17. გვ.8-9 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.19-20 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### 247. 11 დადებ ] დადებთ B.

ლექსთან ერთად „კვალში“ მოთავსებულია გამოცანებში ნაგულისხმევ პიროვნებათა სურათები: ილია ქავჭავაძის, დ. მუსხელიშვილის, დავით სუმბათაშვილის, გრ. ორბელიანის, ნ. ორბელიანის, გ. თარხნიშვილის, ნ. ნიკოლაძის, ა. ჩოლოყაშვილის, მ. მაჩაბლის, ი. მაჩაბლის.

სურათები დაბეჭდილია გამოცანების თანმიმდევრობის შესაბამისად.

## ალბომში (ყმანელი სჯობდი მოხუცსა ...) (გვ. 249)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 116, გვ.51 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: უ. „კვალი“, 1893, № 19, გვ.1 (C); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.21 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

249. 2 მოხუცი ] მოხუცი B; 7 ჭკნებოდეს ] სჭკნებოდეს C, B-ში 13-16 სტრიქონები (იცოცხლე... ცნობილი) გადახაზულია სხვა მეღნიშვნით.

პროფ. გ. აბზიანიძის ვარაუდით, ლექსში შესაძლებელია პოეტი რაფ. ერისთავი იგულისხმება (იხ. აკაკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ.521).

## გ . . . . . ს (გვ. 250)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „კვალი“, 1893, № 20, 16 მაისი, გვ.3 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.22-23 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**250.** 3 დავკარგო] დავჰკარგო B; 4 გადავყვე] გადავჰყვე B; 19 ადებდენ ] ადებენ A; 24 შელახულ] შენახულ A.

**251.** 11 დავკარგო] დავჰკარგო B; 12 გადავყვე] გადავჰყვე B.

## ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე (გვ. 252)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „მოამბე“, 1894, № 1, გვ.117.

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

„მოამბეში“ დაბეჭდილია აკაკის სამგლოვიარო სიტყვა, წარმოთქმული ალ. ყაზბეგის დასაფლავებაზე. სიტყვა მთავრდება ამ ლექსით.

ცენზურის ნებართვა გაცემულია 1893 წლის 25 ნოემბერს, ამიტომ ლექსს ვათარიღებთ პირობითად 1893 წლით.

**ყაზბეგი ალექსანდრე (1848-1893) – დიდი ქართველი მწერალი.**

## მღერალ ქალს (გვ. 253)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „მოამბე“, 1894, № 1, გვ.44-45 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.38-39 (C); „«სულიკო» და სხვა ლექსები აკაკისა“, 1899, გვ.19-20 (D); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.49-50 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1893].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

**253.** 1 საგანგებოდ ] საგანგებოთ BC; 5 ყური ] გული C; 17 ისე ] ისა BC; 18 ანმყოზედ ] ანმყოზე BC; 20 ჩვენ ] ჩვენს BD; 25 შთაგვაგონე ] ჩამოგებერე BCD; 27 გვედგას ] გვედგეს D.

ლექსი მიძღვნილია მომღერალი ქალის **მაკინე ამირეჯიბისადმი** (1858-1922). იგი იყო საზოგადო მოღვაწე. მის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ცნობილი ქართველი მოღვაწენი, რომელთა ფაქსიმილეებსაც იგი ქარგავდა თავის ცნობილ სუფრაზე. ეს ისტორიული სუფრა, ათასზე მეტი ხელმოწერით, დაცულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში.

ცენზურის ნებართვა გაცემულია 1893 წლის 25 ნოემბერს, ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1893 წლით.

### სახსოვარი (ამ სოფლის ნორჩი ყვავილი) (გვ. 254)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი: K 187/75.  
მ ი ნ ა ნ ე რ ი: დაიბადა 1851 წ. იანვარი 15.  
დაიბადა 1873 იანვრის 4  
მიიცვალა 1893 იანვრის 17  
თ ა რ ი ლ ი: 1891—1893.  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ეს არის ეპიტაფიები დაწერილი სოფრომ ცერცვაძის ოჯახის წევრების საფლავისათვის.

### ექსპრომტი (გვ. 255)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17 672, გვ.1 (B); K 71, გვ.23 (A).  
ს ა თ ა უ რ ი: ექსპრომტი B.  
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ხუმრობა ვანოს არჩევნების დროს B.  
თ ა რ ი ლ ი: [1893-1896].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

#### 255. 4 მზედ] დღედ B.

როგორც ქვესათაურიდან ჩანს („ხუმრობა ვანოს არჩევნების დროს“), ლექსი ვანოსადმია მიძღვნილი. „ვანოში“ შეიძლება იგულისხმებოდეს **ივანე მაჩაბელი** (1854-1898) ცნობილი მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე.

ლექსში ნახსენებია ვანოს ცოლი (ტასო მაჩაბელი). მათ 1891 წელს იქორწინეს. ამიტომ ამ წელზე ადრე ლექსი ვერ დაიწერებოდა, რაც შეეხება ბანკის არჩევნებს, იგი რამდენჯერმე გაიმართა – 1893 წლის გაზაფხულზე და 1896 წლის მაისში. ორივე არჩევნებში ვანომ გაიმარჯვა, ლექსი უთარილოა, მაგრამ ქვესათაურის მიხედვით, პირობითად შეიძლება ასე ვათარილოთ [1893-1896], რადგანაც მხოლოდ ამ პერიოდში დაიწერებოდა ლექსი.

რაც შეეხება ლექსში მოხსენიებულ კოლას, მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ან **კოლა ფავლენიშვილი**, ვანოს ბავშვობის მეგობარი, ან **კოლა ორბელიანი** – ბანკის გამგეობის წევრი. ორივე ვანოს უჭერდა არჩევნებში მხარს. შესაძლებელია იყოს **კოლა ვეზირიშვილიც**, ი. მაჩაბლის მეგობარი და თანამშრომელი.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა თსკ. 1950 ტ. II, გვ. 350.



**ბულბული (გვ. 256)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ე ბ ი: ავტოგრაფები: K 72, გვ.27 (A); K 73, გვ.7 (B); K 62, გვ.31 (C); K 114 ერთი გვერდი (D).

თ ა რ ი ლ ი: [1894 წლამდე].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. იგი პირველად დაიბეჭდა აკაკის „თხზულებანში“ 1941 წელს. ტ. II, გვ.19.

**256.** 12 თანსწორად ] თანასწორ C; 14 ჭიკჭიკ ] ჭუჭუჭუკ B.

როგორც გ. აზიანიძე მიუთითებს აკაკის თხზულებათა თხუთმეტ-ტომეულის შენიშვნებში, ამ ლექსის რუსული თარგმანი მოთავსებულია 1894 წელს დაბეჭდილ ნიგში В. А. Величко – „Второй сборник стихотворений“. გვ.133. ამის მიხედვით ლექსი 1894 წლამდე დანერილად შეიძლება ჩაითვალოს (იხ. აკაკი წერეთელი, თსკ, 1955, ტ. IV, გვ.487). ამიტომ ლექსს პირობითად ვათარიღებთ 1894 წლამდე.

D ავტოგრაფი შეიცავს სწორებებს და ქართულ ტექსტს ახლავს ლექსის რუსული თარგმანი.

**ავადმყოფი მგოსანი (გვ. 257)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „კვალი“, 1894, № 10, გვ.1 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.24-25 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1894].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**მწუხრი (გვ. 258)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 24 337 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „კვალი“, 1894, № 11, 6 მარტი, გვ.6 (C); „აკაკის კრებული“, 1898, გვ.25-27 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1894].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ხელნაწერი დაუმთავრებელია: იგი მე-16 სტრიქონზე (... გაახლებას) წყდება.

258. 14 სუნნელებას ] სურნელებას B.

259. 14 ჰბერავდა] ჰბერევა A; 23 ვსთქვი] ვთქვი BC.

### თვალი პატიოსანი (გვ. 260)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი K 77 გვ.27 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟ. „ჯეჯილი“, 1894, № 3, მარტი, გვ.37-38 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1894].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B-ში კომპოზიტები დეფისითაა წარმოდგენილი: მთავარ-ანგელოზს, ხელ-ახლად, მუხლებ-მოყრილი, ნაქცევ-დამპალი] დაცევ-დამპალი B; ვე-დრება-სინანულთა] ვედრება სინანულითა B.

### იუდა გამცემლიძე (გვ. 262)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი Q 2173/946, გვ.2 (B).

ა ნ ა ნ ც ო ბ ი: Z ფონდი 480, აღ. 3, საქმე № 166, გვ.2 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902, 11 იანვარი, № 9, გვ.2 (D); „სიმღერა (ლექსები) აკაკისა“, 1903, გვ.85-86 (A).

ს ა თ ა უ რ ი: \*\*\* C, ხალხური B.

ქ ე ე ს ა თ ა უ რ ი: ხალხური A .

თ ა რ ი ლ ი: [1894].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი BD.

262. 1 იუდა ] წვერ-წვერა C, თედორე B; 5 არავის ] არავინ C; 7 სადლა-ცა ] სადაცა B; 9 ამბობენ ] ანობენ; 11 ალ-ქაჯებს ] ეშმაკებს C; 13 ქაჯებ-მა ] ქაჯებმაც B; 15-16 სტრიქონების (ქვეყანა... ზენაო) ნაცვლად B-ში ასეა:

ურჩიეს „ქაჯურ ენაზე  
გასცვალე დედა-ენაო!“

ხოლო C-ში: ამიერიდან გემართოს  
ყოველი კარგის კბენაო.

17 გულში ჩაუსხეს ] გულზე დაასხეს BC; 18 შხამი სცხეს ] და შხამი BC; 19 ლაფი დაესხას იუდას ] ღმერთმა თავს ლაფი დაასხას B, ღმერთმა თავს ლაფი დაასხა C.

BC-ში ლექსს ბოლოში ემატება:

წვერ-წვერა ( თედორე B) გამცემლიძესა  
ნუ უქებ ( ვერ ვუქებთ B) მოსახლკარობას,

ნურც მოედანზე გამოვა  
ნურც წავა სადმე ჯვარობას! ( ჯვარობას B).

როგორც საცენზურო კომიტეტში დაცული მასალიდან ჩანს, ლექსი უნდა დაბეჭდილიყო „კვალში“ 1894 წლის 24 მარტს. ცენზორს ა. ქიშიშიშევს ჯერ ლექსის V სტროფი წაუშლია წითელი მელნით, შემდეგ კი მთლიანად გადაუხაზავს.

ამიტომ ლექსს ვათარილებთ პირობითად 1894 წლით.

„ივერიაში“ ლექსის სათაურს ახლავს სქოლიო, სადაც ვკითხულობთ: „ღმერთი-რჯული, რომ პირადად არავინა მყავს მხედველობაში. აკაკი“. ამავე დროს აკაკის ცენზურის თვალის ასახვევად ლექსისთვის მიუწერია „ხალხური“. თუმცა მოგვიანებით თავად პოეტმა აღიარა ლექსის ადრესატის ვინაობა.

„ივერიის“ 1903 წლის 2 სექტემბერის №186-ში გამოქვეყნდა აკაკის სტატია „მუნჯური მეთოდი“, რომელშიც გაკრიტიკებულია ქართულ სკოლებში „მუნჯური მეთოდი“ სწავლა. აკაკი იაკობ გოგებაშვილს უწოდებს „იაკობ აღმზრდელს“ და თედორე გამცემლიძეს – თედო ჟორდანიას (1854–1916) ისტორიკოსი არქეოლოგი. აკაკის ეგონა, რომ თედო ჟორდანია ეროვნულ ინტერესებს ღალატობდა, ამიტომაც უწოდა მას თედორე გამცემლიძე. შემდეგში აკაკიმ აღიარა თავისი შეცდომა წერილში „ჭუჭყია და პუნკია“. პოეტი გამოეხმაურა თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნარკვევს „ბიჭვინთის სიგელ-გუჯრები“. „იყო დრო როდესაც მე შენ თედორე გამცემლიძე დაგიძახე“ დაწვრილებით იხ. თსკ. 1961. XIV, გვ.618, 649.

### ნეიტრალი (გვ. 263)

ნ ა ბ ე ჟ დ ი: ჟ. „კვალი“, 1894, 3 აპრილი, № 15, გვ.10 (B); „აკაკის კრებული“, 1898, № 12, გვ.28-29 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1894].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B.

**263.** 11 მომწონს | მამწონს B.

აკაკის ახლო მეგობარი ივ. ელიაშვილი ამ ლექსთან დაკავშირებით თავის მოგონებაში წერს: „ილია ჭავჭავაძესა და ვანო მაჩაბელს შორის ატეხილ დავაში, უთანხმოებაში, იყო ერთი ჯგუფი, რომელიც არც ერთს ემხრობოდა და არც მეორეს, ნეიტრალიობას იჩენდა. ამათში ერივნენ პეტრე და პავლე (პალიკო) ყიფიანები. მათზე შეთხზა აკაკიმ „ნეიტრალი“ (იხ. აკაკის საიუბილეო კრებული, თბ., 1940, გვ.446).

**ბისმარკი** – ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი (1815-1898), გერმანიის იმპერიის დამაარსებელი პირველი რაიხკანცლერი.

## ქართველი ქალი (ვინ სთქვა ქართველი ქალის მშენება ....) (გვ. 265)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი: K 115, გვ.2 (B).

